საქართველო ბიძინია ბაჯაღლო და თბი... – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

№11 (690) 17-23 მარტი 1,50 ლარი



გვ. 75
რის გამო ამთავრებდა საპირისპირო სქესთან სასიყვარულო ურთიერთობას ნოდიკო ტატიშვილი და როდის ხდება ის ქალთან ურთიერთობისას ეგოისტი და ეჭვიანი

გვ. 19
შეცვალა თუ არა ქეთა თოფურია გათხოვებამ და რას შეაჩვია მან დედა 10 წლის განმავლობაში

გვ. 23
რა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა მარკუს მეტრეველმა და რატომ აღარ უნდა მას ნარკოტიკი

გვ. 22
რის გაკეთებას აპირებდა გიორგი გურგულია სასაზღვრო ზონებში და რამდენჯერ ჰყავს მას „მოკლული“ ზურა ბეგალიშვილი

უნივერსიტეტი „გორგასალი“
კოდი – 124 გვ. 79



გვ. 10
რა ცდუნებებს უძლებს ირმა გიგანი და რაში აიყოლია მან ბიზნესმენი მამა

რაში „ჩაითრია“ სალომე ზურაბიშვილმა შვილი და რა ოცნება აუსრულა მან ჟანრი კაშიას გარდაცვალების შემდეგ



გვ. 18



გვ. 15
რა გამონაკლისი დაუშვეს „ტრანოის შოუ-რუმზე“ „ატელიე კიკალასთვის“ და როგორ გადაიღო მამუკა კიკალიშვილმა პარიზში „ელ ოფისიელისთვის“ ფრანგი მოდელები



გვ. 14
რატომ „ააწრიალა“ მთელი თბილისი მატილდა მიურატმა და როგორ აკეთებს ის გამოუსადეგარი, გადაყრილი ნივთებისგან ხელოვნების ნიმუშებს

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!




**2 250 ლარი**

# საქართველოს უნივერსიტეტი

## ყველაზე დიდი კერძო უნივერსიტეტი საქართველოში, სადაც სწავლის საფასური სახელმწიფო უნივერსიტეტებში არსებული სწავლის გადასახადის ტოლია

### სპეციალური პირობები

* **ყველაზე წარმატებული სტუდენტების მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში უცხოეთის უნივერსიტეტებთან აფინანსებს უნივერსიტეტი.**
* **პირველ კურსზე სტუდენტები სწავლის საფასურს დაფარავენ ორ ნაწილად (სემესტრულად) – სექტემბერში და იანვარში.**

საქართველოს უნივერსიტეტი ამზადებს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილ პროფესიონალებს. უნივერსიტეტს აქვს სიმულაციური საავადმყოფო, იმიტირებული სასამართლო დარბაზი და საფონდო ბირჟა. უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი ფიზიკის, კომპიუტერების, სტომატოლოგიის, მიკრობიოლოგიის, ანატომიის, ენებისა და CISCO-ს ლაბორატორიები, ტელემედია ცენტრი, მდიდარი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, კეთილმოწყობილი კაფეტერია, ღია და დახურული სპორტული მოედნები და სატრენაჟორო დარბაზი.

### საქართველოს უნივერსიტეტში თქვენ გელით:

* სწავლების უმაღლესი ხარისხი დაბალ ფასად – 2 250 ლარი.
* სწავლების განმავლობაში უცვლელი გადასახადი.
* ძირითადი და დამატებითი სპეციალობების კომბინირების დიდი არჩევანი.
* გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების ფართო სპექტრი.
* სასწავლო პროცესი მცირე სამუშაო ჯგუფებში საუკეთესო ქართველ და უცხოელ პროფესორებთან, შეხვედრები დარგის ექსპერტებთან.
* თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები, ლაბორატორიები, ჯგუფური მუშაობის სპეციალიზირებული ოთახები.
* სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ელექტრონული სისტემა.
* მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება.
* საერთაშორისო სასერტიფიკატო პროგრამები: CISCO – CCNA, CCNP, Microsoft, Oracle Academy.
* სწავლის დასრულების შემდეგ – დასაქმება და წარმატებული პროფესიული კარიერა.









სტომატოლოგიური ლაბორატორია



სტუდენტური ცხოვრება: სათხილამურო კლუბი გუდაურში; დაშვება არაგვის ხეობიდან

სტუდენტები ქსელებზე მუშაობას CISCO-ს ლაბორატორიაში სწავლობენ



საქართველოს უნივერსიტეტში თავდაპირველად სტუდენტები მულიაჟებზე გადიან პრაქტიკებს, მაღალკურსებზე კი – კლინიკებში











მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში ბაქტერიული კულტურების კვლევის დროს

# „საქართველოს ბანკმა“ საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის 7 მილიონ დოლარზე მეტი სესხი გამოყო

*„საქართველოს ბანკი“ განაგრძობს სამშენებლო სექტორის მხარდაჭერასა და დაფინანსებას. ლიდერი ბანკის დაფინანსებით დედაქალაქს კიდევ ერთი საერთაშორისო სტანდარტის საცხოვრებელი კომპლექსი შეემატა. ამჯერად ირაკლი აბაშიძის №70-ში. ბანკის წარმომადგენლებმა ბანკის მიერ დაფინანსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ჟურნალისტებთან ერთად დაათვალიერეს. სამშენებლო სამუშაოებს სამშენებლო კომპანია შპს „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპი“ ახორციელებს, რომელსაც ბანკმა მხოლოდ ამ პროექტისთვის 7 მილიონ ამერიკულ დოლარზე მეტი სესხი გამოუყო.*



**სულხან გვალია** *(„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე):* თავდაპირველად მინდა ვისაუბრო ამ პროექტის მნიშვნელობაზე და აღვნიშნო, რომ ბანკი სამშენებლო სექტორს მომავალშიც აუცილებლად დააფინანსებს. ამჯერად ბანკმა 7 მილიონი აშშ დოლარი საკრედიტო რესურსი კომპანია „გდგ-ს“ გამოუყო. აღნიშნული თანხითა და კომპანიის მიერ ჩადებული კაპიტალით მთლიანად შეიკრა დაფინანსება, რაც ამ კომპლექსის დასრულებისთვისაა გათვლილი. „საქართველოს ბანკი“ განაგრძობს სხვადასხვა პროექტის დაფინანსებას, მათ შორის, სამშენებლო სფეროშიც მნიშვნელოვანია, რომ 2013 წელს მხოლოდ სამშენებლო სექტორზე „საქართველოს ბანკმა“ 122 მილიონ დოლარზე მეტი სესხი გასცა.

რაც შეეხება აბაშიძის ქუჩა №70-ში მშენებარე კომპლექსს, მოიცავს 176 ბინას, 206 ავტოსადგომს, 2,52 კვადრატულ მეტრ სავაჭრო და საოფისე ფართს. კომპლექსის მთლიანი სასარგებლო ფართის მოცულობა ჯამში 27.003 კვადრატულ მეტრს შეადგენს (ავტოსადგომების ფართების გარეშე). რაც შეეხება საცხოვრებელ კომპლექსს, აღჭურვილი იქნება საკუთარი აუზითა და ფიტნესკლუბით. საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა ამ მომენტისთვის აქტიურად მიმდინარეობს და ამ დროისთვის 6 სართული უკვე აშენებულია. სამშენებლო სამუშაოების 90 პროცენტი მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული პროექტი რიგით მესამეა, რომელსაც შპს „გდგ“ ახორციელებს „საქართველოს ბანკის“ მხარდაჭერით – გასულ წელს, „საქართველოს ბანკის“ დაფინანსებით, უკვე განახორციელა ორი პროექტი თბილისში, ინგოროყვას ქუჩაზე, რისთვისაც ბანკმა ჯამში 10 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის სესხი გამოყო. კორპორაციული საბანკო საქმიანობის მიმართულებით „საქართველოს ბანკის“ კორპორაციული საბანკო სესხების პორტფელი, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1.8 მილიარდ ლარს შეადგენს.



კომპანია „გდგ-ს“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, ბეჟან წაქაძის განმარტებით, „ეს იქნება დახურული სივრცე, თავისი ეზოთი. უკანა მხარეს ექნება დახურული საცურაო აუზი, რომელიც ამ კომპლექსის შემადგენელი ნაწილი გახდება. ასევე, განსაზღვრულია საერთო პარკინგი 100 ავტომობილზე, ხოლო დამოუკიდებელი, ინდივიდუალური სადგომები 215 ავტომობილზე გამოყოფილია მიწის ქვეშ. კორპუსს არ ექნება ტიპური სადარბაზო – ჩვეულებრივ სადარბაზოებზე უარის თქმა ჩვენი კომპანიის ერთგვარი ინოვაციაა. კორპუსს სამი შესასვლელი და ერთიანი ჰოლი (650 კვადრატული მეტრი ფართობით) ექნება. რაც შეეხება კორპუსის გარე სახეს, ის მთლიანად ქართული კერამიკული აგურით შენდება, კიბე-საფეხურები კი ბერძნული მარმარილოთი მოპირკეთდება.

რაც შეეხება ფასებს: ამ საცხოვრებელ კორპუსში 1 კვადრატული მეტრის ფასი 1 300 აშშ დოლარიდან იწყება – რა თქმა უნდა, იგულისხმება თეთრი კარკასი, ხოლო, ზედა სართულებზე ფასები შედარებით მაღალია. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მშენებლობის პროცესში გამოიყენება ძვირად ღირებული მასალა და ადგილიც პრესტიჟულია (ვაკის პარკიდან სულ 100 მეტრში), ფასი, დამეთანხმებით, არც ისე დიდია. ბინების 30 პროცენტი უკვე გაყიდულია. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ურთიერთობები საქართველოს ლიდერ ბანკთან კვლავაც წარმატებით გაგრძელდება და ერთობლივად კიდევ ბევრ საინტერესო პროექტს განვახორციელებთ.

**სოფი ლორია**

**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – **ნინო ხაჩიძე**, ჟურნალისტი – **თამუნა სამადაშვილი**
საზოგადოება და კულტურა: **გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე**
რელიგია: **ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე**
კრიმინალი და სამართალი: **ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე**

დაიჯესტი: **ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი**
მედიცინა: **ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე**
სპორტი: **ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე**
სტილისტ-რედაქტორი: **თამრიკო ზამთარაძე**
სტილისტი: **ნანა წერეთელი**
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: **თამუნა ახობაძე**
ოპერატორი: **მაია კარანაძე**
ფოტოკორესპონდენტები: **თებუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი**
მხატვრები: **ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე**

დირექტორი: **გუგა ახობაძე**
ოფისმენეჯერი: **ინგა კერვალიშვილი**
იურისტი: **ქეთი უტიაშვილი**
მთავარი ეკონომისტი: **ნანა ბირჩაძე**
კომერციული მენეჯერი: **მარინა მჟავანაძე**
ვებ-გვერდის მოდერატორი: **საბა კარანაძე**
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: **სოფი ლორია**
სარეკლამო სამსახური: **სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი**
მარკეტინგის მენეჯერი: **ლევან მენთეშაშვილი**

ტელ: **239-25-52;**
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: **www.tbiliselebi.ge**
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# „სულ რაღაც“
## ნავთობის გემო

მართალია, **დაკვირვებული დასავლეთი 2008 წელსვე ივარაუდებდა, რომ 2014-ში მოხდებოდა ის, რაც მოხდა,** მაგრამ **1990 წლის შემდეგ პირველად ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორმა სწორედ დღეს გადაისროლა ბაზარზე ნავთობის საკუთარი სტრატეგიული მარაგის უმნიშვნელო ნაწილი;** ექსპერტები გვარწმუნებენ, **ტესტირების მიზნითო, თუმცა შედეგებმა მოლოდინებს გადააჭარბა.**

საერთო ჯამში, **ლაპარაკია 5 მილიონ ბარელზე,** რაც **ჩვენი აშშ-ის სტრატეგიული მარაგის, სულ რაღაც, ერთადერთი პროცენტია.** თუმცა ამ **„სულ რაღაცამ“ ნავთობის ფასი 2 პროცენტით გააიაფა** და 100 დოლარს ქვემოთ ჩამოიყვანა. თავის მხრივ, **აშშ-ს ენერგეტიკის სამინისტრო გვარწმუნებს,** რომ **უკრაინა არაფერ შუაშია და ღონისძიება რამდენიმე თვით**



**ადრე დაიგეგმა,** თუმცა ისიცაა, ჩვენ **ხილი ვჭამოთ, მებაღეს რას ვკითხულობთ?!**

„ხილს“ კი ასეთი გემო აქვს: **ნავთობის ვაჭრობით მიღებული შემოსავლები რუსეთის მთლიანი ბიუჯეტის თითქმის ნახევარს უკავუნებს,** ამ შემოსავლების მისაღებად კი **რფ-თვის აუცილებელია, რომ ბარელის ფასი 102 დოლართან მერყეობდეს.** შესაბამისად, **თუ ფასი დაეცემა, ვერც ბიუჯეტს შეასრულებენ.**

ხოლო, **თუ ამის პარალელურად, დასავლეთის ბანკები რუს მოვალეებს 650 მილიარდი დოლარის კრედიტის დაბრუნებას მოსთხოვენ,** მაშინ, როცა **რფ-ის ოქროს სავალუტო რეზერვი** დაახლოებით 500 მილიარდ დოლარამდეა, ცხადია, რომ **ჩრდილოეთით არცთუ სახარბიელო პერსპექტივა** ელით.

თუმცა **ჩვენი პოლიტიკური ბედიც მოვლენების ძლიერთა ამა სოფლისათა მარიფათზეა დამოკიდებული,** თუკი **ნავთობი გაიაფდა, შესაძლოა, ბენზინის გაიაფებითაც გავიხაროთ,** მაგრამ **არც ისაა გამორიცხული, ჩვენებურმა მენავთობეებმა გადაწყვიტონ, რომ** ჩვენთვის **პოლიტიკური ხეირიც სავსებით საკმარისი იქნება** და **ნავთობის გაიაფების მატერიალური სიხარული მხოლოდ თავიანთთვის დაიტოვონ.**

# ენაშეჩვეულები
## ანუ ვის ეპატარავება გაერო თვალებში

**სახელდობრ, ჩვენ აფხაზური მედიასაშუალებიდან შევიტყვეთ, რომ გაეროს წარმომადგენელმა აფხაზეთის სანახები მიათვალიერ-მოათვალიერა,** დე-ფაქტო პრეზიდენტ **ანქვაბსაც შეხვდა** და **15 მილიონი აშშ დოლარიც შესთავაზა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად.**



მეორე მხრივ, **თავად აფხაზური საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილმა ქართული მედიასაშუალებებიდან გაიგო,** რომ **გაეროს გუმანში ჰქონია 15 მილიონი აშშ დოლარის მათთვის დახარჯვა.** იმის გათვალისწინებით, რომ **აფხაზეთის ბიუჯეტი, გაწიე-გამოწიე, 150 მილონ აშშ დოლარამდეა,** დამეთანხმებით, რომ **15 მილიონი მეტად შთამბეჭდავი ციფრია.**



საქართველოს **საგარეო საქმეთა სამინისტრო გვარწმუნებს, რომ ეს ყოველივე თბილისთან შეთანხმებით ხორციელდება.** მეტიც, **აქამდეც ხორციელდებოდა.** ასეა თუ ისე, **ფაქტია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე გაეროს დამკვირვებლებს აღარ უშვებენ** (2008 წლის შემდეგ), შესაბამისად, **საინტერესოა, დათანხმდებიან თუ არა ჩვენებური სეპარატისტები ამ შემოთავაზებას,** თუმცა **ისიცაა,** თაფლი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **ფული) იყოს,** ბუზი (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რასაკვირველია, **იმ ფულის ამთვისებელი) ბაღდადიდან მოვაო.**

**მოვა თუ წავა,** ამ ფაქტს **„ნაციონალური მოძრაობა“ ფრიად უარყოფითად გამოეხმაურა,** სხვათა შორის, იმ მოტივით, რომ **გაეროს მიერ შეთავაზებულ თანხას,** როგორც ირწმუნებიან, **სეპარატისტები ოკუპანტებს გადასცემენ შეიარაღების შესაძენად.** სახელდობრ, **ქ-ნი თაქთაქიშვილი შეშფოთებულია,** ხომ არ შეუწყობს ხელს ეს 15 მილიონი ოკუპანტების გაძლიერებასო?!

თუ გავითვალისწინებთ, რომ **დამფინანსებელი მხარე გაეროა, ზემომოყვანილი ლოგიკა, რბილად თუ ვიტყვით, უცნაურია,** თუმცა ფაქტია, რომ **აწ უკვე ოპოზიციონერმა „ნაციონალებმა“,** როგორც ბ-ნი მერაბიშვილი იტყოდა, **მეტად შეაჩვიეს ენა ამ ჩვენს დასავლეთელ პარტნიორ ორგანიზაციებს?!**

# „შენ აფრენ“
## ასოთი შეწუხებული

**დალაგებული აზრების სიუხვეს არც ადრე უჩიოდა** და **ახლა ხომ – მით უმეტეს.** ჰოდა, **რაკი არ უჩივის, „ელ დე პე ერის“ ლიდერმა ინიციატივა ინიციატივაზე დაახვავა** – მეორე მხრივ, **თავისი ქვეყნის ზომა შეუშლიდა ხელს თუ ეთიკის ნორმები?!**

არც შეუშლია, ამიტომაც, ვლ. **ჟირინოვსკიმ, სახელდობრ,** გასულ კვირას, აქედან – **რუსული ანბანიდან მაგარი „ი“ ამოღება გადაწყვიტა** (რამეთუ ამ ასომ შეაწუხა), იქიდან – **ყარაბაღის რფ-სთვის შეერთება,** თუმცა **განსხვავებული მოტივებით.**

მისი აზრით, **მაგარი „ი“, იმას გარდა, რომ მონღოლური გადმონაშთია** (როგორც თავად ამბობს, **მსგავს ბგერებს მხოლოდ მხეცები გამოთქვამენ** – ), **სწორედ ამ „აზიური საზიზღრობის“ გამო არ უყვართ რუსები ევროპაში** (იდეალური გამოსავალია!).

სავსებით ბუნებრივია, **რაკი ევროპელების გულის მონადირების გზა გამონახა, უყურადღებოდ არც პოსტსაბჭოელები დაუტოვებია.** კერძოდ, როგორც თავად **ამბობს, რაკი სომხეთი და აზერბაიჯანი ვერასდროს მოილაპარაკებენ ყარაბაღის შესახებ, საუკეთესო გამოსავალი ყარაბაღის რფ-სთან მიერთებაა.**

მომყავს ციტატა: **„არც სომხები იქნებიან ნაწყენები და აზერბაიჯანელებსაც მოუწევთ შეგუება, იმიტომ რომ ყარაბაღი სომხეთის კი არა, რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდება.“**

უფრო მეტიც, **რფ-ს უპირველესი „ელდეპეერელი“ დარწმუნებულია, რომ კონფლიქტების მოგვარების საუკეთესო საშუალება სადავო ტერიტორიების რუსეთის ფედერაციაში მიღებაა,** თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ დნესტრისპირეთი ახსენა (ვეჭვობ, რიგში მოლდოვას შემდეგი ავტონომია გაგაუზიაა).

საერთოდაც, ყველას **მოგვიწოდა, დაგვიბრუნდითო: „ყველას გპირდებით დემოკრატიას, უზრუნველყოფას, უსაფრთხოებას და ვიცხოვრებთ კარგად, უფრო და უფრო კარგად.“**

ჩვენ არ ვიცით, **რამდენად ემთხვევა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვლ. ჟირინოვსკის აზრები მისი სეხნია პუტინისას,** როგორც არც ის, **თუ რატომ აითვალწუნა ახლა უკვე საკუთარი** (ანბანის) **ასოები?!**

# წამალი – „ბოდიში“

## სიცოცხლის ელექსირი

**რაკი 2012 წელს გაპარლამენტარების შემდეგ მისი მოქმედების პრინციპია:** „ყველა სოფელს თავისი მაყვალა ჰყავსო“, **ჩემი მოგვარე ხალხის რჩეული მოწყენის საშუალებას ნაკლებად გვაძლევს (**რისთვისაც მისი მადლიერნი ვართ, ვინაიდან თვით 5-წუთიანი სიცილიც კი ჯანრმთელობას აკაჟებს, შესაბამისად, ჩვენთვის ერთგვარი „სიცოცხლის ელექსირია“ ).



**მაგრამ ათიოდე დღის წინათ სხვა გზით არჩია წასვლა** და **თავის კოლეგა ირაკლი სესიაშვილთან სატელეფონო საუბარი გამოაქვეყნა**, თუმცა **რამდენიმე დღეში ამის გამო საჯაროდ ბოდიში მოიხადა**. ოღონდ იქვე **დასძინა: „მაშინაც და ახლაც ვფიქრობ, ამ კონკრეტული საუბრის გამოქვეყნებით, ბ-ნი ირაკლი სესიაშვილის პირად ღირსებას არანაირი ჩრდილი არ მიადგა.“**

მაგრამ, **როგორც მოვლენათა განვითარება მოწმობს, ამ ბოდიშს**, სავარაუდოდ, **მეტად კონკრეტული მოტივი ჰქონდა**. როგორც **თბილისის უფლებაშეჩერებული მერი** ბ-ნი უგულავა **აცხადებს, მის საქმეში შვილთან საუბრის სატელეფონო ჩანაწერია,** ამიტომაც ძალოვანებს ამუნათებს: ოდეს ყოფილა მამა-შვილის საუბარი ინტერესის საგანიო (და მერე რა, რომ ყოფილა და მერე როგორ?!).

ბუნებრივია, ბ-ნი **უგულავას პათოსს** ბ-ნი **ხაჩიძეც იზიარებს** და, სავარაუდოდ, **ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ბოდიშის მოხდის გზას არჩევს**. როგორც უნდა იყოს, დასასრულს დასძენს: „**მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ რეალობაში მამა-შვილის პირადი საუბრების გასაჯაროებასაც აღარ ერიდებიან, მინდა, საზოგადოებას და პირადად ბ-ნ ირაკლის, ასევე, საჯაროდ მოვუხადო ბოდიში** ჩვენი სატელეფონო საუბრის გამოქვეყნებისთვის (არ გამოვრიცხავ, ძალოვანებმაც მიჰბაძონ ბ-ნ ხაჩიძეს და ფარული ჩანაწერის საქმის დართვისთვის ბოდიში მოიხადონ, რაკი ბოდიში წამალია – ).“

რაც მთავარია, ბ-ნი ხაჩიძე ამბობს შემდეგს: „**მიუხედავად ყველაფრისა, ვაღიარებ, ეს არ მეკადრებოდა არც მე, არც საპარლამენტო მუშაობას,“** რაც ლოგიკურად ბადებს კითხვას: **რასაც აქამდე აკეთებდა, ეკადრებოდა?!**

# შენც რომ მისმენდიო

## ანუ რატომაც არა?!

მმართველი **„ოცნებასა“** და მმართველთა მიერ ლამის ერთადერთ ოპოზიციურ ძალად აღიარებულ **„ნაციონალებს“ შორის პოლიტდაპირისპირებამ უკვე ისეთი მასშტაბი შეიძინა**, რომ **მეორენი პირველებს ლამის იმის გამოც გაატარებენ კრიტიკის ქარცეცხლში, თუკი 2014 წლის სექტემბერში „ნატო“ „მაფს“ გვიწყალობებს**.

იმის გათვალისწინებით, რომ **ოპოზიციას კრიტიკისას მეტად ბევრი სუსტი მხარე აქვს** (ან კი როგორ არ ექნება, როდესაც ხელისუფლებაში, არც მეტი, არც ნაკლები, 9 წელი იყო?!), **ბუნებრივია, მმართველებს არც კი სჭირდებათ დიდი ძალისხმევა**



**თავდასხმის მოსაგერიებლად** (თუნდაც, მარტივი პრინციპით: **„ყვავმა ყვავს უთხრა, შავი ხარო“).**

თუმცა **არც ოპონენტებს სძინავთ და ამ ტაქტიკას ოპერატიულად დაუპირისპირეს** პრინციპი: **თუ ჩვენ ცუდად ვიქცეოდით, განა უნდა მოგვბაძოთო**.

შესაბამისად (რაკი არ უნდა მიჰბაძონ), **ფარულ მოსმენებსაც აპროტესტებენ** (ორჯერ მეტს გვისმენენ, ვიდრე ჩვენ ვუსმენდითო) **და პროკურატურაში დაკითხვებზე გამოძახებასაც.** ამ **მარაქაში ხალხის რჩეული აკაკი ბობოხიძეც გაერია**: ჯერ ერთი, **აღიარა, რომ თავადაც იმ ხელისუფლების წარმომადგენელია, რომელიც უკანონობას უკანონობაზე სჩადიოდა**, ოღონდ **შენიშნა, რომ ახლებიც ფრიად მალე დაემსგავსნენ.**

ბუნებრივია, **ჯობდა, არ დამსგავსებოდნენ**, თუმცა, თუ **„ნაციონალური მოძრაობის“ დღევანდელ პოლიტიკურ სტატუსს** (და მატერიალურსაც) **გადავხედავთ** (ანუ იმას, რომ თავზე ბეწვიც არ შერხევიათ), **ვითომ რატომ არ უნდა დამსგავსებოდნენ?!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

# მადაჩამცხრალები

## „შინ მამაცი, გარეთ მხდალი“

მაშინ, როდესაც **დანარჩენი სამყარო უკრაინის ბედით იყო** (და არის) **შეშფოთებული** (ზოგი ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას დარდობდა, იყვნენ ისეთებიც, დაშლას რომ მიესალმებოდნენ, ყირიმი კი გამოყოფისა და ჩრდილოეთთან შეერთებას ლამობდა), **საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ქუთაისის სტადიონზე მომხდარ ინციდენტს განიხილავდა** (ინციდენტი ეძახე და, ქუთაისელი გულშემატკივარი, თავდაპირველად, მოედანზე შეიჭრა, მოგვიანებით კი თბილისელ გულშემატკივრებს ქვებიც დაუშინა).



**რაკი საქმეში პოლიცია ჩაერია, ინციდენტიც ამოიწურა**: **სპორტული სანქციებიც დაწესდა** (ქუთაისის „ტორპედოსა“ და ქუთაისის სტადიონისთვის) და **სამართლებრივიც** (კუნთებათამაშებული და ტვინგახურებული, გულშემატკივრებად წოდებული ხულიგნებისთვის).

ჩვენ არ ვიცით, **გაანელებს თუ არა ვნებებს ზემოხსენებული სანქციები**, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ **ეს თბილისელი და ქუთაისელი გულშემატკივრების პირველი „შერკინება“ არ არის** და, თუ ქუთაისელ გულშემატკივრებს ვერწმუნებით, **ამით შური უძიებიათ თბილისელ კოლეგებზე.**

ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **აფხაზეთში სტატიკური ოკუპაცია იფურჩქნება, შიდა ქართლში კი – მცოცავი** და ამ ყოველივეს **ზემონახსენები „შურისძიების“ კონტექსტში განვიხილავთ**, ლოგიკური იქნებოდა, **შურის საძიებლად ოკუპანტებისთვის მიეკითხათ** (თუ, მაინცდამაინც, გული ერჩით), თუმცა ისიცაა, **ჯავრის ამოყრა შინაურებზე უფრო უსაფრთხოა**, რადგან, **რუსის ჯართან** (როგორც ოკუპანტების ენაზე იტყოდნენ), როგორც ჩანს, **„კიშკა ტონკა“?!**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**მას შემდეგ, რაც რუსეთსა და უკრაინას შორის ურთიერთობა დაიძაბა და უკრაინის აწ უკვე გადაყენებულმა, რფ-ისთვის კი მაინც მოქმედმა პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა ყირიმის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების სურვილსაც თითქმის დაუჭირა მხარი და უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების შეყვანასაც, მოსკოვმა უკრაინის შემადგენლობაში არსებული ტერიტორიების წარმომავლობაც გაიხსენა. კერძოდ, დასავლეთ უკრაინა, კონკრეტულად გაეროს მიერ აღიარებული უკრაინის სამხრეთ-დასავლეთი, სტალინის მიერ ნაჩუქარ ტერიტორიად შეირაცხა, ჩრდილოეთ-დასავლეთი უკრაინა – რუსეთის მეფეების საჩუქრად, აღმოსავლეთ უკრაინა – ლენინის ფეშქაშად, ყირიმი – ხრუშჩოვისად, საკუთრივ უკრაინად კი მხოლოდ კიევის გარშემო მცირე ტერიტორია მოიაზრა. წინა ნომერში ვისაუბრეთ ყირიმის ნახევარკუნძულის, თავდაპირველად, რუსეთის იმპერიაში, მოგვიანებით, უკრაინის შემადგენლობაში მოხვედრის ისტორიაზე, ამჟამად კი, ისტორიკოს ვახტანგ გურულთან ერთად, დანარჩენი უკრაინის ტერიტორიის წარმოშობის ისტორიას მიმოვიხილავთ.**

# რატომ თქვა უარი ნოე ჟორდანიამ ნაცისტებთან თანამშრომლობაზე თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და როგორ წაართვა ჰიტლერთან შეთანხმებით 1939 წელს სტალინმა პოლონეთს დასავლეთ უკრაინა

**– მართლაც ასეთი შეკოწიწებულია უკრაინის ტერიტორია?**

– ძველი რუსული მატიანე მერვე-მეცხრე საუკუნეებისთვის ასახელებს 12 აღმოსავლურ სლავურ ტომს, რომლებმაც საფუძველი დაუდეს ძველ აღმოსავლურ სლავურ სახელმწიფოს, კიევის რუსეთს. კიევის რუსეთი მეცხრე საუკუნის 80-იან წლებში აღმოცენდა და მოიცავდა დღევანდელი უკრაინისა და ბელორუსიის დიდ და, ასევე, დღევანდელი რუსეთის ევროპული ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილებს. 12 აღმოსავლური სლავური ტომიდან უმრავლესობა დღევანდელი უკრაინის ტერიტორიაზე ცხოვრობდა. იმხანად კიევის რუსეთში შედიოდა დღევანდელი დასავლეთ უკრაინაც. მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან კიევის რუსეთი ცალკეულ სამთავროებად დაიშალა. დაშლის შედეგად აღმოცენდა რამდენიმე სამთავრო. კიევის რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რასაც დღეს დასავლეთ უკრაინას ვუწოდებთ, აღმოცენდა ორი – გალიჩისა და ვოლინის – სამთავრო. ეს ორი სამთავრო მალევე გაერთიანდა, მდებარეობდა მდინარეებს – დნესტრსა და პრუტს შორის და აღწევდა კარპატების მთების ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობებამდე. რადგან კიევის მთავარი ველარ ავრცელებდა თავის ძალაუფლებას, გალიჩ-ვოლინის სამთავროს ტერიტორიაზე მეცამეტე საუკუნის დამდეგიდან პრეტენზიას აცხადებდნენ უნგრელები და პოლონელები, თუმცა იმხანად სამთავროს დაპყრობა ვერ შეძლეს. მეცამეტე საუკუნის 30-იანი წლებიდან კი დაიწყო მონღოლთა ლაშქრობები რუსეთის დაპყრობის მიზნით. 1240 წელს მონღოლებმა დაიკავეს კიევი, ხოლო 1241 წელს შეიჭრნენ გალიჩ-ვოლინის ტერიტორიაზეც. მონღოლებმა გალიჩ-ვოლინის ტერიტორიაზე, ანუ დასავლეთ უკრაინაში ფეხი მყარად ვერ მოიკიდეს: მივიდნენ, დაარბიეს, მაგრამ მალევე წამოვიდნენ უკან. მონღოლების წასვლის შემდეგ დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე თარეშობდნენ პოლონელები და ლიტველები, რომელთაც შემდეგ ეს ტერიტორია დაიპყრეს კიდეც. მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში გაძლიერდა მოსკოვის რუსეთი და მისი ტერიტორიაც თანდათან იზრდებოდა, თუმცა მის შემადგენლობაში დღევანდელი უკრაინის ტერიტორია არ შესულა.



დასავლეთ უკრაინამ დიდხანს იარსება სხვადასხვა სახელმწიფოს გავლენის ქვეშ, სულ სხვა სამყაროში, უკრაინის მეორე ნაწილი კი სრულიად სხვა სამყაროში ცხოვრობდა

**– დავაზუსტებ: არც დღევანდელი დასავლეთი და აღმოსავლეთ უკრაინა?**

– რა თქმა უნდა. მოსკოვის მთავრებს ლიტვის დიდი სამთავროსა და პოლონეთის სამეფოს შემოტევისგან უწევდათ დასავლეთ რუსეთის ტერიტორიის დაცვა და ამიტომ ცხადია, უკრაინაზე საკუთარ გავლენას ვერ გაავრცელებდნენ. 1569 წელს პოლონეთი და ლიტვა ერთ სახელმწიფოდ – ჟეჩ პოსპოლიტად გაერთიანდა. მის შემადგენლობაში შედიოდა უკრაინის მნიშვნელოვანი ნაწილი და, მათ შორის, დღევანდელი დასავლეთ უკრაინაც. მეჩვიდმეტე საუკუნის შუა ხანებისთვის უკრაინაში მნიშვნელოვან ძალად იქცნენ კაზაკები. შედეგად, ყირიმის სახანოსთან და პოლონეთის სამეფოსთან დაუსრულებელ ბრძოლაში ჩაბმულმა კაზაკების ჰეტმანმა ბოგდან ხმელნიცკიმ რუსეთის ქვეშევრდომობა არჩია და 1654 წელს უკრაინა რუსეთის შემადგენლობაში შევიდა.

**– მთლიანად დღევანდელი უკრაინის ტერიტორია შევიდა მაშინ რუსეთის შემადგენლობაში?**

– არა, 1654 წელს რუსეთის შემადგენლობაში მთელი უკრაინა არ შესულა: რუსეთს მხოლოდ დნეპრის მარცხენა ნაპირზე მდებარე უკრაინის ტერიტორია, ანუ დღევანდელი აღმოსავლეთ უკრაინა შეუერთდა. დასავლეთ უკრაინა, ანუ გალიჩ-ვოლინის სამთავროს ტერიტორია კვლავ ჟეჩ პოსპოლიტას შემადგენლობაში რჩებოდა.

**– რატომ არ შეუერთდა დასავლეთ უკრაინაც რუსეთს? სურვილი არ ჰქონდათ თუ სხვა მიზეზი იყო?**

– მოგახსენებთ: უკრაინის რუსეთთან შეერთებას რუსეთ-პოლონეთის ომი მოჰყვა, რომელიც 1667 წელს დამთავრდა ზავით. მართალია, რუსეთს დიდი სურვილი ჰქონდა, მთელი უკრაინა შეეერთებინა, მაგრამ ვერ მოახერხა პოლონეთის იმ დონეზე დამარცხება, რომ მთელი უკრაინა წაერთმია მისთვის. ამიტომ, 1667 წლის ზავით, დასავლეთ უკრაინა კვლავ ჟეჩ პოსპოლიტას შემადგენლობაში დარჩა.

**– როდესაც ამ მოვლენებიდან 100-იოდე წლის შემდეგ ერეკლემ რუსეთს მიმართა დახმარებისთვის, წამყვანი მოტივი იყო ერთმორწმუნეობა. იგივე მოტივი ჰქონდათ უკრაინელებს რუსეთთან შეერთებისას?**

– რა თქმა უნდა. კაზაკები მართლმადიდებლები იყვნენ და ამიტომ რელიგიურ ჩაგვრასაც განიცდიდნენ პოლონეთისა და ლიტვის სამთავროების მხრიდან. მაგრამ მეთვრამეტე საუკუნეში ჟეჩ პოსპოლიტა ძალზე დასუსტდა, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლეს მეზობლებმა. 1772 წელს რუსეთმა, პრუსიამ და ავსტრიამ ჟეჩ პოსპოლიტა დაინაწილეს. დასავლეთ უკრაინა (გალიცია) ავსტრიას ერგო; რუსეთმა ბელორუსიის აღმოსავლეთი და ლიტვის ნაწილი მიიტაცა, ხოლო პრუსიამ – ბალტიის ზღვის სანაპირო. ასე გაწეწეს მაშინ პოლონეთი. 1793 წელს ზეჟ პოსპოლიტა მეორედ დაინაწილეს და დასავლეთი უკრაინა, ანუ გალიცია ამჯერადაც ავსტრიას ერგო. 1795 წელს განხორციელდა მესამე დანაწილება და ახლა უკვე დასავლეთ უკრაინის უდიდესი ნაწილი რუსეთს ერგო.

**– როგორ დათმო ავსტრიამ დასავლეთ უკრაინა?**

– სამჯერ იმიტომ დანაწილდა, რომ ვიღაც ყოველთვის უკმაყოფილო რჩებოდა, ბუნებრივია, უკმაყოფილო იყო ძლიერი. ინგლისი ვერ ერეოდა ამ საკითხში, თუმცა ცდილობდა რუსეთის დასუსტებას. თავიდან მიაღწია იმას, რომ რუსეთს არ მისცეს სტრატეგიული ტერიტორია, მაგრამ შემდეგ, რაკი რუსეთმა ძალა იგრძნო, ავსტრია და პრუსია მასზე აშკარად სუსტები იყვნენ, იმძლავრა და მიიღო ის, რაც სურდა. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ევროპაში ახალი საზღვრები ვენის კონგრესმა დაადგინა 1815 წელს. მისი გადაწყვეტილებით, პოლონეთის ტერიტორია კვლავ რუსეთს, პრუსიასა და ავსტრიას შორის გადანაწილდა. გალიცია ამჯერად უკვე ავსტრიას გადაეცა. რუსეთის იმპერიის დაცემის შემდეგ, პოლონეთმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა და ერთ დროს რუსეთისა და ავსტრიის მიერ მიტაცებული ტერიტორიები კვლავ პოლონეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

**– ანუ დღევანდელი დასავლეთ უკრაინა 1917 წლის შემდეგ პოლონეთს დარჩა?**

– დიახ. პოლონეთსა და საბჭოთა რუსეთის შორის დაძაბული ურთიერთობა ომში გადაიზარდა და, საბოლოოდ, საბჭოთა რუსეთის დამარცხებით დამთავრდა. 1921 წლის 21 მარტის რიგის საზავო ხელშეკრულებით, დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია პოლონეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა. მეტიც, დასავლეთ უკრაინა პოლონეთის შემადგენლობაში მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე შედიოდა. 1939 წლის პირველ სექტემბერს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, 17 სექტემბერს კი, პოლონეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები დაიწყო საბჭოთა კავშირმა. დაიკავა კიდეც დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია, რის შედეგადაც დასავლეთ უკრაინა უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შეუერთდა და უკრაინის შემადგენლობაში დარჩა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც.

**– ნაწილი რუსებისთვის და ჩვენებური სეპარატისტებისთვის, რომლებიც ფაშისტებს გვიწოდებენ, უკრაინის მოვლენების შემდეგ, გაჩნდა მეორე „ფაშისტი ერი“ – უკრაინელები. ისინი აქტიურად იხსენებენ სტეფან ბანდერას თანამშრომლობას ნაცისტებთან. მე მესმის ბანდერას მოტივაცია, მისთვის რუსეთი იყო ოკუპანტი და ის თანამშრომლობდა ნაცისტებთან, როგორც საბჭოთა რუსეთთან მებრძოლ ძალასთან, ისევე, როგორც ქართველებიც იყვნენ ჰიტლერის არმიის შემადგენლობაში. ობიექტურად რომ შევაფასოთ, იყო ფაშისტური ელემენტები ბანდერას ქმედებებში?**

– საერთოდ, დასავლეთ უკრაინის მოსახლეობაში გაბატონებული იყო ანტირუსული განწყობა. ეს ხალხი საუკუნეების განმავლობაში მოწყვეტილი იყო რუსულ სამყაროს, იყვნენ ხან პოლონეთის, ხან – ავსტრიის შემადგენლობაში.

**– პოლონელებისა და ავსტრიელებისადმი როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ?**

– მათ მიმართ დამოკიდებულება უკეთესი იყო, ვიდრე – რუსეთის იმპერიისადმი. დასავლეთ უკრაინის მცხოვრებლები ჩამოყალიბდნენ დასავლური მენტალიტეტით. გითხარით, რომ 1921 წლიდან დარჩნენ პოლონეთის შემადგენლობაში და მწვავედ აღიქვეს 1939 წელს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დაბრუნება. ყველამ კარგად იცოდა, რომ პოლონეთის ეს ტერიტორია გადანაწილდა ჰიტლერისა და სტალინის შეთანხმებით. 1939 წლის 23 აგვისტოს შეთანხმების ერთ-ერთი ნაწილი იყო, რომ საბჭოთა კავშირი თანხმობას აძლევდა გერმანიას, თავს დასხმოდა პოლონეთს. ომი რომ დაიწყებოდა, საბჭოთა კავშირის ჯარები შევიდოდნენ პოლონეთში და დაიკავებდნენ იმ ტერიტორიას, რაზეც წინასწარ შეთანხმდნენ. დასავლეთ უკრაინაში მცხოვრები უკრაინელები მიხვდნენ, რომ შეეწირნენ ორი სახელმწიფოს გარიგებას, ისე, რომ მათთვის არავის არაფერი უკითხავს. ამიტომ მათთვის საბჭოთა უკრაინისა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დაბრუნება იყო ტრაგედია. 1939 წლიდან დასავლეთ უკრაინაში ანტირუსული და ანტისაბჭოთა განწყობის მქონე ადამიანების საშინელი დევნა დაიწყო. ბევრი გაიქცა, ბევრიც ამოჟლიტეს, ციხეებში ჩაყარეს და გადაასახლეს. დაიწყო რეგიონის ძალდატანებითი კოლექტივიზაცია და რუსიფიკაცია. ამას დასავლეთ უკრაინის ეროვნული ძალები არ მოითმენდნენ და სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა ეროვნული მოძრაობა, რომელსაც სათავეში ედგა სტეფან ბანდერა. ის იყო ჩვეულებრივი ეროვნული მოღვაწე, რომელსაც არ სურდა, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩენილიყო დასავლეთ უკრაინა.

**– დანარჩენ უკრაინას უტოვებდნენ საბჭოთა კავშირს?**

– ისინი ხვდებოდნენ, რომ სტალინი არ დათმობდა მთელ უკრაინას, ამიტომ უნდოდათ, რომ დასავლეთ უკრაინა არ ყოფილიყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. რა თქმა უნდა, მათი საბოლოო მიზანი იყო, მთელი უკრაინა გასულიყო საბჭოთა კავშირიდან, მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ იმხანად ამას ვერ მიაღწევდნენ. ამდენად, აპროტესტებდნენ და არ ცნობდნენ ჰიტლერ-სტალინის 1939 წლის გარიგებას, რის შედეგადაც დასავლეთ უკრაინა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ეროვნული მოძრაობა დაიწყო, მაგრამ, როგორც გითხარით, 1939-1940 წლებში ეროვნული ძალების დიდი ნაწილი ამოჟლიტეს, ზოგი გაიქცა, ზოგი დააშინეს. როდესაც 1941 წელს ომი დაიწყო, დასავლეთ უკრაინის ეროვნულ მოძრაობას ჰქონდა ორი გამოსავალი: ან უნდა ეთანამშრომლათ გერმანიასთან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და, თუ საბჭოთა კავშირი დამარცხდებოდა, რაღაცას მაინც მიაღწევდნენ; ან არ უნდა ეთანამშრომლათ გერმანიასთან და მაშინ მათი მტერი ხდებოდა როგორც საბჭოთა კავშირი, ისე გერმანია. მაგალითად, ნოე ჟორდანიამ გერმანიის სპეცსამსახურების ოფიცერს განუცხადა, მე კარგად ვიცი, ვინ არიან სტალინი და ჰიტლერი, მაგრამ ჩემი პოლტიკური მიზნებისთვის ნაცისტებთან ვერ ვითანამშრომლებთო. იმ ოფიცერმა დაწერა დასკვნაში, რომ ნოე ჟორდანიას გადაბირება შეუძლებელი იყო, მაგრამ უკრაინის ეროვნულმა ძალებმა ითანამშრომლეს ნაცისტებთან.

**– ეს მათი არჩევანი იყო.**

– რა თქმა უნდა, როდესაც გერმანიასთან კომპრომისზე მიდიხარ, ბუნებრივია, ის გამოგიყენებს საკუთარი მიზნებისთვის. ასეც მოხდა, გერმანიამ დასავლეთ უკრაინის ეროვნული ძალები თავის სასარგებლოდ გამოიყენა. მაგრამ ტყუილია, რომ უკრაინის ეროვნულ ძალებს გერმანელები იყენებდნენ საბჭოთა პარტიზანული მოძრაობის წინააღმდეგ. არანაირი პარტიზანული მოძრაობა არ ყოფილა დასავლეთ უკრაინის ტერიტორიაზე. იქ იყვნენ მხოლოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გადასხმული ჩეკისტების რაზმები და მათ ჟლეტდნენ ბანდერელები. განსაკუთრებით დიდი შეტაკებები იყო 1944-1945 წლებში: საბჭოთა არმიისა და ჩეკისტების რაზმებმა უმოწყალოდ ხოცეს ბანდერას რაზმები, მაგრამ მათაც არანაკლები სისასტიკით ჟლიტეს საბჭოთა არმიისა და სპეცსამსახურების ნაწილები. ეს ორმხრივი ხოცვა-ჟლეტა გაგრძელდა ომის დამთავრების შემდეგაც. 1947 წელს ძირითადად დასრულდა სტეფან ბანდერას მომხრეების განადგურება, ხოლო ბოლო ნაწილებმა ემიგრაციაში გასვლა 1949 წელს მოახერხეს. მათთვის საბჭოთა ჯარი იყო აგრესორი, რომელმაც დაიპყრეს მათი სამშობლო.

**– მაგალითად, აჭარა 300 წელს იყო თურქეთის ერთი ჩვეულებრივი პროვინცია, მაგრამ ჩვენ ბუნებრივად შევერწყით ერთმანეთს, მიუხედავად სარწმუნოებრივი განსხვავებისა, თითქოს არც ყოფილა ის 300 წელი. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ჩვენ ერთი ხალხი ვართ. როგორ მოხდა, რომ აღმოსავლეთ უკრაინას არ უნდოდა დასავლეთ უკრაინასთან და პირიქით?**

– უკრაინის ტერიტორია მოიცავს დნეპრის დასავლეთ ნაწილს და აღმოსავლეთ ნაწილებს. დნეპრის აღმოსავლეთით მდებარე უკრაინა, ფაქტობრივად, რუსებითაა დასახლებული და იქ დომინირებს რუსული ორიენტაცია. თქვენი შეკითხვა ეხება ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალურ უკრაინას, სადაც აბსოლუტური უმრავლესობა უკრაინელია. ჩრდილო-დასავლეთ უკრაინაში, რომელიც პოლონეთის შემადგენლობაში შედიოდა, ანტირუსული განწყობა საკმაოდ ძლიერი იყო. უკრაინის ცენტრალურ ნაწილში რუსული მოსახლეობის შეღწევაც გაძლიერდა და რუსული გავლენაც. თუმცა მეთვრამეტე საუკუნის დამდეგამდე, პეტრეს მიერ გადახდილ პოლტავის ბრძოლამდე, დნეპრის მარჯვენა ნაპირის უკრაინაც არ იყო პრორუსული ორიენტაციის.

**– იმიტომ დავსვი ეს კითხვა, რომ, როგორც ჩანს, უკრაინაში არის ერთიანი ეროვნული ცნობიერების პრობლემა. თორემ საქართველოც უმეტესად დაშლილი იყო სამეფო-სამთავროებად, მაგრამ მათი ხელისუფალნი თავს ქართველ მმართველებად მიიჩნევდნენ.**

– დასავლეთ უკრაინამ დიდხანს იარსება სხვადასხვა სახელმწიფოს გავლენის ქვეშ, სულ სხვა სამყაროში, უკრაინის მეორე ნაწილი კი სრულიად სხვა სამყაროში ცხოვრობდა. მეტიც, მათი გაორების საფუძველი გახდა ისიც, რომ მართლმადიდებლობასთან ერთად უკრაინის დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ფეხი მოიკიდა კათოლიკობამ და უნიტარიზმმა.

**– ჩვენთანაც ასე არ ხდებოდა, ერთი ნაწილი ოსმალეთის გავლენის ქვეშ იყო, მეორე – სპარსეთის, ერთი – ბიზანტიის, მეორე – სეფიანთა ირანის?**

– მაგრამ ამასობაში უკრაინელების მენტალიტეტიც შეიცვალა. დასავლეთ უკრაინელები აღიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ თავისუფალ, დემოკრატიულ სივრცეში, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაშინ, როდესაც მეორე ნაწილი საბჭოთა დიქტატურის პირობებში ცხოვრობდა. ქართველისთვის კი სოციალური ვითარება ირანში, თურქეთსა თუ რუსეთში თითქმის ერთნაირი იყო.

**ნინო ხაჩიძე**

# შეკითხვა ექიმს

HAIRLINE INTERNATIONAL



***კითხვებზე პასუხობს „ჰეალაინის" დერმატო-კოსმეტოლოგი მაკა დოლოზაშვილი.***

**– გამარჯობა! ვარ 43 წლის ქალბატონი. უკვე მესამე წელია, მაწუხებს სახეზე კანის სიწითლე და გამოშრობა, დაჭიმულობის შეგრძნება; ასევე, მაქვს გამოხატული წვრილი სისხლძარღვები, ბოლო დროს კი გამონაყარიც გაჩნდა. გთხოვთ, მირჩიოთ, როგორ მოვუარო კანს, როგორ მოვიხსნა ეს საშინელი დისკომფორტი?**

– სავარაუდოდ, თქვენი დიაგნოზია ვარდისფერი აკნე, იგივე – როზაცეა, რომელიც საწყის ეტაპზე სწორედ კუპეროზით, ერითემითა და ტელეანგიექტაზიებით ვლინდება, შემდეგ ეტაპზე კი, შესაძლოა, გამონაყარიც გაჩნდეს. აუცილებელია, დაავადება დერმატოლოგის მიერ იმართოს. თავი აარიდეთ მზის სხივებს, ცხელ სასმელებს, ცხარე კერძებს, ალკოჰოლურ სასმელებს, განსაკუთრებით – წითელ ღვინოს, ანუ, ყველა იმ ფაქტორს, რამაც, შესაძლოა, კანთან სისხლის მიდინება გააძლიეროს; ასევე, მოერიდეთ კოსმეტიკური საშუალებების უკონტროლო გამოყენებას. მკურნალობის კურსი მოიცავს მედიკამენტურ თერაპიას; ასევე, დერმატოლოგ-კოსმეტოლოგის მიერ ტარდება დამამშვიდებელი, სიწითლისა და კუპეროზის საწინააღმდეგო კოსმეტოლოგიური მოვლისა და აპარატული პროცედურები. აუცილებლად ინიშნება მზისგან დამცავი და სიწითლის საწინააღმდეგო კრემები მაღალი SPF-სით.

**– გამარჯობა! ვარ 21 წლის ბიჭი, მაქვს ცხიმიანი და პრობლემური სახის კანი; ასევე, მაწუხებს გაფართოებული ფორები და შავი წერტილები. სახეზე გამონაყარის შემდეგ ლაქებიც მრჩება და ნაწიბურებიც. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?**

– აკნეს გამონაყარი და მისი შემდგომი ნაწიბურები საკმაოდ ხშირი პრობლემაა, განსაკუთრებით – გარდატეხის ასაკში და, ასევე, მის შემდგომ პერიოდში. აუცილებელია აკნეს ტიპის კანის სწორად მოვლა, რომ თავიდან იქნეს აცილებული აკნეს შემდგომი ნაწიბურები, ჰიპერპიგმენტაციები.

დერმატოლოგის მიერ ხდება კომპლექსური მკურნალობის დანიშვნა, რაც გულისხმობს ადგილობრივ და სისტემურ ანტიბაქტერიულ საშუალებებს, რეგულარული გამოყენების სებომარეგულირებელ და კერატოლიზურ კრემებსა და ლოსიონებს. მათი სწორად შერჩევა კანის დათვალიერების შემდეგ ხდება დერმატოლოგის მიერ. რაც შეეხება ფორებსა და აკნეს შემდგომ ნაწიბურებს, მათი შეფასების შემდეგ დერმატოლოგი ნიშნავს საჭირო დერმატო-კოსმეტოლოგიურ პროცედურებს – ეს, შესაძლოა, იყოს სახის სამკურნალო კოსმეტოლოგიური წმენდა, პილინგი, მეზოთერაპიული ან პლაზმოთერაპიული პროცედურები, აპარატული მკურნალობა და ასე შემდეგ.

**P.S. თქვენთვის საინტერესო შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ კლინიკას ტელეფონის ნომერზე: 230-00-30**

**მართალია, პაციენტები, ძირითადად, კმაყოფილებას გამოთქვამენ ჯანდაცვის დაზღვევის საყოველთაო პროგრამით, რადგან ჯანმრთელობის დაცვა იმ ფენებისთვისაც გახდა ხელმისაწვდომი, რომლებიც ამაზე ადრე ვერც კი იოცნებებდნენ. მეტიც, ძვირად ღირებული ოპერაციის გასაკეთებლად არც საცხოვრებლის გაყიდვაა საჭირო (მოგეხსენებათ, საქართველოში გაღარიბების ერთ-ერთი მთავარი წყარო სწორედ ჯანმრთელობაზე გაწეული ხარჯი იყო). მეორე მხრივ, არცთუ სახარბიელოა იმ ექიმების მდგომარეობა, რომლებიც სახელმწიფო დაზღვევის პროგრამას ემსახურებიან: მაგალითად, პოლიკლინიკის ექიმი თითეული პაციენტის მომსახურებიდან ანაზღაურებად 19 თეთრს იღებს, ექთანი კი, სულაც, 11-ს, თანაც, დაგვიანებით. მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების პრეზიდენტ ჯონი ჯანაშიას გავესაუბრეთ ექიმების ამჟამინდელ და მოსალოდნელ ფინანსურ პერსპექტივებზე.**

# რატომ იტყვიან ექიმები უარს, მოემსახურონ სახელმწიფო დაზღვევის მქონე პაციენტებს და რატომ დარჩებიან უახლოეს ხანში ქვეყანაში მხოლოდ ქირურგები და თერაპევტები

**– რა დოზით არის გათვალისწინებული ექიმების ინტერესი საყოველთაო დაზღვევის პროგრამაში?**

– ცოტა შორიდან დავიწყებ: ჩემი აზრით, იმთავითვე არასწორად წარიმართა ჯანდაცვის სფეროს რეფორმა, იმიტომ რომ, უნდა დაწყებულიყო სადაზღვევო სისტემის რეფორმით, რაც არ მოხდა და ამან გამოიწვია მთელი რიგი პრობლემები, რადგან არ იყო განსაზღვრული, რას უნდა დაყრდნობოდა მედიცინა. ამ არასწორმა ნაბიჯებმა საშინლად გააძვირა სამედიცინო მომსახურება იმ ხალხისთვის, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში მიჩვეულები იყვნენ უფასო სამედიცინო მომსახურებას. ამდენად, ყველაზე დაზარალებულები აღმოჩნდნენ თავად ექიმები. გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდგომ ავადმყოფი ისეთ ელემენტარულ ოპერაციაშიც კი, როგორიც აპენდოკტომიაა, იხდიდა 1 000-მდე მანეთს, საიდანაც ექიმის წილად მოიდოდა 27-29 მანეთი. ექიმები იძულებულები გახდნენ, ჯიბე მიეშვირათ ავადმყოფისთვის და აქ დასაძრახი არაფერია, რადგან მათ უნდა აეღოთ იმ შრომის საფასური, რაც გასწიეს და ოჯახები ერჩინათ.

**– ყველაზე დაზარალებული პაციენტი არ იყო, რომელიც ყველას უხდიდა: სახელმწიფოსაც და ექიმსაც?**

– რა თქმა უნდა, არასწორად იყო გათვლილი. ძალიან კარგი რამ მოხდა საყოველთაო დაზღვევის სახით, რადგან ამით პოლიკლინიკებისა და ამბულატორიების კარი გაიღო უამრავი ადამიანისთვის, ვისთვისაც ის ადრე დახურული იყო.



ექიმისთვის სახელმწიფო დაზღვევის მქონე თითო ავადმყოფის მომსახურებაზე გამოყოფილია 19 თეთრი, ექთნისთვის – 11თეთრი

**– ყველა კვლევა ადასტურებს, რომ საქართველოში ჯანდაცვის ხარჯი გაღარიბების ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო.**

– ოჯახის წევრის დაავადება ნიშნავდა ოჯახის ბიუჯეტის დანგრევას, რაც განსაკუთრებით საშუალო და ღარიბ ფენას დაეტყო. გაიღო კარი და მთელი ეს ტალღა მიაწვა სამედიცინო დაწესებულებებს. ამით სიკვდილიანობის მაჩვენებელმა მკვეთრად დაიწია, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს: ქება და დიდება ჯანდაცვის მინისტრსა და იმ გუნდს, ვინც ეს ნაბიჯი გადადგა, მაგრამ, ალბათ, ბოლომდე არ იყო გათვლილი ის ეკონომიკური საფუძვლები, რასაც უნდა დაყრდნობოდა ეს სამედიცინო დაზღვევა. თქვენ თავად დაასახელეთ ის ციფრები, რაც განსაზღვრულია ექიმისთვის თითო ავადმყოფის მომსახურებიდან.

**– 19 თეთრი და, თუ არ ვცდები, დადგენილია, სახელმწიფოს მიერ დაზღვეულ რამდენ პაციენტს უნდა მოემსახუროს პოლიკლინიკის ექიმი.**

– რამდენიმე „მაგრამ" ახლავს ამ პროცესს. ეს ანაზღაურება გათვლილია, როდესაც 2 500-2 600 პაციენტი ეყოლება ამბულატორიის თითო ექიმს, მაგრამ, ერთია ციფრები და მეორე – რეალობა. არის კი უბნებზე, რომლებსაც ესა თუ ის ექიმი ემსახურება, რეალურად ამდენი ადამიანი?!

**– აქვს ერთ ექიმს რესურსი, თვეში 2 500 პაციენტს მოემსახუროს?**

– აქ ასეთი მომენტია: ვთქვათ, მე, ჯონი ჯანაშიამ, როგორც ექიმმა, კარდაკარ დავიარე 2 500 პაციენტი და ვიცი, რომ საჭიროების შემთხვევაში ისინი მოვლენ ჩემთან და არა სხვა ექიმთან და თვის ბოლოს ამ თანხას ავიღებ აპრიორი. ჯერ ერთი, ეს არ არის ისეთი თანხა, რომ ავშენდე, თუმცა შემეძლება, კვირაში ერთხელ თავისუფლად შევიდე ბაზარში და შევიძინო ოჯახისთვის აუცილებელი სანოვაგე. მაგრამ აქ მეორე ამბავიცაა: ზოგიერთ ექიმთან, ვინც შეძლო 2 500 პაციენტის შეგროვება და თავისად დაგულება, ამ პაციენტებმა იხუვლეს და ერთბაშად მივიდნენ, იმისდა მიუხედავად, საჭიროებდნენ თუ არა მკურნალობას და კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა ყველა პოლიკლინიკაში. გარდა ამისა, ამდენი პაციენტი ყველამ ვერ დაიგულა, იმიტომ რომ, არის წარმატებული, წარუმატებელი და ჩვეულებრივი პოლიკლინიკები. ექიმის საქმე არ არის, რა სტატუსით სარგებლობს მენეჯერი და როგორ მუშაობს; მე, ექიმმა, არ უნდა ვირბინო ავადმყოფის მოსაპოვებლად. როდესაც არჩევნის წინაშე დადგა, მენეჯერმა ეს ავადმყოფები სხვაგან, უფრო წარმატებულ კლინიკებში გადაქაჩა და ამის არაერთი მაგალითი გვაქვს.

**– მაგრამ ეს კონკურენციაა – მიდიხარ კარგ ექიმთან და არა წარუმატებელთან.**

– მაგრამ ეს ყოველთვის კონკურენციის გამო არ ხდება. უმეტეს შემთხვევაში, ვიღაც მოვიდა, გამაფორმა კონკრეტულ პოლიკლინიკაში და ერთ მშვენიერ დღეს გავიგე, რომ იმ პოლიკლინიკაში კი არ უნდა მივიდე, რომელიც ჩემს სახლთანაა, არამედ უნდა წავიდე სამი გაჩერების იქით. ამის მაგალითი ბევრია თბილისში.

**– მაგრამ ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამაში პაციენტი ირჩევს სამედიცინო დაწესებულებას და ორ თვეში ერთხელ შეუძლია მისი გამოცვლაც.**

– ესეც არის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ აგარჩევინეს იმიტომ, რომ ხელი მოგაწერინეს. შესაძლოა, დაწესებულებაში, რომელიც აგარჩევინეს, უკეთესი სიტუაცია აღმოჩნდეს, მაგრამ გრიპს ჩემი ექიმიც ძალიან კარგად მოუვლის. გადავიდეთ სხვა საკითხზე: რამდენი პაციენტი უნდა გასინჯოს პოლიკლინიკის ექიმმა ყოველთვიურად, რომ იმ 19 თეთრობით ნორმალური ანაზღაურება დაუგროვდეს?!

**– დავაზუსტებ: თუ ერთი პაციენტი თვეში სამჯერ მივიდა, ეს სამი პაციენტია, ანუ 3-ჯერ 19, თუ, ერთი პაციენტი, ანუ მხოლოდ 19 თეთრია?**

– ის ერთი პაციენტია. ეკონომიკური გათვლები არ ყოფილა და ძალიან დიდი შიში მაქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს ყველაფერი ხუხულასავით არ დაინგრეს.

**– რა დაანგრევს? ექიმი აღარ მოემსახურება დაზღვეულ პაციენტებს?**

– არ მოემსახურება, რადგან მას აღარ ექნება ეკონომიკური საფუძველი. თუ ოქრო არ დევს ბანკში, რამდენი ფულიც არ უნდა ვბეჭდო, ის ქაღალდად იქცევა. ანალოგიური ვითარება იქნება აქაც: მე მოვემსახურე პაციენტს, ჩემი მოვალეობა შევასრულე, მაგრამ ანაზღაურება არ მოვიდა, ბოლოს და ბოლოს, გულს ავიცრუებ და და უარს ვიტყვი იმ პაციენტის მომსახურებაზე, რომელსაც აქვს საყოველთაო დაზღვევა. მე პოლიკლინიკის ექიმების მაგალითი მოგახსენეთ, მაგრამ იგივე ვითარებაა საავადმყოფოებში, სადაც საყოველთაო დაზღვევა მოქმედებს.

**– თქვენ ხომ არ იცით, რას ემყარება სამედიცინო დაწესებულებებში ერთსა და იმავე მომსახურებაზე რადიკალურად განსხვავებული ფასები?**

– ყველას თავისი განფასება აქვს.

**– მე უფრო გემოვნებას დავარქმევდი და არა განფასებას 500-ლარიან სხვაობებს ერთსა და იმავე ოპერაციაში.**

– მაგრამ ხშირად ეს ექიმის ნამოქმედარი არ არის, ცოტა ზემოთა სართულებიდანაა ნაკარნახევი და ვინც უფრო ძვირად აფასებს თავის მომსახურებას, ეტყობა, ფიქრობს, რომ უფრო მეტად გაპრანჭა თავისი საავადმყოფო. მეორე მხრივ, ეს საყოველთაო დაზღვევა სამშობიაროებსაც შეეხო. მე არაერთი წარმატებული სამშობიარო ვიცი, რომლებიც კარგად მუშაობდნენ, მაგრამ, როგორც კი შევიდა საყოველთაო დაზღვევა, თვეობით დაიწყო ანაზღაურებამ დაგვიანება. ვიცი ბევრი კლინიკა, სადაც ახალი წელი ჯერ არ დამდგარა.

**– როგორც პირად საუბრებში ამბობენ ექიმები, ეს არ არის ყოველთვის სახელმწიფოს ბრალი, თავად სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებიც ხშირად საკუთარი ინიციატივით უგვიანებენ ხელფასებს.**

– ყველა თავისებურად სცოდავს. არ არის დასამალი: ვთქვათ, ვარ კარგი, წარმატებული კლინიკის ხელმძღვანელი და ბევრი ხარჯი გავიღე, რომ ჩემი კლინიკა ყოფილიყო წარმატებული, სადაც მუშაობენ როგორც წარმატებული, ისე ჩვეულებრივი სპეციალისტები. ის წარმატებული სპეციალისტები, რომლებიც უფრო მეტ პაციენტს მოიზიდავენ, უპირველესად არიან მოსაფერებლები მენეჯერის მხრიდან, ვიდრე შემხვევი ქირურგი თუ პალატის ექიმი. მაგრამ ყველა შალიაპინი და კარუზო ვერ იქნება. ეს არის გუნდი, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი ეს ორგანიზაცია. ერთი სიტყვით, სახელმწიფოც სცოდავს და მენეჯერიც.

**– დიდი არეულობაა პოლიკლინიკებში: მათი უმეტესობა გაყიდულია წინა ხელისუფლების დროს და დაპირისპირებებია პერსონალთან.**

– ჯერ კიდევ წინის წინა ხელისუფლების დროს დაიწყო პოლიკლინიკების გასხვისების პროცესი. მაგრამ „ნაციონალებამდე" ხელისუფლებას ცოტა სხვაგვარი სტრატეგია ჰქონდა. პოლიკლინიკები ორ ნაწილად გაიყო: ჩვეულებრივად და სტრატეგიულად. გაიყიდა ჩვეულებრივი პოლიკლინიკები, მაგრამ სტრატეგიული პოლიკლინიკები უნდა ყოფილიყვნენ მუნიციპალური ან ცენტრალური დაქვემდებარების ქვეშ. სამწუხაროდ, „ნაციონალებმა" ეს აღარ გაითვალისწინეს, ოღონდ ფული შესულიყო ბიუჯეტში და გაყიდეს ყველა პოლიკლინიკა თუ სამედიცინო დაწესებულება. ამიტომ დღეს თბილისში აღარ დარჩა არც ერთი ცენტრალური ან მუნიციპალური დაქვემდებარების კლინიკა და პოლიკლინიკა. როდესაც სახელმწიფო თავის თავზე იღებდა მათ მოვლა-პატრონობას, ფასები იქნებოდა დარეგულირებული და დაბალი. მაგალითად, ასეთები იყო რუსთაველზე მდებარე მეცამეტე პოლიკლინიკა და ბავშვთა ყოფილი მეცამეტე პოლიკლინიკა. იქ ექიმებს ჰქონდათ დაბალი, მაგრამ სახელმწიფოს მიერ გარანტირებული ხელფასი და არ იყო მოტივაცია, მეტი გამოვძალო პაციენტს, რითაც ორივე მხარე იყო კმაყოფილი, გარდა სახელმწიფოსი და თბილისის მერიისა, რომელმაც ეს პოლიკლინიკები მიაყიდა, თან, ბევრი დარღვევით. რეალურად დღეს ეს პოლიკლინიკები კერძო საკუთრებაა და დიდი საფრთხეა, რომ სამედიცინო პერსონალი გაიცხრილება და დარჩება ქუჩაში ყოველგვარი შემოსავ-

# როგორ და რამდენჯერ გაიზარდა აკაკი ბობოხიძის უძრავი ქონება პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაბმის შემდეგ

ხალხის რჩეული და ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა - მაჟორიტარების" თავმჯდომარე აკაკი ბობოხიძე (რომელმაც თავი წინა მოწვევის პარლამენტში მუშტი-კრივისადმი ტრფიალით დაგვამახსოვრა) 1964 წელსაა დაბადებული ხონის რაიონის სოფელ გორდში. განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო და სპეციალობით მათემატიკოსია. მისი შრომითი ბიოგრაფია მასწავლებლობით იწყება. 1986 წელს ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელია წულუკიძის დასწრებულ-დაუსწრებელ საშუალო სკოლაში, სადაც 1987 წლამდე იმუშავა. თუმცა პარალელურად, 1986-1988 წლებში ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც მუშაობდა ასისტენტად. 1988 წლის მარტიდან უფროს ლაბორანტადაც დაწინაურდა. 1990-1992 წლებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი იყო, ხოლო 1992 წლის მარტიდან აგვისტომდე სახელმწიფო საბჭოს წევრი და წამყვანი სახელმწიფო მრჩეველიც გახლდათ, 1992 წლის ოქტომბერში კი საქართველოს პარლამენტის წევრადაც აირჩიეს. 1995-დან 1997 წლის ჩათვლით, მის შრომით ბიოგრაფიაში წყვეტაა, თუმცა 1998 წლის იანვრიდან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში დასაქმებულა მთავარ სპეციალისტად. 2001-2004 წლებში კვლავ საქართველოს პარლამენტს დაუბრუნდა, ანუ პარლამენტის წევრად აირჩიეს და იგივე შედეგი მომდევნო მოწვევის პარლამენტში 2004 წელსაც გაიმეორა. თუმცა 2005-ში, აპრილიდან აგვისტომდე, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულად გადაიყვანეს. 2006 წლის თებერვლიდან ნოემბრამდე თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის თავმჯდომარედაც ამუშავეს, თუმცა 2006 წლის ნოემბერში კვლავ იმერეთში გადაისროლეს, სადაც 2008 წლის იანვარმდე რწმუნებული-გუბერნატორი იყო. 2008 წელს ისევ პარლამენტის წევრი გახდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ხალხის რჩეულად მერვე მოწვევის პარლამენტშიც მოგვევლინა.

აკაკი ბობოხიძის მიერ სულ პირველად შევსებული დეკლარაცია 2001 წლით თარიღდება, რომელშიც ოჯახის წევრებად მიუთითებდა მეუღლეს, 1973 წელს საგარეჯოში დაბადებულ ნანა გოდერძიშვილსა და ორ შვილს: მაგდასა და ირაკლის. იმხანად უძრავ-მოძრავ ქონებას მხოლოდ დეპუტატი ფლობდა: თბილისში ბინას (24 000 ლარი), აგარაკს გრიგოლეთში (6 000 ლარი) და 10 000 ლარად ღირებულ ავტომობილს, თუმცა ნაღდი ფული დეკლარაციის შევსების დროს მხოლოდ მის უმუშევარ მეუღლეს ჰქონდა, კერძოდ, 3 000 ლარი. 2002 წელს შევსებული დეკლარაციით, ბ-ნი ბობოხიძის მეუღლეს ნაღდ ფულად 3 500 ლარი ჰქონდა. 2003 წლის დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ აკაკი ბობოხიძეს კიდევ ერთი აგარაკი შეუძენია მცხეთაში, 7 000 ლარად ღირებული, მის მეუღლეს კი ნაღდ ფულად ამჯერად 7 000 ლარი დაუგროვებია. ოჯახში კვლავაც მხოლოდ ოჯახის თავი იყო დასაქმებული და საქართველოს პარლამენტში ღვწას მისთვის წლიურად 9 000 ლარი მოუტანია. 2004 წლის დეკლარაციის მიხედვით, ოჯახს აღარ აქვს ბინა თბილისში (დეპუტატს ის 13 500 აშშ დოლარად გაუყიდა), სამაგიეროდ, დეკლარაციის შევსების მომენტში, ნაღდ ფულად ნანა გოდერძიშვილს 7 000 ლარი ჰქონდა, დეპუტატს კი – 13 500 აშშ დოლარი და 2 400 ლარი. როგორც პარლამენტის წევრს კი, 2003 წლის განმავლობაში 9 000 ლარი აუღია. 2005 წლის დეკლარაციით, დეპუტატის ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონების ჩამონათვალი შემდეგნაირია: აკაკი ბობოხიძის საკუთრებაა – ავტომობილი „ნისან ტურანო" (10 000 ლარი), მიწის ნაკვეთი გრიგოლეთში (6 000 ლარი), მიწის ნაკვეთი მცხეთაში (7 000 ლარი), საცხოვრებელი ბინა დიღმის მასივში (40 000 ლარი). მისი მეუღლის საკუთრებაა – საცხოვრებელი სახლი საგარეჯოში (80 000 ლარი), მიწის ნაკვეთი საგარეჯოში (25 000 ლარი), ავტომობილი „ფორდ ესკორტი" (7 000 ლარი). ნაღდ ფულად დეპუტატის მეუღლეს 15 000 ლარი და 7 800 აშშ დოლარი ჰქონდა, დეპუტატს – 8 000 ლარი. იმ წელს დასაქმებული კვლავაც მხოლოდ აკაკი ბობოხიძე იყო და მის წლიურ სადეპუტატო შემოსავალს 14 750 ლარი შეადგენდა. 2007 წელს ბ-ნმა ბობოხიძემ დეკლარაცია იმერეთის რწმუნებულ-გუბერნატორის რანგში შეავსო. ოჯახის ქონების ოდენობაში ის ცვლილებაა, რომ მის მეუღლეს საგარეჯოში მიწის ნაკვეთი შეუძენია, ნაღდ ფულად კი 18 000 ლარი და 6 500 აშშ დოლარი შეუგროვებია, თავად რწმუნებულ-გუბერნატორს კი, მხოლოდ 15 000 ლარი, თუმცა ბ-ნი ბობოხიძის წლიური შემოსავალი 14 000 ლარს არ აღემატებოდა. მეორე მხრივ, ნანა გოდერძიშვილს შემოსავალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიუღია – 7 400 ლარი. 2008 წლის დეკლარაციით, აკაკი ბობოხიძე ბანკში ორ ანაბარზე 10 000-10 000 აშშ დოლარს ინახავდა. დეკლარაციის შევსების მომენტში რწმუნებულ-გუბერნატორს ნაღდ ფულად 12 000 ლარი ჰქონდა, მის მეუღლეს – 11 000 აშშ დოლარი. აკაკი ბობოხიძის გუბერნატორულმა შემოსავალმა 30 000 ლარი შეადგინა, მის მეუღლეს კი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციამ 12 000 ლარი მოუტანა. 2009 წელს აკაკი ბობოხიძის ანაბრებზე უკვე 22 000 აშშ დოლარი ენახებოდა, ნაღდ ფულად 15 000 ლარი და 15 000 აშშ დოლარი ჰქონდა, მის მეუღლეს კი – 23 000 აშშ დოლარი და 12 000 ლარი. ბ-ნი ბობოხიძის წლიური სახელფასო შემოსავალი 43 000 ლარამდე გაზრდილა, მისი მეუღლის (პროდუქციის რეალიზაციიდან) – 55 000 ლარამდე. ამასთან, ქალბატონს 25 000 აშშ დოლარად ღირებული ავტომანქანაც შეუძენია.



2010 წელს აკაკი ბობოხიძის ქონების ჩამონათვალში ახალი საკუთრებაა – მიწის ნაკვეთი მუხათწყაროში. ბანკში ის 26 000 აშშ დოლარს ინახავდა და მასა და მის მეუღლეს, ერთობლივად, ნაღდ ფულად 40 000 აშშ დოლარი ჰქონდათ. თუმცა იმხანად ბ-ნი ბობოხიძის წლიურ შემოსავლად დეკლარაციაში 55 000 ლარია მითითებული. შემოსავალი ჰქონდა მის მეუღლესაც, ისევ იმავე წყაროდან – სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციამ მას 39 400 ლარი მოუტანა. სულ ბოლოს, 2013 წელს შევსებული დეკლარაციით, აკაკი ბობოხიძის ზემოჩამოთვლილი უძრავი ქონება ორი საცხოვრებელი ბინითაა გაზრდილი (230 და 70 კვ. მ. ფართობების). დეპოზიტებზე დეპუტატი 35 000 აშშ დოლარს ინახავს, ნაღდ ფულად კი, დეკლარაციის შევსების დროს, 38 000 აშშ დოლარი ჰქონდა. მისმა წლიურმა სადეპუტატო შემოსავალმა 63 000 ლარი შეადგინა, მეუღლემ პროდუქციის რეალიზაციით 51 000 ლარი მიიღო, შვილების სწავლების საფასური კი 6 600 ლარი დაუჯდათ.

**ნინო ხაჩიძე**

---

ლების გარეშე. მუნიციპალური არჩევნების შემდეგ, დიდი იმედი მაქვს, რომ იქნებ ახალმა მერიამ დღის წესრიგში დააყენოს არასწორად გაყიდული პოლიკლინიკების სახელმწიფოსთვის დაბრუნების საკითხი, რადგან სახელმწიფოს სჭირდება მუნიციპალური დაქვემდებარების პოლიკლინიკა, სადაც მატერიალურად შედარებით არაუზრუნველყოფილი მოქალაქე ივლის.

**– სახელმწიფოს შეუძლია, თქვას: მე მაქვს ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის პროგრამა და არ მჭირდება მუნიციპალური პოლიკლინიკები.**

– მაგრამ ხომ არის მედიცინის მუშაკების ფაქტორი, რომელთა დიდი ნაწილი სტრატეგიული პოლიკლინიკების პრივატიზაციამ ქუჩაში, ბორტს მიღმა დატოვა?!

**– სახელმწიფო იტყვის, რომ არ სჭირდება ამდენი ექიმი.**

– გეთანხმებით და მეტსაც გეტყვით: ამდენი ექიმი საქართველოს არც სჭირდებოდა თავის დროზე.

**– ისიც ცნობილია, რომ ერთი ექიმი ცდილობს, კოლეგებიც დაასაქმოს და, გჭირდება თუ არა, დამატებით კვლევებსა და სპეციალისტებთან გიშვებს.**

– იმიტომაა საჭირო ეს მუნიციპალური დაქვემდებარების პოლიკლინიკები, რომ გარკვეული სამედიცინო დარგები საერთოდ არ გაქრეს. ისინი საჭიროა, მიუხედავად იმისა, რომ მათზე შესაძლოა, დიდი მოთხოვნა არ იყოს. მაგალითად, ამას წინათ დამირეკა მეგობარმა და მკითხა, ხომ არ ვიცნობდი ნორმალურ გერონტოლოგს. სიმართლე გითხრათ, უკვე აღარ ვიცი, არის თუ არა ამ დარგის სპეციალისტი. ახლო მომავალში შეიძლება, დარჩნენ მხოლოდ ქირურგები და თერაპევტები.

**– გასაგებია, რომ საყოველთაო დაზღვევის პროგრამით მოსარგებლე ადამიანების რაოდენობა უფრო მეტია, შესაბამისად, მადლიერი ამომრჩევლის, მაშინ, როდესაც ექიმები მათთან შედარებით ცოტანი არიან, მაგრამ, თქვენი აზრით, რამდენ ხანს შეეძლება ბიუჯეტს, ასწიოს ეს ტვირთი?**

– დიახ, ყველას სწორედ ამის ეშინია, რომ დაფინანსება აღარ იქნება და, ერთ მშვენიერ დღეს მოვა დაზღეული, მაგრამ ექიმი მას ეტყვის: მე თქვენ ვეღარ მოგემსახურებით. ამას უნდა მიშველება. მნიშვნელოვანი თანხები უნდა გადმოიქაჩოს. შეიძლება, თანადაფინანსებაზეც იყოს ლაპარაკი, იმიტომ რომ აბსოლუტურად უფასო არაფერი არ არსებობს.

**– და არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: დავუშვათ, ისტერიული ადამიანი ვარ და სულ მეჩვენება, რომ რაღაც მჭირს, სახელმწიფო კი იხდის ამაში ფულს, რაც აკლდება სხვა სფეროს. შეუძლებელია, განისაზღვროს რაღაც ლიმიტის მაგვარი?**

– გახსოვთ ერთი პერიოდი, როდესაც ხანდაზმულებს არავინ აზღვევდა?! მაშინ, როდესაც ყველაზე მეტი მოვლა ამ კატეგორიას სჭირდება. გეთანხმებით: ადამიანი წლობით არ ყოფილა ექიმთან, უმუშევარია, ზის სახლში, მარტო საკუთარ თავთან, ხან რა ასტკივდება, ხან – რა. ათასი ფიქრი აწუხებს და ფრჩხილის კიბოდან დაწყებული ყველაფერზე შფოთავს. მაგალითად, მე სამხედრო ექიმი ვიყავი და ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის ექიმი, რომელსაც დაჭრილების სორტირება ეხებოდა. ის ხელმძღვანელობდა, თუ ვის უნდა გაეწიოს ომში პირველად სამედიცინო დახმარება. ვთქვათ, გყავთ 2 მძიმე და 15 მსუბუქად დაჭრილი. ყველა ნორმალური ადამიანი ამბობს, თავდაპირველად მძიმედ დაჭრილებს უნდა გაეწიოთ სამედიცინო დახმარება, მაგრამ ომში ეს გამორიცხულია: პირველად სამედიცინო დახმარება უნდა აღმოუჩინო მსუბუქად დაჭრილებს, რომ ის 15 იმ ორივით არ დაგიმძიმდეს.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 200 0 200
SMS – 93094
დარეკვა
შეგიძლიათ
ნებისმიერი
ქსელიდან

ზარი ფასიანია

**უკვე სამი წელია, სალომე ზურაბიშვილი ნიუ-იორკში ცხოვრობს და თბილისში დროდადრო ჩამოდის სტუმრად. გაეროს საერთაშორისო მისიაში საყვარელ საქმეს დაუბრუნდა, მაგრამ ქართულ პოლიტიკურ სცენაზე მაინც ხშირად ჩნდება. მართალია, აქტიური პოლიტიკიდან ერთგვარი ტაიმაუტი აიღო, არც სახელმწიფო მოხელეა და არც ძველებურად „ბარიკადებზე" დგას, თუმცა, ფიქრობს, რომ შორს არსად წასულა და ნიუ-იორკში მყოფიც კი უფრო აქტიურად არის აქ, ვიდრე ზოგიერთი. მისი მორიგი ვიზიტი საქართველოში თბილისის მერობას დაუკავშირეს, მაგრამ, თავად ამბობს, რომ იმ ბრძოლაში არასდროს აღარ ჩაებმება, სადაც მისი ადგილი არ არის.**

# რაში „ჩაითრია" სალომე ზურაბიშვილმა შვილი და რა ოცნება აუსრულა მან ჯანრი კაშიას გარდაცვალების შემდეგ

**სალომე ზურაბიშვილი:** თბილისში საკმაოდ ხშირად ჩამოვდივარ, როგორც კი ამისი დრო და საშუალება გამომიჩნდება ხოლმე. სახლი მარტო აქ, თბილისში მაქვს. პარიზში დედა და ჩემი ქალიშვილი არიან, ჩემი ვაჟიშვილი, თემური – ამერიკაშია, ასე რომ, პარიზი-თბილისი-ნიუ-იორკი ჩემი ყველაზე ხშირი მარშრუტია.

**– და თქვენი ეს ვიზიტი თბილისის შესაძლო მერობას არ უკავშირდება?**

– არა, ეს არ არის ჩემი გეგმა და მიზანი. მე ვიღებდი მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც დასრულდა ისე, როგორც დასრულდა. მიმაჩნია, რომ იმ ფუნქციის შესასრულებლად მზად ვიყავი, მქონდა ხედვაც და გამოცდილებაც. მერობისთვის მზად არ ვარ, მით უფრო, დღევანდელ პირობებში, როცა ვხედავ, რა დღეშია ეს ქალაქი, რა ხდება საკრებულოსა და მერიას შორის. ამას გარდა, ეს არ არის ჩემი საქმე – ამ კუთხით გამოცდილება არ მქონია, თუ არ ჩავთვლით პირველი ადგილობრივი არჩევნების გამოცდილებასა და ჩემს ხედვას, თუ როგორ უნდა განვითარდეს ეს ქალაქი. დღეს ჩემთვის ამ პროცესებში ჩართვას აზრი არ აქვს და, ვიცი, რომ დამთავრდება ისე, როგორც დამთავრდა საპრეზიდენტო არჩევნები. ვფიქრობ, რომ ყველამ უნდა იცოდეს თავისი ადგილი, მე ვარ ქართულ პოლიტიკაში და ვიქნები მომავალშიც.



**მე არ ვარ დაბადებული პოლიტიკოსად, გარემოებებმა მაქცია**

**– რა ფორმით ხართ ჩართული დღეს ქართულ პოლიტიკაში?**

– პარტია, რომელიც მე დავაარსე, რჩება ამ პოლიტიკურ პროცესებში, თუმცა დღეს მე ამ პარტიაში არ ვარ. ის ადამიანები, ვინც არიან ამ პოლიტიკური გაერთიანების წევრები, გამოირჩევიან იმ ღირებულებებით, რაც ჩემთვის არის მთავარი – ქვეყნისთვის საქმის გაკეთება და არა გამდიდრება. პირადად მე ვაკვირდები იმ პროცესებს, რაც ქვეყანაში ხდება და, იმ მომენტში, როცა ვიქნები საჭირო და ჩავთვლი, რომ მე შემიძლია ამა თუ იმ საქმის გაკეთება, აუცილებლად ვიტყვი ჩემს სიტყვას. ამ ქვეყანაში ჩემთვის ორი რამ არის აუცილებელი: პირველი – არ შეიცვალოს ქვეყნის ორიენტაცია და არ დაუბრუნდეს იმ მიმართულებას, რომელმაც დაღუპა ჩვენი ქვეყანა და, მეორე – დემოკრატია და ქვეყნის წყობა, რაც განვითარების ერთადერთი ფორმაა. თუ ამ მხრივ დავინახავ საფრთხეს, ან საზოგადოება ჩათვლის, რომ ვარ საჭირო, მე ვიქნები აქ, თუმცა, გეოგრაფიულად სად ხარ, ამას არ აქვს მნიშვნელობა. შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ მე ნიუ-იორკში მყოფი უფრო „ვარ" საქართველოში, ვიდრე ზოგიერთი აქ მყოფი.

**– თქვენ იყავით საპრეზიდენტო კანდიდატი. ეგებ, თბილისის მერობა არ მიგაჩნიათ, თქვენს „რანგად"?**

– არა, ასე არ არის. ეს არ არის პრეტენზია, რომ მე მერობა არ მეკადრება, პირიქით, ჩემი აზრით, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები, მერობა კი – ძალიან მნიშვნელოვანი პოზიცია. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არის დემოკრატიის ნიადაგის მომზადება, მაგრამ ეს პოლიტიკური ბრძოლაა და რატომ უნდა მივიღო მონაწილეობა ბრძოლაში, როცა მოცემულობა არის ისეთი, როგორიც იყო საპრეზიდენტო არჩევნებზე? აქეთ არის წინასწარ დანიშნული მერი, მეორე მხარეს კი – „ნაციონალური მოძრაობა", რომელსაც დღეს აქვს ის ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსი, რაც მას ჰქონდა, და, ამ პროცესში უნდა მიიღო მონაწილეობა, იმისთვის რომ წააგო?! არ მიმაჩნია ეს პოლიტიკურად გამართლებულად. მე რეალისტი ვარ, პირდაპირ აღვიქვამ მოვლენებს.

**– ნიუ-იორკიდან ქართული პოლიტიკა როგორ „გამოიყურება"?**

– ჯერჯერობით ჩანს ნელა მიმდინარე პოლიტიკური განვითარება, ცოტა გაყინული მდგომარეობა. ჩვენ ყველა, ალბათ, მეტს ველოდით. ამ რეაქციას ვგრძნობ ხალხისგან. ცხადია, ყველა კუთხით ვფიქრობდით პროცესების უფრო სწრაფად წარმართვას. ბოლო პერიოდში უფრო ამოქმედდა საგარეო პოლიტიკა, შესაძლოა, უკრაინამ მოგვცა ბიძგი. ამ კუთხით დღეს უფრო ნაკლები შენიშვნები მაქვს, ვიდრე მქონდა. ცოტა გადამეტებული მოლოდინი გვქონდა ეკონომიკის მიმართულებით მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ მხარეს იდგა ბიძინა ივანიშვილი და ბევრი ფული. სამწუხაროდ, ჩვენ გვაქვს მცდარი წარმოდგენა, რომ ეკონომიკა იქ ყვავდება, სადაც ბევრი ფულია, სინამდვილეში ეკონომიკის განვითარებას სხვა რამ სჭირდება, თუმცა, არც იმ აზრის მომხრე ვარ, რომ მთელი ქვეყანა ინვესტიციებით უნდა იყოს მართული. ჩემი აზრით, ჯერ საკუთარი ძალებით უნდა სცადო იმის გაკეთება, რაც შეგიძლია, ვიდრე სხვამ განავითაროს შენი ქალაქები, მით უფრო დედაქალაქი. არ მომწონს, რომ ასე არის შეზღუდული პრეზიდენტის ფუნქციები და მას გასაქანს არ ვაძლევთ. არ მიმაჩნია სწორად, როცა მის სიტყვით გამოსვლას პარლამენტში არ დაესწრო მთავრობა. მთავრობამ პატივისცემა უნდა გამოხატოს ქვეყნის პრეზიდენტის მიმართ, რომელიც თავიდან დანიშნული იყო, მაგრამ, მერე ხომ აირჩია ხალხმა?! არსებობს პრეზიდენტის სასახლე, რატომ არ უნდა იყოს პრეზიდენტი პრეზიდენტის სასახლეში? ის სასახლე ცარიელი და მიგდებული არ უნდა იყოს, იქ უაზრო გამოფენები არ უნდა ტარდებოდეს, ეს, პირველ ყოვლისა, ქვეყნის უპატივცემულობაა.

**– გაეროში საინტერესო საქმეს ხელმძღვანელობთ, დროდადრო ქართული პოლიტიკის დავიდარაბაში ჩართვა გიღირთ?**

– 2010 წლის ნოემბერში დავიწყე მუშაობა გაეროში, ირანის სანქციების ჯგუფის ხელმძღვანელი ვარ. მიმაჩნია, რომ სანქციები არის ერთადერთი გზა და ომის ალტერნატივა, ამიტომ, ვფიქრობ, რომ საჭირო საქმეს ვაკეთებ. ის სანქციები, რაც არის დაწესებული ირანის მიმართ, მიუღებელია იმ ქვეყნის ხელმძღვანელობისთვის, შესაბამისად, მათთან არანაირი კავშირი არ გვაქვს; უფრო მეტიც, ირანშიც კი არ გვიშვებენ, რაზეც გული მწყდება. ორჯერ ვარ ნამყოფი ამ ქვეყანაში ტურისტად, ვფიქრობ, საინტერესო ქვეყანაა და მიყვარს კიდეც. ძალიან მინდა, რომ ამ იზოლაციიდან გამოვიდეს და ყველაფერი კარგად დამთავრდეს. ეს სამსახური ძალიან საინტერესო საქმეა დიპლომატისთვის, დიდ გამოცდილებას იღებ, მაგრამ, შენი ქვეყნის სამსახურში ყოფნა მაინც სხვაა და ეს ბევრს ნიშნავს. მე არ ვარ დაბადებული პოლიტიკოსად, პოლიტიკოსად გარკვეულმა გარემოებებმა მაქცია. მე ვარ დაბადებული სახელმწიფო მოღვაწედ და ამ სამსახურისთვის ყოველთვის მზად ვარ.

**– იმის მიუხედავად, რომ ქართული პოლიტიკის კულისებმა მძიმე პერიოდები გადაგატანინათ?**

– როგორც ვატყობ, მძიმე არა მხოლოდ ქართული პოლიტიკის კულისებია, ალბათ, ასეთია სხვა პოლიტიკა სხვა ქვეყნებშიც. ჩვენთან ამ სიმძაფრეს პოსტსაბჭოთა სივრცის ფაქტორი იწვევს. 2010 წელს მე გავერიდე აქაურობას, რადგან, მივხვდი, რომ არ იყო არანაირი საშუალება პოლიტიკური საქმიანობის და ჩემთვის ყველაფერი დაიკეტა. სულელი უნდა იყო, რომ ცარიელი ხელები უბრახუნო კედელს, ამას ჯობია, სხვა საქმე გააკეთო და მეც დავუბრუნდი იმ საქმეს, რაც ძალიან მიყვარს.

**– ორი წელი გავიდა თქვენი მეუღლის, ჯანრი კაშიას გარდაცვალებიდან. როგორ გაგრძელდა თქვენი ცხოვრება მის გარეშე?**

– ის, რომ მისი გარდაცვალება რთული იყო და მძიმე, ალბათ, ახსნას არც საჭიროებს. მაგრამ, ცხოვრება არის ასეთი – უნდა განაგრძო. ჯანრისგან ეს მაგალითი მივიღე – უნდა იყო ძლიერი, არ იწუწუნო, უნდა გაუძლო სირთულეებს და არ ჩამოუშვა ხელები. ჩვენ თითქმის ოცი წელი გავატარეთ ერთად, ეს ბევრიც არის და ცოტაც. ის იყო ჩემი მეგობარიც, ქმარიც, თანამებრძოლიც. ყველაზე მეტად რაც მიჭირს დღემდე და, ეს, ალბათ, ძალიან დიდხანს გამყვება, აღარ მაქვს ჯანრის პასუხები ჩემს შეკითხვებზე. შეიძლება, დამეჯერებინა მისთვის, შეიძლება – არც დამეჯერებინა და შევკამათებოდი, მაგრამ, ყოველთვის მქონდა პასუხი – სანდო და კომპეტენტური. ზოგჯერ, როცა არ ვიცი, ვის მივმართო, ვბრაზობ ჯანრიზე, რომ ჩემ გვერდით აღარაა, მით უფრო მაშინ, როცა ბევრი გაურკვეველი კითხვა გროვდება ირგვლივ და გიჩნდება სურვილი, მოისმინო ჯანსაღი აზრი ან შენი ანალიზი გაუზიარო. ამით ნელ-ნელა მიდიხარ სწორ დასკვნამდე, მით უფრო, როცა გვერდით ერთგული და საინტერესო ადამიანი გყავს. ჯანრი ასეთი იყო. მე ავასრულე მისი ოცნება და გამოვეცი თერთმეტტომეული, სადაც თავი მოვუყარე ჯანრის ჩანაწერებს, მის ნაშრომებს ყველა მიმართულებით, მთელ მის შემოქმედებას. ეს იყო ჩემი ნიუ-იორკში წასვლის ერთ-

# შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ერთადერთი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსით, ევროპის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, დამსაქმებლებთან და ასოციაციებთან კონტაქტებით ტრადიციულად ქმნის ხარისხს, შესაბამისად, მუდმივად სრულყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სასწავლო-საგანმანათლებლო სივრცეს, საინტერესო სტუდენტურ ცხოვრებას, სოციალურ პროექტებს.







***გრძელდება და ძლიერდება პარტნიორული ურთიერთობები TEMPUS-ის ორი პროგრამის ფარგლებში, რაც უნივერსიტეტის შესაძლებლობების გაძლიერების გარანტია ევროპული გამოცდილებების მაგალითზე. უნივერსიტეტმა 2013 წელს ერთი, ხოლო 2014 წელს ოთხი ERASMUS MUNDUS-ის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა მოიპოვა, რითაც გახდა ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულუფლებიანი წევრი. დღეს სასწავლო უნივერსიტეტი პროფესორთა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების ფარგლებში (ERASMUS MUNDUS) თანამშრომლობს უცხოეთის 25 უნივერსიტეტთან.***

*2014 წლის 1-4 ოქტომბერს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი უმასპინძლებს მსოფლიო ფოლკლორისტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს 17 ქვეყნის 59 მეცნიერი.*

**სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 2014-2015 სასწავლო წლისთვის აცხადებს მიღებას: ბიზნესის ადმინისტრირების, ქართული ფილოლოგიის, ინგლისური ფილოლოგიის, ისტორიისა და ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე.**

**მისამართი: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14; ტელეფონი: (+995 415) 25-62-17; ვებ-გვერდი: www.zssu.ge**

ერთი მიზანიც, რომ ფინანსურად ამ გამოცემის გაკეთების საშუალება მომცემოდა. ასეთი აქტიურობა ჯანრის გარდაცვალების შემდეგ უფრო მეტად მჭირდება, რაც უფრო დაკავებული ვარ, უფრო კარგად ვარ. ჩემი შვილები უკვე დიდები არიან და თავიანთ გზას მიჰყვებიან. დედაჩემის ასაკი და ჯანმრთელობაა ის, რაც თავისუფლებას მიზღუდავს, რადგან, ვიცი, რომ, რაც შეიძლება ხშირად უნდა ჩავიდე მასთან და მივხედო. დედა ყოჩაღად გამოიყურება, მაგრამ 93 წლის ხდება და, მისი ასაკიდან გამომდინარე, მეტი ყურადღება სჭირდება. მასთან არიან ქართველი ქალები – დედასაც ასე ერჩივნა, მათთან კომფორტულად გრძნობს თავს.

– **თქვენი შვილები რას საქმიანობენ?**

– ქეთევანი პარიზში ცხოვრობს, ჟურნალისტია და ფრანგულ საერთაშორისო არხზე მუშაობს. თემური დიპლომატია, ნიუ-იორკში საფრანგეთის საგარეო წარმომადგენლობაში მუშაობს. მე არ ჩავრეულვარ თემურის პროფესიულ არჩევანში, თვითონ გადაწყვიტა ასე. ძალიან მომეწონა, რომ მან ის საქმე აირჩია, რაც ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია, თუ ის გიყვარს. მე ჩემი შვილები ყველგან თან დამყავდა, სადაც დავდიოდი და ასეთ დროს, ორი ვარიანტია: ან ბავშვებს უყვარდებათ ის საქმე, რასაც აკეთებს მშობელი, ან – პირიქით. როგორც ჩანს, ჩემს შვილებს ისე უყვართ მოგზაურობა და სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრება, მოსწონდათ ჩვენი ცხოვრების წესი და არ ფიქრობენ, რომ, რადგან ერთ ადგილას გაჩნდი, აღარ უნდა გაინძრე. ცხოვრების აქტიური წესი ადამიანს ძალიან ეხმარება, მუდმივად იყოს ფორმაში.

**– ეს თქვენი გარეგნობის მთავარი „რეცეპტიც” არის?**

– არ ვიცი. პირიქით, სულ მეუბნება ჩემი ქალიშვილი, საერთოდ არ უთმობ დროს საკუთარ თავსო. ერთადერთი, რაზეც უარს არ ვამბობ არასდროს, არის ვარჯიში და ცხოვრების სპორტული წესი. ნიუ-იორკში დარბაზში ვვარჯიშობ; როცა თბილისში ვიყავი, აუზზე დავდიოდი. ამ მხრივ ჯანრი იყო ძალიან აქტიური, მე – უფრო მოხალისე – მიყვარდა თხილამურები, ჯირითი. რაც უნდა ბევრი საქმე მქონდეს, სპორტის რომელიმე სახეობით უნდა ვიყო დაკავებული.

– **ცხენოსნობაც კვლავ რჩება თქვენს გატაცებად?**

– აქ რომ დავრბრუნდები, ვნახოთ, გააჩნია, როგორ იქნება იპოდრომის ამბავი. როცა საგარეო საქმეთა მინისტრი ვიყავი, ცხენი მყავდა და ყოველ დილით, 7 საათზე მივდიოდი იპოდრომზე, ეს იყო ჩემი ენერგიის წყარო. მერე ჩოგბურთმა გამიტაცა. დღეს ვერ ვახერხებ ასე აქტიურ სპორტულ ცხოვრებას, თუმცა, მაინც ძალიან საინტერესო და აქტიური ცხოვრების წესი მაქვს. ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, ხან ერთ ქვეყანაში ვარ, ხან – მეორეში. კიდევ კარგი, თვითმფრინავში კარგად მძინავს, რადგან, ზოგჯერ ისე აეწყობა ხოლმე, რომ მე თვითონაც არ ვიცი, სად ვიყავი და სად მივდივარ ***(იცინის).*** გაეროში საქმიანობის პარალელურად, პარიზში პოლიტიკური მეცნიერების უნივერსიტეტში ვკითხულობ ლექციებს, პროფესორი ვარ. ლექციების გამო, ორ-სამ კვირაში ერთხელ მაინც, პარიზში უნდა ვიყო, ოღონდ, როგორ ვახერხებ, არ ვიცი – ზოგჯერ პირდაპირ აეროპორტიდან მივდივარ ლექციებზე. სტუდენტებთან, ახალგაზრდებთან ურთიერთობა მომწონს, მეც ახალ ენერგიას მაძლევს. ახლა გავდივართ ევროპის საგარეო პოლიტიკის კურსს, თუ როგორია ევროპის დამოკიდებულება კონფლიქტებთან და კრიზისებთან მიმართებაში, რაც დღეს ძალიან აქტუალური და საინტერესოა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, მინდა, რომ თბილისშიც წავიკითხო ლექციები. ერთ დროს დავიწყე ეს საქმიანობა, მაგრამ, ყველგან დამბლოკეს. იმედი მაქვს, მოვა დრო, როცა ჩემი, როგორც პროფესორის საქმიანობა პრობლემებს არავის შეუქმნის. ეს არის ჩემი საცხოვრებელი გარანტია. ჩვენი ჯგუფის მანდატი გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ყოველწლიურად განახლებადია; საბჭომ რომ მისია დაასრულოს, ხომ მჭირდება სხვა სამსახური?! მე არ მაქვს მოპარული ფული და რაღაცით ხომ უნდა ვიცხოვრო?! ***(იცინის)*** რაც 16 წლის გავხდი, მას შემდეგ ჩემი შრომით ვცხოვრობ, არავისგან არანაირი დახმარება არ მქონია – სწორედ ეს არის ჩემი თავისუფლება.

**თამუნა სამადაშვილი**

## მზია შონიას ხსოვნას!





– გული გვტკივა, დეეე...

– გვენატრები, დეეე...

– გვეგონა, არასდროს წახვიდოდი, დეეე...

შენი უსაყვარლესი სკოლის, სადაც 50 წელი დამსახურებული პედაგოგის სტატუსით იმსახურე, შენი თაობის უკანასკნელი მოჰიკანი წახვედი, დეეე... და გული დაგვწყვიტე ოჯახს, ყოფილ მოსწავლეებს, ყველა მოყვასს! ამქვეყნად „კარგი ქალბატონის“ ზედმეტსახელი გქონდა, დეეე... იმქვეყნად ღმერთს ვევედრებით, რომ დაგიმკვიდროს სასუფეველი ცათა და შენს ვაჟკაცს, დათოს შეგახვედროს.

გვიყვარხარ, დეეე! ჩვენთან იქნები მუდამ, დეეე!

**ალბათ, იშვიათია ადამიანი, ქართული ზარის რეკვა მასში დიდ ემოციებს რომ არ აღძრავდეს, განსაკუთრებით, თუ წირვაზეა და ლოცულობს. ქართველმა კაცმა ზარის ჩამოსხმის განსაკუთრებული წესი იცოდა და რაც მთავარია, ქართულ ზარში საოცარი საიდუმლობები იყო ჩადებული. ამ საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით გვესაუბრება, კომპოზიტორი ნოდარ მამისაშვილი:**

# რა ინფორმაციულ კოდს დებდნენ ჩვენი წინაპრები ქართულ ზარში და რატომ ყრიდნენ ისინი ზარის დასამზადებელ ცხელ მასაში ფეტვს

– ზარი ბევრი ისეთი ადამიანური ტონისგან შედგება, რომელიც ბადებს სწრაფვას მაღალი სულიერებისკენ. ამიტომ, კონკრეტულად, როდის გამოადნეს ლითონი, იქიდან არ იწყება ზარის ჩამოსხმა. ძალიან ხშირად ჰგონიათ, რომ ზარი მეტალურგიული მიღწევის ერთ-ერთი ნაწილია. ეს არცოდნაა, თორემ მკრეხელობად ჩაითვლებოდა. ზარი არ უნდა ჩამოასხათ, როგორც ქვაბი, ტაფა და ასე შემდეგ. ზარში საოცარი საიდუმლოებებია ჩადებული. ზოგიერთი საიდუმლო ისეთი მისტიკურია, რომ უკვირთ, როგორ შეიძლება, ასეთ რამეზე ჯერ კიდევ ძველ დროს ჰქონოდა ადამიანს წარმოდგენაო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ხილვითი ცოდნაა და იმ ადამიანებს ერგოთ, ვინც ეს ზარი ჩამოასხა. ისინი ხომ ამას სხვანაირად უყურებდნენ. შესაბამისად, ზარი მარტო მეტალურგიული პროცესებისგან არ შედგება. სანამ ზარი ჩამოისხმებოდა, ბოლო მორევისას მდუღარე ლითონის მასაში ამოავლებდნენ სოჭის, მარადმწვანე მცენარის ნერგს ფესვიანად და მოურევდნენ. ეს თითქოს გასაოცარია, რომელი ნერგი გაუძლებს მორევისთვის გათვალისწინებულ ტემპერატურას? მაგრამ ეს იყო ინფორმაციული კოდი, რომ, როგორც სოჭი იყო მარადმწვანე, ასე მარად დაერეკა ამ ზარს. დღეს, თანამედროვე მეტაფიზიკაში ინფრომაციული კოდი გარკვეულია და არსებობს სპეციალური აპარატი, რომლის დახმარებითაც ხდება მისი გაზომვა. მაგრამ, ეს საიდან იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა? – რა თქმა უნდა, ხილვითი ცოდნა ჰქონდათ, როდესაც მათ უფალი გაუხსნიდა გონებას, შემდეგ კი, საოცარ მიგნებებს აკეთებდნენ. ასეთი მისტიკური საიდუმლო ძალიან ბევრია. ავიღოთ ის, თუ რა შემადგენლობის უნდა ყოფილიყო ლითონი. პატარა ექსკურსს გავაკეთებ, რომ ყველაფერი უფრო ნათელი გახდეს. ლუხუმის საბადოში არის დარიშხანის მინერალი. იქ ასევე არის მინერალი ანთიმონეტი, რომელსაც ძველი ქართველი ლითონის ხანჯლის, ან ხმლის დამზადებისას ურევდა. როცა თანამედროვე აპარატურით გაზომეს ეს მინერალი, აღმოჩნდა, მას ისეთი ინფორმაციული კოდი აქვს, რომ ადამიანში აგრესიულ თვისებას აძლიერებს. მოგეხსენებათ, ხმალი და ხანჯალი ადამიანს მოსაფერებლად არ სჭირდება. ლუხუმის დარიშხანის მინერალებს შორის არის კიდევ სამი სხვა მინერალი – მინერალთა სამება, რომელიც ადამიანში მიმტევებლობას, მონანიებას და უფლისადმი შეთხოვნის გრძნობას აღძრავს. ესენია: არსენოპირიტი, რომელსაც ვერცხლისფერი დაჰკრავს და მისი სიმბოლო შორეულად, მეტაფორულად მთვარის სიმბოლოა, მეორეა რეალგარი, რომელიც მეტაფორულად გარიჟრაჟს წააგავს, როცა წითლად შეიფერება ცა. ეს წითელი ცა საოცრად ენერგიულია, სიცოცხლის დაწყებაა. სხვათა შორის, სწორედ მაშინ არის ცა ასეთი, 6 საათზე, როცა პირველი, დილის ლოცვა იკითხება. მესამე მინერალი აუროპიგმენტია, რომელიც კაშკაშა მზისფერია და მზის სიმბოლოა. ანუ, წარმოიდგინეთ, მთვარიდან გადავდივართ მზეზე და ეს ყველაფერი შეგვიძლია მზისა და მთვარის ერთობლიობად წარმოვიდგინოთ. ახლა, როგორ აისახებოდა ეს ყველაფერი ლითონში: კალა იყო სწორედ ის სიმბოლო, რომელსაც თავისი მინერალი ჰქონდა – არსენოპირიტი; მერე იყო რეალგარი, როგორც გადასვლა; მზის ამოსვლის პროცესში და შემდეგ ამოდიოდა მზე. ანუ, ეს უკვე აუროპიგმენტში გადადიოდა, რომელიც გამოსახულებაა სპილენძისა. ანუ, აქეთ კალა, იქით სპილენძი და მივიღეთ ქართული ბრინჯაო. ასეთი ჰარმონია არც ერთ კულტურას არ აქვს. ძალიან მნიშვნელოვანი იყო პროპორციებიც.


**როდესაც თანამედროვე აპარატურით ეს მინერალი გაზომეს, აღმოჩნდა, რომ მას ისეთი ინფორმაციული კოდი აქვს, ადამიანში აგრესიას რომ აძლიერებს**

**– რამდენი უნდა იყოს სპილენძი, კალა?**

– აქაც სასწაულს ვეჯახებით. ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ადამიანის აღქმის რეცეპტროებიდან 75 პროცენტი დადებით ემოციებს აღიქვამს, 25 პროცენტი კი – უარყოფითს. რადგან ამქვეყნად ბევრი ცუდი რამ ხდება, ამიტომ ღმერთმა დაგვაჯილდოვა ნიჭით, რომ 75 პროცენტი დადებითი აღვიქვათ, 25 პროცენტი კი – უარყოფითი. რაც მნიშვნელოვანია, ეს ყველაფერი დევს ქართულ ზარში, ანუ დადებითი იმპულსების რაოდენობა დაახლოებით 75 პროცენტია, ხოლო უარყოფითის ამრეკლავი ვარიანტი – 25 პროცენტამდე. წარმოიდგინეთ, რა საოცარია ქართული ზარი, სადაც ამრეკლავიც კი არ უშვებს უარყოფით ემოციებს. მაგრამ, არც ეს არის საკმარისი. მე მქონდა ბედნიერება, რომ სახელმწიფო მუზეუმში მენახა ძველი ქართული ზარი, რომელიც ყრუდ იდგა. იქ, ასევე იყო ბერძნული, რუსული ზარები. ჯოხი დავარტყი და ყველაზე კარგი ჟღერადობა ჰქონდა ერთ-ერთ ზარს. ახლოს რომ მივედი, აღმოჩნდა, რომ ქართული ზარი იყო. გამიკვირდა, რატომ უნდა ჰქონოდა ქართულ ზარს ასეთი ჟღერადობა. სწორედ აქედან დამებადა იდეა, რომელიც მერე სამების ზართან დაკავშირებულ ჩემს გამოგონებაში შედის. ეს არის „ოქროს წონის“ იდეა. აღმოჩნდა, რომ ზარს, შეიძლება, ძირითადიდ, ერთი და იგივე ტონალობა ჰქონდეს, თუ ის იქნება ექვსი, შვიდი, რვა, თითქმის 12 ტონამდე. მაგრამ არსებობს რაღაც წონა, რომლის დროსაც ის ყველაზე კარგად ჟღერს. ეს გავითვალისწინე, სწორედ წმიდა სამების დედო-ზარის გაკეთებისას.

**– რა წონის ზარს აქვს ყველაზე კარგი ჟღერადობა?**

– ეს ჩემი საიდუმლოა და როდესაც უფალი ჩემს თავს მოითხოვს, ამას, ალბათ, დავწერ. თუმცა, მარტო წონა არ არის მთავარი, აუცილებელია დიზაინის, ფორმის გათვალისწინება – როგორი ენა ექნება, სად დაიკიდება. ზარის დამზადებისას ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, სად და როგორ ჩამოისხმებოდა, როგორ ამოთხრიდნენ მიწას. ამას იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ზარს ბეღელსაც უწოდებდნენ. ასეთი ხალხური ლექსიც არსებობს: „ორმოში ფეტვი ჩავყარე“. როდესაც ზარი უნდა ჩამოესხათ, ჩვენი წინაპრები ფეტვს, როგორც სიუხვის, მარადიულობის ნიშანს, ყრიდნენ ცხელ მასაში. რა თქმა უნდა, ფეტვი ვერ გაუძლებდა იმ სიმხურვალეს, მაგრამ ესეც ინფორმაციის ჩადებაა. ქართველები ზარის დასარეკ ენას, ძირითადად, რკინისგან აკეთებდნენ. რკინას ძალიან ბევრი მნიშვნელობა აქვს: ჯერ ერთი, არ ტყდება და ბევრმა არ იცის, რომ დარეკვის დროს ზარი ძალიან ხურდება. ლითონის ეს განსხვავებულობა შედარებით ამცირებს გახურების კოეფიციენტს. არის კიდევ ძალიან საინტერესო ნიუანსი, პრაქტიკულად, გამოდის, რომ გვაქვს კალა, სპილენძი და რკინა, ანუ ლითონის სამება, რასაც თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. რუსები ზარებს სხვადასხვა სახელს არქმევდნენ, არავის დაურქმევია ზარისთვის დედო-ზარი. ზოგს ჰგონია, რომ მას იმიტომ დაარქვეს დედო-ზარი, რომ დიდია და მძიმე. არა, მასში უფრო დიდი აზრი დევს. დედო-ზარი მაშინ არის დედო-ზარი, თუ მას კიდევ ერთი ზარი, თუნდაც ერთი შვილი ჰყავს. რას ნიშნავს ეს, ანუ მანძილი დედასა და შვილს შორის მეტი უნდა იყოს, რომ მან შეძლოს შვილის გაჩენა. მაგრამ შვილებს შორის მანძილი მცირეა, იმიტომ რომ, შვილები ერთმანეთთან ახლოს არიან. თუ დედა ზარი იქნებოდა 40- კილოგრამიანი, შვილები იქნებოდნენ 20-10-კილოგრამიანები. რადგან დიდია პირველი მანძილი, ამიტომაც ჰქვია მას დედო-ზარი და არა იმიტომ, რომ მძიმეა. ეს საოცარი თვისება კი აისახება ხმოვანებაში, იმიტომ რომ, დედას სხვა ხმა ექნება, შვილე-

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

# რამდენად შედეგიანია ოზონოთერაპია გინეკოლოგიაში და რაში ეხმარება ორსულობის დროს მომავალ დედას ის

*ოზონოთერაპიის პირველი ქართული კლინიკა „აინოს", რომელიც თბილისში, მცხეთის ქუჩაზე 8/90-ში მდებარეობს, უამრავი ადამიანი აკითხავს ამა თუ იმ მიზეზით. რაც შეეხება შედეგს, უკვე უამრავი გამოჯანმრთელებული პაციენტია. ერთ-ერთი მიზეზი კი, რის გამოც პაციენტები კლინიკას მიმართავენ გინეკოლოგიური პრობლემებია. რამდენად პრაქტიკულია ოზონოთერაპია გინეკოლოგიაში, ამას უკვე ჩვენი სტუმარი, კლინიკის ექიმი, მეან-გინეკოლოგი, მაია ბერიძე მოგვითხრობს.*

**– ქალბატონო მაია, არის თუ არა ოზონოთერაპია შედეგიანი გინეკოლოგიაში და ასევე, ჩვენს მკითხველს დააინტერესებს, ეს კომპლექსური მკურნალობის პარალელურად ხდება თუ სხვა შემთხვევაშიც?**

– ოზონოთერაპია შეიძლება, გამოვიყენოთ როგორც ერთ-ერთი მეთოდი ნებისმიერი გინეკოლოგიური პათოლოგიის კომპლექსური მკურნალობის დროს, ან როგორც მონოთერაპია. მკურნალობის პროცესში, უკვე 3-4 დღეში, ქრება დისკომფორტი და სიმძიმის შეგრძნება მუცლის არეში, ხდება ტკივილის კუპირება, აღინიშნება დადებითი დინამიკა ნაცხის ანალიზში. ოზონი ხელს უშლის ფიბროზული ჩანართების გაჩენას, აღადგენს მცირე მენჯის ღრუს ორგანოების გამართულ ფუნქციონირებას, რითაც აქტიურდება რეპროდუქციული ფუნქცია.

გარდა ინტრავენური ადმინისტრირებისა, გინეკოლოგიური დაავადებების დროს პაციენტებს უტარდებათ ადგილობრივი პროცედურებიც, კერძოდ ოზონის ინსუფლაცია საშოში და ოზონირებული ზეთით ტამპონადა. ეს მანიპულაციები ხელს უწყობს ჩირქოვანი და ნეკროტირებული მასების ევაკუაციას, აგრეთვე ახასიათებს პირდაპირი ანტისეპტიკური და ანტიანთებითი მოქმედება. ადგილობრივი პროცედურები განსაკუთრებით ეფექტურია მშობიარობისშემდგომი და აბორტისშემდგომი ენდომეტრიტების თავიდან ასაცილებლად. ოზონი თავიდან აგვაცილებს პროცესის გენერალიზაციას და ამცირებს მკურნალობის დროს. ოზონოთერაპია ეფექტურია აგრეთვე მენოპაუზის დროს.



**– რამდენად დასაშვები და ამავე დროს ეფექტურია ოზონოთერაპია ორსულობის დროს?**

– ამ კითხვით ხშირად მოგვმართავენ კლინიკაში, ან გვიკავშირდებიან ნომრებზე: 225 31 39 / 571 25 55 33. ოზონი, როგორც ანტისეპტიკური საშუალება, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოიყენებოდა. ანტიბიოტიკების გამოჩენის შემდეგ, ინტერესი ოზონის მიმართ განელდა. გაჩნდა ეიფორია, რომ ანტიბაქტერიული პრეპარატები დაამარცხებდა ნებისმიერ ინფექციას. მაგრამ, დროთა განმავლობაში, აღმოჩნდა, რომ ბაქტერიები ეგუებიან ანტიბიოტიკებს. გარდა ამისა, ანტიბაქტერიულ პრეპარატებს ახასიათებს მრავალი გვერდითი მოვლენა. ოზონოთერაპიას კი არ აქვს გვერდითი მოვლენები. ოზონის ანტიბაქტერიული და იმუნომოდულატორული მოქმედება საშუალებას გვაძლევს, გამოვიყენოთ ის ორსულობის დროსაც. ძლიერი იმუნიტეტი დაეხმარება ფეხმძიმე ქალს ორსულობის მთელი პერიოდის განმავლობაში. გარდა ამისა, დაიცავს მას სეზონური და სხვა ტიპის ინფექციებისგან. ოზონოთერაპია იცავს ნაყოფს ქიმიური პრეპარატების გვერდითი მოვლენებისგან.

ოზონოთერაპია ორსულს თავიდან აცილებს პრეეკლამფსიას და ნაყოფის არაკეთილსაიმედო მდგომარეობას. ოზონი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას პლაცენტაში. მეან-გინეკოლოგები მიიჩნევენ, რომ ოზონი აძლიერებს სამშობიარო მოქმედებას. ნებისმიერმა მშობიარემ იცის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჟანგბადის საკმარისი რაოდენობით მიწოდება უშუალოდ მშობიარობის პროცესში. ოზონოთერაპია გარანტირებულად უზრუნველყოფს საკმარისი რაოდენობით ჟანგბადის მიწოდებას როგორც დედის, ასევე ნაყოფისთვის. გარდა ამისა, ორსულობის დროს დიდი დატვირთვა მოდის ღვიძლზე, თირკმელებზე და ამ დროს მომავალ დედას აქტიურად ეხმარება ოზონი.

**მარიკა ხიდურელი**

---

ბს კი – სხვა. ყველაზე პატარა შვილს, ანუ ყველაზე პატარა ზარს, როგორც პატარა ბავშვს, რომელიც ხმამაღლა ტირის, ყველაზე მაღალი ხმა ჰქონდა და ის იყო მოხმობის ზარი. მას ხალხისთვის უნდა დაეძახა. შემდეგი ზარი შედარებით დიდი იყო და ეს იყო მიმტევებლობის ზარი. მერე კი ზარები თანდათანობით დიდდება და მოდის უკვე მონანიების ზარი. როგორც იცით, წირვა-ლოცვის დროს ყოველთვის სხვადასხვანაირად რეკენ ზარებს. შესაბამისად, არსებობს ეგრეთ წოდებული კანონიკური რიტმები, შეფარდებები, როდის იყოს უფრო მაღალი ზარები, როდის შემოვიდეს დიდი ზარი. მაგალითად, როდესაც სრულიად საქართველოს პატრიარქი შემოდის, მაშინ სწორედ დედო-ზარი რეკავს, როგორ შეიძლება სხვა ზარმა დარეკოს.

**– ქართული ზარის ჟღერადობა განსხვავდება სხვა ზარების ჟღერადობისგან?**

– შეიძლება ეს ვინმეს სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ სიმართლეა, თითქმის ყველა ოპერაში შეყვარებულები ტენორები არიან. რატომაა ყველა შეყვარებული ტენორი, არ შეიძლება, ბანი ან ბარიტონი იყოს?! იმიტომ, რომ სიმღერის ტონალობა ისეთ სიხშირეებზეა, ჩვენში მეტ სურვილს აღძრავს მის შესაცოდებლად – რომ მასთან ერთად განვიცადოთ, კათარზისი დაგვეუფლოს. ეს ყველაფერი კი სწორედ საეკლესიო ზარებმა უკარნახეს კომპოზიტორებს ქვეცნობიერად, განურჩევლად იმისა, თუ როგორი იყო ზარი. ისინი სხვანაირად აღიქვამდნენ ამას, სხვანაირად ესმოდათ ზარის ხმა და გრძნობდნენ, როგორი სიხშირის, სიმძიმის ზარი, როგორ ზეგავლენას ახდენდა ადამიანზე. ამას სხვაგან კომპოზიტორები გრძნობდნენ, ჩვენთან კი – ზარის ჩამომსხმელები.

სულ ვაბობ, რომ პირველი კომპოზიტორი ქალი იყო, რომელმაც „ნანა" უმღერა შვილს. იმ ქალისგან უნდა მოესმინა ბავშვს საგალობელი, შემდეგ წაიყვანდა ეკლესიაში, ისწავლიდა საგალობელს და მათ ისეთი ფორმა უნდა ჰქონოდა, რომ ბავშვამდე მისულიყო. ეს საოცრად ავითარებდა ბავშვის სმენასაც და მის სულიერ მხარესაც. ჩვენი წინაპარი ამის მიხედვით არჩევდა, რა მასის ზარი უნდა ჩამოესხა მაშინ. იმ დროს ისეთი ტექნიკა არ იყო, რომ წონა ზუსტად განესაზღვრათ და ცხრა ზარის კომპოზიციები ქართულ სამგალობლო სისტემაში შეგვექმნა. ეს გავაკეთე მე, თუმცა ჩემთვის მუდმივი ფუძე იყო ის, რომელიც ქართულ გალობაში დაიბადა და რომელიც ქართული აზროვნებიდან წამოვიდა.

**– ქართული ზარი ფორმითაც განსხვავებული და საინტერესოა.**

– არის რუსული ზარები, ფარფლებიან „შლაპას" წააგავს. არის ბერძნული ზარები მუზარადის ფორმის. ასევე, არის წაწვეტებული ზარები, აღმოსავლური კატეგორიის. არის, ასევე, გერმანული ზარები, რომლის სიგანეც და სიმაღლეც ერთნაირი უნდა იყოს, ასე ვთქვათ, სიგრძე-სიგანის ჰარმონიაა. ქართული ზარი ამ თვალსაზრისითაც უნიკალურია. ქართული ზარი წააგავს გუმბათს და თითქოს პატარა გუმბათი გადაძახილშია დიდ გუმბათთან. თვითონ გეომეტრიულ ფიგურებს გარკვეული ენერგია აქვს. ყველაზე კეთილშობილი ენერგიისაა გუმბათი. ამიტომ, ქართული ზარების ზედა ნაწილი ძირამდე გუმბათოვანია. ეს მჟღერი ნაწილი გადაძახილს აკეთებს ეკლესიის გუმბათთან და ქმნის საინტერესო ანსამბლს. ყოველივე ეს კარგად იცოდნენ ძველმა აკუსტიკოსებმა. რეცეპტურაში, ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს ზარების კორპუსი, ანუ როგორი უნდა იყოს ის. ქართული ზარი ოდნავ რომ დავაგრძელოთ, ტაძრის ფორმას მიიღებს, ამასაც შესაბამისი დატვირთვა აქვს. ზარის კიდევ ერთი საინტერესო თვისებაა ის, რომ მყარია და ენის დარტყმით ხდება დარეკვა, ან თვითონ ზარის კორპუსი მოძრაობს. კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიის ზარის კორპუსი მოძრაობს, ქართული ზარი კი მყარია და მასაც თავისი რეცეპტურა სჭირდება. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: თითოეული ზარი თავისი ბგერითი სპექტრით შესაბამისობაში მოდის ფერთან. სამების ზარის მაგალითზე გეტყვით: დედო-ზარი, რომელმაც ადამიანს სიმშვიდე უნდა მიანიჭოს, ცისფერია, ხოლო ლოცვის ზარები – მიმართვა უფლისადმი, ოქროსფერია. საეკლესიო ზარს ჯვარი რომ აქვს, ეს დიზაინი არ არის. ეს არის ყველაფერი, იმიტომ, რომ, თვითონ ჯვარშია საოცარი ძალა სულიერების, ზემოქმედების. ამიტომ, როცა ზარი ირეკება, ის ჯვრის ძალა, რომელიც მასზეა გამოსახული, ბგერებად, ინფორმაციად იქცევა. მისი ჩუქურთმაც ბგერებად და ინფორმაციად იქცევა. ასევეა, წარწერა, რომელიც ძველი ქართულითაა შესრულებული, ისიც მუსიკაა და მთლიანობაში ვიღებთ საოცარ კომპოზიციას, ერთობას, რომელსაც ადამიანი თუ ყურს დაუგდებს, ვფიქრობ, ყველა სიძნელეს გადალახავს... ზარებს თავისი ისტორია აქვს. ხშირად ამბობენ, ზარის რეკვის ხმა შორს მიდისო. ის არ არის ვიოლინო, არც ფორტეპიანო. მას უფრო დიდი დანიშნულება აქვს. ზარის დანიშნულება ისტორიულადაც საინტერესოდ ჩამოყალიბდა, რომელიც აერთიანებს რიტუალის, მისტიკის, ფიზიკისა და ქიმიის საფუძვლიან ცოდნას და აკუსტიკის ბრწყინვალე გათვლას.

**ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ადამიანის აღქმის რეცეპტორებიდან 75 პროცენტი დადებით ემოციებს აღიქვამს, 25 პროცენტი კი – შარყოფითს**

**ნათია უტიაშვილი**

**მატილდა მიურატს ხელოვნებისადმი სიყვარული გენეტიკურად გადმოეცა, თუმცა, დედმამიშვილებს შორის ის ერთადერთია, რომელიც ამ საქმეს პროფესიონალურად და განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდება. ის მუყაოსგან, ქაღალდებისგან, მავთულებისგან და ერთი შეხედვით არასასარგებლო ნივთებისგან არაჩვეულებრივ ნივთებს ქმნის: ავეჯს, თოჯინებს, ცხოველებს... მისი ფანტაზია და კრეატიულობა ნამდვილად იწვევს მნახველთა აღფრთოვანებას. ცოტა ხნის წინ მატილდამ გადაწყვიტა, საკუთარი გამოცდილება სხვებსაც გაუზიაროს, თუმცა, ამის შესახებ უკვე თავად მატილდა გვესაუბრება:**

# რატომ „ააწრიალა“ მთელი თბილისი მატილდა მიურატმა და როგორ ქმნის ის გამოუსადეგარი, გადაყრილი ნივთებისგან ხელოვნების ნიმუშებს

— სახლის ეზოში გავაკეთე სახელოსნო, გარდა ამისა, ვხატავ. ბევრი ახალი ნამუშევარი მაქვს. ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ ცოტა ხნის წინ მუშაობა დავიწყე ნატა ბუაჩიძის სტუდიაში. თან, ძალიან გამიმართლა – ჩემს ქუჩაზეა და, რაც მთავარია, ნატა არაჩვეულებრივი ადამიანია. პატარა სკოლა აქვს, სადაც ბავშვები მოდიან და სწავლობენ ხატვას, ხელოვნების ისტორიას, მითოლოგიას – ბევრი კარგი, საინტერესო რამ ისწავლება. მე ვასწავლი „პაპიე-მაშეს“ მეთოდით, რომელიც ფრანგული ტექნიკაა – როგორ უნდა გააკეთონ ქაღალდისგან სხვადასხვა ფიგურა. ბავშვებს ეს განსაკუთრებულად მოსწონთ, თან, სახლში რომ მიდიან თავისი გაკეთებული ნივთებით, ძალიან უხარიათ. ჯერ მავთულისგან კეთდება ფიგურის ჩონჩხი და შემდეგ ბავშვები თვითონ აკრავენ ქაღალდს. თუმცა, მათ ყველანაირ არჩევანს ვაძლევ – როგორც უნდათ, ისე გააკეთონ და ისეთი ფორმა მისცენ, როგორიც თავად სურთ.

**– ასეთ ტიპის სამსახური პირველად გაქვს. ალბათ, არ გიჭირს ბავშვებთან ურთიერთობა, რადგან თავად სამი შვილის დედა ხარ.**

– კი, პირველია. დიდი ხანია სახლში ვმუშაობ, ახლა მიხარია, რომ ბევრ ადამიანს ვაცნობ ამ ტექნიკას. რა თქმა უნდა, ადვილი არ არის, მაგრამ, ვიმედოვნებ, დრო რომ გავა, უკეთესი მასწავლებელი ვიქნები. ჩემთვის ეს საქმე იმდენად ჩვეულებრივი და მარტივად გასაკეთებელია, რომ, ვერ წარმომიდგენია, ვინმეს გაუჩნდეს კითხვა, ეს როგორ კეთდებაო. ამიტომ, ეს ცოტა რთული იყო. თუმცა, ახლა ვიცი, რომ ყველას, ვისაც ამის კეთება აინტერესებს, 2 წლის ბავშვივით უნდა ავუხსნა ყველაფერი: ჯერ ასე გააკეთე, მერე ისე-მეთქი. კვირაობით ვარ ამ სკოლაში, ოღონდ, დილიდან საღამომდე ფეხზე ვდგავარ. კი, ვიღლები, მაგრამ, არა უშავს.

**– ლევან, ალბათ, შენც მოუწონე მეუღლეს არჩევანი.**

**ლევან მესროფაშვილი**: რა თქმა უნდა, ოთხ წელიწადში სამი ბავშვის გაჩენა ამ ასაკის ადამიანისთვის (25 წლისას უკვე სამი შვილი ჰყავდა) ძალიან რთულია. სახლში კი აკეთებდა თავის საქმეს, მაგრამ, მე სულ ვეუბნებოდი: გადი, გაიტანე გარეთ შენი საქმე და ნიჭი. საქართველოში „პაპიე-მაშე“ მაინც უცხო ხილია და, ალბათ, ამის გამო, ჯერჯერობით მისით უფრო მეტად უცხოელები ინტერესდებიან. სტუდიაშიც ბევრი უცხოელი მოდის. ძალიან მიხარია, რომ მატილდამ ასეთი სამსახური იშოვა. თან, რაც მთავარია, ამ ყველაფრის დახმარებით, ბავშვები ეჩვევიან რაღაცის კეთებას, ხელოვნებასთან ახლოს არიან. დღეს კომპიუტერისგან იმდენი დანევროზებული, აგრესიული ბავშვია, კარგია, თუ მათ მოვაშორებთ კომპიუტერებს და ასეთი საინტერესო საქმით დავაკავებთ, ხელოვნებისკენ შემოვაბრუნებთ. სამწუხაროდ, ეს ჯერ უცხოელებს უფრო ესმით, თუმცა, ნელ-ნელა მატილდასთან ქართველებიც მოდიან.

**მატილდა**: უფროსი ასაკის მოსწავლეები ძირითადად უცხოელები არიან, თუმცა ქართველებიც მოდიან.

**– სად შოულობ ამდენ მავთულს, ქაღალდებს?**

**ლევანი**: ვერაზე მაკულატურა აღარ არის. ახლობლებიდან, ვინც იცის მატილდას საქმიანობის შესახებ, ყველას მასთან მოაქვს ქაღალდები.

**მატილდა**: თუმცა, ყველანაირს ვერ გამოიყენებ: პრიალა არ უნდა იყოს, საგაზეთო უფრო კარგად იშლება. სასაცილო ის არის, რომ, როცა ვმუშაობ, ხან ვისი ფოტოს გახევა მიწევს, ხან კიდევ – ვისი. ამ დროს ჩემთვის ვფიქრობ, გავხიო ეს თუ არ გავხიო. ზოგს ადვილად ვხევ, ზოგს – ვერა. ანუ, ვინც მომწონს, ვცდილობ, იმის ფოტო ისე გავხიო, რომ სახე არ გავუფუჭო. ზოგჯერ რაღაც დამაინტერესებს ხოლმე, ეგრევე კითხვას ვიწყებ და ველარ ვამთავრებ ნამუშევარს, მოკლედ, საინტერესო გაზეთები არ უნდა მომცეთ. რაც შეეხება მავთულებს, საბურთალოს ბაზარზე დავდივარ და იქ ვყიდულობ.

**– არ უკვირთ, რისთვის სჭირდება ამდენი მავთულიო?**

– აშკარად გაკვირვებულები რჩებიან. თან, როგორც ჩანს, მარტო მე ვარ გოგო, რომელიც ამდენ მავთულს ყიდულობს. დღეს ჭანჭიკები ვიყიდე, მავთული და წებო. გაოცებულები მიყურებდნენ – რისთვის უნდაო.



**მატილდა: „მე ვასწავლი „პაპიე-მაშეს“ მეთოდით, რომელიც ფრანგული ტექნიკაა – როგორ უნდა გააკეთონ ქაღალდისგან ფიგურები. ბავშვებს ეს განსაკუთრებულად მოსწონთ“**

**ლევანი**: მთელი ქალაქი ააწრიალა. უკვე ყველა ეხმარება: მუშები ხეებს უფასოდ უჭრიან, ჭანჭიკებს უფასოდ აძლევენ.

**მატილდა**: არ იციან, რისთვის მინდა. მე კი ვუხსნი, მაგრამ, მაინც ვერ ხვდებიან. დღეს ერთ-ერთ ხელოსანს ჩემი ნამუშევარი წავუღე, რომ ენახა. სამწუხაროდ, არ დამხვდა. კიდევ უნდა წავუღო, რომ ნახოს, რა გავაკეთე, რისთვის მჭირდებოდა. თან, მცნობენ კიდეც და, ამიტომაც, შეიძლება, უფრო მეტადაც უკვირთ. ჩემთვის ყველაზე დიდი კომპლიმენტი ის არის, როცა მეუბნებიან, ხელოვანი ხარო. ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, რომ სამხატვრო აკადემია არ მაქვს დამთავრებული. მახსოვს, ბავშვობაში, როცა ზუგდიდში ხატვას ვსწავლობდი, ხატვის მასწავლებელმა მითხრა, მართალია, აკადემია არ დაგიმთავრებია, მაგრამ მხატვარი ხარო. ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი კომპლიმენტი.

**მატილდა: „ამ დროს ჩემთვის ვფიქრობ: გავხიო ეს თუ არ გავხიო. ზოგს ადვილად ვხევ, ზოგს – ვერა. ანუ, ვინც მომწონს, ვცდილობ, იმის ფოტო ისე გავხიო, რომ სახე არ გავუფუჭო“**

**– ხელოვნებისადმი სიყვარული, ხატვის ნიჭი გენეტიკურია?**

– ვფიქრობ, რომ გენეტიკურია, სისხლში მაქვს, რადგან, ჩემი ბებია და დიდი ბებიაც – მამის მხრიდან, ორივე ხატავდა. ჩემი დეიდაც მხატვარია, ქაღალდებისგან არა, მაგრამ, თიხისგან და ფაიფურისგან აკეთებს ლამაზ ნივთებს; ბევრი ნახატი აქვს, სახლში კედლები აქვს მოხატული... ძალიან კარგი მხატვარია.

**ლევანი**: ნათიას უნდა ვუთხრა, მეორე სახელს რომ გეძახით: ჯერ ოჯახში შევარქვით და მერე ყველამ აიტაცა – „როდენა“ ჰქვია, ერთი ეროვნება აქვთ და, თან, ბოლო დროს მატილდა გამოქანდაკებაზეც გადავიდა – „პაპიე-მაშესგან“ აქანდაკებს რაღაცეებს.

**მატილდა**: აქამდე თუ ლევანი ჩემს საქმეს სერიოზულად არ უყურებდა, ახლა მიხარია, რომ ყველაფერს სერიოზულად აღიქვამს. თავიდან ყველას ეგონა, რომ ეს გართობის დონეზე იყო, მაგრამ, მიხვდნენ, რომ ასე არ არის.

**ლევანი**: ცოტა ხნის წინ შვეიცარიაში ერთ-ერთ ბანკში ვმუშაობდი. ბიჭები დაინტერესდნენ: ვინ არის შენი მეუღლე, რას საქმიანობსო. „ფეისბუქზე“ ვაჩვენე მისი ნამუშევრები და პირველი ის მოეწონათ, რომ არაფრისგან, გადაგდებული ნივთებისგან აკეთებს ხელოვნების ნიმუშებს. ძალიან მოეწონათ ცხოველები, რომლებიც გაკეთებული იყო ჩვენი შვილების მიერ შეჭმული „იოგურტების“ ან რაღაც კონსერვების ყუთებისგან. თან, ეს ყველაფერი ისე იფუთება, ვერ მიხვდები, რისგან არის დამზადებული. ის ევროპელი ზუსტად ამაში იხდის ფულს, რომ შენ არაფრისგან ქმნი ასეთ ნიმუშს. ერთი გრძელი, მთლიანი მავთულისგან, გაწყვეტის გარეშე, შექმნა კაცი, რომელიც წიგნს კითხულობს.

**მატილდა**: როცა რაღაცის კეთებას ვიწყებ, ისე ვერთვები ამაში თავიდან ბოლომდე, რომ ირგვლივ ყველაფერი მავიწყდება. ამ დროს მთლიანად ჩემს სამყაროში ვარ, ველარ ვჩერდები და დროც ძალიან მალე გადის. შეიძლება, დღედაღამ ვაკეთო.

**– ალბათ, შენს მშობლებს მოსწონთ შენი ნამუშევრები.**

– ბავშვობიდან სულ რაღაცეებს ვაკეთებდი არაფრისგან, რაღაცა აუცილებლად გამომდიოდა. მშობლები სულ ხელს მიწყობდნენ – საღებავი თუ დამჭირდებოდა, მაშინვე მოქონდათ.

**ლევანი**: არაფერს არ აგდებს. ისეთ ნივთზე მეტყვის ხოლმე, არ გადააგდოო, რომ, ვერ გამიგია, იმ ნივთისგან რა შეიძლება გამოვიდეს. რომ მეუბნება, აქეთ დაჯექიო, მეშინია, ჩემგანაც რამე არ გააკეთოს. სხვათა შორის, რამდენიმე ხნის წინ, აქვე, პატარა საოჯახო სასტუმრო გავაკეთე. ინტერნეტით მაქვს კავშირები, რუსეთიდან მქონდა შემოთავაზება, ვილაცეები დაინტერესდნენ და ინტერნეტით მოდის ჯავშნები, კომუნიკაცია, ყველაფერს ინტერნეტით ვაკონტროლებთ. რაც მთავარია, მთელი დეკორაცია მატილდამ გააკეთა. ძალიან მოსწონთ სტუმრებს, ფოტოებს უღებენ მატილდას ნივთებს, აღნიშნავენ, რომ ფრანგული დეკორაციაა.

**მატილდა**: ყველა ოთახი სხვადასხვა სტილშია: მუყაოს ავეჯიც დგას, ხისგან გავაკეთე ბევრი რამ, სარკეები ჩემი გაკეთებულია, ძალიან ორიგინალურია. სულ სხვა სამყაროა, მართლაც საფრანგეთში გეგონებათ თავი.

**ნათია უტიაშვილი**

**„ატელიე კიკალა“ დაახლოებით ერთი წლის არის, თუმცა, ახალბედა ბრენდმა ამ ერთი წლის განმავლობაში არაერთ წარმატებას მიაღწია და საკმაოდ პოპულარული და მოთხოვნადი გახდა. ამ ბრენდის სამოსით თვით მილა იოვოვიჩი, ელენა პერმინოვა, მირასლავა დუმა და ქეთა თოფურია პოზირებდნენ კამერების წინ. ცოტა ხნის წინ „ატელიე კიკალა“ პარიზში, „ტრანოის შოუ-რუმში“ მონაწილეობდა. ქართულმა ბრენდმა იქაც შეძლო ყურადღების მიქცევა და ბაერების მხრიდან შეკვეთების აღება.**

# რა გამონაკლისი დაუშვეს „ტრანოის შოუ-რუმზე” „ატელიე კიკალასთვის“ და როგორ გადაიღო მამუკა კიკალიშვილმა პარიზში „ელ ოფისიელისთვის“ ფრანგი მოდელები

**მამუკა კიკალიშვილი**: ცოტა ხნის წინ „ატელიე კიკალა“ იმყოფებოდა პარიზში „ტრანოიზე“, რომელიც არის ყველაზე პრესტიჟული და დიდი „შოუ-რუმი“. ის განთავსებულია პარიზის ოთხ ყველაზე პრესტიჟულ ადგილას. ჩვენ „შოუ-რუმი“ გვქონდა ლუვრში, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიან ჟურნალისტები, ბლოგერები, ბაერები, რომლებიც დიზაინერებთან ამყარებენ კონტაქტებს, წერენ მათ შესახებ და ასე შემდეგ. „ტრანოიზე“ ყველამ აღნიშნა: დაუჯერებელია, რომ ერთი წლის ბრენდს, ასეთი პატარა გამოცდილებით, მისცეს „ტრანოის შოუ-რუმზე“ დაშვების უფლებაო, რადგან, სანამ ამ „შოუ-რუმზე“ მოხვდები, მანამდე დამწყები დიზაინერებისთვის აკეთებენ „შოუ-რუმს“ – “ახალი ტალანტები”. რამდენიმე სეზონის განმავლობაში გაკვირდებიან, რამდენად წარმატებული ხარ და ამის მიხედვით გიშვებენ შემდეგ „ტრანოის შოუ-რუმზე“.

**– თქვენ როგორ აღმოჩნდით პირდაპირ ამ „შოუ-რუმზე“?**

– ლონდონში არის ქართული ბრენდი – „ეშვი“. მათმა მფლობელმა „ტრანოის“ უთხრა ჩვენ შესახებ. შემდეგ ისინი დაგვიკავშირდნენ, ჩვენ გავუგზავნეთ ახალი კოლექციის ფოტოები, აღფრთოვანებულები დარჩნენ კოლექციით და მოგვცეს „შოუ-რუმში“ მონაწილეობის უფლება. ასეთი გამონაკლისები, პრაქტიკულად, არ ხდება, რადგან, იქ მოხვედრის მსურველთა რიცხვი ძალიან დიდია, მიუხედავად იმისა, რომ იაფიც არ ღირს. პარიზი რომ უდიდესი შესაძლებლობების ქალაქია, ამაზე, ალბათ, საუბარი არც არის საჭირო.

**– და, თქვენც, პირდაპირ პარიზიდან დაიწყეთ.**

– ეს ყველამ აღნიშნა. თუ ვინმემ პარიზამდე მიაღწია, მანამდე ხან კიევში ატარებდნენ რამდენიმე სეზონის განმავლობაში ჩვენებას, ხან მოსკოვში, ყაზახეთში ან ბაქოში. ათეული

**ასეთი გამონაკლისები, პრაქტიკულად, არ ხდება, რადგან, იქ მოხვედრის მსურველთა რიცხვი ძალიან დიდია, მიუხედავად იმისა, რომ იაფიც არ ღირს**

წლების განმავლობაში ატარებენ ჩვენებებს და, ისიც, ან მოხვდნენ პარიზში, ან – არა. ჩვენ კი პირდაპირ პარიზი ამოვიღეთ მიზანში და იქიდან დავიწყეთ კიდეც. ამ ბრენდს რომ არ ჰყავდეს ლადო ბოკუჩავასნაირი ნიჭიერი, კრეატიული დირექტორი, ნამდვილად არ ვიფიქრებდი ამ ყველაფერზე. ძალიან ნიჭიერია, მისი წყალობით მივაღწიეთ ამ წარმატებას; ნიჭიერი დიზაინერები კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ არიან, ეს იშვიათობაა. ალბათ, ჩემი დამსახურებაა, რომ ლადოსნაირი ნიჭიერი ადამიანი აღმოვაჩინე, ვიპოვე და დავიწყე ამ ინვესტიციის გაკეთება. დავაფუძნეთ ბრენდი, დავსახეთ სტრატეგია, რომ ჩვენი კოლექცია აუცილებლად უნდა იყოს გამორჩეული, ორიგინალური, კრეატიული, ცოტა ავანგარდული; აუცილებლად ისეთიც, ქალი, რომ ნახავს, თქვას: „ამას როგორ ჩავიცვამ!”, მაგრამ, ამავდროულად, კოლექციაში უნდა იყოს ისეთი სამოსი, რომელზეც იტყვის: „უი, ამას აუცილებლად ჩავიცვამ!” ანუ, ჩვენს კოლექციაში არის ისეთი სამოსიც, რომელიც, შეიძლება, ქალმა ქუჩაში ვერ ჩაიცვას, ვერ გარისკოს, მაგრამ, ასეთს ცნობილი ადამიანი აუცილებლად ჩაიცვამს, ისევე, როგორც მილა იოვოვიჩმა ჩაიცვა, მირასლავა დუმამ, ლენა პერმინოვამ, უამრავმა ცნობილმა მოდელმა და ტელეწამყვანმა. ქეთა თოფურიამ მოსკოვში მაღაზიაში იყიდა ჩვენი რაღაცეები, ჩვენ კი ქვედაბოლო გავუგზავნეთ საჩუქრად და, ორ-სამ დღეში, ვხედავ, რომ „ურგანტის შოუში”, რომელსაც 140 მილიონი მაყურებელი ჰყავს, ქეთას ჩვენი ქვედაბოლო ეცვა. საიდან არ მირეკავდნენ ახლობლები და მეკითხებოდნენ, ქეთას თქვენი ქვედაბოლო აცვიაო? „ინსტაგრამზე“ რომ დაიდო ეს ფოტო, უამრავი „ლაიქი“ ჰქონდა... წერილები მოგვდიოდა: ზუსტად ისეთი ქვედაბოლო გვინდა, როგორიც ქეთას ეცვაო.



**ორ-სამ დღეში ვხედავ, რომ „ურგანტის შოუში“, რომელსაც 140 მილიონი მაყურებელი ჰყავს, ქეთას ეცვა ჩვენი ქვედაბოლო. საიდან არ მირეკავდნენ ახლობლები და მეკითხებოდნენ: ქეთას თქვენი ქვედაბოლო აცვიაო?**

**– რას ითვალისწინებდით ახალი კოლექციის შექმნისას, რომელმაც პარიზში ასეთი დიდი მოწონება დაიმსახურა?**

**ლადო ბოკუჩავა** ***(დიზაინერი):*** ჩვენ ვცდილობთ, გავაკეთოთ ისეთი ტანსაცმელი, რომელსაც ქუჩაში გამოსასვლელადაც ჩაიცვამ და საღამოს, ჩაიცვამ ქუსლიან ფეხსაცმელზეც, ანუ, ყველანაირად უნდა შეძლო მისი გამოყენება. ჩვენი კოლექციები კონცეფციით კეთდება, ამიტომ, მას აზრიც აქვს, თემასთან ერთად და ფორმაც. რაც მთავარია, ხელით კეთდება და ეს ყველაფერი ერთად ქმნის იმას, რომ კოლექცია აბსოლუტურად განსხვავებული და აქტუალურია. როდესაც თემაზე შენი ტვინით მუშაობ, ფიქრობ, რაღაცეებს ერთმანეთს უკავშირებ, მერე ვერავინ დაგაბრალებს – ეს იმისგან გაქვს აღებულიო. შესაბამისად, რადგან სხვებისგან განსხვავებული იყო, ამიტომ უფრო მეტად მოეწონათ.

**– როგორ ჩაიარა „შოუ-რუმმა“?**

**მამუკა**: ის, რომ პირდაპირ პარიზიდან დავიწყეთ, უკვე დიდი წარმატება იყო, თან, პირდაპირ პროფესიონალურ „შოუ-რუმში“ მოვხვდით. მაგრამ, ამ ყველაფრის მიუხედავად, ყველა გვეუბნებოდა: პირველი „ტრანოი“ წარუმატებელია, რადგან, ახალ ბრენდს არავინ იცნობს, ამიტომ, პირველი სეზონის მონაწილეს ჯერ აკვირდებიან, აინტერესებთ, გამოვა თუ არა კიდევ შემდეგ სეზონზე, შემდეგზე და, დაახლოებით სამი-ოთხი სეზონის შემდეგ დაიწყებენ შეკვეთების გაკეთებასო. მოკლედ, ასეთ პესიმისტურ ნოტზე წავედით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ ვიყავით „ტრანოიზე“ წასულები, ჩვენ მყიდველი უკვე გვყავდა, კომერციულ წარმატებას მივაღწიეთ, ანუ, მანამადე ეს წამგებიანი ბიზნესი არ ყოფილა. ამიტომ, „ტრანოის“ პესიმისტური ნოტი, რომელიც კომერციას ეხებოდა, ძირითადად, ჩვენშიც იყო, მაგრამ, ვფიქრობდით: იქნებ, ისინი, ვინც ამას გვეუბნებიან, თვითონ არიან წარუმატებლები; იქნებ, მათი არ მოსწონდათ და ჩვენი მოეწონოთო... წლევანდელი „ტრანოი“ კიდევ იმ კუთხით იყო ცუდი, რომ დაემთხვა „პარიზის ფეშენ-ვიქს“ და ჟურნალისტები, ბლოგერები, ბაერები მოდის კვირეულზე იყვნენ გადართულები. ასე რომ, ზოგადი ფონი საკმაოდ ცუდი იყო ამ თვალსაზრისით. მაგრამ, მიუხედავად ყველა გარემოებისა, პრობლემებისა, ჩვენ მაინც საკმაოდ კარგი და წარმატებული კონტრაქტები გავაფორმეთ ბაერებთან, რაც შემდეგი ექვსი თვის განმავლობაში გარანტირებულ შეკვეთებს გვაძლევს, ანუ, შემდეგ „ტრანოიმდე“ – სექტემბერში, ისევ უნდა წავიდეთ. მიუხედავად ყველაფრისა, საკმაოდ ცნობილი ბაერები მოვიდნენ ჩვენთან და ეს იქ სხვებმაც აღნიშნეს. მაგალითად, შანხაიდან უდიდესი ქსელის მეპატრონე იყო მოსული, „შოუ-რუმის“ დახურვას წუთები აკლდა, რომ შემოცვივდნენ. უნდა გენახა, რა სცენა იყო: მეპატრონე ქალი იყო, როგორც მერე გავიგეთ, ყოფილი მოდელი ყოფილა. მან საკიდებიდან ყველაფერი ჩამოხსნა და სათითაოდ ისეთი სისწრაფით იზომავდა, რომ მე და ლადო გაკვირვებულები ვუყურებდით. რაც მოსწონდა, იმას მარცხნივ დებდა, რაც არ მოსწონდა – მარჯვნივ. თითქმის 70-90 პროცენტი მარცხნივ გადადო. ზოგიერთი რამ ადგილზეც გაიყიდა. მიმაჩნია, რომ, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, საკმაოდ წარმატებული იყო ჩვენი პარიზში გამგზავრება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „ტრანოი“ ყველა მონაწილე დიზაინერს სთავაზობს ინტერნეტ-პორტალს – betosee.com, სადაც, ის ბაერები, რომლებიც ვერ მოხვდნენ ან ვერ მოვიდნენ „შოურუმზე“, იქიდან შეგიკვეთენ. რაც მთავარია, ამ საიტის სარეკლამო რგოლში გადაიღეს ჩვენი მოდელები, რაც ჩვენთვის ძალიან დიდი წარმატება იყო. გარდა იმისა, რომ „შოუ-რუმში“ ვმონაწილეობდით, პარიზში გვქონდა ფოტოსესია – ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი იყო. გაგიგიათ ქართველი ფოტოგრაფი ან სტუდია, რომელსაც პარიზში ევროპული ჟურნალისთვის ფოტოსესია ჩაეტარებინოს?! ესეც პირველად მოხდა საქართველოში, როგორც ის, რომ, ისეთი ცნობილი ჟურნალების ყდებისთვის, როგორიც არის „ვოგი“, „ელ ოფისიელი“, „ბუტიკი,“ ქართველი ფოტოგრაფი იღებს ფოტოებს, თან – ქართველ მოდელებს.

**– სად გქონდა გადაღებები?**

– ძალიან კარგ და საინტერესო ადგილას: სასწაული ლოკაციები იყო, ეგზოტიკური, ორიგინალური. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოდელები პარიზულმა სააგენტომ გამოგვიგზავნა, აბსოლუტურად უფასოდ – მინდა, კა-

**(გაგრძელება 74-ე გვერდზე)**

**ბონსაი ოთახის პირობებში გაზრდილი პატარა ზომის მცენარეა. მიუხედავად იმისა, რომ პატარაა, ამავე სახეობის დიდი მცენარის ზუსტი ასლია. მისი კულტურა პირველად ჩინეთში ჩაისახა და შემდეგ იაპონიაში განვითარდა, სადაც მისი რამდენიმე სახე გამოიყვანეს. არსებობს სწორი ბონსაი, დახრილი და ასე შემდეგ. მისი ისტორია იაპონიაში დაახლოებით კამაკურას პერიოდში, ანუ 1192 – 1333 წლებში იწყება. ბონსაის მნიშვნელობასა და გამოყენებაზე მრავლად არის ისტორიული და ლიტერატურული ცნობები შემონახული.**

**ბონსაის გამოზრდა ძალიან რთული პროცესია. მცენარეს უნდა შეუქმნათ განსაკუთრებული პირობები, რომ არ გაიზარდოს. ზრდას განსაკუთრებით ანელებს ულტრაიისფერი სხივები და ძლიერი ქარი. ასევე, საჭიროა მისი გადაჭრა, შეკვრა და ასე შემდეგ, რომ ფორმა მიიღოს.**

**ბონსაის ხეები მძიმე შრომის ნაყოფია. ბონსაის ყველა მოყვარულს ესმის ეს და ამიტომაცაა, რომ ეს პატარა ხე მათში გასაოცარ აღფრთოვანებას იწვევს.**

**თბილისში, მიცკევიჩის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთი კორპუსის სახურავზე, კოლექციონერ ალექსანდრე მესხს ბონსაის ნამდვილი ბაღი აქვს. იქ ხვდები, რომ ბუნების სილამაზეს და ადამიანის ფანტაზიას საზღვარი არ აქვს. ბატონი ალექსანდრე, პროფესიით მშენებელია, თუმცა, ყოველდღე ამ აივანზე საათობით რჩება და ტკბება იმ სანახაობით, წლების განმავლობაში რომ შექმნა.**

# რატომ უნდა გქონდეთ სახლში ბონსაი და რა ენერგიით მუხტავს ის ადამიანს

**ალექსანდრე მესხი**: ბონსაი ოთახის პირობებში გამოზრდილი მომცრო ზომის ხე ან სხვა მცენარეა, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ბუნებრივ პირობებში არსებული ხის მთელი სილამაზე. ბონსაი სიტყვასიტყვით ნიშნავს „ლანგარზე გაზრდილს". ბონსაი იმით განსხვავდება ჩვეულებრივი ქოთნის მცენარეებისგან, რომ თუ ქოთნის მცენარისთვის უმნიშვნელოვანესი ყვავილები ან ფოთლებია, ბონსაის შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ხის ყველა ნაწილის პროპორციის შენარჩუნებაზე ზრუნავენ. ბონსაი ხშირად 30 სანტიმეტრი სიმაღლისაა, მაგრამ მთებში გაზრდილი მაღალი, დატოტვილი ხის ზუსტი ასლია.

**– თავად, რატომ დაინტერესდით ჯუჯა ხეებით და რამდენი ბონსაი გაქვთ გამოყვანილი?**

– სრულიად შემთხვევით მოხდა ეს და დღესაც გრძელდება. ბავშვობაში, ტელევიზიით ვნახე გადაცემა ბონსაიზე და იმდენად მომეწონა, გონებაში ჩამრჩა მისი სილამაზე, რომ წამოვიზარდე, გადავწყვიტე, თავად შემექმნა. ბევრი ვიწვალე, რომ ამ ხეებზე ინფორმაცია მომეპოვებინა, მაგრამ ვერსად, ვერაფერი ვნახე. ბიბლიოთეკაში კი წავაწყდი ერთ წიგნს, მაგრამ ძალიან მწირი ინფორმაციით, რაც ეს ვერ გამომადგებოდა. ერთ დღესაც, 1989 წელს წავაწყდი წიგნს, სადაც დაწვრილებითი ინფორმაცია იყო ბონსაიზე. მაგრამ, პრაქტიკის გარეშე, ძნელია მისი გამოყვანა და მოვლა. მინდა, კლუბი გავაკეთო და ბონსაის ყველა მოყვარული გავაწევრიანო, გამოფენები მოვაწყო და ხალხმა ნახოს ეს სილამაზე. სულ პირველად სამი თუთა გამოვიყვანე, თესლი ჩავაგდე, ამოვიდა და დღესაც, 24 წლის ასაკში, ამ სახურავზე დგას და ისხამს ნაყოფს. ვხუმრობ ხოლმე, ესენი ჩემი შვილები არიან, მრავალშვილიანი მამა ვარ-მეთქი *(იცინის)*. დაახლოებით, 25 სრულწლოვანი ბონსაი მაქვს, დანარჩენი კი გაზრდის პროცესშია. ათი წელი დამჭირდა, რომ მივმხვდარიყავი, როგორ მომევლო და გამომეყვანა ბონსაი. მთავარი ფორმაა და მისი მიცემა არც ისე რთულია. რთულია მისი კლიმატის სწორად შერჩევა და უბრალოდ, სწორად გაზრდა. სხვათა შორის, ბონსაის სამშობლოდ ჩინეთი მიიჩნევა. სამარხის გათხრის დროს, აღმოაჩინეს მერვე საუკუნის პრინცის საფლავის კედელზე გამოსახული მსახური, რომელსაც ხელში ქვაზე გაზრდილი ბონსაი უჭირავს. ეს ისტორიულად დადასტურებული ფაქტია, რომ პირველი ნახატი ბონსაის ამ სამარხში აღმოაჩინეს. უამრავი ვერსია არსებობს ბონსაის წარმოშობის შესახებ, თუმცა რომელია სწორი, რთული საკითხია.

**– პირად საუბარში მითხარით, ბონსაის გამოზრდა რთული არ არის, მთავარია, ადამიანმა მოინდომოსო. ამბობენ, ბონსაის ოჯახში ბედნიერება შემოაქვს, თუმცა, ალბათ, ხის ჯიშსაც გააჩნია?**



– ბედნიერება მოაქვს თუ არა ვერ გეტყვით, თუმცა იაპონიაში მსგავსი დატვირთვა მცენარეებს აქვს. იმასაც ამბობენ, ქოთანში, მიწაში ჩარგული ბონსაი სახლში, ადამიანის მიწასთან კავშირს ნიშნავსო. ეს ფილოსოფიად მიმაჩნია და ჩემი აზრით, მას დადებითი ენერგეტიკა ნამდვილად გააჩნია და, უფრო დეკორატიული დანიშნულება აქვს. თუმცა, ის რომ ხეებთან კონტაქტის დროს ადამიანი ენერგიით იმუხტება და მცენარეები ჰაერს წმენდს, ეს ფაქტია. აი, თუნდაც ერთი მიზეზი, რატომაც უნდა გქონდეთ სახლში ბონსაი *(იცინის)*. ბონსაის გამოზრდა იოლი არ არის. ჯერ ერთი, უნდა შეირჩეს ისეთი მცენარე, რომელსაც ბონსაიდ გახდომის თანდაყოლილი მონაცემები აქვს. მეორეც, უნდა გამოითვალოს მზისა და სინათლის საჭირო ნაკადი, წყლის რაოდენობა და ხარისხი, სასუქები და შესაფერისი ნიადაგი. მესამე, თვალყური უნდა ადევნო, რომ ხემ ფორმა შეინარჩუნოს, კერძოდ, უნდა გადაჭრა, გადარგო, ცალკეული ტოტები მავთულით შეუკრა და ასე შემდეგ. საბოლოოდ კი, იზრდება პროპორციული, მაგრამ მინიატურული ხე. ბონსაის გამოზრდა საკმაოდ ნატიფი და შრომატევადი საქმეა. მაგალითად, ავიღოთ ჩვეულებრივი ვაშლის ხე, რომელსაც ჩვენთან „გოლდენს" ეძახიან – 14 წლის წინ, ვიყიდე პატარა ნერგი და დავიწყე მისი ფორმირება. 4-5 წელია, ყვავის და ისხამს საკმაოდ ბევრ ვაშლს. მაგალითად, შარშან, ამ პატარა ხემ 4 კილო ვაშლი მოისხა. სიმაღლეში 55 სანტიმეტრია და გაზაფხულზე, განსაკუთრებით ლამაზია მისი ყვავილობა. ეს სახურავი ჩემთვის ძალიან საყვარელი ადგილია. შემიძლია, აქ მთელი 6-7 საათი დავყო და ისე გავიდეს დრო, ვერც კი გავიგო. როცა ცუდ ხასიათზე ვარ, აქ ამოსვლას ვერიდები, რომ მათ არ „შემამჩნიონ". ბონსაი ცოცხალი, სულიერია და მას სათუთი მოპყრობა სჭირდება. ბონსაის ასაკს არ აქვს მნიშვნელობა, მის ფორმას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მთავარია, როგორ გამოიყურება ხე. ორი შემთხვევა მქონდა, როცა ბონსაი მომიკვდა და ის საშინელი განცდა, ახლაც მახსოვს. ერთი არასწორი მოვლის ბრალი იყო, მეორე კი ქარმა გადმომიგდო.



როცა ცუდ ხასიათზე ვარ, ბონსაისთან კონტაქტს ვერიდები

## 300 წლის იაპონური თეთრი ფიჭვის ბონსაი აუქციონზე მილიონ სამასი ათას დოლარად გაიყიდა



**– ბონსაი არ გაგიყიდიათ?**

– ბონსაი ცოცხალი ბუნების იმიტაციაა და როცა მას წლებია, თავად ქმნი, მერე ამ ქმნილების გაყიდვა რთულია. მე არ გამიყიდია, თუმცა აუქციონზე, ბონსაიმ რეკორდი დაამყარა – 300 წლის იაპონური თეთრი ფიჭვი, მილიონ სამასი ათას დოლარად გაიყიდა. ეს კოლექცია ჩემთვის შეუფასებელია. რა ვქნა, შვილებივით ვზრდი და მათი გაყიდვის სურვილი არ მაქვს. ეს საქმე სიამოვნებას მანიჭებს და ყოველდღიურად ენერგიით მავსებს.

**ნონა დათეშიძე**

# ინტიმური საუბრები

## მშობლებზე ნაწყენი ვარ

ძალიან დიდი ხანია, გულნატკენი ვარ მშობლებისგან. ხშირად წყენისგან ღამეებს ტირილში ვათენებ. დიდხანს ვიფიქრე, მომეწერა თუ არა თქვენთვის ამის შესახებ, ბოლოს კი მაინც გადავწყვიტე და, აი, გწერთ ჩემი სატკივარის შესახებ.

მყავს ტყუპისცალი ძმა. ჩვენ ორის მეტი ჩვენს მშობლებს შვილები არ ჰყავთ. ვართ 16 წლის, გაისად სკოლას ვამთავრებთ. რა თქმა უნდა, ერთ კლასში ვსწავლობთ. მე პირველი კლასიდან ფრიადოსანი ვიყავი, გოგიტა მერვე კლასამდე კარგად სწავლობდა, მერე კი აურია – საერთოდ აღარ მეცადინეობდა. ამიტომ, მშობლებმა გადაწყვიტეს, მისთვის ყველა საგანში რეპეტიტორი აეყვანათ, თუმცა, დიდად არ დასტყობია. დედაჩემმა მიზნად დაისახა, გოგიტა ინგლისში ან ამერიკაში გაუშვას სასწავლებლად, ამიტომ, ინგლისურში მეორე მასწავლებელიც აუყვანა (ერთი მასწავლებელი პირველი კლასიდან ჰყავდა); მე კი არც ერთ საგანში არ მყავს რეპეტიტორი, რადგან, როგორც ჩემი მშობლები ამბობენ, მე ისედაც კარგად ვსწავლობ და ფული ტყუილად რატომ უნდა გადაყარონ; გოგიტა კი ძალიან ნიჭიერია, მაგრამ, თავისებური (ეს სიტყვა ყოველთვის მაღიზიანებდა, რადგან, ამით ჩემი ძმის უსაქმურობასა და უდარდელობას ნიღბავდნენ) და, ამიტომ, აუცილებლად სჭირდება ხელის წაშველება და წახალისებაო. „ხელის წაშველება“ რეპეტიტორების აყვანას ნიშნავდა, „წახალისება“ კი – მისი ყველა სურვილისა და მოთხოვნის უსიტყვოდ შესრულებას, დაწყებული კვირაში ერთხელ ახალი ტანსაცმლის ყიდვით, დამთავრებული ყოველდღე ჯიბის ფულის მიცემით, რაც 20 ლარზე ნაკლები არასდროს იყო. მე კი წლიდან წლამდე ერთი და იგივე ტანსაცმელი მაცვია და სკოლაში ან სადმე სხვაგან რომ მივდივარ, გზის ფულს ხურდებით მაძლევენ, რომ ზედმეტი ათი თეთრი არ გადმოჰყვეთ. ეგ კი არა, ბავშვობიდან ვეხვეწები, მეც მატარონ ინგლისურის მასწავლებელთან, მაგრამ, სულ იმას მეუბნებიან, ამდენის საშუალება არ გვაქვს, შენ თვითონ იმეცადინეო. თვითონ კი ვმეცადინეობ, მაგრამ, მეც ამათი შვილი არ ვარ? ასე რატომ გვასხვავებენ ერთმანეთისგან?! დაფიცების დროსაც, შვილებს კი არ იფიცებენ, „გოგიტას გეფიცებიო“, – ამბობენ. ყველაფერი იმისთვის ემეტებათ, მე კი მარტო იმას მეუბნებიან, შენ ხარ ჩვენი პატრონი, შენ უნდა მოგვიარო სიბერეშიო.

საერთოდ, მშობლების ქონებაზე არასდროს მიფიქრია – არ ვარ ჯერ იმ ასაკში, ეს საკითხი მაღელვებდეს, მაგრამ, ამას წინათ ისეთი რამე გავიგე, რამაც ძალიან მატკინა გული. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მე და გოგიტამ ვიჩხუბეთ: ჩემს ოთახში ვიყავი და ვმეცადინეობდი, ის კი შემოვიდა, თავისი მუსიკები ჩართო და ხმაური ატეხა. მე ნერვები ამეშალა და ვუთხარი, ახლავე გადი ჩემი ოთახიდან, შენს ოთახში რამდენიც გინდა, იმდენი აღრიალე ეგ შენი მაგნიტოფონი-მეთქი. ის კი მომიბრუნდა და მითხრა: შენი ოთახი არ არსებობს, გუშინ მთელი ბინა მე გადმომიფორმეს და, ჭკვიანად იყავი, თორემ, იქით გაგაგდებო. ზუსტად ვიცი, რომ არავინ არსად არ გამაგდებს, მაგრამ, რატომ დამიმალეს ასეთი რამ? ასე რომ ასხვავებენ შვილებს, იმის მაინც არ ეშინიათ, რომ, შეიძლება, ტყუპ და-ძმას შორის ურთიერთობა დაიძაბოს და მტრობაშიც კი გადაიზარდოს?! სხვა თუ არაფერი, ხომ შეიძლება, უბინაო ბიჭს გავყვე ცოლად, მაშინ რა უნდა ვქნა, მე ქირით ვიცხოვრო, ჩემმა ძმამ კი ხუთოთახიან ბინაში იჭენაოს? სადაური სამართალია? და, ამ ყველაფრის შემდეგ, უფლება აქვთ, თქვან, კარგი მშობლები ვართო? როგორ შეიძლება შვილების განსხვავება? ტყუპები რომ არ ვიყოთ, ვიფიქრებდი, რომ მე ნაპოვნი ან აყვანილი შვილი ვარ, მაგრამ, ასეც რომ იყოს, თუკი აიღეს პასუხისმგებლობა და მიშვილეს, ასე უნდა მომექცნენ?!

**ანანო, 16 წლის.**





**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ნინო ვარსიმაშვილი – ნათელმხილველი, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

## როგორ დავამარცხოთ ბოროტი ძალა, გავიხსნათ ბედი და მოვიზიდოთ ბარაქა

*მკითხველის დიდი ინტერესის გათვალისწინებით, გთავაზობთ ინტერვიუს **ნინო ვარსიმაშვილთან**, რომელიც დღეს თბილისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნათელმხილველია. სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ქალბატონი ნინო ნათელხილვის ფენომენალური უნარითაა დაჯილდოებული. ვინ მოთვლის, ამ წლების განმავლობაში, რამდენი გაქცეული ქმარი დაუბრუნა ცოლს, რამდენ იმედგადაწურულ ახალგაზრდას დაეხმარა ოჯახის შექმნაში, ბედის გახსნასა და ფინანსური კრიზისის მოგვარებაში. მადლიერი ბევრი ჰყავს, რადგან მომავლის განჭვრეტასა და ბოროტი ძალების განეიტრალებაში მართლაც არ ჰყავს ბადალი. ამაში თავადაც დარწმუნდებით, თუ მას თქვენი პრობლემების მოგვარებას მიანდობთ.*

**– ქალბატონო ნინო, თქვენ შესახებ თბილისში ბევრ საინტერესო ისტორიას ყვებიან, მათ შორის იმის შესახებაც, თუ როგორ აღმოგაჩნდათ ნათელხილვის ნიჭი.**

– ეს ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში ოცდაათი წლის წინ დაიწყო – მაშინ ერთი პატარა პროვინციული ქალაქის სახალხო თეატრში ვმუშაობდი. ერთ დღეს ძალიან ცუდად გავხდი. აღმოვჩნდი რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში, თავის ტვინის ძალიან მძიმე დაავადებით. თვე-ნახევარი საწოლს ვიყავი მიჯაჭვული. გამიკეთდა ქირურგიული ოპერაცია, რომელიც უფლის წყალობით წარმატებით დასრულდა. მდგომარეობიდან რომ გამოვედი, სულ სხვა პიროვნება ვიყავი. წინასწარ ვხედავდი, რა ელოდათ ჩემს ახლობლებს. ეს ამბავი ჩვენს პატარა ქალაქში ისე გახმაურდა, მალე მეზობელი რაიონებიდან დაიწყო ხალხმა ჩამოსვლა.

**– დღეს რას მოიცავს თქვენი ნათელხილვები?**

– ყველა იმ პრობლემას, რაც ადამიანებს აწუხებთ. ვმუშაობ ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე, ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე. ეს კი განსაკუთრებულად ეფექტურია იმ თილისმების მეშვეობით, რომელსაც 16 კომპონენტის შემადგენლობით ვამზადებ. გახსნის პროცედურის შემდეგ ადამიანის ბედი თავისუფალია კეთილი მომავლისთვის. ვაკეთებ თილისმებს ბარაქასა და წარმატებებზე. ჩემი მუშაობის სტილი განსხვავებულია – მეხმარება სპეციალური ლიტერატურა, რომელიც სოფელ კაბალში მცხოვრებმა 81 წლის მამაკაცმა გადმომცა თხოვნით, მისი გზა გამეგრძელებინა, რადგან ეს ხილვაში ჰქონდა ნანახი. რამდენიმე წლის წინ მომიწია წასვლა საბერძნეთსა და მოსკოვში. დღეს იქ მყოფ ჩემს კლიენტებთან მუშაობას სატელეფონო კონტაქტით ვახერხებ.

***ქალბატონ ნინო ვარსიმაშვილთან ყოველთვის ხალხმრავლობაა. ჩვენ რამდენიმე ადამიანს გავესაუბრეთ, რომელთაც საკუთარი ისტორიები გვიამბეს.***

**მადლენა მ-ია** ***(35 წლის, ბათუმი):*** ნინო ვარსიმაშვილი ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ვნახე. იმ პერიოდში დიდ ვალებში ვიყავი ჩავარდნილი – სახლის გაყიდვას ვფიქრობდი, მაგრამ არ გამომდიოდა. დავითარსე. ნინომ მითხრა: მაგ სახლს ძალიან მალე „გაგაყიდვინებო.” გამიკვირდა, კლიენტი არ მყავდა და სახლი როგორ უნდა გამაყიდინოს-მეთქი. ჩემს ბედად, სულ რამდენიმე დღეში მეზობელმა მაკლერმა ინვესტორი მომიყვანა. მან ჩემი სახლი ორჯერ ძვირად იყიდა, ვიდრე მე ვგეგმავდი. ეს კიდევ არაფერი, ახლა რასაც გეტყვით. დაუჯერებელი ამბავია – ორჯერ ვიყავი გათხოვილი, ორჯერვე ისე დამენგრა ოჯახი, შვილი არ მეყოლა. მახსოვს, ნინომ პირველივე ვიზიტზე მითხრა: რაღაც მშენებლობას ვხედავ, რომელთანაც შენი ბედია დაკავშირებული. მალე გათხოვდები და ტყუპებს გააჩენო. ჩემს ასაკში ტყუპების გაჩენა წარმოუდგენელი იყო, გათხოვებასაც აღარ ვფიქრობდი. ჩემდა გასაოცრად, მეგობარმა სამსახური შემომთავაზა ერთ-ერთ სამშენებლო ობიექტზე, სადაც ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი. ოთხ თვეში დავქორწინდით და ცხრა თვეში, ტყუპი ბიჭი გავაჩინე. ამის მეტი რა მოგიყვეთ. ერთს გეტყვით, რომ ნინო ვარსიმაშვილს აქვს ხილვები, რომელიც აუცილებლად სრულდება.

**მარინა, 40 წლის** ***(ქუთაისი):*** ერთ დღეს მოულოდნელად შეიცვალა ჩემი ცხოვრება – მეუღლემ ორი შვილით მიმატოვა და სხვა ქალთან გადავიდა საცხოვრებლად. საშინელი დეპრესია დამეწყო, ფიზიკურადაც ძალიან ცუდად ვიყავი. ქალბატონ ნინოსთან ახლობელმა მომასწავლა. მათ ოჯახს ფინანსური კრიზისის მოგვარებაში დაეხმარა. მაშინვე აქეთ გამოვეშურე. ქალბატონმა ნინომ მომცა სპეციალური თილისმები, რომელშიც სხვადასხვა საშუალება იყო ჩადებული. მალე ყველა პრობლემა მოგვარდა. ჩემი გაქცეული მეუღლეც დაბრუნდა სახლში, ბოდიშებით, როგორმე მაპატიეო. ეს არის ნინო ვარსიმაშვილის ფენომენალური უნარი!

**მერაბ ვ-შვილი** ***(65 წლის, გორი):*** ამ ქალბატონთან ჩემმა ცოლმა მომიყვანა. უჩემოდ იყო ჩამოსული და ასე უთქვამს, შენს ქმარზე საგვარეულო ჯადოა გადასული და ხელი იმიტომ არ გემართებათო. შემჭამა ჩემმა ცოლმა, სანამ აქ არ მომიყვანა – ერთი თვეა, დავდივარ. ვიცავ ყველაფერს, რაც ქალბატონმა ნინომ გვასწავლა და ჩვენი საქმეები წინ მიდის – ბიჭმა, რომელიც 40 წელს არის გადაცილებული ცოლი მოიყვანა. ამას ვენაცვალე, აი, ამას ჰქვია ნათელმხილველი!

**გსურთ, მოაგვაროთ თქვენი საქმიანი და პირადი პრობლემები? გსურთ, დაამარცხოთ ბოროტი ძალა, გაიხსნათ ჩაკეტილი ბედი და მოიზიდოთ ბარაქა? – ქალბატონ ნინოსთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონებზე: 5 99 003 006; 597 82 68 68 (ჩაწერა წინასწარ)**

**მისამართი: თბილისი, მეტრო „ავლაბართან”.**

**აპლოდისმენტები და სიყვარული ძალიან ადრეულ ასაკში ერგო. 12 წელია, სცენაზეა, და მსმენელს კვლავ აოცებს კლასიკური მუსიკის საოცარი შესრულებით. ირმა გიგანის „მუზები" მუსიკის ამოუწურავ სამყაროში, მას ისეთ ბედნიერებას და სიამოვნებას ანიჭებს, რისი გაგებაც ბევრისთვის, ალბათ, ძალიან რთულია. თავად ფიქრობს, რომ არაფრით არ არის განსხვავებული, თუმცა 17 წლის ნიჭიერი პიანისტის სამყაროში, ბევრი საინტერესო და იდუმალი რამ ხდება და ეს ცხადზე ცხადია.**

# რა ცდუნებებს უძლებს ირმა გიგანი და რაში აიყოლია მან ბიზნესმენი მამა

**ირმა გიგანი**: წელს აბიტურიენტი ვარ. შესაბამისად, უფრო მეტად დატვირთული რეჟიმით ვცხოვრობ. წინ ცხელი ზაფხული მელის. თუმცა აქტიური შემოქმედებითი პერიოდი მაქვს. სულ ახლახან მქონდა კონცერტი, რომელიც ჯანსულ კახიძის ხსოვნას მიეძღვნა. შევასრულე რახმანინოვის მეორე კონცერტი. პირველად მომეცა საშუალება, დამეკრა ბატონ ვატო კახიძესთან ერთად. მასთან მუშაობა იყო ძალიან საინტერესო ჩემთვის. ის ფანტასტიკური დირიჟორია. კონცერტზე სრული ანშლაგი იყო. ერთი კვირით ადრე გაიყიდა ყველა ბილეთი, მსურველთათვის სკამებიც კი ჩადგეს. ეს ძალიან მიხაროდა, რადგან მიყვარს, როცა კონცერტზე ბევრი ხალხია. შენს ქვეყანაში რომ უკრავ, განსხვავებული განცდა გაქვს. გრძნობ, რომ სახლში ხარ, თბილად. თუმცა, საბედნიეროდ, ყველგან, სადაც კი დამიკრავს, ძალიან დიდი სითბო მიმიღია მსმენელისგან. როცა უკრავ და მასში დიდ სიყვარულს დებ, ის აუცილებლად უკან გიბრუნდება.

**– უკვე 12 წელია, რაც სცენაზე ხარ. როცა უკრავ, ემოციები ისევ ისეთი მძაფრია, როგორც ადრე?**

– რა თქმა უნდა. არ არსებობს, ეს ემოციები ოდესმე გაცვდეს. პირიქით, ჩემთვის უფრო და უფრო ემოციური ხდება ეს პროცესი. ის, რაც საინტერესოა შენთვის, ძალიან გიყვარს და ეს გრძნობა უფრო და უფრო გიმძაფრდება. უსიყვარულოდ ვერც ერთ საქმეს ვერ გააკეთებ, მით უფრო, შემოქმედი ადამიანი. მე ყველა კონცერტის წინ ვღელავ, ისე როგორც ადრე ვღელავდი, მაგრამ, მომემატა პასუხისმგებლობა. ეს ერთგვარად, კარგიც კია. ღელვას სცენაზე ისე ვანაწილებ, რომ ეს მხოლოდ ემოციაში გადადის, რაც კონცერტს პირიქით უხდება კიდეც. მე დამიკრავს კონცერტზე, სადაც როიალი არ ყოფილა ისეთი სტანდარტის, როგორიც უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ესეც კი არ ქმნის დისკომფორტს – სცენაზე მარტო მუსიკაზე ვფიქრობ, სხვა არაფერი „მესმის".

**– ცნობილი ოჯახის შთამომავალი ხარ. ეს დაგეხმარა პროფესიულ წარმატებაში?**

– არ ვიცი, სხვა ოჯახში რომ დავბადებულიყავი, როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება. მაგრამ ის, რომ შემოქმედებითი ნიჭი მაქვს, რა თქმა უნდა, გენეტიკის წყალობაა. შესაძლოა, სხვა რამეში მქონოდა ეს ნიჭი, მაგრამ ეს სხვა რამ რა უნდა ყოფილიყო, ვერც კი წარმომიდგენია ***(იცინის).*** ჩემი ოჯახი, რა თქმა უნდა, დამეხმარა. შესაძლოა, მქონოდა ნიჭი, მაგრამ მისი განვითარება არ მომხდარიყო, ვერ წასულიყო სწორ გზაზე – რომელი მასტერკლასი უნდა გამევლო, რომელ პედაგოგთან უნდა მესწავლა. დედა ხუთი გასტროლიდან მიშვებდა ერთ გასტროლზე, რომ ჩემი პროფესიული განვითარება სწორად წარემართა, ექსპლუატაციას არ მიწევდა ***(იცინის).*** ძალიან გამიმართლა, რომ ჩემიანებისთვის ჩემი გაგება ძალიან იოლი იყო, მით უფრო, დედაჩემისთვის, რომელიც თვითონ არის ნიჭიერი. მე მათთვის გასაოცარს არაფერს ვაკეთებდი, ეს ყველაფერი მუსიკას ეხებოდა, ჩვენს ოჯახში კი, ეს არავისთვის იყო უცხო.

**– ერთადერთი, ამ სფეროსგან შორს, ალბათ, შენი ბიზნესმენი მამაა. მისი გენეტიკიდან რა „გამოგყვა".**



**მამა გადაირია, სულ არ მინდა თქვენი მუსიკა, ბავშვი ბანდეროლივით პილოტს არ გაატანოთო**

– როგორც დედა ამბობს, ხასიათით მამას ვგავარ – ჯიუტი ვარ და „ნაზად სვანი" ***(იცინის).*** ჩემს სწრაფ რეაქციებსაც სვანურ გენეტიკას აბრალებენ. სვანეთში სულ ერთხელ ვარ ნამყოფი, ძალიან ამაყი და საოცარი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი იქიდან. ჩვენი ოჯახის წყალობით, ისე მოხდა, რომ საბოლოო ჯამში, მამაჩემისგან ძალიან კარგი მსმენელი მივიღეთ. მამა ხუმრობს ხოლმე, 17 წელია, მეცოს მასმენინებთ, თან საუკეთესო ინტერპრეტაციითო ***(იცინის).*** მამა ისეა ჩართული კლასიკურ მუსიკაში, ხანდახან მეორე ოთახიდან გამოგვძახებს, ჩქარა გამოდით, ესა და ეს უკრავს, ან საინტერესო დოკუმენტური ფილმია პიანისტებზეო ***(იცინის).***

**– თუმცა შენი „მთავარი პროდიუსერის" როლს, დღემდე დედა ირგებს.**

– რა თქმა უნდა, დედა ყველა კონცერტზე ჩემ გვერდითაა. დარბაზში არ ჯდება. მიყვარს, როცა კულისებიდან მიყურებს, მისმენს. ეს ძალიან კარგ ემოციას მაძლევს.

**– თილისმაა შენი?**

**დედას კონცერტის დროს დარბაზში არ ვუშვებ, კულისებიდან სხვა ემოციას მატებს**

– ასე გამოდის. მე ვერ დავუკარგავ თავის დიდ წვლილს ჩემს წარმატებაში კომპოზიტორს, ბატონ ბორის თბილელს, რომელიც ჩემი პროდიუსერი არ ყოფილა, მაგრამ ძალიან ბევრი რამ გააკეთა ჩემთვის. მან შემთხვევით მოისმინა ჩემი შესრულებული შუმანის ჩანაწერი, როდესაც 5 წლის ვიყავი. ეს ჩანაწერი მიაწოდა მოსკოვის კონსერვატორიის პროფესურას, სადაც ძალიან გაუკვირდათ, რომ ეს ხუთი წლის ბავშვის ჩანაწერი იყო. იქიდან დაიწყო ყველაფერი. მთავარი ტექნიკური საკითხები მაინც დედაზე გადადის.

**– ის, რომ ასეთ პატარა ასაკში გახდი წარმატებული, ცხოვრების განსხვავებულ წესებს არ გიყალიბებს?**

– პირიქით, შეიძლება ითქვას, არსებულ წესებს სცდება. მუსიკა ჩემთვის სწრაფვაა თავისუფლებისკენ. ეს არის ის, რაც მაძლევს საშუალებას მივიღო დიდი თავისუფლება. არ ვფიქრობ, იმის გამო, რომ წარმატებული ვარ, ვინმესგან ბევრი რამით განვსხვავდები. არასდროსაა რთული, გაუძლო ასეთ „ცდუნებას". მე არასდროს მქონია „ვარსკვლავური შემოტევა" ***(იცინის).*** ძალიან მსიამოვნებს, როცა ქუჩაში მცნობენ და სიყვარულს გამოხატავენ, მაგრამ არც ეს მაფიქრებინებს, რომ განსაკუთრებული ვარ. პირიქით, უფრო მეტად მიჩნდება გრძნობა, უკეთესად დავუკრა. შეიძლება, მე არ მაქვს იმდენი თავისუფალი დრო, რაც ჩემს თანატოლებს და დღის განმავლობაში ბევრი რეპეტიცია მაქვს, მაგრამ ეს არაა ჩემთვის პრობლემა. მე ეს სამყარო ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ხანდახან, დიდი კონცერტის შემდეგ, როცა ძალიან დაღლილი ვარ, ვფიქრობ, რამდენიმე დღეს როიალს არ მივეკარები-მეთქი, მაგრამ მაქსიმუმ, მეშვიდე-მერვე დღეს, სადაც არ უნდა ვიყო, როიალის ძებნას ვიწყებ. ასეთ მონატრებულს სასტუმროს ფოიეშიც დამიკრავს ***(იცინის).*** ჩემი დატვირთული რეჟიმის მიუხედავად, დრო მეგობრებისთვის მრჩება. მიყვარს ოჯახში ყოფნა, დედ-მამასთან, ბებია-ბაბუასთან. მათგან ბევრ დადებით ენერგიას ვიღებ. ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ მათ თვისებებს შევიძენ, იღბლიანი ვარ, რომ ამ ოჯახში გავჩნდი და შემიძლია, ვუყურო ამ ადამიანებს. ამით ყველაზე მდიდარი ვარ. ყველა წარმატებული კონცერტის შემდეგ, ჩვენ, მთელი ოჯახი – დედა, მამა, ბებია, ბაბუა კონცერტის გარჩევას ვიწყებთ. ამ საქმეში სახლში ყველა „დირიჟორია". ბებია გემრიელ ნამცხვარს გვახვედრებს, ამ ტრადიციას არასდროს არღვევს ***(იცინის).***

ეს საქმე მაძლევს საშუალებას, ვნახო ბევრი ქვეყანა, ვიმოგზაურო. დედა ყოველთვის ჩემს გვერდითაა, სულ ერთხელ გამიშვა მარტო. ფიქრობს, რომ მოვიდა ასაკი, როცა შეიძლება, მარტო წავიდე უცხოეთში. მახსოვს, ძალიან პატარა ვიყავი, როცა საფრანგეთში მიმიწვიეს გასტროლზე. მამას უთხრეს, რომ აქ ჩამსვამდნენ თვითმფრინავში, გულზე დამაწერდნენ: „მე ვარ რვა წლის ირმა გიგანი" და საფრანგეთში, აეროპორტში დამხვდებოდნენ და ისინი იზრუნებდნენ ჩემზე. დედამ ვერ გაბედა ჩემი გაშვება, მამა საერთოდ გადაირია: სულ არ მინდა თქვენი მუსიკა, ბავშვი ბანდეროლივით პილოტს არ გაატანოთო ***(იცინის).***

**– როგორ წარმოგიდგენია შენი ცხოვრება 10-20 წლის შემდეგ?**

– არ ვიცი, ხასიათით, ალბათ, ასეთივე ვიქნები, მაინც ჩემი გაგება მექნება. საქმე, რომელსაც ვაკეთებ, იმდენად დიდია, მასთან შედარებით, მგონია, რომ მე უფრო და უფრო პატარა ვხდები. ეს უცნაური განცდაა. ვიცი, რომ წინ ბევრი საინტერესო კონცერტი მელის. სწორედ ამით არის ეს სამყარო საინტერესო და ულევი.

**თამუნა ნიჟარაძე**

**უკვე 10 წელია, ქართველი მომღერალი ქეთა თოფურია რუსულ შოუ-ბიზნესში წარმატებით მოღვაწეობს. ის „ა სტუდიოში" გამოჩენისთანავე მაყურებლისა და კოლეგების ყურადღების ცენტრში მოექცა. ქართველი მომღერალი არც რუსულ პრესას რჩება უყურადღებოდ. მასზე ბევრს წერენ და სხვადასხვა გადაცემაში რადიოსა თუ ტელევიზიაში დიდი სიამოვნებით იწვევენ. ქეთა ბავშვობიდან გამოირჩეოდა დახვეწილი გემოვნებით და მას უამრავი თინეიჯერი ბაძავდა. გავიდა წლები და მისი ჩაცმის სტული კვლავ აქტუალურია. არაერთხელ დაფიქსირებულა რეიტინგის სათავეში, სხვა ცნობილ სახეებთან ერთად. ჩვენი რესპონდენტი ქეთას დედა, ნატა თოფურია გახლავთ, რომელიც ასევე დიდი სიმპათიითა და სიყვარულით სარგებლობს როგორც ქართული, ასევე რუსული შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებში.**

# შეცვალა თუ არა ქეთა თოფურია გათხოვებამ და რას შეაჩვია მან დედა 10 წლის განმავლობაში

**– ქეთას გათხოვების შემდეგ, მარტო ცხოვრობთ მოსკოვში?**

– ქეთა და ლოვა ძირითადად ცალკე ცხოვრობენ, თუმცა ქეთა ხშირად მნახულობს. ამჟამად ლოვა 2 თვით შვეიცარიაშია წასული და ქეთა ჩემთან არის. ქეთაც მასთან ერთად იყო, მაგრამ მერე კონცერტების გამო ჩამოვიდა. მოკლედ, დადის აქეთ-იქით, რა ქნას. ასე რომ უყურადღებოდ არ ვარ, ყოველდღიური კონტაქტი გვაქვს.

**– ქეთასთვის დღემდე ძალიან კარგი მეგობარი ხართ. მიუხედავად იმისა, რომ ქეთას ხშირად ნახულობთ, ალბათ, მისი გათხოვების შემდეგ, მაინც ისე ახლოს ველარ ხართ ერთმანეთთან.**

– ქეთა ჯგუფთან ერთად, უკვე წლებია, კონცერტებს მართავს. ხშირად უწევთ მოსკოვიდან სხვადასხვა ქალაქსა და ქვეყანაში გადაფრენა. ასე რომ, ქეთას არყოფნას უკვე 10 წელია, შევეჩვიე. ჩემთვის ის მომენტი, რომ შვილი გათხოვების შემდეგ დავკარგე, ნამდვილად არ არსებობს. თან, როცა ქეთას სხვა ქალაქში აქვს კონცერტი, ლოვა მარტო არ მტოვებს და ხშირად მოდის ჩემ სანახავად.

**– ყველა სიძე კი არ არის სიდედრის მიმართ ასეთი ყურადღებიანი. ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ თქვენ ხართ კომფორტული და კარგი ადამიანი.**

– ლოვა ჩამოყალიბებული ადამიანია, ხასიათით ძალიან ჰგავს ქართველს. ალბათ ამან მოხიბლა ქეთაც. მე მასთან უფრო მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ქორწილამდეც, მთელი 3 წელი შეყვარებულები იყვნენ და ლოვასთან მეც მეგობრული ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. ამიტომ, ქეთას გათხოვება და წასვლა, ვერ ვიგრძენი. მართალია, ქორწილში ცოტა დაბნეული ვიყავი და რა ხდებოდა, ნახევარი არ მახსოვს. ალბათ იმიტომ, რომ მე არაფერი მეხებოდა, ყველაფერს ლოვა აგვარებდა. ქორწილამდე ერთი საათით ადრე მივედით მე და მისი მშობლები, სტუმრები რომ მიგვეღო. ნერვიულობით კი, ძალიან ვნერვიულობდი. თავიდან გვინდოდა, ქორწილი თბილისშიც გაკეთებულიყო, რაც არ გამოვიდა. ჩამოსვლით კი ყველა სტუმარი ვერ ჩამოვიდა, რადგან ვიზების საკითხი გართულებულია. ამის გამო, ჩემი მული ვერ ჩამოვიდა, რაზეც ძალიან დამწყდა გული. ალბათ, ბევრს დაწყდა გული, ისევე, როგორც ჩვენ. მაგრამ, ასე მოხდა. პრინციპში, ესენი ქორწილის გადახდას არც აპირებდნენ, მაგრამ შოუ-ბიზნესისთვის გაკეთდა და შოუ-ბიზნესმაც გაუკეთა თავის თავს.



**ქეთა გათხოვებამდე დასერიოზულდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ქორწინების შემდეგ სხვანაირად აზროვნებს და გაიზარდა. თუმცა, ოჯახმა ძალიან დაასერიოზულა-მეთქი, ვერ გეტყვი**

**– გათხოვების შემდეგ თუ დასერიოზულდა ქეთა?**

– ქეთა ქორწინებამდე დასერიოზულდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ოჯახის შექმნის შემდეგ სხვანაირად აზროვნებს და გაიზარდა. თუმცა, ამან ძალიან დაასერიოზულა-მეთქი, ვერ გეტყვი. ალბათ ტიპაჟია ასეთი და ყოველთვის ასე იქნება. თუმცა, რომ გაიზარდა, ამას ყველა ამჩნევს. პრინციპში, როცა ერთი ქალი ხარ და გასრტოლები და

**როცა ერთი ქალი ხარ და გასრტოლები და კონცერტები 7 მამაკაცთან ერთად გაქვს, ძალაუნებურად, მათ შეხედულებებს ეჩვევი. მით უმეტეს, არც ერთი არ არის პატარა ბიჭი – გინდა არ გინდა, გაიზრდები**

კონცერტები 7 მამაკაცთან ერთად გაქვს, ძალაუნებურად, მათ შეხედულებებს ეჩვევი. მით უმეტეს, არც ერთი არაა პატარა ბიჭი – გინდა, არ გინდა გაიზრდები. თუმცა, ქეთა ცდილობს, რომ თავისი ახალგაზრდული შემართება არ დაკარგოს.

**– რა სიხშირით აქვს ქეთას კონცერტები?**

– კონცერტი თითქმის ყოველდღე აქვთ. გადაღებებიც ასევე ძალიან ხშირად. კონცერტი ჰქონდათ გუშინ და დღესაც 2 კორპორატიული კონცერტი აქვთ და ასე შემდეგ.

**– ალბათ, ორმაგად სასიამოვნოა, როცა ასეთ პოპულარობას უცხო ქვეყანაში აღწევ.**

– ეს, რა თქმა უნდა, ჯგუფის დამსახურებაა უპირველესად, რადგან „ა სტუდიო" ძალიან უყვართ. თან, აქ ძალიან მადლიერი მაყურებელია – თუ შენს კონცერტზე მოვიდა მოსასმენად, ბოლომდე დაიხარჯება: არც „ბრავოს" ძახილით დაიღლება და არც ტაშის დაკვრით. წინააღმდეგ შემთხვევაში, არც შემოვა დარბაზში შენს მოსასმენად. მართალია, ქართველები მუსიკალური ერი ვართ და ჩვენნაირი გემოვნება ყველას არ აქვს, მაგრამ მსმენელს თითქოს ზედმეტად ტაშის დაკვრის რცხვენია, ისევე როგორც ზედმეტი ემოციის გამოხატვა. აქ კი ემოციებს არ ფარავენ. ამით მომღერალიც ბოლომდე იხარჯება. ფონოგრამაზე არ მღერი, მაგრამ არ აქვს მნიშვნელობა ხმაზე ხარ, არ ხარ, მოვიდა მაყურებელი? მაშინ უნდა იმუშაო ბოლომდე. აქ ყველა საქმე ფასდება, თუ მას კარგად აკეთებ. მეეზოვეც რომ იყო და შენს საქმეს კარგად აკეთებდე, ისიც დაგიფასდება.

**– ქეთა ბავშვობიდან რომ დახვეწილი გემოვნებით გამოირჩეოდა, ამას ყველა აღიარებს. წლების მატებასთან ერთად, გემოვნებაც უფრო და უფრო დახვეწა. გასულ წელს შევიდა კიდევ რუსეთში ყველაზე გემოვნებიან ადამიანთა ჩამონათვალში.**

– ეს მარტო გასულ წელს არ მომხდარა. ქეთა გემოვნების მხრივ ყოველთვის რეიტინგის სათავეშია. ათეულში შესვლა ამხელა ქვეყნისთვის დიდი მიღწევაა, მით უმეტეს, ქართველისთვის, როცა აქ არ ხარ დაბადებული. ყველას მოსწონს მისი ჩაცმის სტილი. რა თქმა უნდა, აქ ბევრს აქვს საშუალება ბრენდული ტანისამოსი ჩაიცვას, მაგრამ ქეთასი ისიც მოსწონთ, რომ ხშირად გულშემატკივრობს ახალგაზრდა ნიჭიერ დიზაინერებს და მათ სამოსს იცვამს. სხვათა შორის, მინდა გითხრა, რომ, რაც თბილისში იყო ადრე მოდაში, ახლა ის აქ არის აქტუალური, ხოლო რაც ადრე იყო აქ მოდაში, ამჟამად თბილისშია მოდური. ბარნოვის ქუჩაზე დავდიოდი, შავი სადა მაისური მინდოდა და ვერ ვიყიდე. მერე წავედი „კიდობანში" და იქ ვიყიდე. ამიტომ, როცა ჩამოვდივარ და რამის ყიდვა მინდა, პირდაპირ „კიდობანში" მივდივარ, სხვაგან სიარულს აზრი არ აქვს.

**– ანუ, მოდამ გაცვალა ადგილი?**

– კი ასეა, რუსეთში ძალიან დაიხვეწა ხალხი და გემოვნებიანად ჩაცმა ისწავლეს. სხვათა შორის, ბოლო დროს, თუ ვინმეს ქერა თმა აქვს, ის ან ჩამოსულია ან ნატურალურად ქერა თმა აქვს. ახალგაზრდებმა თმა გაიმუქეს.

**– როდის გეგმავთ ჩამოსვლას?**

– მაისში ჩამოვალ და თუ ყველაფერი კარგად იქნა, ერთი თვე მაინც დავრჩები.

**მარიკა ხიდურელი**



# ხვდება თუ არა მამაკაცი, როცა მას ცოლი ღალატობს

**ღალატის პატიება შეუძლიათ როგორც ქალებს, ისე მამაკაცებსაც. თუმცა, ქალის მიერ ღალატზე თვალის დახუჭვა გაცილებით ბუნებრივ და ნაკლებად საინტერესო მოვლენად აღიქმება – მერე რა მოხდა, თუ ცოლმა ქმარს ღალატი აპატია, რა არის ამაში განსაკუთრებული?! მაგრამ, როცა პირიქით ხდება, საზოგადოება გაოცებული და გაოგნებულია: როგორ მოხდა, რომ კაცმა ქალს აპატია ორგულობა? უფრო მეტიც – შეძლო, დაევიწყებინა ეს სამარცხვინო ფაქტი და „ასეთი" ქალი ოჯახში დაიბრუნა?! ისიც ხომ ფაქტია, რომ კაცები არ ლაპარაკობენ და ამჯობინებენ, ჩუმად იყვნენ. თუმცა, გამონაკლისებიც არსებობენ...**

სოსო *(35 წლის)*: გიკვირთ, რომ ხმამაღლა დავიწყე ამაზე ლაპარაკი? სიმართლე გითხრათ, არ ვაპირებდი, მაგრამ, გარშემო მარტო ის მესმის, რომ კაცები ყველანი ერთნაირად მოღალატეები ვართ, ქალები კი ანგელოზები არიან და ამ ანგელოზებს ჩვენ ვჩაგრავთ. ეს სტერეოტიპი ისეა ფესვგადგმული, რომ, როცა ქალი ღალატობს ქმარს, მაინც მას იცოდებენ და არა კაცს. გამაოგნებელი ამბავია. არ ვარ მართალი? საერთოდ არავის აინტერესებს კაცის ემოცია და განცდები... ერთხელ მაინც გაგიგიათ, ვინმეს ეთქვას, ქალს რომ ქმარმა უღალატა, ისევ ქალის ბრალი იყოო? მაგრამ, როცა ცოლია მოღალატე, იქ ერთმნიშვნელოვნად ქმარია დამნაშავე. ხომ არის ეს უსამართლობა?

**– არ ვიცი. შეიძლება, მართლაც არის უსამართლობა.**

– არა, ეს პასუხი ნიშნავს: არ არის უსამართლობა. თქვენც და საზოგადოების უმრავლესობაც, დარწმუნებულები ხართ, რომ ქალი მსხვერპლია, კაცი კი ყოველთვის მიხედავს და დაიძვრენს თავის „ოხერ" თავს.

**– რა გინდათ, კაცებს ყველაფერში კარტ-ბლანში გაქვთ. თუ მოღალატე კაცს ცოლი საყვარელთან სირბილს არ აპატიებს, მეგობრები და ახლობლები მას აუცილებლად გაკიცხავენ: სულელია, ოჯახი ასეთი წვრილმანისთვის როგორ უნდა დაანგრიოო. ამაზე რას იტყვით?**

– რა უნდა ვთქვა? პატიება ყველას შეუძლია, ყოველ შემთხვევაში, ერთხელ მაინც. შანსი ყველას უნდა მისცე, უპირველესად კი – საკუთარ თავს. ერთ შანსს ყველანი ვიმსახურებთ, მით უფრო, როცა საქმეში სიყვარულიც ერევა.

**– ამით რისი თქმა გინდათ?**

– იმის, რომ კაცსაც შეუძლია, ცოლი ისე უყვარდეს, რომ აპატიოს ღალატი და ყველა საშუალებით ეცადოს მის დაბრუნებას. ვიცი, ბევრი კაცი ამას ვერ გაიგებს, ზუსტად ისევე, როგორც ქალები ვერ უგებენ ხოლმე ქალს, რომელმაც ქმრის ღალატზე თვალი დახუჭა.

**– მთლად ასეც არ არის. ზოგჯერ გასაგებია, რომ ამ ყველაფრის მიზეზი სიყვარულია. თქვენც, ალბათ, გიყვართ ცოლი...**

– ჩემი მომავალი ცოლი საკმაოდ ადრეულ ასაკში გავიცანი. ერთბაშად არ მოსულა სიყვარული, არ დამტკაკებია და არ გადავურევივარ. სტაბილურად და მშვიდად ვითარდებოდა ჩვენი ურთიერთობა. თითქოს ძალიან კარგად გავიცანი. ვერ გეტყვით, როდის მივხვდი, რომ ის უნდა გამხდარიყო ჩემი ცოლი. თუმცა, სანამ ჩემი სტაბილური შემოსავალი არ გამიჩნდა, ანუ, სანამ ვერ შევძლებდი ოჯახის სრულად უზრუნველყოფას, არ შემითავაზებია, ცოლად გამომყევი-მეთქი. მაგრამ, უკვე იცოდა, რომ ძალიან მიყვარდა. ნიშნობაზე მანქანა ვაჩუქე. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ვაყვედრი ან ვტრაბახობ, რა სისულელეა!.. მე მიხაროდა ის, რომ მას სიხარულს ვანიჭებდი. ისე მოხდა, რომ, როცა დავქორწინდით, ჩემი საყვარელი ქალი ფეხმძიმედ იყო და ხუთ თვეში შვილიც შეგვეძინა. ძალიან ბედნიერი ვიყავი. არავინ თქვას, რომ მამაკაცებს ნაკლებად სჭირდებათ მყუდრო ოჯახი და გვერდით ერთგული ქალი – ეს ტყუილია და ვილაც სულელის მიერ მოგონილი მითი, რომელიც არავის სჭირდება. ჩემი ცოლი ნამდვილი „ყანგბადის ბალიში" იყო ჩემთვის: მისით ვსუნთქავდი და ვსაზრდოობდი; ვცდილობდი, მაქსიმალური კომფორტი შემექმნა მისთვის – ჩემი წარმატებული და მზარდი ბიზნესი ამის საშუალებას მაძლევდა. არ ვტრაბახობ, ცუდად არ გამიგოთ, მაგრამ, იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერი მივეცი, რისი მიცემაც შემეძლო. კომფორტული და უზრუნველი ცხოვრება ჰქონდა და მეც ამით ბედნიერი ვიყავი...

> **არავინ თქვას, რომ კაცებს არ სჭირდებათ გვერდით ერთგული ქალი ან მყუდრო ოჯახი**

**– ანუ, ოქროს გალიაში ჩასვით საყვარელი ჩიტუნია და კმაყოფილი უყურიდით საკენკს, მან კი, უცებ, ამ გალიიდან თავის დახსნა მოინდომა?**

– არ ყოფილა ასე, არანაირ გალიაში არ ჩამისვამს. თავისუფალი იყო, არ ვუშლიდი და არ ვუკრძალავდი არაფერს. არც ვეჭვიანობდი, ყველაფერს გეფიცებით. არც ვაკონტროლებდი...

**– „არ ვეჭვიანობდიში" რას გულისხმობთ?**

– იმას, რომ არ ვუძვრებოდი ტელეფონში და სოციალურ ქსელებში. არასდროს მითქვამს, რატომ იცვამ დეკოლტეს ან მოკლე კაბას-მეთქი. პირიქით, მომწონდა და მიხაროდა, როცა ჩემი ცოლი ეფექტურად გამოიყურებოდა.

**– ალბათ, ყველა მამაკაცი ასეა.**

– არაფერიც, ყველა მამაკაცი ასეთი არ გახლავთ. უმრავლესობას, მე ვამბობ – უმრავლესობას, ურჩევნია, ცოლი სახლში ჰყავდეს გამოკეტილი და სხვა მამაკაცების ყურადღებას არ იქცევდეს.

რვა წლის განმავლობაში ჩემი მეუღლის მიმართ არანაირი პრეტენზია არ მქონია. ახლა უკვე ძნელია იმისი თქმა, როდის გაჩნდა ჩვენს ურთიერთობაში პირველი ბზარი. ჩემი ცოლი ერთგული რომ აღარ იყო, სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე. მართალი ყოფილა, კაცი ცოლის ღალატს ყველაზე ბოლოს იგებს. იცით, როგორი სანიმუშო ცოლი იყო? სამსახურში ისე არ გამიშვებდა, კართან რომ არ ეკოცნა. თუ დამავიწყდებოდა, ბრაზობდა. საერთოდ არ მეკამათებოდა, არ ჭირვეულობდა და არ ჩხუბობდა.

**– ყოველთვის ასე არ იყო?**

– მერე რომ დავფიქრდი, არ იყო ასე. როცა უკვე თვალები ამეხილა, ბევრი ისეთი ნიუანსი შევამჩნიე, რომ საკუთარ თავზე გავბრაზდი – ასეთი ბრმა როგორ ვიყავი-მეთქი. როცა ჩემი ეჭვები ყველაზე ახლობელ მეგობარს გავუმხილე, უცნაურად შემომხედა და მითხრა: რადგან ასეა, გეტყვი – დიდი ხანია, შენს ცოლს მეც ვამჩნევ რაღაცას. რამდენჯერმე ერთ ადგილას ვნახე, სადაც, წესით, არ უნდა ყოფილიყო. რა ვიცი, მაინც მიაქციე ყურადღებაო. მეც მივაქციე და ერთ საღამოს, სამსახურიდან მოსვლა რომ დააგვიანა, დაკითხვა მოვუწყვე. დარწმუნებული ვიყავი, რომ თავის დაძვრენას შეეცდებოდა, მაგრამ, უცებ პირდაპირ მითხრა – უკვე სამი თვეა, სხვა მამაკაცს ვხვდები. კარგია, რომ შენ თვითონ დაიწყე ამაზე ლაპარაკი. მინდოდა თქმა, მაგრამ, ვერ ვდგამდი პირველ ნაბიჯსო. მეხი რომ დამცემოდა, უფრო მშვიდად გადავიტანდი. მეგონა, სხვის თავს ხდებოდა ეს ამბავი. გაგიჟდი-მეთქი? – ესლა ვუთხარი. არა. შემიყვარდა. იმასთან უფრო კარგად ვარ. ამიტომ, გადავწყვიტე, წავიდე შენგან. ბავშვსაც წავიყვან, მაგრამ, შენ არ ინერვიულო, მასთან ურთიერთობას არ დაგიშლიო. ანუ, თავისი ჭკუით, ლმობიერადაც მექცეოდა. ჩემი რეაქცია ჯერ არაადეკვატური იყო: ვემუდარებოდი, სისულელეებს მოეშვი და შვილზე, ოჯახზე იფიქრე-მეთქი. მერე უკვე ყვირილსა და მუქარაზე გადავედი.

**– რით ემუქრებოდით?**

– ყველაფრით, მოკვლითაც კი. ისეთი გაცოფებული ვიყავი, არ ვიცი, რამ გამაჩერა. ალბათ, უფრო იმან, რომ ჩემი შვილის უდედოდ დატოვება არ მინდოდა. საშინელება ყოფილა კაცისთვის ასეთი ფაქტის წინაშე დადგომა. რთულია, თავს მოერიო და გამოუსწორებელი საქციელი არ ჩაიდინო. გეუბნებით, იმ მომენტში მხოლოდ და მხოლოდ ჩემმა შვილმა შემაკავა. ის უნდა ენახო და

# 32 წლის ქალი მამას თბილისში ეძებს

***32 წლის ელა ელინის ასული მიხაილიდი ეძებს 67 წლის ელინ მიხაილიდის.***

**ისტორია**: ვეძებ მამას – 1947 წელს დაბადებულ ელინ მიხაილიდის, რომელიც არასდროს მინახავს. მის შესახებ დედისგან გადმოცემით ვიცი, რომ ეროვნებით ბერძენია და, სავარაუდოდ, თბილისში უნდა ცხოვრობდეს. მაქვს მამის ერთადერთი სურათი. მისი პოვნის დიდ იმედს ვიტოვებ. შეიძლება, მე მყავდეს ნახევარდაძმები და ძალიან მინდა მათი გაცნობა. მამის მოძებნა და ცხოვრებაში ერთხელ მაინც ნახვა ყოველთვის მინდოდა, მაგრამ, მისი აქტიურად მოძებნა ცოტა ხნის წინ გადავწყვიტე.



**ჟურნალისტის შენიშვნა**: ჩემს რუბრიკაში არაერთხელ დაბეჭდილა მსგავსი სტატია და არც ისე იშვიათობაა შემდგომ მშობლებსა და შვილებს შორის კავშირის აღდგენის ფაქტები. იმედია, ამ ისტორიასაც კარგი დასასრული ექნება და მამა-შვილი იპოვის ერთმანეთს. ელა ამჟამად რუსეთში ცხოვრობს, მას ჩვენი რუბრიკის დიდი იმედი აქვს.

**– როგორ და რა ვითარებაში დაკარგეთ ერთმანეთი მამა-შვილმა?**

– დაახლოებით 1979-1980 წლებში მამაჩემი გასტროლებზე იყო ჩამოსული რუსეთში, ბანაკ „ორლიონოკში,“ სადაც გაიცნო კიდეც დედაჩემი (ოლღა). მათ შეუყვარდათ ერთმანეთი და, შედეგად, 1981 წელს, მე დავიბადე. მამა არასდროს მინახავს, რადგან ის მალევე დაბრუნებულა თბილისში, სადაც იმ დროს ცხოვრობდა. მე ის ამჟამადაც თბილისში მგონია, მაგრამ, მისი არც მისამართი ვიცი და არც სხვა მონაცემი გამაჩნია. მაქვს მამის მხოლოდ ერთი ფოტო. დიდ იმადს ვიტოვებ, რომ ის ჩემს განაცხადს გამოეხმაურება. მთელი ჩემი ცხოვრება ვოცნებობ მამის ნახვასა და მის გაცნობაზე. ვიცი, რომ მასზე ძალიან ცოტა ინფორმაცია მაქვს, თუმცა, სასწაულის მაინც მჯერა. მამაჩემი ეროვნებით ბერძენია, ამიტომ, მე ვერც იმას ვერ გამოვრიცხავ, რომ ის საცხოვრებლად საბერძნეთში გადასულიყო, მაგრამ, ეს ჩემი ვარაუდია.

**– კიდევ რა იცით მამის შესახებ?**

– ვიცი, რომ 1979-1980 წლებში ის საბავშვო ანსამბლ „ივერიაში“ უკრავდა აკორდეონსა და სხვა ინსტრუმენტებზე, ანუ, მუსიკოსი იყო. ჩემთვის ცნობილია, რომ ბებიაჩემს, ანუ მამის დედას, ეფროსინია (ანუ – ფროსია) ერქვა. ასევე, მამას ჰყავს და-ძმა – ანდრეი და ლუიზა. დარწმუნებული ვარ, რომ მყავს უამრავი ნათესავი მამის მხრიდან. პირადად მე მამისგან მისი ნახვისა და გაცნობის გარდა არაფერი მინდა. უკვე ზრდასრული ქალი ვარ და ცხოვრებაში ბევრ რამეს დამოუკიდებლად მივაღწიე. ერთადერთ აუხდენელ ოცნებად მამის პოვნა მრჩება. იმედია, რომ ის თბილისშია და გამომეხმაურება.



**– აქამდე თუ ეძებდი მამას და რა გზებით?**

– სიმართლე გითხრათ, მამის პოვნა სულ მინდოდა, მაგრამ, მე და დედას ჩემი გამოჩენით მისთვის რაიმე დისკომფორტის შექმნა არ გვინდოდა. ამიტომ, წლების განმავლობაში მისი ძებნისგან თავს ვიკავებდი. თუმცა, მაინც ვეძებდი ხოლმე სხვადასხვა, ჩემთვის ხელმისაწვდომი ხერხით. სულ ახლახან დახმარებისთვის „ჟდი მენიას“ სამძებრო საიტს მივმართე, სადაც გავარკვიე, რომ საქართველოში სწორედ თქვენ მოგმართავენ დახმარებისთვის და მეც გადავწყვიტე, ბედი მეცადა და თქვენთვის მომეწერა.

**– მამის პოვნის შემთხვევაში, სად ან როგორ აპირებ მასთან შეხვედრას?**

– მამაჩემის ნახვა მართლა ძალიან მინდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, გააჩნია, თავად თუ ენდომება ეს. ჩვენი შეხვედრა ორმხრივი სურვილის შედეგად უნდა შედგეს. მე მჯერა, რომ, მისი პოვნის შემთხვევაში, მამაც მოისურვებს ჩემს ნახვას. წინასწარ ნამდვილად ვერ გეტყვით, სად ან როგორ შედგება ჩვენი შეხვედრა, რადგან, არც ის ვიცი, თუ სად შეიძლება იყოს ის ამჟამად. ჩვენს შეხვედრაზე მეტად მე უფრო მის პოვნაზე მეფიქრება, ძალიან მაინტერესებს, როგორ არის, აქვს თუ არა ოჯახი და ჰყავს თუ არა სხვა შვილები.

**– დედათქვენმა თუ იცის, მამას რომ ეძებთ და რა აზრის არის ის ამ საკითხთან დაკავშირებით?**

– დედამ რაც კი იცოდა, ყველაფერი მიამბო მამის შესახებ. მან იცის, რომ ელინის პოვნა ძალიან მინდა, მაგრამ, იმის გამო, რომ ამდენი წლის განმავლობაში ჩვენ ერთმანეთთან კავშირი არ გვქონია და წარმოდგენაც არ გვაქვს, სად შეიძლება იყოს, სკეპტიკურად არის განწყობილი ჩემი ამ სურვილის მიმართ. მე კი მჯერა, რომ მამას ვიპოვი.

**თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

---

დაველაპარაკო-მეთქი. ჩემმა ცოლმა მხრები აიჩეჩა – რაც გინდა, ის ქენი, თუმცა, ვერ ვხვდები, იმისგან რა გინდა, მე გავაკეთე არჩევანიო...

**– პრინციპში, ალბათ, ასეც იყო...**

– როგორ, ის კაცი საერთოდ არაფერ შუაში ყოფილა?! ჩემს ცოლს რომ ხვეწნა

## ჩემი ცოლი ერთგული რომ აღარ იყო, შემთხვევით აღმოვაჩინე. მართალი ყოფილა – ქმარი ცოლის ღალატს ბოლოს იგებს

დაეწყო და ეთქვა, არ ნახო, მე მას აღარ შევხვდები, მაპატიე და შენთან დავრჩებიო, ალბათ, უფრო გავმწარდებოდი. შეხვედრა მეტოქესთან საშინელი იყო. მე ვფიქრობდი, რომ საქმე მუშტი-კრივით დასრულდებოდა, მაგრამ, საკმაოდ მშვიდად დავილაპარაკეთ. რომ შევხედე, ვიტყვი სიმართლეს, ბოღმით ავივსე – ჩემზე ბევრად კარგი გარეგნობაც ჰქონდა და უფრო ახალგაზრდაც იყო. სწორედ მაშინ გადავწყვიტე – ამას ცოლს არ დავუთმობ-მეთქი.

**– ანუ, ბოღმა და არა სიყვარული?**

– თქვენ რაც გინდათ, ის დაარქვით. მაგრამ, გადაწვყვიტე, არ მიმეცა ცოლისთვის იმასთან წასვლის საშუალება. ვუთხარი, რომ ის ვერ შეძლებდა იმ პირობების შექმნას, რომელშიც ის იყო მიჩვეული ცხოვრებას. მეტოქისა და მისი შემოსავლების შესახებ ყველაფერი გავარკვიე და ჩემს ცოლს თავისი მომავალი ცხოვრების ნათელი სურათი დავუხატე. ისიც ვუთხარი, რომ, თუ წავიდოდა, უკან ველარასოდეს დაბრუნდებოდა, მე კი ყველაფერს გავაკეთებდი, მისთვის სიცოცხლე რომ გამემწარებინა, მისთვისაც და იმ ვაჟბატონისთვისაც და ამ მუქარას აუცილებლად შევასრულებდი. კარი ფართოდ გავუღე – წადი-მეთქი... მაგრამ ერთ ცხვირსახოცსაც კი ვერ წაიღებ აქედან. ყველაფერი ჩემი ნაყიდია და თუკი იმას უნდიხარ, თავიდან შეგმოსოს და გამოგაწყოს. ვალდებული არ ვარ, სხვის სიყვარულზე ვიზრუნო-მეთქი. ბუნებრივია, არც მანქანას მივცემდი და, სამსახურიდანაც, სადაც ჩემი ხათრით და კავშირებით მოეწყო – გამოვაგდებინებდი. ეს ყველაფერი რომ გაიაზრა, მიხვდა, რომ არც ისე ძლიერად ჰყვარებია ის ტიპი.

**– დარჩა თქვენთან და ეს გიხარიათ?**

– რა გითხრათ, იცით? მაინც ჩემი ცოლია, ჩემი შვილის დედა და, მგონი, კარგი გაკვეთილი მიიღო. არ ვარ ის კაცი, რომელიც ეძებს და ყოველდღე იცვლის ქალებს. არ შემიძლია ოჯახის გარეშე. ერთი შანსი მივეცი ჩემს ცოლს და ახლა ვნახავ, როგორ გამოიყენებს. გაყრას ყოველთვის მოვასწრებ.

**დალი მიქელაძე**

---

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**გამოუვალი მდგომარეობა მაქვს. შემიყვარდა ჩემი მეგობარი. სკოლიდან ვიცნობთ ერთმანეთს და ყოველთვის არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვქონდა. იცით, რამდენი ხანია, მიყვარს? მაგრამ ის არ მიყურებს, როგორც ქალს. რა ვქნა, როგორ შევცვალო სიტუაცია? ვიცი, რომ მასთან ძალიან ბედნიერი ვიქნები. მე ხომ არ ვეტყვი, მიყვარხარო. მრცხვენია. მირჩიეთ რამე. არსებობს რაიმე საშუალება, ჩემმა საყვარელმა ადამიანმა ცოლობა რომ მთხოვოს?**

**გამოხმაურება**: ჯერ შეაფასეთ საკუთარი თავი – როგორ იქცევით მეგობართან. თუ „ძველბიჭური“ დამოკიდებულება გაქვთ, როგორ დაინახავს თქვენში ქალს? თანაც, ვნებიანს და სასურველს... კიდევ დააკვირდით, როგორი ქალები იქცევენ მის ყურადღებას. კოპირება საჭირო არ არის. უბრალოდ, იყავით უფრო ქალური და ურთიერთობაც ნელ-ნელა გადაიყვანეთ ინტიმურ ფაზაში.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**გიორგი გურგულია მსახიობთა იმ რიცხვში შედის, ყველა თაობის წარმომადგენელს ერთნაირად რომ უყვარს. ისიც ასევე გასცემს თავის მხრიდან სიყვარულსა და სათნოებას სხვადასხვა თაობისა თუ ერის წარმომადგენელთა მიმართ. ბოლო ხანს ამის გაკეთებას ცნობილი მსახიობი, ხელოვან თანამოაზრეებთან ერთად, ფონდ „სიყვარულის მატარებლის" ფარგლებში შეეცადა. თუმცა, ჯობია, თავად გიორგი გვესაუბროს ყველა იმ სიახლეზე, რაც ჩვენი ბოლო შეხვედრის შემდეგ მოხდა მის ცხოვრებაში.**

# რის გაკეთებას აპირებდა გიორგი გურგულია სასაზღვრო ზონებში და რამდენჯერ ჰყავს მას „მოკლული" ზურა ბეგალიშვილი

**გიორგი გურგულია:** ბოლო პერიოდში ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე ისაა, რომ შვილიშვილი შემეძინა – ნინო გურგულია.

**– გილოცავთ!**

– გმადლობ. 20 იანვარს გაჩნდა ჩვენი პატარა. მე მყავს და – ნინო გურგულია. ჩემს შვილსაც ეზრდება გიორგი გურგულია, ის ახლა 10 წლისაა. გამოდის, და-ძმა – ნინო და გიორგი გურგულიები განმეორდნენ სხვა თაობაში.

**– იმიჯი შეგიცვლიათ, წვერით დადიხართ...**

– წვერი იმის გამო მოვუშვი, რომ ფილმში მიღებენ – მთელი თვეა, გაუპარსავი დავდივარ.

**– რა ფილმია?**

– ეს არის „კრიმინალები". ქართული კრიმინალური კომედიაა. ალბათ, ამ გაზაფხულზე გამოვა.

**– ვინ არის ამ ფილმში თქვენთან ერთად დაკავებული?**

– ზურა ბეგალიშვილი – „ორმაგ სახეში" ხომ ვკლავ მას „კიპიტელნიკით", მერე, რომელიღაც ფილმშიც ვკლავ თოფით და ახლა ამ ფილმში მესამედ ვკლავ. მე ვუთხარი, რომელ ფილმშიც გადაგეყარე, არც ერთში არ გაგახარე-მეთქი.

**– როგორც ვხვდები, ამ ფილმშიც არ ღალატობთ თქვენს სამსახიობო იმიჯს.**

– დიახ, ისევ ბანდიტები, კრიმინალები... აღარ დამთავრდა კრიმინალების ისტორიები ჩემს კინოში. იმედია, როდესმე შეყვარებულის როლსაც ვითამაშებ. სამწუხაროდ, კინო ეგრეა, რომელიმე ჟანრს თუ კარგად გაართვი თავი, მერე ყველას ჰგონია, მხოლოდ იმ ჟანრით უნდა დაგაკავოს. რუსეთშიც მთხოვენ დარჩენას. მათაც არა ჰყავთ ბანდიტების როლის შემსრულებლები.



**განმარტეს, ქვეყანაში, სადაც პოლიცია ნარკომანებს დასდევს, ესე იგი, თვითონ პოლიციაა დაინტერესებული ნარკოტიკების რეალიზაციით – მაფიაა, ჩვენ კი მაფიასთან ვერ ვითანამშრომლებთო**

**– მით უმეტეს, კავკასიური გარეგნობით.**

– ჰო. საერთოდ იშვიათია, ადამიანი კარგად იცნობდეს ქუჩას, იქაურ ქცევებს და თან, თეატრალურზე ჩააბაროს. ამიტომ, ჭირს კრიმინალური სახეების აღმოჩენა კინოსთვის. ამერიკაშიც ასეა, ალ პაჩინომ და ვიღაცეებმა, ვინც ცნობილი ბანდიტები ითამაშეს: „შრამიანი სახე," „სკარლიტოს გზა", დიდხანს იცხოვრეს სხვადასხვა კრიმინალის ცხოვრებით. თუმცა, ამერიკა ამერიკაა და იგივე ალ პაჩინომ დრამატული როლებიც შეასრულა რაღაც პერიოდის შემდეგ. ამერიკას ვერ შევედრებით. იქ წელიწადში 300 ფილმს მაინც იღებენ და ჩვენთან...

**– რუსეთიდან რა შემოთავაზება გაქვთ?**

– სერიალზეა საუბარი, მაგრამ ვარიდებ თავს. ვფიქრობ, იქ სერიოზული არეულობა დაიწყება, რადგან მსოფლიომ გადაწყვიტა, რომ ერთხელ და სამუდამოდ ასწავლოს ჭკუა რუსულ ოკუპაციას. უნდათ, რომ ფინანსები გაუყინონ. უცხოეთთან ფინანსური ურთიერთობა შეწყდება და რუსეთი დიდ კრიზისში მოვხდება, როგორც მე ვფიქრობ. ჯვარი წერია, მესამე მსოფლიო ომი არ დაიწყოს.

**– თქვენ ბოლო წამოწყებაზე ვისაუბროთ...**

– სიამოვნებით. დაახლოებით 10-15 წელია, რაც ამ პროექტზე ვფიქრობდი. ის 4 ნაწილისგან შედგება. როდესაც რუსეთმა დაიწყო მცოცავი ბარიერები და ჩვენს მიწაზე გადმოსვლა, ჩვენ დავგეგმეთ ერთი აქცია, რომლის განხორციელებასაც გიორგობას, 23 ნოემბერს ვაპირებდით. აქციაში რა იგულისხმება – გვინდოდა ტელეხიდის მოწყობა, რომელშიც რუსი და ქართველი მომღერლები და საერთოდ, ხელოვნების დარგის წარმომადგენლები მიიღებდნენ მონაწილეობას. აქცია, ეგიდით: არა სიძულვილს და დაგვენგრია, პირობითად აშენებული, სიძულვილის კედელი.

**– რატომ არ განხორციელდა პროექტის ეს ნაწილი?**

– 23 ნოემბერს სამიტი ემთხვეოდა და პატრიარქმა თქვა, სხვანაირად არ გაიგონ ეს აქციაო. ამიტომ გადაიდო, თორემ თვითონ პროექტის ეს ნაწილი, ძალიან მოეწონა უწმინდესს, ისე როგორც მთელი პროექტი.

**– რა ჰქვია ამ პროექტს?**

– დავიწყებ იქიდან, რომ შევქმენით ფონდი, რომელსაც ჰქვია „სიყვარულის მატარებელი". „მატარებელი" აქ ორივე გაგებით იგულისხმება. პროექტის ფარგლებში შედის, რომ მატარებელი მოიხატოს სიყვარულის სიმბოლიკებით: ამურებით, გულებით... საერთაშორისო პროექტია. ამერიკიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, მოკლედ, მსოფლიოს უამრავი კუთხიდან ჩამოსული ხალხი თავს იყრის ამ მატარებელში. ჩვენ მათ ვამოგზაურებთ მთელ საქართველოში სიყვარულის მატარებლით ქართველ ხელოვან მგზავრებთან ერთად. გზად ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერი ადგილიდან შეუძლია შემოგვიერთდეს. გვინდა, საქართველოს ყველა კუთხე მოვიაროთ: ზოგან ნაჩხუბარი მეზობლები შევარიგოთ, ზოგს ღობე შევუკეთოთ, დავეხმაროთ, ვუმღეროთ... აქ ფიზიკური თანადგომაც შედის და სულიერიც. იგრძნონ, რომ მიტოვებულ სოფელშიც ახსოვთ, სადაც შეიძლება, ცნობილმა პიროვნებამ კარი შეუღოს, წყაროდან წყალი მიუტანოს, სადილი მასთან ერთად გაამზადოს და ვახშმადაც მასთან მოილხინოს.

**– სად არის სიყვარულის მატარებლის ბოლო გაჩერება?**

– რა თქმა უნდა, „სიყვარულის სოფელში". იქ იცხოვრებენ მოხუცი უსახლკარო ბებია-ბაბუები და ასევე უსახლკარო მოზარდები, რომელბიც იმ ასაკში არიან, როცა ყველაზე უფრო სჭირდებათ ყურადღება, სიყვარული და თანადგომა. მოგეხსენებათ ბავშვთა სახლებს 18 წლიდან უკვე ტოვებენ აღსაზრდელები და უცებ ქუჩაში აღმოჩნდებიან უდედმამო, უსახლკარო, ბევრი „უ-ებით." ძნელია, ასეთ მომენტში ფეხი აუწყო ცხოვრებას... სწორედ ამიტომ, მივიღეთ სიყვარულის სოფლის დაარსების გადაწყვეტილება. საპატრიარქოც აქტიურად ჩაერთო ამ საქმეში, რაც ჩვენთვის დიდი სტიმულია. სასაზღვრო ზონებში, პირველი 10 ჰექტარი გამოიყო ამ სოფლისთვის. ორ შენობაში სახლდებიან მოხუცები და ბავშვები, მოზარდები, რომელთაც პირველი 6 თვის განმავლობაში ფსიქოლოგები აკვირდებიან. სწავლობენ მათ ფსიქოტიპებს: თუ როგორ შეეწყობიან ერთმანეთს, ვინ ვისთან შედის უკეთ კომუნიკაციაში, სამომავლოდ რა შეხედულებები აქვთ ცხოვრებაზე და ასე შემდეგ. 6 თვის შემდეგ ამ ადამიანებს ასახლებენ კომლებად. არჩევენ ბებია-ბაბუას და რამდენიმე შვილიშვილს. აძლევენ ძროხას, ქათმებს, ბაღ-ბოსტანს გამოუყოფენ, პირველი ეტაპისთვის ამუშავებინებენ კიდეც. მოკლედ, პირველი ეტაპისთვის ყველანაირად ეხმარებიან, მერე უკვე მათზეა დამოკიდებული, როგორ გაუძლვებიან ამ ყველაფერს.

ასეთივე სოფლები გაშენდება სხვა სასაზღვრო ზონებშიც. ახლა ხომ ოსეთია ყველაზე რთული რეგიონი. ამ ზონაშიც გაშენება სიყვარულის სოფელი. როგორც მანამდე იყო შერეული ოჯახებით, ახლაც ასე გაგრძელდება.

**– ძალიან საინტერესო პროექტია. მსგავსი არსებობს სადმე?**

– არა.

**– საიდან, როგორ მოგივიდათ ასეთი იდეა?**

– დედაჩემს დაჰყავდა კომუნებში ნარკომანები უცხოეთში. იქ არსებობს კომუნები, სადაც ნარკომანები თვითონ შრომობენ, იკვებებიან, ხატავენ, ხეში ჭრიან და შემდეგ ამის რეალიზაციით საზრდოობენ. ამ კომუნაში დროთა განმავლობაში ოჯახებს ქმნიან, მრავლდებიან. იყო ასეთი პიროვნება – ენგელმაიერი, რომელიც მილიარდელი გახლდათ. მან ნარკომანებისთვის ორასამდე ასეთი კომუნა ააშენა. ეს კაცი, თავის დროზე ჰიპი იყო, ებრაელი. იქ თვითონაც იცხოვრა გარკვეული ხნის განმავლობაში ნარკომანის ცხოვრებით, შემდეგ შეძლო და მოერია ამ სენს და მომავალში უკვე სხვებს ეხმარებოდა თავისი მეთოდით ამ სენის დამარცხებაში. არსებობს უამრავი ფოტო, სადაც ენგელმაიერი გადარჩენილი თაობის შთამომავლობასთან, ათასამდე ბავშვთან ერთადაა დაფიქსირებული.

ამ პროექტმა მომცა მიმართულება სიყვარულის სოფლის შექმნისკენ. ნარკომანებზეც ვფიქრობდი და კარგი იქნებოდა, ჩვენთანაც განეხორციელებინათ ეს პროექტი. დედაჩემს 90-იან წლებში ჰყავდა ჩამოყვანილი ამ პროექტის ხელმძღვანელობა საქართველოში, მაგრამ არ მოხდა მათი ჩვენთან თანამშრომლობა.

**– რა იყო ამის მიზეზი?**

– როგორც მათ განმარტეს, ქვეყანაში, სადაც პოლიცია ნარკომანებს დასდევს, ესე იგი, თვითონ პოლიციაა დაინტერესებული ნარკოტიკების რეალიზაციით. ანუ, მაფიაა და ჩვენ მაფიასთან ვერ ვითანამშრომლებთო.

ენგელმაიერის პროექტის მაგალითზე, ჩემი პროექტით ორ თაობაში გავანაწილე სათნოებისა და თანადგომის სურვილი. მინდა, აღვნიშნო, რომ ამ პროექტში დასაქმებული ყველა ხელოვანი, რომელთა ჯარიც დგას, აქტიურადაა ჩართული სიყვარულის სოფლის მკვიდრთა ცხოვრებაში. ვიღაცა ადის იქ და მინანქრის მასტერ-კლასებს უტარებს, ვიღაც ხატვას ასწავლის, ვიღაც სიმღერას და ასე შემდეგ.

**– ვინ არიან ის ადამიანები, ვინც ამ პროექტის ფარგლებში თქვენ გვერდით დგანან?**

– თავიდან იყო ფონდი „კეთილსოფელი," რომელიც ზაფხულში მე და გია ნიკოლაძემ დავაარსეთ. მერე ჩვენი განშტოება მოხდა, რადგან ფონდის წევრების ნაწილს სურდა, ინვა-

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

**დაახლოებით ორი წლის წინ, ერთ-ერთ გადაცემაში ერთი სიმპათიური, ექსტრავაგანტური მომღერლის, ყოფილი მეორე ნახევარი, საკმაოდ აღშფოთებული, მოურიდებლად ლაპარაკობდა მისი და ქმრის ცხოვრების ინტიმურ დეტალებზე. ვერ გეტყვით, ამ ტელეინტერვიუმ, რომელიც სავსე იყო უცენზურო გამონათქვამებით, ვის რა საიმოვნება მიანიჭა, მაგრამ ყველას ყურადღება კი ნამდვილად მიიქცია. ასეთ დროს, ყოველთვის საინტერესოა მეორე მხარის რეაქცია. ალბათ, ყველას გაინტერესებთ, თუნდაც ამდენი ხნის შემდეგ, რას იტყვის თავად ეს მომღერალი – მარკუს მეტრეველი, როგორია სინამდვილეში მისი არა სასცენო, არამედ პირადი ცხოვრება**

# რა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა მარკუს მეტრეველმა და რატომ აღარ უნდა მას ნარკოტიკი

**– იმედია, სხვა მომღერლები არ მიწყენენ, თუ ვიტყვი, რომ ძალიან განსხვავებული, ექსტრავაგანტური ხარ ქართულ შოუ-ბიზნესში და რაც მთავარია, გიხდება ეს ყველაფერი.**

– ბუნებრივია, თუ მომღერალს ხმა, სტილი, პლასტიკა, სასცენო იმიჯი არ აქვს, სცენაზე არც უნდა იდგეს. ჩვენთან მხოლოდ კარგი ხმა აქვთ, სხვა დანარჩენი ნაკლებად, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თანდათან გაიზრდებიან და საკუთარ იმიჯსაც იპოვიან. ეს ყველას არ ეხება, მხოლოდ – უიმიჯოებს. ვფიქრობ, ყველას არ უნდა ჰქონდეს სცენაზე გამოსვლის უფლება. სცენა ძალიან სპეციფიკური ადგილია. სხვათა შორის, ადრე, ერთი თხუთმეტი წლის წინ გაცილებით არანორმალური ვიყავი!

**– ანუ?**

– გასული ვიყავი ამ პლანეტიდან რა...

**– გასული იყავი ამ პლანეტიდან?**

– აბა, რა, ჩემი მმართველი პლანეტა მარსია და იქ ვაფარებდი თავს, იქ ვპოულობდი თავშესაფარს ამ ბნელეთიდან.

**– არანორმალური ვიყავიო... მერე, სხვა პლანეტაზე ვიყავიო... რა ვიფიქრო ახლა?**

– არანორმალურობაში ჩაცმის სტილი ვიგულისხმე და პიროვნულადაც. იმასთან შედარებით, რაც ადრე ვიყავი, შეიძლება ითქვას, ახლა კონსერვატიული ვარ!

**– ააა, მე კიდევ ვიფიქრე, წამალზე ლაპარაკობდი.**

– აუ, არა, რა წამალი... ეს ცხოვრება ისეთი ხანმოკლეა, კიდევ წამლები გვინდა? მაგით მოვიწამლავ ორგანიზმს. დამერწმუნეთ, ეს ხალხი რა ენერგიასაც გასცემს მის გარშემო, ნარკოტიკზე მომწამვლელია. მეტი ნარკოტიკი აღარ მინდა ნამდვილად!

**– ეშმაკი სულ გვაზის მხრებზე. თუ მოიხმარ, ეგ რა დასამალია?! დღეს ყველა ლაპარაკობს ამაზე, ვისაც კი ნარკოტიკთან შეხება ჰქონია.**

– კი, მაგრამ ცხოვრებაში იმით ვარ ამაყი, რომ არასდროს არავისზე ვყოფილვარ დამოკიდებული, მით უმეტეს, წამალზე. მე ეშმაკი ვერ დამაჯდება მხრებზე, პირიქით, მას ვაზივარ და ვმართავ მისავე საწინააღმდეგოდ.

**– კარგი, არ გაზის, ნუ გაზის. მოდი, მაშინ პირადზე გადავიდეთ... ლალი სვანიძეზე ვისაუბროთ.**

– ეს ადამიანი ჩემი რჩეული არ ყოფილა. მოხდა ისე, რომ ჩემი შვილების დედა გახდა და მივიღე. რაც შეეხება იმ ცრუ ინფორმაციას, ამ ქალბატონმა რომ იკადრა – ეს იყო გამწარებული უინტელექტო, სასოწარკვეთილი, მდაბიო ქალის რეაქცია. მხოლოდ გაუნათლებელი ადამიანი თუ იკადრებდა მსგავს სიმდაბლეს, რაც ამ პიროვნებამ ჩემი, ჩემი ოჯახისა და შვილების წინაშე იკადრა. აბსოლუტური სიცრუე იყო ყველაფერი, რაც მან ტელეეთერით თქვა. მიუხედავად იმისა, რომ წყობიდან გამოვედი, ჩემს თავს მოვუწოდე, მის დონემდე არ დავცემულიყავი და სახალხოდ არ მეთრია იმ ენით სტუდიაში. ეს არის და ეს. ყველას მოსდის შეცდომა. ჩემი დიდი შეცდომა ლალი სვანიძე იყო!

**– თუ არ ვცდები, ეს ინტერვიუ მაშინ გავიდა, როცა შენსა და ნინი შერმადინზე გავრცელდა ჭორები. ალბათ, ეს იყო ამის მიზეზიც. ისე, ისეთი ბოჰემური ტიპაჟი ხარ, ქმრის სტატუსი შენთვის ცოტა შეუფერებლად მეჩვენება.**

– მზად არ ვიყავი ოჯახის შესაქმნელად, 20 წლისა დავქორწინდი. მინდოდა, ჯერ კარიერა შემექმნა, ფინანსური მდგომარეობა გამეუმჯობესებინა და შემდეგ დავქორწინებულიყავი. მშობლების ხარჯზე ცოლის მოყვანა დიდ სირცხვილად მიმაჩნია, მაგრამ რას ვიზამთ, მოხდა ეს გამრუდება და დაერქვა ლალის ცოლი.



**მინდა მამაკაცებს, ჩემზე უფრო პატარებს მოვუწოდო, არასდროს მოიყვანონ ცოლად ქუჩიდან...**

**– ბანალური და ალბათ, უტაქტოც იქნება, გკითხო, რატომ დაშორდითმეთქი. მეგობრები ან ცოლ-ქმარი რომ შორდებიან ერთმანეთს, იქ ყოველთვის არსებობს რაღაც მიზეზი.**

– აუცილებლად უნდა იყოს გაგება, ნდობა, სიყვარული, იუმორი და მრავალი ის კომპონენტი, რომელიც ურთიერთობას კრავს და მარადიულს ხდის. აღარ მინდა მაგ ქალზე ლაპარაკი, ისედაც ბევრი დრო დავკარგე. მე მხოლოდ შეიძლება, მახსოვდეს მისი ვინაობა შვილებიდან გამომდინარე. არ მინდა, ისევ ჩემი შვილების გამო, მას შურაცხყოფა მივაყენო. თავს შევიკავებ და აღარ გავაგრძელებ.

**მე ეშმაკი ვერ დამაჯდება მხრებზე, პირიქით, მას ვაზივარ მხრებზე და ვმართავ მის საწინააღმდეგოდ**

**– ესე იგი, შენი დიდი შეცდომა ის იყო, ამ ადამიანს ბედი რომ დაუკავშირე?**

– კი, რა თქმა უნდა, ამას ვაღიარებ. დღითი დღე ვხვდები, რომ ეს ჩემი მხრიდან დაშვებული ყველაზე დიდი, გამოუსწორებელი შეცდომაა. ამიტომ, მინდა, მამაკაცებს – ჩემზე უმნცროსებს მოვუწოდო, არასდროს მოიყვანონ ცოლად ქუჩიდან, ასე ვთქვათ, ნაუცბადევად გაცნობილი. ჯერ კარგად გაიცნონ, აწონ-დაწონონ ყველაფერი და შემდეგ გაყონ თავი უღელში.

**– სიმართლე გითხრა, როცა ეს ქალი ერთ-ერთ შოუში ვნახე, რომელიც, ჩემი აზრით, ზღვარგადასულად, არაკორექტულად ლაპარკობდა ამ ურთიერთობაზე, ვიზუალურადაც დიდი სხვაობა დავინახე თქვენს შორის.**

– რა თქმა უნდა, არანაირ სტანდარტებში არ ჯდებოდა ის ქალი, რომელმაც ორი ანგელოზი მაჩუქა. სრულიად განსხვავებული იყო ჩემი გემოვნებისგან, მაგრამ მოხდა ასე... ლუკა და ვივიენი ჩემი ცხოვრების სიამაყეები არიან. მე მათთვის ყველაფერს გავაკეთებ, მიუხედავად იმისა, ის ქალი მიქმნის ბარიერს, რომ ბავშვები ვერ ვნახო. ისინი ჩემი შვილები არიან და რა გვარზეც არ უნდა დაწეროს და რა ილუზიებში, ტყუილშიც არ უნდა აცხოვროს, არაფერი გამოუვა. მე მივმართე კიდეც სასამართლოს, მაგრამ, რადგან მასთან არანაირი ქორწინების დამადასტურებელი საბუთი არ მაქვს – არც ხელი მომიწერია და არც ჯვარი დამიწერია, შესაბამისად, ბავშვებსაც არ ჰქონდათ ჩემი გვარი. ხელჩასაჭიდიც არაფერი მაქვს, რომ სარჩელი შევიტანო სასამართლოში (საბერძნეთში ცოტა სხვა წესებია. ბავშვები იქ დაიბადნენ). დარჩა ერთი გამოსავალი – დნმ-ის ანალიზის გაკეთება. მაგრამ, რამდენჯერაც ლუკასთან სკოლაში მივედი, მითხრეს, ხშირად აცდენს გაკვეთილებს, არ დადისო და ვერ მოვახერხე ნახვა. რცხვენოდეს დედამისს, რომ ასეთ პირობებში ზრდის ბავშვებს – ტყუილში და უპასუხისმგებლოდ.

**– შენ ცალკე ცხოვრობ, მშობლები – ცალკე. რატომ?**

– რაც შეეხება ჩემს მარტო ცხოვრებას, მშობლებმა ჯერ კიდევ თინეიჯერობის ასაკიდან იზრუნეს ამაზე. შემაჩვიეს დამოუკიდებელ ცხოვრებას როგორც ფინანსურად, ისე პიროვნულად. სადაც ვცხოვრობ, იქ აუცილებლად უნდა ვგრძნობდე თავს კომფორტულად. ლამაზი გარემო მიქმნის სულიერ კომფორტს, ბალანსს საკუთარ მესთან. ინტერიერი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. კედლების ფერთა გამა ეთამაშება ჩემს ემოციურ მდგომარეობას და შესაბამის განწყობაზე მაყენებს.

**– ლალი შენს ორიენტაციას შეეხო, ვითომ სწორედ ეს არის მიზეზი თქვენი დაშორების და ბავშვებსაც ამიტომ არ გაკარებს. დარწმუნებული ვარ, მას მერე შენც, გინდა თქვა რაღაც საჯაროდ, ისე, როგორც ეს მან გააკეთა. ახლოსაა მისი ნათქვამი სიმართლესთან?**

– საინტერესო შეკითხვაა. მოდი, მაშინ ასე დავიწყებ, ვალდებული არ ვარ, საზოგადოებას ანგარიში ვაბარო, თუ ვინ და რა მევასება ლოგინში იმისთვის, რომ სიამოვნება მივიღო. უბრალოდ, ეს გასაჯაროვდა და ამიტომ, კიდევ ერთხელ გავცემ პასუხს. სიყვარულს ორიენტაცია არ გააჩნია... ლალიმ ბრძანა, ვითომ მე გაურკვეველი ორიენტაციის ვარ. ვიმეორებ, ეს იყო ერთი სასოწარკვეთილი, გაუნათლებელი დედაკაცის რეაქცია. მე მრცხვენია მის ნაცვლად. ნუთუ ღმერთის არ ეშინია, ბავშვები რომ გაიზრდებიან და იმ ჩანაწერს ნახავენ, როგორ გგონია, რა რეაქცია ექნებათ? მაშინ რა პასუხს გასცემს ქალბატონი ლუკას და ვივიენს? ან, თუ ჩემზე ის ინფორმაცია ჰქონდა, რაც დამაბრალა, მაშინ რად უნდოდა ასეთი კაცისგან ორი შვილი და კიდევ მესამეს რომ მთხოვდა?! ვაიმე, როგორი ცოდოა საწყალი... მაშინ ეს ინფორმაცია გამოეპარა და შეცდენილი აღმოჩნდა კრავი ანომალის კლანჭებში, არა? სასაცილოა ეს ყველაფერი. არავისთან არ მაქვს თავი გასამართლებელი. მე ვარ თავისუფალი პიროვნება და ვცხოვრობ ისე, როგორც მე მესიამოვნება. არავის ვაყენებ ზიანს ჩემი არჩევნით. არავის პირადი ცხოვრებით არ ვინტერესდები და არც ვსაუბრობ ამაზე. მოვითხოვ, ყველამ პატივი სცეს ჩემს არჩევანს, რომელიც ნორმალური და ჩამოყალიბებულია, ისევე, როგორც მე ვცემ პატივს სხვისას. ნუ იცხოვრებენ სხვისი ცხოვრებით. ისედაც ლიმიტირებულია ეს ცხოვრება და დროა, სხვაზე დახარჯული დრო საკუთარ თავზე დახარჯონ, შეერგებათ. სექსი ჯანმრთელობაა, რაღა დროს ორიენტაციაზე საუბარია. მე ვარ ჯანმრთელი ადამიანი, ჯანსაღი ცხოვრების წესით – როგორც კვებით, ვარჯიშით, ისე აზროვნებით.

**ეკა პატარაია**

**ძველად, ძალიან ბევრ ოჯახში მშობელი იწყებდა ლოცვას და გვერდით იყენებდა შვილებს, რომლებსაც უკვე შეეძლოთ ამ ყველაფრის მოსმენა, გააზრება, გაგება. ერთობლივი ლოცვა ტარდებოდა და, ალბათ, ამიტომაც გამოირჩეოდნენ ჩვენი წინაპრები ჩვენზე მეტი რწმენით, მონდომებით, სულისკვეთებით, პატრიოტიზმით და შვილებსაც ასე ზრდიდნენ. თუ როგორ უნდა გაზარდონ თანამედროვე მშობლებმა შვილები ჭეშმარიტ ქრისტიანებად, რა არ უნდა დააძალონ მათ და რა ასაკიდან უნდა შეინახონ ბავშვებმა მარხვა, ამის შესახებ გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):**

# როგორ იწვევენ მშობლები შვილების ეკლესიური ცხოვრებისგან ჩამოშორებას და რა ასაკში არ არის საჭირო ბავშვისთვის მარხვის შენახვა

– ძალიან კარგია, თუ ერთი პირით ადიდებენ ოჯახის წევრები უფალს. თუ საქართველოში ასეთი ოჯახი ბევრი იქნება, ეს ჩვენს სიძლიერეს წარმოაჩენს უფლის წინაშე და ჩვენთვის ძალიან კარგია. მაგრამ, თუ ეს არ ხერხდება, მაშინ ოჯახში ერთი ადამიანი იქნება მორწმუნე და მლოცველი თუ ორი, მათ სარწმუნოებრივი მაგალითი უნდა მისცენ ბავშვებს. შეიძლება, შვილმა მშობლებთან ერთად არ ილოცოს, მაგრამ, როდესაც დაინახავს, რომ მამა და დედა ლოცულობენ, მისთვის ეს კარგი მაგალითი იქნება და თვითონაც დაიწყებს მომავალში ლოცვას.

**– თუმცა, ზოგჯერ ამას იძულების სახე აქვს.**

– ყველა წმიდა მამა, გამოცდილი მოძღვარი, წმიდანი და საეკლესიო პრაქტიკა ერთ რამეს გვასწავლის: ბავშვებთან მიმართებაშიც ზომიერების დაცვაა საჭირო. ჩვენ არ უნდა მოვთხოვოთ ბავშვებს მარხვის შენახვა, ზიარება, იმის აღსრულება, რაც ჯერ არ შეუძლიათ, თუმცა, მათთვის ამ ყველაფრის არმოთხოვნაც არ გვეპატიება, რადგან, შემდეგში ამას თავად უფალი მოგვკითხავს. უფალი ადამიანს მხოლოდ საკუთარ თავს არ აბარებს – როდესაც გვაქვს ოჯახი, გვყავს შვილები, ჩვენ არა მარტო საკუთარ თავზე, არამედ, შვილების, ოჯახის წევრების ქცევასა და ცხოვრებაზეც ვაგებთ პასუხს და ჩვენი მხრიდან გულგრილობა არ იქნება სწორი. მათდამი უსიყვარულობა და გულგრილობაა, როდესაც ყრმობიდანვე არ ჩავუნერგავთ უფლის შიშს, სიყვარულს, მაგრამ, ეს უნდა მოხდეს არა ძალდატანებით, არამედ პირადი მაგალითის საფუძველზე. როგორც სულიერი მამები გვასწავლიან, მარხვა სულიერი წრთვნაა ადამიანისთვის, რათა მან განავითაროს საკუთარი სულიერი ძალები. როდესაც ადამიანი ინახავს მარხვას, ის ამით ნებისყოფას გამოიმუშავებს და რალაცაზე უარის თქმას სწავლობს.



**ზოგიერთ მორწმუნეს აქვს არასწორი, არაჯანსაღი მიდგომა – ისინი შვილებისგან ითხოვენ იმ ყველაფრის შესრულებას, რასაც თავად ასრულებენ**

მართალია, ძალიან რთულია, როდესაც ადამიანი უარს ამბობს იმაზე, რაც გულით უნდა, რაზეც მიჯაჭვული იყო, მაგრამ ეს მისთვის სულიერი ვარჯიშია, ამ დროს ის იწყებს საკუთარ თავზე მუშაობას და ეს მას ყველა სურვილზე, გრძნობებსა და მიდრეკილებებზე მაღლა აყენებს. ჩვენ თუ ვიქნებით სამაგალითო მშობლები, ბავშვები ამას დაინახავენ და შეითვისებენ. თუმცა, შეიძლება, ბავშვს მცირედი დოზით ვაიძულოთ, შეეჩვიოს ლოცვას, მარხვას, უფლის მცნებების აღსრულებას, ოღონდ, ზედმეტად არ უნდა მოვთხოვოთ ის, რისი აღსრულებაც არ შეუძლია და არ უნდა დავაბრკოლოთ, არ უნდა ავკიდოთ ის ტვირთი, რომელსაც ვერ ზიდავს, რადგან, ამით, შეიძლება, მას ბავშვობიდან დავუკარგოთ უფლის შიში და სიყვარული; ანუ, ბავშვს სულიერი საზრდო აუცილებლად უნდა მივაწოდოთ, მაგრამ, ზომიერად, პირადი დაკვირვებით, რომ მან ეს ყველაფერი მიიღოს და არ გააკეთოს მექანიკურად, მხოლოდ იმიტომ, რომ ამას მშობლები აძალებენ. თუ ჩვენ ბავშვს ძალას დავატანთ, ილოცოს და იმარხულოს, ის ამას ჩვენ გამო შეასრულებს, მაგრამ, როდესაც ჩვენ არ ვიქნებით, ამას აღარ გააკეთებს ან გააკეთებს ზერელედ და ამით საკუთარ თავს ავნებს. როდესაც გაიზრდება და არჩევნის საშუალება ექნება, შეიძლება, მან ძალიან ცუდი არჩევანი გააკეთოს, რადგან, მანამდე ყველაფერი ძალდატანებით, მისი ნების საწინააღმდეგოდ ხდებოდა და ამით მას უფლის მცნებების მიმართ, შესაძლოა, უარყოფითი დამოკიდებულება და პროტესტი ჩამოუყალიბდეს.

**– ხშირად მშობლები შვილებს არჩევნის საშუალებას არ უტოვებენ.**

– ზოგიერთ მორწმუნეს აქვს არასწორი, არაჯანსალი მიდგომა. ისინი შვილებისგან ითხოვენ იმ ყველაფრის შესრულებას, რასაც თავად ასრულებენ. ყველამ ვიცით, რომ მართლმადიდებლობა თავისუფალი სარწმუნოებაა. სახარება გვასწავლის, რომ ადამიანი თავისი ნებით უნდა მიეახლოს უფალს. უფალი არ ითხოვს ღვთისკენ, სარწმუნოებისკენ ნაბიჯის ძალით გადადგმას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი შვილები პიროვნებები არიან. რა თქმა უნდა, მათზე გარკვეული უფლებები გვაქვს, რადგან ჩვენ მათი მშობლები ვართ, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბოლომდე ჩავერიოთ მათ ცხოვრებაში, აზროვნებაში, თავისუფლებაში. თავად უფალი არ აბრკოლებს ადამიანს თავისუფალ არჩევანში, თუმცა, აჩვენებს ორ გზას: ერთი ცხონებისკენ მიდის, მეორე – წარწყმედისკენ. ასე რომ, ყველა მშობელმა უნდა გაითვალისწინოს და, კი არ დააძალოს შვილს ლოცვა, ეკლესიაში სიარული, არამედ, საკუთარი ქცევით მისცეს მაგალითი. მშობელი, რომელიც ბავშვს აძალებს, იმარხულოს, ილოცოს მასთან ერთად, დაესწროს წირვას, მიუხედავად იმისა, შეუძლია და სულიერად მომწიფებულია თუ არა, აქვს თუ არა ამის სურვილი, რა თქმა უნდა, არასწორად იქცევა. ეს შემდეგში გამოიწვევს ამ ადამიანის ჩამოშორებას სარწმუნოებისგან. ჩვენ არაერთი მაგალითი ვიცით, როდესაც უკვე ზრდასრული ადამიანი ამბობს, რომ მშობლები ბავშვობაში აძალებდნენ ლოცვების კითხვას, ყველაფერს მისი ნების წინააღმდეგ აკეთებდნენ და ამან საპირისპირო რეაქცია გამოიწვია – ლოცვებისადმი, ეკლესიაში სიარულისა და ზიარებისადმი ცუდი დამოკიდებულება ჩამოუყალიბა, პროტესტი გამოიწვია მასში.

**შვილს არ უნდა ავკიდოთ ის ტვირთი, რომელსაც ვერ ზიდავს, რადგან, ამით, შეიძლება, მას ბავშვობიდან დავუკარგოთ უფლის შიში და სიყვარული**

**– რა ასაკიდან უნდა შეინახონ ბავშვებმა მარხვა და რა სიხშირით უნდა ხდებოდეს მათი ზიარება?**

– 9-10-12 წლის ბავშვებს უკვე მოეთხოვებათ, წირვაზე მოვიდნენ უზმოზე და ისე ეზიარონ, რადგან, ამ საკითხის გაუბრალოება არ შეიძლება. ახალდაბადებულები, რაც უფრო ხშირად ეზიარებიან, უკეთესია. მშობელს შეუძლია, ყველა დღესასწაულზე, კვირას, ასევე, სადაგ დღეებში მიიყვანოს ბავშვი და აზიაროს – ამაზე კარგი არაფერია. ჯობია, სადაგ დღეებში წაიყვანონ ეკლესიაში და აზიარონ. როდესაც ბავშვი ხშირად ეზიარება, ის უფლის მადლს ხშირად იღებს, ეჩვევა ამ უდიდეს საიდუმლოში მონაწილეობას და, თუ ეს ყველაფერი იქნება გაკონტროლებული, ზომიერებაში გადატანილი, ის წარმატებული ქრისტიანი გაიზრდება. 2-3-4, თუნდაც, 6 წლის ბავშვს მარხვის დაცვა არ ევალება. არსებობს წმიდა მამის, ტიმოთე ალექსანდრიელის 68 კანონი, სადაც წერია, რომ ბავშვს ეკლესიური ცხოვრება მოეთხოვება და ის უფლისგან განიკითხება სულიერი მოწიფულობის მიხედვით. თუ ბავშვი არის 8-10 წლის, თუ ის მოწიფულია რელიგიურად და შემეცნების, აღქმის უნარი გააჩნია, შეუძლია, აღსარება ჩააბაროს. 2, 3, თუნდაც 5 წლის ბავშვმა როგორ უნდა გააცნობიეროს სინანულის საიდუმლო, რომლის გაცნობიერება ჩვენც კი გვიჭირს და ხშირად სწორად ვერ ვიგებთ მის ნამდვილ არსს?! ამიტომ, როგორ უნდა მოვთხოვოთ 3-4 წლის ბავშვს აღსარების თქმა, რომელიც, თავის მხრივ, უმწიკვლო, უბიწოა, არ არის ცოდვით შესრულებული?! ეს იქნება მიუღებელი და ბავშვს ამ ყველაფრისადმი არასწორი მიდგომა ჩამოუყალიბდება. თუმცა, 8-10 წლიდან ბავშვი უნდა შეეჩვიოს აღსარების თქმას, მარხვის დაცვას, მაგრამ, ეს მისი სულიერი მდგომარეობიდან გამომდინარე უნდა ხდებოდეს და, შესაბამისად, მიდგომაც ინდივიდუალური უნდა იყოს. მან იმ შემთხვევაში უნდა იმარხულოს, თუ ეს მის ძალებს არ აღემატება; უნდა იმარხულოს, მაგრამ, არა ისე, როგორც მისი მშობლები მარხულობენ – შეიძლება, დიდმარხვაში მხოლოდ ოთხშაბათი-პარასკევი დაიცვას, ან, ის მძიმე დღეები, რომლებიც უფლის გაცემას, ჯვარცმას უკავშირდება. მაგრამ, თუ მას აქვს სურვილი, ამ მიმართულებით უფრო მეტი გააკეთოს, ჩვენ შეგვიძლია, მივცეთ კურთხევა, თუმცა, ეს მოძღვრისა და მშობლების მიერ მკაცრად უნდა იყოს გაკონტროლებული, რომ ბავშვს ზედმეტი არ მოუვიდეს და საკუთარ თავზე დიდი ტვირთი არ აიღოს.

**ნათია უტიაშვილი**

# ბერის გამოცდა

ძველად მეუდაბნოე მამებს თავიანთი ნაკეთობები სავაჭროზე გაჰქონდათ, ყიდდნენ და საარსებო პურს ამით შოულობდნენ. ისინი წნავდნენ კალათებს, თიხისგან ამზადებდნენ ჭურჭელს და მოგებული თანხით პურსა და ბოსტნეულს ყიდულობდნენ.

ერთხელ ამბა აგათონი მის მიერ დამზადებული თიხის ჭურჭლის გასაყიდად ქალაქში წავიდა. ზურგზე ტომარა ჩამოიკიდა, რომელშიც სამი ქოთანი ჩადო. უდაბნოში ისე საშინლად ცხელოდა, რომ ქვეწარმავლებიც კი სოროებში დამალულიყვნენ. ამიტომ, ბერს ძალიან გაუკვირდა, როცა გზის პირას მჯდარი კეთროვანი შენიშნა.

– საით გაგიწევია, ამბა? – ჰკითხა კეთროვანმა, თან დამახინჯებულ სახეზე ხელი აიფარა. კეთროვანს ისეთი უხეში ხმა ჰქონდა, ველური მხეცის ღმუილს მოგაგონებდათ.

– ქალაქში მივდივარ, ქოთნები მიმაქვს გასაყიდად, – უპასუხა ამბამ.

– სიკეთე მიყავ, ქალაქში მეც წამიყვანე, შეევედრა სნეული.

კეთრი – გადამდები, უკურნებელი სენია. იგი ძველ დროში იყო გავრცელებული. კანონით ამ დაავადებით სნეული ადამიანები დაბა-ქალაქებიდან განიდევნებოდნენ და უდაბურ ადგილებში ერთად სახლობდნენ. მათ უფლება არ ჰქონდათ, დასახლებულ რაიონებში შესულიყვნენ და ადამიანებს გაჰკარებოდნენ. მაგრამ, ამბას შეეცოდა საბრალო სნეული, ზურგზე წამოიკიდა და ქალაქისკენ გაეშურა. „იქნებ როგორ უნდა ამ უბედურს სიკვდილის წინ თავისი ახლობლებისა და მეგობრების მონახულება“, – ფიქრობდა ამბა. როცა ქალაქის კარიბჭეს მიუახლოვდნენ, კეთროვანმა ტომარა შემოიხვია, რომ ქალაქის მცველებს ეფიქრათ, თითქოს მეუდაბნოე ბერს რაღაც ტვირთი მიჰქონდა. როცა ქალაქში შევიდნენ, კეთროვანმა უთხრა:

– მეც ბაზარში წამიყვანე და იქ დამსვი, სადაც ჭურჭლის გაყიდვას აპირებ.

ამბა აგათონმა იგი ბაზარში მიიყვანა და ფრთხილად ჩამოსვა. ბერები თავის ჭურჭელს ისე ჰყიდნენ, არავის ევაჭრებოდნენ, – რასაც შეაძლევდა მყიდველი, თანხმდებოდნენ.

როცა ამბამ პირველი ქოთანი გაყიდა, კეთროვანმა ჰკითხა:

– რამდენად გაყიდე შენი ქოთანი?

– ერთ მონეტად, – მიუგო ბერმა.

– მაგ ფულით ტკბილი ნამცხვარი მიყიდე, – სთხოვა სნეულმა.

ამბამ კეთროვანს ნამცხვარი მიართვა და მალევე მეორე ქოთანი სარფიანად გაყიდა.

– ამბა, რამდენად გაიყიდა შენი მეორე ქოთანი? – მაშინვე ჰკითხა ტომარას ამოფარებულმა კეთროვანმა.

– ორ მონეტად, – მიუგო ამბამ.

მაგ ფულით კიდევ ერთი ნამცხვარი მიყიდე, თორემ შიმშილისგან ვკვდები, – კვლავ ამოიღმუვლა კეთროვანმა. ბერმა მორჩილად აღუსრულა ეს სათხოვარიც. როგორც კი კეთროვანმა ნამცხვარი აილო, უტიფრად გადაიხარხარა:

– არ გაგიმართლა, ამბა, რომ გზაზე შემოგხვდი. ამ თანხით შენ ბევრი ორცხობილის ყიდვა შეგეძლო, ახლა კი შენს სენაკში ისევ მშიერი დარჩები.

– არა უშავს, – მშვიდად უპასუხა ბერმა, – მთელი ჩემი ცხოვრება სულ ვშრომობ, პურის ფული რომ ვიშოვო, მაგრამ უფალი რომ არ მასაზრდოებდეს, ვერ შევძლებდი ლუკმაპურის მოპოვებას.

ბოლოს ბერმა უკანასკნელი ქოთანიც გაყიდა და კეთროვანმა კვლავ შესთხოვა.

– კიდევ ერთი ტკბილი ნამცხვარი მიყიდე, შემდეგ ისევ უკან, უდაბნოში მიმაბრუნე და იმ ადგილას დამსვი, სადაც შემოგხვდი, – ჩემი ქალაქში დარჩენა არ შეიძლება.

ამბა აგათონმა ყოველივე მორჩილად აღასრულა. კეთროვანი უდაბნოში გზის პირას ჩამოსვა და როგორც კი სენაკისკენ წასვლა დააპირა, ზურგს უკან ენით აღუწერელი მშვენიერი ხმა შემოესმა.

– კურთხეულ ხარ, შენ, აგათონ, უფლისაგან ორთავ სოფელში.

ამბა მიბრუნდა და იხილა, როგორ ამაღლდა ზეცად ბრწყინვალე ფრთების მქონე უფლის ანგელოზი, რომელიც მას კეთროვანის სახით მოევლინა, რათა ბერის უდიდესი მორჩილება გამოეცადა.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: ოჯახის წევრთან ქონების გაყოფასთან დაკავშირებით გამირთულდა ურთიერთობა. ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ და ასეთი ცხოვრება ძალიან მიმძიმს. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** არ არსებობს საერო საკითხი, სახარებისეული სიბრძნე რომ არ ესადაგებოდეს. სახარების მიხედვით კი, უფალი ერთმანეთის სიყვარულს გვასწავლის, სიყვარულის უნარი ნებისმიერ ქონებაზე მეტია. ოჯახის წევრებს შორის ქონებისთვის ასე გართულებული ურთიერთობები ბოროტი ძალისგან არის შთაგონებული. ილოცეთ თქვენი ოჯახისთვის და უფალი შეგეწევათ.

**კითხვა: მშობლები ათეული წლის წინ გარდამეცვალა. ბოლო დროს ძალიან ხშირად მეცხადება მათი სახეები, თუმცა არაფერს ამბობენ. როგორ უნდა მოვიქცე?**

**პასუხი:** მათ სახელზე მღვდელმსახურს გადაახდევინეთ პანაშვიდი, მოიხსენიეთ პირად ლოცვებში და წირვის დროს – პროსკომიდიაში. ისინი თქვენგან ლოცვასა და შეწევნას მოითხოვენ.

**კითხვა: გთხოვთ გვიპასუხოთ, შესაძლებელია თუ არა ეკლესიური წესით, ერთი ბავშვი მონათლოს ცოლ-ქმარმა?**

**პასუხი:** რადგან ერთი ბავშვის ნათლიებს შორის ქორწინება აკრძალულია, ცოლ-ქმარიც ვერ მონათლავს ერთ ბავშვს. როგორც წმიდა წერილი გვასწავლის, ცოლ-ქმარი „ერთ სულ და ერთ ხორც არს“. თუმცა, ცოლ-ქმარი ვალდებულია, იზრუნოს ერთმანეთის ნათლულებზე.



**კითხვა: რა ძალები გველობებიან სასუფევლის გზაზე?**

**პასუხი:** სასუფევლისკენ მიმავალ გზაზე სამი უმთავრესი მტერი ჰყავს ადამიანს. პირველი – ხორციელი ზრახვებით, ცოდვით ვნებული ჩვენი ბუნება; მეორე – ურწმუნო, ცოდვით დაცემული ადამიანები და მესამე – ეშმაკი. ეს ყველაფერი გვიბიძგებს ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ, მათ ნებას დავექვემდებაროთ და დავკარგოთ ცათა სასუფეველი.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## ამაოდმეტყველება და სულიერი საუბარი

მოხუცებულ კასიანეს, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში მარხულობდა, ერთ ბერთან სულიერი საუბარი ჰქონდა. რადგან მათი საუბარი საკმაო ხანს გაგრძელდა, ბერმა თვლემა დაიწყო. ღირსი კასიანე შეწუხდა ბერის დაუდევრობის გამო და მოისურვა, მის წინაშე მაცდური სულის ქმედება გაემჟღავნებინა. მან ისეთი საუბარი დაიწყო, რაც მხოლოდ მხიარულად დროის გატარებას შეეფერებოდა... უეცრად ბერმა გამოიღვიძა და ყურისგდება დაიწყო, რათა არც ერთი სიტყვა არ გამორჩენოდა. მაშინ კასიანემ მძიმედ ამოიოხრა და ბერს უთხრა: „რა საბრალონი ვართ! სანამ ზეციურზე ვსაუბრობდით, ჩვენი ყურადღება თვლემამ გაფანტა; როგორც კი ბაგეებს მხიარული სიტყვა მოსწყდა, გამოვიღვიძეთ და ძილმაც გადაიარა“.

ამ შეგონებით გულის სიღრმემდე შეძრული ბერი, მას შემდეგ მუდამ ევედრებოდა უფალს, რათა აღარასოდეს ჩასძინებოდა სულიერი საუბრის დროს და მეყსეულად ღრმა ძილი მოევლინა მისთვის, როგორც კი ამაოდ მეტყველება შემოეპარებოდა, ანდა სხვა სახელის აუგად ხსენებას დაიწყებდა.

ჩვენც ამ დაუდევარი ბერის მსგავსად, ყველაფერს სიამოვნებით ვუსმენთ, ზნეობრივი განსწავლის ნაცვლად. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბერი გამოსწორდა, ჩვენ კი უმეტესწილად, როგორც ვცხოვრობთ, ისევე ვკვდებით.

## უფალი მხოლოდ წმიდა გულითა და სუფთა ხელებით შეწირულ მსხვერპლს იღებს ჩვენგან

ქალაქ ელცის მოსახლეობაში დიდი პატივისცემით სარგებლობდა ღვაწლმოსილი მღვდელი, ქრისტეს ნამდვილი მსახური, მამა იოანე. სხვა მრავალ კეთილ საქმეთა გარდა, ის გამოირჩეოდა სრული უპოვარებითა და ღარიბებზე ზრუნვით.

ერთმა საკმაოდ მდიდარმა ვაჭარმა, რომელმაც ქონება მოტყუებით დააგროვა, დიდი ტაძარი ააშენა და მის სანახავად მამა იოანე მიიწვია. მოძღვარი დიდხანს არ თანხმდებოდა, ბოლოს კი დემორჩილა მის დაჟინებულ თხოვნას და მასთან ერთად ტაძრისკენ გაემართა.

თვითკმაყოფილი ვაჭარი დაწვრილებით მოუთხრობდა ბერს და ცდილობდა, მისი ყურადღება ტაძრის მოცულობისა და მდიდრული მორთულობისკენ მიეპყრო. მაგრამ, მისდა გასაოცრად, მამა იოანე მდუმარედ უსმენდა.

– შეხედე, მამაო,– უთხრა ბოლოს ვაჭარმა, – რა დიდი ფართობია, რამდენი ადამიანი დაეტევა მასში!

– მართლაც დიდი ფართობია, ვერაფერს იტყვი, უპასუხა მამა იოანემ, – მაგრამ ის მაინც ვერ დაიტევს შენგან განაწყენებულ ადამიანებს. შენ მიერ მოტყუებული ადამიანების ამ ტაძარში დასატევად, მას კიდევ საკმაოდ დიდი ფართობი უნდა მიემატოს! რა თქმა უნდა, კარგი საქმეა ტაძრის აშენება, მაგრამ იქნება კი ეს საკმარისი, რათა შენი უკანონობანი დაფაროს? ყველა წყენა, ოხვრა და ცრემლი ადამიანებისა, რომელთა წინაშეც შენ დამნაშავე ხარ?

გონივრული სიტყვაა! იმისთვის, რომ ჩვენ მიერ შეწირული მსხვერპლი ღმერთმა მიიღოს, ის წმიდა გულითა და სუფთა ხელებით უნდა შეიწიროს...

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# ფეხბურთის რომელი ლეგენდები დაასრულებენ კარიერას 2014 წლის ზაფხულში

*ყოველ წელს პროფესიულ საფეხბურთო კარიერას ამთავრებენ ლეგენდარული ფეხბურთელები, ბავშვობის დროინდელი კერპები, რომელთა გამოც ფეხბურთი სპორტის ნომერ პირველ სახეობად ითვლება მსოფლიოში. არც წლევანდელი ზაფხული იქნება გამონაკლისი და გაგაცნობთ იმ ვარსკვლავებს, რომელთა კარიერა დასასრულს უახლოვდება.*

### რაული

შეიძლება ითქვას, რომ ლეგენდარულმა რაულმა კარიერა 2012 წელს დაასრულა, როდესაც ბურთის გასაგორებლად ევროპიდან ყატარში გადავიდა. ოფიციალურად ბუცებს ლურსმანზე რაული ამ ზაფხულს ჩამოკიდებს, როდესაც ამოიწურება მისი კონტრაქტი „ალ-საადთან." რაული თავდამსხმელისთვის სოლიდურ ასაკშია – ის 37 წლისაა და მისმა მშობლიურმა მადრიდის „რეალმა" უკვე მოუწყო გაცილება. თავისი კარიერის განმავლობაში რაულმა საკლუბო დონეზე აბსოლუტურად ყველაფერი მოიგო, თუმცა, ერთადერთი, რაზეც მას, შესაძლოა, დაწყდეს გული, ესპანეთის ნაკრების წარმატებაა, რასაც გუნდმა რაულის გარეშე მიაღწია.

### ალესანდრო დელ პიერო

2012 წელს მშობლიური „იუვენტუსიდან" შორეულ ავსტრალიაში გადაბარგდა კიდევ ერთი ლეგენდარული ფეხბურთელი ალესანდრო დელ პიერო. მსოფლიოს ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული ვარსკვლავი, რომელიც ამჟამად 39 წლისაა და სულ მალე 40-ის გახდება, „სიდნეის" რიგებში ასპარეზობს და, სავარაუდოდ, ზაფხულში კარიერას დაასრულებს. დელ პიერო ამჟამად გუნდის კაპიტანი, ბომბარდირი და ლიდერია და, ძნელად წარმოსადგენია მის გარეშე დარჩენილი ავსტრალიური კლუბი.



### ტიერი ანრი

ახლო მომავალში კარიერის დასრულებაზე კიდევ ერთი ლეგენდარული ფეხბურთელი დაფიქრდა. ლონდონის „არსენალის" ლეგენდა, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული და ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელი ისტორიაში, საუბარია ფრანგ ტიერი ანრიზე, ის ამჟამად ამერიკაში, „ნიუ-იორკ რედ ბულზში" ასპარეზობს. ანრი აგვისტოში 37 წლის გახდება და დროული იქნება ნასვლაზე დაფიქრება, მით უმეტეს, რომ „არსენალმა" უკვე შესთავაზა მას საკლუბო სტრუქტურაში დასაქმება.

### რაიან გიგზი

უკანასკნელი ხუთი წელია, საზოგადოება რაიან გიგზს დიდი ფეხბურთიდან აცილებს, უესსელი კი კვლავ მწყობრშია და მის გარეშე „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახვა პრაქტიკულად წარმოუდგენელია. ამჟამად გიგზი 40 წლისაა, თუმცა, ისევ ინარჩუნებს შესანიშნავ სპორტულ ფორმას და ნებისმიერ 20 წლის ფეხბურთელს გაუწევს ღირსეულ კონკურენციას. გიგზი დევიდ მოიესის ასტისტენტი და მოთამაშე-მწვრთნელია და, როცა გუნდს უჭირს, მზად არის ნებისმიერ პოზიციაზე დაიცვას კლუბის ღირსება. ამბობენ, რომ მომავალი სეზონიდან გიგზი სამწვრთნელო შტაბის სრულუფლებიანი წევრი გახდება და 25-წლიან საფეხბურთო კარიერას წერტილს დაუსვამს.

### ხავიერ ძანეტი

აგვისტოში ხავიერ ძანეტი 41 წლის გახდება, მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის კარიერას ამ ზაფხულს დაასრულებს. უბრალოდ, არგენტინელს კონტრაქტი ეწურება და ჯერჯერობით უცნობია, გაუგრძელებენ თუ არა მას ხელშეკრულებას „ნერაძურის" შეფები. ძანეტი 1993 წლიდან „ინტერშია" და მომავალში მას გუნდის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე განიხილავენ, თუმცა, მანამდე მან კარიერა უნდა დაასრულოს.

### რივალდო

აპრილში რივალდო 42 წლის გახდება, თუმცა, დღემდე თამაშობს ფეხბურთს. 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და მსოფლიოს 1999 წლის საუკეთესო ფეხბურთელი დიდი ხანია, აღარ თამაშობს მაღალ დონეზე, მაგრამ, ის ფაქტი, რომ ის პენსიაზე გასვლას არ ჩქარობს, მისასალმებელია. ამჟამად რივალდო იქ თამაშობს, სადაც ოდესღაც მისი კარიერა დაიწყო – ბრაზილიურ „მოჟი მირიმში". ცნობისთვის, ის თანამდებობას ითავსებს – რივალდო კლუბის პრეზიდენტია, ხოლო გუნდში მასთან ერთად უმცროსი შვილი – რივალდინიოც თამაშობს. გავრცელებული ვერსიის თანახმად, რივალდოს დიდი ფეხბურთიდან ოფიციალურად ზაფხულში გააცილებენ.

## მისვალებული ალგა!

შემთხვევას, რომელიც ამერიკის შტატ მისისიპში მოხდა, კურიოზულს ვერ დავარქმევთ. ქალაქ ლექსინგტონის მოქალაქის, ვოლტერ უილიამსის სიკვდილი გამოძახებულმა ექიმმა, დექსტერ ჰარვარდმა დააფიქსირა. შეიკრიბნენ ნათესავები და ახლობლები, „შეიცხადეს", გამოიძახეს დაკრძალვის ბიუროს წარმომადგენლები, მიცვალებული გააპატიოსნეს და სასაფლაოსკენ მიმავალ გზასაც გაუყენეს. შუა გზაში ბატონი ვოლტერი გაცოცხლდა და კუბოს თავის ახდას შეეცადა – ასე მოხვდა ის საფლავის ნაცვლად საავადმყოფოში. ექიმებმა დაადგინეს, რომ ამუშავდა იმპლანტირებული დეფიბრილატორი და ეს პირველი შემთხვევა არ არის. მსგავსი ისტორია შარშან პოლონეთში, ქალაქ პეტერკუვში მოხდა: 56 წლის მარეკ მიხალსკი ექიმებმა მკვდრად ჩათვალეს, მაგრამ, მარეკი პათოლოგანატომის მაგიდაზე „აღსდგა" და... ექიმების წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა – მკვდრები თქვენ თვითონ ხართო.

## ვისია ტესლა?!

„მოასვენეთ ტესლა!", „გადაარჩინოთ მეცნიერება!" – ასეთი ტრანსპარანტებით შეიარაღებულმა უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი საპროტესტო აქციაზე ბელგრადში, ცნობილი მეცნიერისა და გამომგონებლის, ნიკოლ ტესლას (1856-1943 წლები) მუზეუმთან. დემონსტრანტებმა მოძრაობა გადაკეტეს. ისინი მუზეუმიდან გამომგონებლის ფერფლის წმიდა საბას ტაძარში გადატანას აპროტესტებდნენ. ბარიკადების მეორე მხარეს მუზეუმების ასოციაცია აღმოჩნდა. „ეს სულაც არ ეხება მეცნიერებას. უბრალოდ, ჰუმანური დამოკიდებულებაა ტესლას, როგორც ადამიანის ნეშტისადმი. ის არ უნდა განვიხილოთ, როგორც სამუზეუმო ექსპონატი", – აცხადებს ასოციაციის თავმჯდომარე ნელა მიჩოვიჩი. აღსანიშნავია, რომ ტესლა ნიუ-იორკში გარდაიცვალა და მისი ფერფლი ბელგრადის მუზეუმში 1957 წელს ჩაიტანეს.

## ნეიმარი – კომპიუტერული ფეხბურთის მეფე

ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელებმა სამხრეთ აფრიკასთან ამხანაგური მატჩის დაწყებამდე ტურნირი ჩაატარეს კომპიუტერულ თამაშში – „ფიფა 2014" და, გამარჯვებული გახდა „ბარსელონის" ერთ-ერთი ლიდერი – ნეიმარი, რომელმაც ნაკრების სხვა ფეხბურთელებს „ფეხბურთის" გაკვეთილი ჯოისტიკით ჩაუტარა. ტურნირში ნეიმართან ერთად მონაწილეობდნენ: ოსკარი, პაულინიო, დავიდ ლუისი, ჟო, ჰალკი, ჟულიო სეზარი, მარსელო, ვილიანი და ტიაგო სილვა. კომპიუტერული ტურნირის პარალელურად, ნეიმარმა ნამდვილ ფეხბურთშიც გამოიჩინა თავი და სამხრეთ აფრიკის ნაკრებს სამი გოლი გაუტანა, სულ კი ბრაზილიის ნაკრებმა 5:0 მოიგო.

## დელ პიერო „მაშველად" მელაიქცა

ლეგენდარულმა იტალიელმა ფეხბურთელმა ალესანდრო დელ პიერომ, რომელიც ამჟამად ავსტრალიაში თამაშობს ადგილობრივ „სიდნეიში", მონაწილეობა მიიღო მაშველებზე გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში.



„ბონდი რესქიუ" – ასეთი სახელწოდების დოკუმენტურ სერიალს სიდნეის ყველაზე პრესტიჟულ სანაპიროზე, ბონდი-ბიჩზე იღებენ და ფეხბურთელი სერიალის მორიგ ეპიზოდში გამოჩნდება, სადაც საკუთარ თავს განასახიერებს.

## პელე საუკეთესო 10 ნომერია

„ფიფას" საერთაშორისო ჟურნალის მიერ, ბრაზილიელი პელე ყველა დროის საუკეთესო 10 ნომრად დასახელდა მსოფლიო ფეხბურთში. ლეგენდარული ბრაზილიელი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც სამჯერ აქვს მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. მეორე და მესამე ადგილებზე დიეგო მარადონა და ზინედინ ზიდანი გავიდნენ. ათეულში, ასევე, მოხვდნენ: ფერენც პუშკაში, მიშელ პლატინი, რობერტო რიველინო, ლიონელ მესი, ლოთარ მათეუსი, გეორგე ჰაჯი და რობერტო ბაჯო.

## მარიო გიოტცეს ვნებები

გერმანული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი, მარიო გიოტცე და მისი ამჟამინდელი მეგობარი გოგო, მოდელი ან-კატრინ ბრემელი შესაძლოა, დაშორდნენ. მიზეზად კი ფეხბურთელის ახალი სატრფო სახელდება. გერმანიის ნაკრებისა და მიუნჰენის „ბაიერნის" ლიდერი უკვე შენიშნეს მავან ლამაზმანთან ერთად და გერმანიაში ვარსკვლავური წყვილის დაშორებაზე ალაპარაკდნენ. ცნობისთვის, ან-კატრინ ბრემელი გერმანიაში გიოტცეზე არანაკლებ ცნობილი სელებრითია, რომელიც ყვითელი პრესის ფურცლებზე პირველად 15 წლის ასაკში გამოჩნდა, როდესაც რომანი ჰქონდა პოპულარულ ჯგუფ „ტოკიო ჰოტელის" სოლისტთან.



**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# ვიტალი კლიჩკო: ბიზნესის რეკორდსმენი და უკრაინის მომავალი პრეზიდენტი

***ვიტალი კლიჩკო თანამედროვე უკრაინის მთავარ პოლიტიკურ ფიგურად ჩამოყალიბდა და მომავალში სავარაუდოდ სწორედ ის დაიკავებს პრეზიდენტის თანამდებობას. კრივში ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი აქტიური საარჩევნო კამპანიისთვის ემზადება. ჩვენ მისი ცხოვრებიდან საინტერესო ეპიზოდებს შემოგთავაზებთ.***



* ვიტალი კლიჩკო 1971 წლის 19 ივლისს დაიბადა დაბა ბელოვოდსკოეში – მოსკოვის რაიონი, ყირგიზეთის სსრ. მამა სამხედრო იყო და ოჯახი განაწილებით ყირგიზეთში ცხოვრობდა – საბჭოთა კავშირის სამხედრო ქალაქში. ბავშვობაში კლიჩკო სამხედრო კარიერასა და კოსმონავტობაზე ოცნებობდა. ვიტალის თქმით, ოჯახში ყველაზე გამორჩეული სიძლიერითა და სიმაღლით იყო, ბაბუამისი. ის მჭედელი გახლდათ და ხელით ღუნავდა ნალებს, წყვეტდა ტყავის ქამრებს. ვიტალის მამა წოდებით პოლკოვნიკი, მფრინავი იყო. ვიტალის ძმა, ვლადიმირი ასევე ცნობილი მოკრივეა, რომელიც ჯერ კიდევ აქტიურ სპორტშია.

* 1996 წელს ვიტალი კლიჩკოს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე უნდა ესპარეზა. თუმცა, თამაშების დაწყებამდე კლიჩკოს დოპინგი აღმოუჩინეს ორგანიზმში. როგორც გაირკვა, 1995 წელს ტრავმის მკურნალობის დროს, ვიტალი სტეროიდებს მოიხმარდა. ექიმმა, მკურნალობის დაჩქარების მიზნით, ვიტალის აკრძალული პრეპარატები გამოუწერა. არსებობს ეჭვი, რომ ვიტალის აკრძალული პრეპარატები სპეციალურად დაუნიშნეს, რადგან ის გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად სახელდებოდა. ვიტალის დისკვალიფიკაციით მისმა ძმამ ისარგებლა. ვლადიმირ კლიჩკო ოლიმპიადაზე გამოვიდა და უკრაინას ოქროს მედალი მოუტანა.

* თავის საკრივო კარიერაში ყველაზე რთულ შეხვედრად ვიტალი კლიჩკოც და კრივის ექსპერტებიც, მის და ლენოქს ლუისის შეხვედრას ასახელებენ. მსოფლიო ჩემპიონ ლეონქს ლუისს 2003 წელს ტიტული უნდა დაეცვა უმთავრეს კანდიდატ კირკ ჯონსონთან. თუმცა, მატჩამდე ერთი კვირით ადრე, კირკმა ტრავმა მიიღო და კრივის მსოფლიო ასოციაციამ სასწრაფო წესით, ჯონსონის შემცვლელად უკრაინელი ვიტალი კლიჩკო დაასახელა. ის შეხვედრა კლიჩკომ წააგო. თუმცა დღემდე მუსირებს აზრი, რომ არა ტრავმა – ვიტალის ორივე წარბი გაუსკდა და ჰემატომა ჰქონდა თვალებზე, შესაძლოა, ლენოქს ლუისს ვერ დაეცვა ტიტული. ტრავმის მიღებამდე კლიჩკო-უფროსი ქულებით ლუისზე წინ იყო. მას მოგებული ჰქონდა ექვსი რაუნდიდან ოთხი. თუმცა, საბოლოოდ, მსაჯების გადაწყვეტილებით, გამარჯვება ლენოქს ლუისს არგუნეს. ამ შეხვედრის შემდეგ, ლუისმა კარიერა დაასრულა და განაცხადა, რომ მსგავსი უმძიმესი შეხვედრა მას არ ჰქონია. კლიჩკომ მას შემდეგ არაერთხელ განაცხადა, რომ მზად არის მატჩ-რევანშის ჩასატარებლად. თუმცა, ლუისმა უარი განაცხადა რინგზე დაბრუნებაზე.

* 1999 წლის 1 ნოემბერს „გინესის რეკორდების წიგნში" ვიტალი კლიჩკო რეკორდსმენებს შორის დასახელდა. ვიტალი კლიჩკოს ეკუთვნის რეკორდი: მან ზედიზედ 26-ჯერ გაიმარჯვა ნოკაუტით, რაც იმ დროისთვის სარეკორდო მაჩვენებელი გახლდათ. თავისი მიღწევით კლიჩკომ ლეგენდარული მაიკ ტაისონის რეკორდი დაამხო.

* უკანასკნელი ბრძოლა რინგზე ვიტალი კლიჩკოს 2012 წლის 8 სექტემბერს ჰქონდა მოსკოვში. მისი მეტოქე ლიბანური წარმოშობის გერმანელი მოკრივე მანუელ ჩარა გახლდათ, რომელმაც მეოთხე რაუნდის დასრულების შემდეგ ვერ მოახერხა შეხვედრის გაგრძელება. ვიტალი კლიჩკო პროფესიული კრივიდან გამარჯვებული წავიდა.

# მხოლოდ ფაქტები

* „NBA-ს დიდების დარბაზში" შესულ კალათბურთელთაგან ყველაზე დაბალი კელვინ მერფია – მისი სიმაღლე მხოლოდ 1 მეტრი და 75 სანტიმეტრია.

* შექსპირის მშობლიური ქალაქია სტრატფორდი ეივონზე.

* მეორე მსოფლიო ომის დროს ჰოლანდიური პორტი სვენინგემი იქცა მეტად მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტად – აქ ძალიან მარტივად იჭერდნენ გერმანელ მზვერავებს, რადგან, მათ ერთხელ მაინც წამოსცდებოდათ ხოლმე პორტის სახელი გერმანული გამოთქმით – შევენინგემ.

* ძველი რომაელები სადილობას აუცილებლად კვერცხით იწყებდნენ.

* ძველი ირლანდიელები მიცვალებულებს ვერტიკალურ მდგომარეობაში მარხავდნენ – ეს მათი ტრადიცია გახლდათ და სულაც არ იყო გამოწვეული ადგილის ეკონომიით.

* ჩინელებს უკვე მეცამეტე საუკუნიდან შეეძლოთ კვადრატული და კუბური ფესვის ამოღება რიცხვიდან სპეციალური დაფისა და ჩხირების დახმარებით.

* ძველბერძნული ქალღმერთის – ათენას სიმბოლო იყო ბუ. კათოლიკური წმიდანის – მარტინის სიმბოლო კი... ბატია.

* სახელის – ევგენის ესპანური ანალოგია ეუხენიოა, ფრანგული – ეჟენი.

* ბელგიელმა მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ ადამიანი თავისი სიცოცხლის განმავლობაში 200 დღეს ატარებს... უნიტაზზე დამჯდარი.

* უცნობია ეგვიპტის ფარაონი, რომლის პირველ მინისტრს ციფნაფ-პანაახი ერქვა, თუმცა, მისი ნამდვილი სახელი იოსები იყო.

* ეკატერინე მეორის ტახტზე ასვლისთანავე რუსეთში ქალაქთმშენებლობის ბუმი დაიწყო. მისი მეფობის დასასრულს ქვეყანაში უკვე 610 ქალაქი იყო. 5 წლის შემდეგ კი, 1801 წელს, მხოლოდ 230 დარჩა – პავლე პირველის რეფორმით, ქალაქების მოსახლეობის უმრავლესობა ისევ სოფლებში გაასახლეს.

* ნიაგარის ჩანჩქერის სანახავად მისულ ტურისტებს აუცილებლად ურიგებენ ლამაზ, ყვითელ, წყალგაუმტარ ლაბადებს, რომ წყალვარდნილიდან წამოსულმა შხეფებმა არ დაასველოს.

* 1920 წლის 16 იანვარს, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მშრალი კანონი შემოიღეს, ერთ-ერთ ამერიკულ ქალაქში გაიმართა სამგლოვიარო ცერემონიალი, სადაც სიმბოლურად დამარხეს „ჯონ ქერის მარცვალი". ამ ფოლკლორული პერსონაჟის სახელი ბევრ ინგლისურენოვან ქვეყანაში სალანძღავ მიმართვად იქცა.

* ჭოკით მხტომელი სერგეი ბუბკო მსოფლიო დონის წარმატებისთვის უკრაინელებმა არა მარტო თავად იროსლავ ბრძენის ორდენით დააჯილდოეს, არამედ, სიცოცხლეშივე აუგეს ქანდაკება, რომლის ზომა მისი რეკორდის ტოლია – 6 მეტრი და 15 სანტიმეტრი.

# ელენ დეჯენერისი: ამერიკის ნომერ პირველი ტელევარსკვლავი

***ელენ დეჯენერისი ამერიკის შეერთებულ შტატებში ნომერ პირველი ტელევარსკვლავია, რომელსაც ყველაზე რეიტინგული შოუ მიჰყავს. რამდენიმე ხნის წინ ელენი „ოსკარის" დაჯილდოების ცერემონიალის წამყვანადაც მოვევლინა და თავისი მრავალმხრივი ნიჭის დემონსტრირება კიდევ ერთხელ მოახდინა.***

* ელენ დეჯენერისი ლუიზიანის შტატში, ქალაქ მეტერიში იზრდებოდა, ლოგოპედ ბეტი დეჯენერისისა და სადაზღვევო აგენტის, ელიოტ დეჯენერისის ოჯახში. ელენს ჰყავს ძმა – ვენს დეჯენერისი, რომელიც ამჟამად პროდიუსერი და მუსიკოსია. 13 წლის ასაკამდე ელენი საიენთოლოგების ეკლესიაში დადიოდა. მის ოჯახს ფრანგული, ინგლისური, გერმანული და ირლანდიური წარმომავლობა აქვს, 16 წლის იყო, ელენის მშობლები რომ ერთმანეთს დაშორდნენ. დედის ხელმეორე გათხოვების შემდეგ, ელენი ატლანტაში გადავიდა საცხოვრებლად. სკოლის დამთავრების მერე კი ლუიზიანაში დაბრუნდა და ახალი ორლეანის უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა საზოგადოებასთან ურთიერთობის ფაკულტეტზე.



უნივერსიტეტის პარალელურად, ელენი სად აღარ მუშაობდა: იურიდიულ კანტორაში კლერკად, ტანსაცმლის მაღაზიაში კონსულტანტად, მღებავად, სასტუმროს ადმინისტრატორად და ბარმენ-ოფიციანტად.

* 1997 წელს ელენ დეჯენერისმა „ქამინგაუთი" განახორციელა და ღიად განაცხადა, რომ ლესბოსელია. განცხადება თავის სექსუალურ ორიენტაციაზე ელენმა ოპრა უინფრის გადაცემაში გააკეთა. ელენს სხვადასხვა დროს ურთიერთობა ჰქონდა მსახიობ ენ ჰეშთან, ფოტოგრაფ ალექსანდრა ჰედისონთან. 2004 წლიდან კი ის მსახიობ პორტია დეროსისთან ერთად ცხოვრობს და ოფიციალურად აქვს ეს კავშირი გაფორმებული. ელენი და პორტია სამ ძაღლთან და ოთხ კატასთან ერთად ცხოვრობენ ბევერლი-ჰილზში და ორივე ვეგეტარიანელია.

* 2003 წლის სექტემბრიდან ელენ დეჯენერისს საავტორო ტელეშოუ მიჰყავს, რომელიც „ელენ დეჯენერისის შოუს" სახელით არის ცნობილი. გადაცემას ამერიკის ტერიტორიაზე უზარმაზარი რეიტინგი და თაყვანისმცემელთა მთელი არმია ჰყავს. სხვადასხვა დროს შოუს სტუმრები იყვნენ ჰოლივუდის ვარსკვლავები და ცნობილი პოლიტიკოსები, მათ შორის, პრეზიდენტი ბარაქ ობამაც, რომელმაც შოუს მსვლელობისას ელენთან ერთად „ჰიპ-ჰოპი" წაიცეკვა.

* ელენ დეჯენერისი ვუდი ალენისა და სტივ მარტინის დიდი თაყვანისმცემელია. თავისი კარიერა 1981 წელს მან „სტენდ-აპ კომედის" ჟანრში დაიწყო და თავდაპირველად, იაფფასიან ბარებსა და რესტორნებში გამოდიოდა ნომრებით. დიდი პოპულარობით სარგებლობდა ასევე, სიტკომი (სიტუაციური კომედია) „ელენი", რომელიც ეთერში 1994-1998 წლებში გადიოდა. მასში ელენ დეჯენერისი საკუთარ თავს ასახიერებდა.

* ელენ დეჯენერისმა 10 ათასი დოლარი აჩუქა ქალაქ კონკორდის ერთ-ერთი სასადილოს ოფიციანტს, მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ ამ ოფიციანტმა ნაციონალური გვარდიის ჯარისკაცები საკუთარი ხარჯით ასადილა.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**



## რომელი ვიტამინის დეფიციტი იწვევს ადამიანის ნერვული სისტემის დარღვევას

სიცოცხლის გასახანგრძლივებლად აუცილებელია, ორგანიზმი მომარაგებული იყოს რიბოფლავინის, ანუ, $B_2$ და თიამინის, ანუ $B_1$ ვიტამინების საჭირო რაოდენობით. რიბოფლავინი საჭიროა იმისთვის, რომ კანი ჯანმრთელი და გადატკეცილი იყოს. ეს ვიტამინი აუცილებელია კარგი მხედველობისთვისაც. თვალების ანთების დროს მიიღეთ 3 მილიგრამი რიბოფლავინი, დღეში სამჯერ, ჭამის წინ. ხშირად ადამიანი რიბოფლავინის შემცველ ბევრ პროდუქტს მოიხმარს, მაგრამ, მაინც განიცდის ამ ვიტამინის დეფიციტს. ეს ხდება სხვადასხვა მიზეზის გამო. მაგალითად, ეს ვიტამინი ძალიან მგრძნობიარეა სინათლის მიმართ. თუ რძეს ინახავთ შუშის ჭურჭელში, სინათლეზე ის კარგავს რიბოფლავინის მნიშვნელოვან რაოდენობას. ზოგჯერ $B_2$ ვიტამინის უკმარისობა წარმოიქმნება იმის გამო, რომ ორგანიზმი არ შეითვისებს ან ცუდად შეითვისებს მის რომელიმე პროდუქტს.

რიბოფლავინის დეფიციტი იწვევს საჭმლის მონელებისა და ნერვული სისტემის აშლილობას, ქრონიკულ კოლიტსა და გასტრიტს, ასევე, სისუსტეს, კანის სხვადასხვა დაავადებას; აქვეითებს წინააღმდეგობის გაწევის უნარს დაავადების მიმართ. $B_2$ ვიტამინის შემცველი პროდუქტებია: კომბოსტო, ახალი ბარდა, ვაშლი, ნუში, მწვანე ლობიო, პომიდორი, თალგამი, ხორბალი, ლუდის საფუარი, ღვიძლი, საქონლის ხორცი, რძე და რძის პროდუქტები.

თიამინი ანუ $B_1$ ვიტამინი განსაკუთრებით საჭიროა ორგანიზმისთვის, როგორც რიბოფლავინის თანამგზავრი, რადგან, B ჯგუფის ყველა ვიტამინი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და ერთ-ერთი მათგანის მიღებით თქვენ ზრდით ორგანიზმის მოთხოვნილებას დანარჩენზე. თუ ორგანიზმს არ ჰყოფნის B ჯგუფის ერთ-ერთი ვიტამინი, კვების რაციონში ჩართეთ ლუდის საფუარი. თიამინი აუცილებელია ნერვული სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. ამ ვიტამინის დეფიციტის დროს წარმოიქმნება ნერვული სისტემის აშლილობის სხვადასხვა ნიშანი, მაგალითად, პოლინევრიტი.

თუ გაწუხებთ საჭმლის მონელებასთან დაკავშირებული პრობლემები, გაქვთ გაუვალობა, ეს არის $B_1$ ვიტამინის არასაკმარისი შემცველობის სიმპტომი. მიირთვით დაცხვილი ხორბლის პური ან დაუფქვავი ბურღულის ფაფები. ასევე, $B_1$ ვიტამინის ძირითადი წყაროებია: ქვავი, შვრია, ლობიო, სატაცური, კარტოფილი, ღვიძლი, ქატო.

## ნახშირწყლებით ღარიბი საკვები სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჯანმრთელობას

ისინი, ვინც ხანგრძლივად და ხშირად იცავენ ნახშირწყლებით ღარიბ დიეტას, სერიოზული დაავადებების განვითარების მაღალი რისკის ქვეშ დგებიან. კვების რაციონში ნახშირწყლების მკვეთრმა დეფიციტმა, შესაძლოა, გამოიწვიოს თირკმელების მუშაობის სერიოზული დარღვევები.

ასეთი ტიპის დიეტა ზრდის გულ-სისხლძარღვთა დაავადების, დიაბეტის, ინსულტისა და კიბოს ზოგიერთი სახეობის განვითარების რისკს. მას ხანმოკლე გვერდითი მოვლენებიც ახასიათებს, კერძოდ: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოშლა, თავის ტკივილი, გულ-სისხლძარღვთა საერთო სისუსტე, იმუნიტეტის დაქვეითება და ასე შემდეგ.

ნახშირწყლებს დიდი რაოდენობით შეიცავს: კარტოფილი, შაქარი, მაკარონი, ბურღულეული, პური, არაჟანი, ქიშმიში. ამიტომ, მათი მთლიანად გამორიცხვა მენიუდან ძალიან საშიშია ჯანმრთელობისთვის.

## მოამარაგეთ ორგანიზმი პოლივიტამინებით

ვიტამინების ნაკლებობა იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებას, ამიტომ, პოლივიტამინური ნაყენების ხალხური რეცეპტები ტვინის მოქმედებასაც გააქტიურებს და ორგანიზმს სიმხნევესაც მიანიჭებს. ასევე, ამაღლებს ტონუსს, გუნება-განწყობაზე კი დადებითად აისახება.

***ასკილისა და მოცხარის ნაყენი:*** თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ერთმანეთს შავი მოცხარისა და ასკილის ნაყოფი. 2 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და დადგით ერთი საათით, თავდახურული. როცა ოთახის ტემპერატურამდე გაგრილდება, გადაწურეთ და თაფლით დაატკბეთ. დალიეთ ნახევარი ჭიქა, დღეში სამჯერ. ეს ნაყენი კარგია ინფექციური დაავადებების, გრიპისა და გაციების დროს.

***გვირილის ნაყენი:*** 1 სადილის კოვზ გვირილის ყვავილს, რომელიც აფთიაქში უნდა შეიძინოთ, დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი და დადგით ნახევარი საათით. შემდეგ დაატკბეთ თაფლით, დაუმატეთ ცოტა ნაღები და დალიეთ. ეს ნაყენი ორგანიზმისთვის ძალიან სასარგებლოა. ის გამოგისწორებთ ძილსაც.

***კუნელის ნაყენი:*** ნახევარ ჩაის ჭიქა კუნელის ნაყოფს დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი და დადგით ათი წუთით. შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ თაფლთან ერთად.

***ასკილისა და ქიშმიშის ნაყენი:*** ქიშმიში დანაყეთ, დაასხით ადუღებული წყალი, დადგით ცეცხლზე და ადუღეთ 5 წუთი. გადმოდგით ცეცხლიდან და ჩაუმატეთ იმავე რაოდენობის ასკილის ნახარში. დალიეთ ნახევარი ჩაის ჭიქა, დღეში რამდენჯერმე. ეს ნაყენი კარგია მათთვის, ვისაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებები აწუხებს. ასკილიც და ქიშმიშიც გულის კუნთების გამაგრებას უწყობს ხელს.

***მოცვის ნაყენი:*** ჭიქის ერთი მეოთხედი მოცვის დაქუცმაცებული ფოთლები ჩაყარეთ ჯამში და დაასხით 3 ჭიქა ცივი წყალი. დადგით ნელ ცეცხლზე და ადუღეთ დაახლოებით ნახევარი საათი. სვით თბილი ნაყენი დღეში 3-ჯერ, ჭამის შემდეგ. ეს ნაყენი პოლივიტამინების ნამდვილი საბადოა.

## გრეიპფრუტი სამკურნალო ხილია

გრეიპფრუტი შეიცავს ძვირფას ნივთიერებას – ნარინგინს, რომელიც უშუალოდ ნაყოფის კანის ქვეშ, წვნიან პარკებშია მოთავსებული. ის აუმჯობესებს საკვების ათვისებას და მონელებას, ააქტიურებს ღვიძლის მოქმედებას, წვავს ორგანიზმში დაგროვილ ზედმეტ ცხიმს. ეს ხილი კარგია შემდეგი დაავადებების დროს:

**** ქოლესტერინის მომატებული რაოდენობის შემთხვევაში*** – გრეიპფრუტის პექტინი ისევე მოქმედებს, როგორც სისხლში ქოლესტერინის დამწევი ყველაზე ეფექტური პრეპარატი. მისი მიღების დროს ქოლესტერინის დონე საგრძნობლად მცირდება. ამ ხილში შემავალი გლუკოზიდები და ვიტამინები ხელს უწყობს, ასევე, ათეროსკლეროზის პროფილაქტიკას და ამცირებს არტერიულ წნევას.

**** სისხლჩაქცევების არსებობის დროს*** – სისხლძარღვების ელასტიკურობისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაყოფში ბიოფლავინოიდების მაღალ შემცველობას. ეს ნივთიერებები აძლიერებს C ვიტამინის მოქმედებას და აძლიერებს სუსტ და ნაზ კაპილარებს, ეს კი სისხლჩაქცევების გაჩენის რისკს საკმაოდ ამცირებს.

**** სეზონური დეპრესია*** – ისევე, როგორც ბევრი სხვა ყვითელი და ნარინჯისფერი ნაყოფი, გრეიპფრუტიც აუმჯობესებს განწყობას. მას, ასევე, გამამხნევებელ-გამახალისებელი ეფექტიც აქვს, ამიტომ, მიირთვით საუზმეზე. გარდა ამისა, ის ამახვილებს სმენას და აუმჯობესებს მეხსიერებას.

**** გადაღლა და ავიტამინოზი*** – გრეიპფრუტის ნაყოფი და ახალგამოწურული წვენი ორგანიზმზე მატონიზებელ ეფექტს ახდენს. განსაკუთრებით სასარგებლოა ავადმყოფობის შემდგომ, გამოჯანმრთელების პერიოდში. გრეიპფრუტი ჯანმრთელ ადამიანებში სწრაფად ხსნის ფიზიკურ და გონებრივ გადაღლას.

**** კუჭ-ნაწლავის დაავადებები*** – თუ გადაღლას ხშირად გრძნობთ, ესე იგი, თქვენი კუჭ-ნაწლავის იმუნური სისტემა მწყობრში ვერ არის. ამ პრობლემების დაძლევაში გრეიპფრუტის კურკები დაგეხმარებათ – მას ძლიერი ანტიბიოტიკური მოქმედება აქვს და, შეუძლია, დაახლოებით 800

სახის ბაქტერიას ებრძოლოს.

*** *ყაბზობა*** – გრეიპფრუტის თეთრი გარსი შეიცავს ბევრ ბალასტურ ნივთიერებას, რომლებიც ამცირებს ნაწლავებში საკვების დაყოვნების ხანგრძლივობას და, ამგვარად, ხელს უშლის ყაბზობას, ანუ, კუჭის შეკრულობას.

აგრეთვე, გრეიპფრუტში შემავალი მჟავები, ხელს უწყობს ორგანიზმიდან ტოქსინების გამოდევნას.

### ხშირად ჭამეთ ბულგარული წიწაკა

ბულგარული ტკბილი წიწაკა 6 პროცენტ შაქარს შეიცავს. ამიტომ, ის ერთ-ერთი ყველაზე დიეტური საკვები ბოსტნეულია. დაბალკალორიული ნახშირწყლების დიეტის დროს მისი მიღება კარგ შედეგს იძლევა. ერთი ცალი ბულგარული წიწაკა შეიცავს C ვიტამინის სადღეღამისო ნორმას და ამ ვიტამინის შემცველობით ბევრ სხვა ბოსტნეულსაც უსწრებს. C ვიტამინით ორგანიზმის მომარაგება აუცილებელია, რათა ადვილად გაუმკლავდეთ ვირუსებსა და სხვადასხვა რესპირატორულ დაავადებას. ამიტომ, ეცადეთ, რაც შეიძლება ხშირად ჭამოთ ბულგარული წიწაკა და შეივსოთ თქვენი ორგანიზმი C ვიტამინით.

სასურველია, ტკბილი წიწაკა მცენარეულ ცხიმთან ერთად მიიღოთ, რათა ორგანიზმმა მაქსიმალურად შეითვისოს მასში არსებული ვიტამინები. ასე რომ, კარგი იქნება, თუ მას მცენარეულ ზეთში მოშუშავთ და ისე მიირთმევთ.

ტკბილი წიწაკა ერთადერთი ბოსტნეულია, რომელიც კარგად ინარჩუნებს მასში შემავალ ვიტამინებს როგორც თერმული დამუშავებისას, ისე დაკონსერვების შემთხვევაშიც. ამიტომ, გირჩევთ, თქვენს ყოველდღიურ რაციონში აუცილებლად შეიტანოთ ბულგარული წიწაკა.

### რომელი საკვები უხდება მხედველობას

ფიზიკური გადაღლა, კომპიუტერთან ან ტელევიზორთან დიდხანს ჯდომა, ცუდ განათებაში კითხვა, ალკოჰოლი, სიგარეტი, უძილობა და ასე შემდეგ – ეს ყველაფერი აზიანებს თვალებს და მხედველობაზე ნეგატიურად აისახება. ამას ემატება მემკვიდრეობითი ფაქტორი, ტრავმები და სხვა, რომლებიც ასევე ახდენს ზემოქმედებას მხედველობაზე.

ასაკის მატებასთან ერთად, მხედველობაც სუსტდება. თუ თქვენ რისკის ჯგუფს მიეკუთვნებით – მტკივნეულად რეაგირებთ შუქზე, თვალები გეცრემლებათ, სწრაფად გეღლებათ, მაშინ, უნდა ივარაუდოთ, რომ თქვენს ორგანიზმში რაღაც დარღვევაა, არ გყოფნით ვიტამინების მარაგი და მიკროელემენტები.

მხედველობის შესუსტებისას აუცილებლად უნდა შეიტანოთ კვებით რაციონში A, $B_1$, $B_2$, C და E ვიტამინების შემცველი პროდუქტები. კომპლექსური, სწორი და ხარისხიანი კვების დროს არ არის აუცილებელი დამატებითი ვიტამინური პრეპარატების მიღება. უმჯობესია, ვიტამინები ნატურალური სახით მიაწოდოთ ორგანიზმს. მაგალითად:

***ვიტამინ A-ს შეიცავს:*** ნესვი, სტაფილო, პომიდორი, სალათის ფოთლები, მწვანე ბარდა, ხახვი, ხაჭო, ძროხის ღვიძლი, კარაქი, ნაღები, ყველი.

***ვიტამინ $B_1$-ს შეიცავს:*** ბარდა, სოკო, ღვიძლი, თირკმელები, ნიგოზი, ბულგარული წიწაკა, ნიორი, ქათმის ხორცი, რძის მჟავე პროდუქტები.

***ვიტამინ $B_2$-ს შეიცავს***: რძე, ყველი, ხაჭო, კვერცხი, ძროხის, ღორისა და ქათმის ხორცი, თევზი, ბარდა, ისპანახი, ყვავილოვანი კომბოსტო, ბანანი, მწვანე ხახვი, კამა.

***C ვიტამინს შეიცავს:*** ასკილი, შავი მოცხარი, ქაცვი, მოცვი, ოხრახუში, კამა, კარტოფილი, ბულგარული წიწაკა, კომბოსტო, ციტრუსები.




***E ვიტამინს შეიცავს:*** სოია, სიმინდი, მზესუმზირის ზეთი, ხორბალი, შვრია, ქვავი.

მხედველობის შესუსტების დროს, რაც შეიძლება ხშირად ჩართეთ საკვებ რაციონში ის პროდუქტები, რომლებიც ზემოთ არის ჩამოთვლილი.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ექიმის რჩევები

**კითხვა**: **დიდი ხანია, მკლავზე ალაგ-ალაგ მაქვს პატარა-პატარა სიმშრალეები, ოთხ-ხუთ ადგილას. ვცდილობ, არ მოვიქავო. მაინტერესებს, რას შეიძლო გამოეწვია ეს და რით ვიმკურნალო?**

**პასუხი**: როგორც ვხვდებით, გაქვთ კანის აქერცლილი უბნები. ამის მიზეზი შეიძლება იყოს სოკოვანი ინფექცია ან კანის სხვა დაავადება. საჭიროა დერმატოლოგთან ვიზიტი დიაგნოზის დასაზუსტებლად. თუ დროულად არ იმკურნალებთ, შეიძლება დაავადება კანის სხვა მიდამოებზეც გავრცელდეს.

**კითხვა**: **ისედაც მშრალი კანი მაქვს, ბოლო დროს კი სულ გამომიშრა. ხშირად დავდივარ საცურაო აუზზე და ეს ხომ არ არის მიზეზი? როგორ დავიცვა თავი?**

**პასუხი**: შხაპის მიღება აუცილებელია აუზში ჩასვლამდეც და იქიდან ამოსვლის მერეც. გარდა ამისა, ცურვის შემდეგ სასურველია თავის დაბანა კონდიციონერიანი შამპუნით და ტანისა – შხაპის გელით, რადგან, ის უფრო ნაზია და კანს არ აშრობს.

გარდა ამისა, რეკომენდებულია, ჩანთაში გეწყოთ: დამატენიანებელი ან მკვებავი კრემი სახის, სხეულისა და ხელებისთვის; ჰიგიენური ტუჩის საცხი; საცურაო ქუდი და წყლის სათვალე, რათა თმა, თავის კანი და თვალები ქლორიანი წყლის მავნე ზემოქმედებისგან დაიცვათ. ქლორი აზიანებს და აღიზიანებს თვალის გარსს და, შესაძლოა, ანთება გამოიწვიოს.

**კითხვა**: **როგორ უნდა მივხვდე, რომ ბავშვი ბოტკინით დაავადდა?**

**პასუხი**: თუ შარდი გამუქდა, განავალი გათეთრდა, ბავშვს აქვს დისპეფსიური მოვლენები, ტემპერატურა, სისუსტე, კანი გაყვითლდა – პირველ ყოვლისა, აუცილებლად უნდა გაუკეთოთ შარდის საერთო ანალიზი, შემდეგ კი სხვა ანალიზები დიაგნოზის დასაზუსტებლად.

**კითხვა**: **ვარ 14 წლის. მაქვს გრძელი და სწორი თმა, მაგრამ, ინტენსიურად მცვივა. როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება?**

**პასუხი**: გარდატეხის ასაკში თმის ცვენას ხშირად სებორეა იწვევს. გირჩევთ, მიმართოთ დერმატოლოგს. არ არის გამორიცხული, გქონდეთ თავის კანის რაიმე დაავადება. თუ ეს გამოირიცხება, უნდა ჩაიტაროთ სისხლის საერთო ანალიზი, რათა გამოირიცხოს ანემია ან ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება (უნდა განისაზღვროს სისხლში TSH). როდესაც დადგინდება, რომ ჯანმრთელი ბრძანდებით, შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც ხალხური, ასევე, ფარმაცევტების მიერ შერჩეული თმის ცვენის საწინააღმდეგო საშუალებებიც.

**კითხვა**: **სამი თვეა, ძალიან მაწუხებს ტკივილი ბეჭის არეში; ტკივილი წინ გადმომდის მკერდის ქვეშ, ამოსუნთქვაზეც და დაცემინებაზეც ძალიან მტკივა. ვის უნდა მივმართო არ ვიცი, იქნებ რამე მირჩიოთ?**

**პასუხი**: საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ოჯახის ექიმის მომსახურება უფასოა. მიმართეთ მას. ის ადგილზე გაერკვევა თქვენს მდგომარეობაში და საჭიროების შემთხვევაში, გაგიშვებთ კონკრეტულ სპეციალისტთან.

**კითხვა**: **ჩვილის ხელოვნური კვების დროს როგორ უნდა დაიჭირო ბოთლი სწორად, ანუ, როგორია ბოთლის სწორი პოზიცია?**

**პასუხი**: დაჯექით მოხერხებულად, მკლავზე დაიწვინეთ ბავშვი; ბოთლი დაიჭირეთ დახრილ მდგომარეობაში ისე, რომ საკვები ავსებდეს ბოთლის ყელსა და საწოვარას, რითაც თავიდან აიცილებთ ბავშვს ჰაერის ჩაყლაპვას; გადაგრეხის თავიდან აცილების მიზნით, დროდადრო გამოუღეთ ბავშვს პირიდან საწოვარა – ამით თქვენ გაუადვილებთ მას წოვის პროცესს და მისცემთ დასვენების საშუალებას; მიეხმარეთ ამოქარვებაში.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

# რა დასჩემდა ევროპიდან დაბრუნებულ კონსტანტინე გამსახურდიას და რატომ უთვალთვალებდა მას ბერია

*„კრიზისებიო? ხანდახან მაქვს, ხელი შეჩერდება, წერაზე გული ამეყრება, წავალ, ცხენზე შევჯდები, ვინადირებ, ან სპორტით გავერთობი. ხანაც ლამაზმანებს ავიყოლიებ და კონცერტს მოვისმენ სადმე. მომიგროვდება ენერგია, შეწყვეტილ ხელნაწერს ისევ გადმოვიღებ, მივადგები კატასტროფის ადგილს და სამშვიდობოს გავალ. როცა შემოქმედებითი მუშაობით გართული ვარ, ქალთა სიახლოვეს გავურბივარ (გავოცდი, როცა სვანმა მონადირეებმა მიამბეს ერთხელ: ჯიხვზე სანადიროდ წასვლის წინ მთელი კვირა ქალს არ მივეკარებითო). ამ დროს ვცდილობ, საზოგადოებაში ყოფნას და ღვინის სმას თავი ავარიდო!..“ – კოლხური კოშკის ქრონიკებიდან, რომელიც თავის დროზე კონსტანტინე გამსახურდიას რძალმა დალი ლოლუამ შეკრიბა. ახლა რამდენიმე ისეთ ეპიზოდს გაიგებთ, რაც აქამდე არ გსმენიათ. ეს დიდი მწერლის ცხოვრების დღიურებია, რომელიც უბრალოდ უნდა გადაშალოთ და...*



კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიები

### ამბავი მშვენიერი მირანდას და მოხუცი მეან-გინეკოლოგისა

„სახლი, სადაც მკვიდრობდა მწერალი და მისი ოჯახი, (ჯაფარიძის ქუჩა №13-ში) ეკუთვნოდა ვინმე სამუილ შახპარონიანს, რომელსაც სწავლა-განათლება ევროპაში მიუღია. უმაღლესის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა მედიკოსი, პროფესიით მეან-გინეკოლოგი, უცხოეთში არ დარჩენილა, დაბრუნებულა მშობლებთან თბილისში და გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა აქ... დანახვისთანავე შვილივით შეჰყვარებია მოხუცებულ სამუილს ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე უმშვენიერესი მირანდა და მასთან განსაკუთრებული მეგობრობა დაუმყარებია. ფუფუნებას შეჩვეულ მოხუცს, რომელიც საკუთარი სადარბაზოს ერთ-ერთ კუთხეში ცხოვრობდა, მირანდა თავის ლუკმას უყოფდა, ხშირად ყავით უმასპინძლდებოდა და უმსუბუქებდა ეულად შთენილ ბერიკაცს გამწარებულ ყოფას. გამსახურდიების ოჯახს პატივისცემა მოხუცებულმა სამუილმა ათმაგად გადაუხადა. ფეხმძიმე მირანდას, სანაყოფე წყლების დაღვრის შემდეგ, მშობიარობა ძალზე გართულებია და სახლის პირობებში, მოგეხსენებათ, საკმაოდ სახიფათოც გამხდარა. გამოცდილმა მეანმა თავის საქმეს ჩინებულად გაართვა თავი – სიცოცხლე შეუნარჩუნა დედას, ხოლო უფლის ნებართვით და თავისი დიდი გარჯის საფასურად, ოჯახს ნანატრი უმშვენიერესი პირმშო – ზვიადი აჩუქა... ამრიგად, ყოფილი ჯაფარიძის ქუჩის სახლი გახლდათ თამარისა და ზვიადის ის უსაყვარლესი ბუდე, სადაც ბარტყები დაიჩიტნენ და დაფრთიანდნენ. მიაშურეს შემდგომ გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე სახლს და ბოლოს კოლხურ კოშკს, რომელიც უსახსრობის გამო, დიდხანს შენდებოდა.



მამა-შვილი მირანდას საფლავზე

### კონსტანტინეს ჭრაჭუნა ფეხსაცმელები და დენდის პოზა

ევროპიდან ჩამოსულ კონსტანტინეს, როგორც თავად აღნიშნავდა, დასჩემდა თურმე ექსტრავანგანტურად ჩაცმის ჟინი და იმხანად საკმაოდ გამომწვევად გამოიყურებოდა. მისი ამგვარი პოზიორობა ძალზე აღიზიანებდა როგორც კონსერვატორებს, აგრეთვე ფუნქციონერ კომუნისტებს, რომლებიც მის საქციელს ექსცენტრიზმად მიიჩნევდნენ. ბატონ კონსტანტინეს შეეძლო, ერთ დღეს სმოკინგში გამოწყობილი გამოსულიყო რუსთაველის გამზირზე სასეირნოდ, მეორე დღეს – ფრაკში, მესამე დღეს კი ულტრამოდურ კოსტიუმში გამოპრანჭული, ჭრაჭუნა ფეხსაცმელებსა და ტროსტით ხელში, დახვეწილი დენდის პოზაში სოლოლაკიდან ძალზე მოხდენილი სვლით გაჰყოლოდა სანუკვარ რუსთაველის გამზირს. შეივლიდა ყავის დასალევად „ორიენტში“, შემდეგ სასტუმრო „თბილისის“ მომხიბლავ ფოიეში, შეიძენდა თამბაქოს, შიდა, ღია ეზოში მიირთმევდა ერთ ჭიქა კონიაკს და დინჯად, აუჩქარებლად, სიგარეტით ხელში, გაუყვებოდა კვლავ რუსთაველის გამზირს, რათა დამტკბარიყო თბილისის ლამაზმანების იშვიათი სიტურფით... ერთ-ერთი ასეთი პრომენადი ბატონი კონსტანტინესთვის კინაღამ საბედისწერო შეიქმნა: მანქანიდან ლავრენტი ბერიას თვალი მოუკრავს ექსტრავაგანტურად გამოწყობილი მწერლისთვის და თავისთან დაუბარებია. შინ დაბრუნებულ, მრავალი პრობლემით გადატვირთულ კონსტანტინეს ამბავი დააზვედრეს – ლავრენტი გიბარებსო. როგორც თავად მიამბო: „ცივმა ოფლმა დამასხა და გონებაარეული სკამზე დავეშვი. მერმე სასწრაფოდ ტანსაცმელი გამოვიცვალე, კარადის უჯრაში ცხვირსახოცის ასაღებად უაზროდ ხელი მოვაფათურე, ავიღე რაღაც დაკეცილი, სასწრაფოდ ჯიბეში ჩავიდე და გარეგნულად სიმშვიდეშენარჩუნებული იერით, ვითომ გაწონასწორებული, სახლიდან გამოვედი. გულდამდულრული, უჩუმრად, ჩემთვის დავემშვიდობე ცოლშვილს და გავუდექი გზას. ქუჩაში სამუილი შემომეფეთა, ფრანგულად რაღაც მკითხა... რასაკვირველია, ვერ გავიგონე და არ ვუპასუხე, რადგან დამუხტული და დაზაფრული მივიჩქაროდი ჩემი სავალალო აღსასრულის ადგილსამყოფლისკენ. როგორ მივედი იმ წყეულ დაწესებულებასთან, არ მახსოვს. მხოლოდ კომენდატურაში მკაფიოდ დავინახე, ჩემს წინ აყუდებული მუტრუკი – რუსი სამხედროს უაზრო, გაყინული სახე, რომლის არც ერთი კუნთი ლაპარაკისას მონაწილეობას არ იღებდა... ჩამოვიდა ახალგაზრდა კაცი, წინ გამიძღვა და მიმაცილა ბერიას კაბინეტამდე... მკაფიოდ ჩამესმა ხმა: „კოწია, დაბრძანდი. მე მგონი, დროა, თავი დაანებო ამ ექსტრავაგანტური დემონსტრაციებისა და გამოხტომების გამართვას. არ არის საჭირო, ნუ აღიზიანებ ხალხს... ვიცი, დიდად ნიჭიერი და მომავლიანი მწერალი ბრძანდები. დროის უქონლობის გამო, ნინა ხშირად მიკითხავს შენს ქმნილებებს და ხშირად მიყვება შენს შესახებ“. ამ ბოლო ფრაზამ უეცრად გამომაფხიზლა. გამახსენდა, რომ ნინა გეგეჭკორი და მე ძუძუმტეები ვიყავით და ისიც ვიცოდი, ამ



მირანდა ფალავანდიშვილი

მონსტრს მართლაც რომ უკეთილშობილესი და უსათნოესი მეუღლე ჰყავდა. თითქოს წამით, რაღაც სიმძიმე მომწყდა გულიდან და სიმსუბუქე შევიგრძენი შეფარვით. ფრთხილად ჩავიყავი ჯიბეში ხელი ცხვირსახოცის ამოსაღებად და ცივი ოფლის მოსაწმენდად. ამოვიღე, გავშალე შუბლის გასწმენდად და რას შევხედე?! ცხვირსახოცის ნაცვლად უჯრიდან ამომიღია ჩემი თამრიკოს (ქალიშვილის) ბატისტის ფურფუშელებიანი პაწაწინა საწმერთული. საწრაფოდ დავკეცე და ჯიბეში უკან ჩავიდე, კინაღამ სიმწრის სიცილი წამსკდა... თავი შევიკავე და გავიფიქრე, შიშს დიდი თვალები აქვს კი არა ბრუციანიც ყოფილა-მეთქი... მას შემდეგ ჩემი ანგელოზი თამრიკოს საწმერთული კარგა ხანს ვატარე გულის ჯიბეში ჩაკეცილი თალისმანის ნაცვლად. ის თითქოს მიცავდა ბოროტებისგან და ჩემი ხიფათებით აღსავსე ცხოვრების პერიპეტიებისგან...“

### „ქალო, რად არ მითხარი ბოზი თუ იყავი?!“

ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი ცნობილი პიროვნების ბანკეტზე დაპატიჟებული იყო, როგორც იტყვიან, თბილისის ნაღები. ამ თავყრილობაზე მოგვიანებით მობრძანებულა ძალზე ელეგანტური, ყველასთვის სასურველი, ბატონი კონსტანტინე. შემოსვლისთანავე, საერთო სალმის შემდეგ, თვალი შეუვლია მოლხენილი სტუმრებისთვის, სახე გაბადვრია – განსაკუთრებით ლამაზ დიაცთა დანახვისას და დინჯად, აუღელვებლად მიჯდომია მოშორებით მდგარ მაგიდას, რათა უკეთ დაეთვალიერებინა მომხიბვლელ მანდილოსანთა ღირსებანი. იჯდა მაგიდასთან თავის საყვარელ პოზაში, სიგარეტით ხელში და წრუპავდა ცივ, მარწყვიან შამპანურს. ორიოდე მაგიდის იქეთ მან თვალი მოჰკრა უმშვენიერეს ქალბატონს, რომლის ულამაზესმა თვალებმა მონუსხა კონსტანტინე. მართლაც, სადედოფლო ქალი იჯდა მის წინ... შეხედა კონსტანტინემ თურმე დიაცს და აიმღვრა, შემდეგ კვლავ უფრო მოურიდებლად შეხედა და მრუშად გაუღიმა. ქალბატონი თურმე თავადის ქალი ბრძანდებოდა. სილამაზით მოხიბლული მამაკაცები მის ირგვლივ თავგზააბნეული ღამის პეპლებივით დაფარფატებდნენ, ქათინაურებს სთავაზობდნენ და ლამობდნენ მისი ყურადღების მიპყრობას... მისი შორენა (მირანდა) კი ამ დროს ბავშვებიანად ქვიშხეთში გახლდათ. დედაქალაქის პაპანაქებას გარიდებული, ისვენებდნენ და მოელოდნენ სურსათ-სანოვაგით დატვირთული მეუღლისა და მამიკოს ჩამოსვლას. და აი, აიშალნენ კონსტანტინეს ფიქრები ამის გახსენებისას... მაგრამ თვალი მაინც სიძვის დედაკაცისკენ ჰქონდა მიპყრობილი: უზომოდ აღტყინებულმა და ზეაღტაცებულმა მიჯნურმა თავის საიდუმლო ჯოდოლის (იქვე მყოფ ბიძაშვილს) გაანდო. მოსიყვარულე და ერთგულმა ბიძაშვილმა კოტეს გრძნობები არასერიოზულად, დროებით გატაცებად ჩათვალა... ავაზასავით მოქნილმა ქალბატონმა თავისი დიდი ხიბლით შეძლო დაებინდა თავისი მონაპოვრის – მსხვერპლის გონი. შესძლო ვითარების იმგვარი მანიპულირება, რომ ფრაკებში გამოწყობილი ბიძაშვილები თაიგულებით ხელში, ფაე-



პატარა ზვიადი

ტონით მიადგნენ საოცნებო პატარძალს და რომანტიკულად სიონის ტაძარში ჯვრის დასაწერად გაემართნენ უმალ (მეჯვარე ჯოდოლი გახლდათ). ჯვრისწერის რიტუალის ჩატარების შემდეგ, დედოფალი სახლში მოაბრძანეს, მაგრამ მოსვლისთანავე სატელეფონო ზარებმა – ანონიმურმა თუ გაცხადებულმა – შესძრა იქაურობა. სიტუაცია თანდათან დაიძაბა. განურჩევლად სქესისა თუ გულშემატკივრების სიახლოვისა, ყველა ერთხმად ამტკიცებდა და აღშფოთებით ლაპარაკობდა პატარძლის ყოვლად მიუღებელ რეპუტაციაზე და არა მარტო ანგარიშმიუცემელ მრუშობაზე, არამედ მისი დედისაც კი, რომელიც საყოველთაოდ აღიარებული ყოფილა იმერეთში, როგორც სიძვის დედაკაცი. ჭეშმარიტება გაცხადდა... „უმანკო" ობიექტი ნებივრობდა. მას სატელეფონო ზარები არაფრად ჩაუგდია... მოთმინებადაკარგული და განრისხებული კონსტანტინე სავარძელში წრიალებდა, მერე კოპები შეკრა, სახე ნებიერი ობიექტისკენ შეაბრუნა და საკმაოდ გაღიზიანებული ტონით აგრე მიმართა: „ქალო, რად არ მითხარი ბოზი თუ იყავი?!" ყველაფერი ამით დამთავრდა. ბატონი კონსტანტინე ორი კვირის თავზე დაუბრუნდა თავის საყვარელ ოჯახს და შვილებს, ხოლო ამ დიდად მნიშვნელოვან შეკითხვაზე პასუხი წლების განმავლობაში და დღესაც გაუცემელი დარჩა... მხოლოდ ზამთრის ერთ გრძელ და ცივ ღამეს, როდესაც ჩვენ ვისხედით ბუხრის წინ, ვთბებოდით, ვსაუბრობდით, მე მას ყველაფერი წვრილად მოვუყევი. ბევრი იცინა, თან კითხულობდა: „ჩიტო, მართლა აგრე იყო ყველაფერი, რასაც შენ მიყვები? მართლა ასე ვკითხე ბოლოს, განშორების ჟამს? იცინოდა ჩაბჟირებამდე, ბოლოს ხველება აუტყდა... შემდეგ ხელი მომხვია, თავზე მაკოცა, გამიღიმა და მითხრა: „ხომ გაგიგია ჩიტო: რასაც იუპიტერს აპატიებენ, ხარს არავინ აპატიებსო..."



ოჯახი



კოკო ბაბუასთან

## „ძალიან გამიფრთხილდი, თორემ რომ არ ელოდები ისე გამოგეცლები ხელიდან"

ქვედა სართულის სასადილო ოთახიდან მოისმოდა უიშვიათესი ინტერპრეტაციით შესრულებული ფერენც ლისტის „ობერმანის ველი"... ავტორი კი ამ ოჯახური დიდებული კონცერტისა გახლდათ მეოცნებე მზეჭაბუკი – მერაბ კოსტავა... შესრულებამ იმდენად აღაფრთოვანა ბატონი კონსტანტინე, რომ ფეხზე წამომდგარი ტაშს უკრავდა მერაბს და თან, მოწონების ნიშნად აგრე უკიჟინებდა: „ბიჭოს, უყურე კოსტავას ბიჭს, რა ნიჭიერი, რა საინტერესო შემოქმედი ყოფილა?! ასე თუ გაგრძელდა, ნამდვილად დიდი მომავალი ექნება და დიდ სახელს მოიხვეჭს უთუოდ..." ჯერი ზვიადზე დადგა. დაიწყო რახმანინოვის პრელუდიით... მას მოჰყვა შოპენის პოლონეზი. ეს იყო ზვიადის უსაყვარლესი ნაწარმოები, ურომლისოდაც, მისი რეპერტუარი სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა... „მე მგონი, ჩემო ჩიტო, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ჩვენი ხირჩილა ზვიადი ამ პოლონეზით ქვეყნიერების გადატრიალებას აპირებს. მართალი გითხრა, სულ სერიოზული შიში მქონდა, ასთმის შემდეგ ცურვაზე რომ დაიწყო სიარული, სპორტმა ისე გაიტაცა და ჩაითრია, მეგონა, დავილუპე-მეთქი. მაგ წიგნის ხელში ამღები აწი აღარ იქნება, გადაჰყვება ვარჯიშს და ერთ კუნთებდამშვენებულ ცალტვინა მუტრუკად ჩამოყალიბდება-მეთქი. დედა, დედა, რას ვიფიქრებდი, მაგ თუ მობრუნდებოდა და დაინტერესდებოდა კანტით, ნიცშეთი, გოეთეთი, შექსპირით ან დანტეთი. ეს ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, რადგან ჩემი შეგონება მისთვის ისეთივე ფუჭი იყო, როგორც ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა..." ბატონი კონსტანტინეს ამ წუხილს წარმოაჩენს ქობულეთში გაგზავნილი წერილი ზვიადისადმი. „ძვირფასო დუკო! ქობულეთს წასვლის წინა დღეს, უკეთ რომ ვთქვათ კვირაძალში, მე შენთან სერიოზული საუბარი მქონდა. მე შეგატყვე, გული გატკინე, რამაც რეკოშეტით მეც წყენა მომაყენა. კიდევ ვიმეორებ, ზვიად, მე ისე მეტკინა გული, ძალიან გამიფრთხილდი, თორემ, რომ არ ელოდები, ისე გამოგეცლები ხელიდან. ერთის მხრივ, მე მინდა, შენ ჩვენი ნებიერი ბალღი იყვე ჯერაც, მაგრამ ამ ბოლო დროს შენ ისევ აჭარბებ. იძულებული ვარ, გავიმეორო, დაჭკვიანდი-მეთქი. იცოდე, ძლიერ სერიოზულ დროში ვართ. გაუფრთხილდი დედიკოსა და მამის სიცოცხლეს, თორემ რომელიმე ჩვენგანი თუ წაიქცა, შენი საქმეები ცუდად წავა. მე ისე დაქანცული ვარ და იმდენი გულის ტკივილი მაქვს, აწი შენგან მოველი თანაგრძნობას და თანადგომას. წადი ზღვისპირას და ძლიერ დაკვირვებით წაიკითხე ეს წერილი. იცოდე, ერთი დიდი ჭეშმარიტება მოინიშნე: ყველაზე მეტად მოერიდე საყვარელ ადამიანებს. მე, პირადად, იმდენი ვიტანჯე ამ ქვეყანაზე, შენ და თამრიკო, რა თქმა უნდა, დედიკოც, რომ არ მეცოდებოდეთ, არც მექნებოდა სიცოცხლის ხალისი. მე და დედაშენი თავს არ ვზოგავთ იმისათვის, რომ არაფერი მოგაკლდეთ. შენ ყოველნაირად კარგი ვაჟი ხარ, მაგრამ არ მომწონს შენი ტლანქი საქციელი დედის, დისა და მამის მიმართ. ჩემთვის ძლიერ ძნელია უთქვენოდ ყოფნა, მაგრამ მე იმედი მაქვს, ამ დღეებში, როცა მე შენს ახლოს არა ვარ, გადამატანინო შენი უხეშობანი და გამოსწორდე. მანამდის იცოდე, დაიცავი შემდეგი წესი: 1) ზომიერად ისარგებლე ზღვით, რადგან შენი კორპუსი, ესე იგი სხეული, სულ მაღლა მიდის და ბევრი ენერგიისა და ცხიმის ხარჯვა მხოლოდ გავნებს. 2) დედიკო ისე დაქანცულია, ხომ ნახე, როცა პარკში ისხედით, ეძინებოდა 3) თუ შენ დედიკოს არ დაუჯერებ, იცოდე, ამას უმისოდაც გავიგებ. ჩამოვალ და დაუყონებლივ წამოგიყვან. მე დედაჩემის საფლავი დავიფიცე და გაგრის ამბებს აწი აღარ მოგითმენ. 4) იკვებე რაც შეიძლება კარგად, ერთი 5 კილოგრამი მოიმატე. 5) თუ ჩემი სიყვარული მართლაც გაქვს გულში, მეც შემიცოდე. მე აქ ისე გიცავ, შენ წარმოდგენაც არა გაქვს. 6) გახსოვდეს, სპორტის თვითმიზნად გახდომა უსაქმურებისა და გონებით გაკოტრებული ადამიანების საქმეა. 7) მე არ ვოცნებობ იმისთვის, რომ შენ უეჭველად მცურავი ან სპორტის სხვა სახეობის გამოთაყვანებული კრეტინი გახდე, როგორც ათასობით გვყავს დღევანდელ ყოფაში, არამედ შენ უნდა გამოხვიდე ბრწყინვალე ინტელექტის ადამიანი. 8) ლორდ ბაირონს დარდანელის გადაცურვით როდი მოუხვეჭია უკვდავება, არამედ თავისი პოემებით. რამდენი იდიოტი რამდენ კილომეტრს გადასცურავს, ამას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონია არასოდროს. იცოდე, ჩემს ჩამოსვლამდე ამას, ყოველივეს დაუფიქრდი. შენ ყველაფერი გესმის ამქვეყნად და იმასაც გაიგებ, რასაც ვწერ ამ პატარა ბარათში. გკოცნის შენი შვილი, კონსტანტინე სხივიძე. ძაღლები და კატებიც გკოცნიან! შენი ობობაც კარგადაა." P.S. სხივიძე იყო ბავშობაში ზვიადის მიერ ამორჩეული საყვარელი გვარი და ბატონი კონსტანტინე აქ წერს შვილის მიერ ამორჩეულ გვარს.



ბატონი კონსტანტინე და მერაბ კოსტავა



ბატონი კონსტანტინე ირაკლი აბაშიძესთან ერთად

**ეკა პატარაია**

# რის გაკეთებას აპირებდა გიორგი გურგულია სასაზღვრო ზონებში და რამდენჯერ ჰყავს მას „მოკლული" ზურა ბეგალიშვილი

(22-ე გვერდიდან)

ლიდები და უსინათლოებიც ჩაერთო ამ პროექტში. მე კი ვფიქრობ, რომ ეს ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ პირველ ეტაპზე განუხორციელებად მიმაჩნია. სიყვარულის სოფელში უსინათლოს ან ინვალიდს სოფლის მეურნეობაში, ან მესაქონლეობაში ვერ ჩართავ, გაუჭირდება... როდესაც მოვძლიერდებით, მერე უკვე შესაძლოა, ამ მიმართულებითაც დავიწყოთ მუშაობა. გია ნიკოლაძე ჩვენთანაც არის და იქითაც. მე და ერეკლე ბადურაშვილმა დავაარსეთ ფონდი „სიყვარულის მატარებელი", მაგრამ გვინდოდა, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლებიც ყოფილიყვნენ მასში ჩართულნი. თავიდან ჭაბუა ამირეჯიბთან მივედით. მან მოგვიწონა იდეა. შემდეგ ნანი ბრეგვაძე, გურამ დოჩანაშვილი, მამა-შვილი ჩარკვიანები... ჩვენ ამ უფროსი თაობისგან და მათი ხელოვნებიდან ვეზიარეთ სიყვარულსა და სათნოებას.

მოსაშვილის ქუჩაზე ვიზრდებოდი. ჩვენი მეზობლები იყვნენ: რეზო ლაღიძე, ინოლა – მამიდაჩემი, კვერნაძეები, შანიძეები... ასეთი ადამიანების გარემოცვაში ვიყავი ყოველდღიურად, რამაც უდაოდ დადებითი კვალი დაამჩნია ჩემს ცხოვრებას. რაც მათ გადმოგვცეს, სურვილი მაქვს, რომ ჩვენ მომავალ თაობას გადავცეთ.

**– პროექტის მეოთხე ნაწილიც გაგვაცანით.**

– გვინდა, გავაკეთოთ ფილმი, სადაც ასახული იქნება, თუ რა ხდება „სიყვარულის მატარებლში." გარდა ამისა, ბავშვებმა არ იციან, ყოველდღიურად ესმით: ალაჰმა დაგლოცოს, ალაჰი გიშველის....

**– ინშალა, ინშალა...**

– სწორედ ამიტომ გვინდა, გავაკეთოთ ისტორიულ-შემეცნებითი ფილმების სერია. გვინდა, ქართველ ხალხს გავახსენოთ, რა ურთიერთობები გვქონდა, რა მიწები გვაქვს დაკარგული... ყველა სიკეთესთან ერთად, ეს ფილმი ტურიზმსაც განავითარებს საქართველოში.

**ეკა სალაღაია**

**სახლი ის ადგილია, სადაც ადამიანი დასვენებას ამჯობინებს, თუმცა ზოგჯერ ბინაში, შურიანი ადამიანის ნეგატიური ენერგიის წყალობით, ისეთი აურა იქმნება, რომ იქ მცხოვრები ადამიანებისთვისაც ძალიან საშიშია. როგორც პარაფსიქოლოგი, ქალბატონი ნანი ამბობს, არსებობს სპეციალური მეთოდები, რომლითაც შეგვიძლია, ჩვენი სახლი დავიცვათ უარყოფითი ენერგიებისგან და წლების განმავლობაში იქ სიმშვიდემ და სიმყუდროვემ დაისადგუროს.**

# როგორ გავანეიტრალოთ ადამიანებისგან წამოსული უარყოფითი ენერგია და რას შველის ვარდის ეკლიანი ღერო

**ნანი**: პირადად ჩემთვის სახლი ის ადგილია, სადაც სიმშვიდეს ვგრძნობ. დამეთანხმებით, ძნელია, სახლში მისულს რაღაც რომ გაწუხებს, ვერ პოულობ შენს ადგილს, არადა, თითქოს ყველაფერი რიგზე და თავის ადგილზეა. შემიძლია, შემოგთავაზოთ რჩევები, რომლებიც დაგეხმარებათ, გაანეიტრალოთ ის შავი და ბოროტი ენერგია, რომელიც თქვენს სახლში შეიძლება შემოიტანონ შურიანმა და ბოროტმა ადამიანებმა. შემიძლია, გასწავლოთ მარტივი მეთოდები, რომლითაც თავად ადვილად შეძლებთ, ბოროტ ძალას გაუმკლავდეთ. რაც მთავარია, ამ რჩევებს თუ წესებს ჩვენს ბინებში სიმშვიდე მოაქვს. მაგალითად, სამზარეულო ის ადგილია, სადაც ხშირად ეპატიჟებით სტუმარს, მეგობარს თუ მეზობელს ყავის დასალევად, საჭოროდ. თქვენ ვერც წარმოიდგენთ, მაგრამ შეიძლება, თქვენმა სტუმარმა ბოროტი ენერგია დატოვოს იქ. ხომ არსებობენ ბოროტი ადამიანები, რომლებსაც ახლობლებისაც შურთ. ამიტომ ამისგან რომ თავი და საკუთარი სამზარეულო დაიცვათ, კედელზე ჩამოკიდეთ ნივრის ასხმა და 5 თვეში ერთხელ გამოცვალეთ ის. ძველი დაწვით, ახალი კი გამოსაჩენ ადგილას დაკიდეთ.



**– შეიძლება, ის საჭმელშიც გამოვიყენოთ?**

– არავითარ შემთხვევაში! საჭმელში მისი გამოყენება ყოვლად დაუშვებელია და იკრძალება. ასევე, ბოროტ თვალს ებრძვის სამზარეულოს მაგიდაზე დადგმული დეკორატიული ქოთანი, რომელშიც მარილი, სამი ნემსი და სამი ლურსმანი იქნება ჩამალული. ხშირად აანთეთ სამზარეულოში წითელი ან ყვითელი ფერის სანთლები. ესეც ცუდ და ბოროტ ენერგიას გაანეიტრალებს. არასდროს დატოვოთ იქ მდგარი კარადების კარი ღია. ამან შესაძლოა, გაჭირვება მოგიტანოთ. ეს აუცილებლად გაითვალისწინეთ.

**– ამბობენ, აბაზანა ის ადგილია, სადაც ადამიანის ორგანიზმიდან უარყოფითი ენერგიის ჩამორეცხვა ხდებაო. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

– მართალია, ეს მაგიაში ცნობილი ფაქტია. კერძოდ, აბაზანა არის ის ადგილი, სადაც ხდება უარყოფითი ენერგიისა და ავადმყოფობების ჩამორეცხვა. თუ გსურთ, მთელი დღის განმავლობაში დაგროვილი უარყოფითი ენერგია ჩამოირეცხოთ ორგანიზმიდან, მაშინ აბაზანაში ჩაყარეთ მარილი, ჩაწექით მასში და მოდუნდით. მერწმუნეთ, თავს გაცილებით კარგად იგრძნობთ. უძველეს დროში კი ბავშვს სანამ აბანავებდნენ, წყალში რძეს ჩაასხამდნენ და შიგ ვერცხლის მონეტას აგდებდნენ. ამით დარწმუნებულები იყვნენ, რომ მომავალში ბავშვი ფინანსურად უზრუნველყოფილი იქნებოდა და არც ავი თვალი მიეკარებოდა. ასევე, ძველებისგან მსმენია, რომ თუ პირველ თოვლს გაადნობთ და თქვენს სააბაზანოში დასაბან წყალში გაურევთ, მთელი წელი არანაირი გრიპი, ანგინა და სურდო არ მოგეკარებათ. მაისის წვიმას კი, ამ მხრივ, ნამდვილი მაგიური ძალა აქვს. კერძოდ – მაისის თვის პირველ კვირაში მოსულ წვიმას.

სხვათა შორის, აბაზანის მიღების დროს სხვადასხვა მაგიური ეფექტი აქვს. შემიძლია, ესეც დაგიკონკრეტოთ. კერძოდ: დილის აბაზანა ადამიანის სილამაზისთვის არის გათვლილი. თუ ფინანსების მხრივ წარმატებების მოზიდვა გინდათ, ეს შუადღის ხშირ ბანაობას მოაქვს. ასევე, ძალას გმატებთ სავსე მთვარის დროს ღამით ბანაობა.

**– დღეებს არ აქვს მნიშვნელობა?**

– რასაკვირველია, დღეებსაც მნიშვნელობა აქვთ. თუ ფინანსურად არ გიმართლებთ, მაშინ კარგია, ხშირად იბანაოთ ხუთშაბათ და შაბათ დღეს. ოღონდ, გაითვალისწინეთ, ბანაობის შემდეგ უნდა დაწვეთ დასაძინებლად და იფიქროთ ფულზე. პარასკევ დღეს აბაზანის მიღება სიყვარულში წარმატების გარანტია. კვირა დღეს ბანაობას კი შესაძლოა, მთელი კვირა ცუდი განწყობა მოჰყვეს, ამიტომ გირჩევთ, კარგად გაითვალისწინოთ ეს რჩევები და დაფიქრდეთ, ღირს თუ არა ამ რჩევების გათვალისწინება.

**თუ ფინანსურად არ გიმართლებთ, მაშინ კარგია, ხშირად იბანაოთ ხუთშაბათს და შაბათს**

**– უარყოფითი ენერგია სახლის კარიდან შემოდის. ეს ადგილი როგორ დავიცვათ?**

– სახლის კარის დაცვა უარყოფითი ენერგიისგან ყველაზე კარგად ვარდის ეკლიან ყლორტებს შეუძლიათ. ეკლები ავ თვალს ადვილად ანეიტრალებს. თუ გსურთ, კეთილდღეობამ დაისადგუროს ბინაში, შესასვლელში, კარის პირდაპირ ჩამოკიდეთ ვარდის ეკლიანი ტოტები, ან შეგიძლიათ, ისინი ფეხის საწმენდის ქვეშაც ამოდოთ. არასდროს დატოვოთ კარი ოდნავ შეღებული, რადგან ამ დროს უარყოფითი ენერგია ადვილად შემოდის, თან ისე, რომ დაბრკოლება არ აქვს. ასევე, სასწრაფოდ შეაკეთეთ ან გამოცვალეთ გაფუჭებული საკეტი. საერთოდ, გასაღებს უდიდესი მაგიური თვისებები აქვს. მაგალითად, თუ პატარა გასაღებს ჩამოიკიდებთ გულზე, მაშინ ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებთ და ადვილად გააღებთ ნებისმიერი საქმის კარს. ეს გასაღები შესაძლოა, იყოს ოქროს ან ვერცხლისგან დამზადებული. თუ არასრულფასოვანი სექსუალური ცხოვრება გაწუხებთ, ლეიბის ქვეშ ყოველთვის დადეთ გასაღები. ნურასდროს დადებთ სახლის კარის გასაღებს მაგიდაზე. ჯიბეში მისი ჩადებაც არ არის კარგი. ერთი ამბავი გამახსენდა: ჩემს უახლოეს მეგობარს არასდროს უმართლებდა პირად ცხოვრებაში. არც კარიერაში წინსვლით იყო კმაყოფილი. ჩემთან იყო სტუმრად მოსული. საუბრის დროს წამოსცდა, აღარ შემიძლია, კარზე საკეტი მაქვს გაფუჭებული და ერთ საათს ვუნდები მის გაღება-დაკეტვასო. ვურჩიე, აუცილებლად შეიძინე ახალი საკეტი და გამოცვალე, თუ გინდა, სასიკეთოდ წარიმართოს შენი საქმეები-მეთქი. მართლაც დამიჯერა. ყავა დავლიეთ, ვიჭორავეთ და ჩემი სახლიდან პირდაპირ ბაზრობაზე წავიდა საკეტის საყიდლად. თურმე საღამოს მეზობლისთვის უთხოვია საკეტის გამოცვლა კარზე. მას კი უთქვამს, ჩემი ბიძაშვილია ჩამოსული რაიონიდან, ოქროს ხელი აქვს, მას ვეტყვი და უარს როგორ გეტყვის ასეთ ლამაზ გოგოსო. მოკლედ, იმ ბიჭს საკეტი გამოუცვლია. შემდეგ ჩემს მეგობარს შეუპატიჟებია ყავაზე და ნამცხვარზე და იმ დღის შემდეგ, ერთმანეთზე ამოსდის მზე და მთვარე *(იცინის)*. ვერ გეტყვით, ეს დამთხვევა იყო, თუ რამე ზებუნებრივი, მაგრამ ფაქტია, მათი ცხოვრების რადიკალურად სასიკეთოდ შეცვლა სწორედ საკეტის გამოცვლას უკავშირდება. ამიტომ ვამბობ, რომ ყველა ჩვენგანმა უნდა მიაქციოს მსგავს რაღაცეებს ყურადღება. სულაც არ არის რთული ნივრის აცმის დაკიდება სამზარეულოში, ვარდის ეკლიანი ტოტის დადება ფეხსაცმლის საწმენდის ქვეშ და გაფუჭებული საკეტის გამოცვლა კარზე. თუ ეს თქვენს ცხოვრებას რადიკალურად სასიკეთოდ შეცვლის. ისე, ზოგს მსგავსი რამეების არ სჯერა, მე კი, ჩემი მხრიდან, ვურჩევ მათ, იქნებ, სცადოთ.

**ნონა დათეშიძე**

## რისთვის მჭირდება?

დიახ, რისთვის გვჭირდება ქალებს, მაგალითად, მამაკაცი?! სერიოზული და საკმაოდ რთული კითხვაა. სულ ტყუილუბრალოდ გელიმებათ. თუ ამ შეკითხვას შესაფერის პასუხს მოუძებნით, მაშინ სქესთა შორის ჰარმონიასაც მიაღწევთ. მოულოდნელი არ იქნება, თუ გეტყვით მთავარს: მამაკაცი ქალს სჭირდება იმისთვის, რომ უყვარდეს, ზრუნავდეს მასზე, ეფერებოდეს და საჩუქრებით ანებივრებდეს... არც ერთმა ქალმა არ თქვას, რომ ამ ყველაფრის გარეშეც სასურველია მისთვის მამაკაცი. გასაგებია, რომ ზოგს სიმარტოვე აწუხებს და კაცი სიცარიელის შესავსებად სჭირდება, ზოგსაც – შვილის გასაჩენად, თორემ, სახლში ლურსმანს ყველა მივაჭედებთ და, თუ გაჭირდა, ონკანსაც კი შევაკეთებთ. ხშირად ჰკითხეთ საკუთარ თავს – რისთვის გჭირდებათ ის კონკრეტული მამაკაცი, რომელიც ახლა გვერდით გყავთ, ხოლო, თუ არ გყავთ, მაშინ, რისთვის დაგჭირდებათ მომავალში?

პასუხი ამ შეკითხვაზე აუცილებლად გულწრფელი უნდა იყოს, რათა ჯერ საკუთარ გრძნობებსა და ემოციებში გაერკვიოთ; ჩამოაყალიბოთ, რა გინდათ რეალურად, მერე კი მამაკაცსაც გაუგოთ. სამწუხაროდ, ქალებისა და გოგონების უმრავლესობა საჭიროდ არ მიიჩნევს ამის გაკეთებას, რადგან, არც იციან, რომ აუცილებელია, გასცე პასუხი შეკითხვაზე: მართლაცდა, რისთვის მჭირდება მამაკაცი?

## რატომ – ასე?!

მამაკაცი – ეს რთული თემაა! ზოგჯერ იმასაც კი ფიქრობ, რომ ის საერთოდაც სხვა პლანეტიდან არის, არც ენა ესმის ჩვენი და, საერთოდაც, ძალიან არაადეკვატური და უცნაური არსებაა...

ჩვეულებრივი ამბავია ისიც, რომ ქალი ხშირად გაოგნებული რჩება მამაკაცის ქმედებებითა და ფრაზებით; არც უსამართლობის განცდაა უცხო, თუმცა, აღშფოთებას აზრი მაინც არ აქვს, რადგან, საქმე შეიძლება გართულდეს და სერიოზულ ჩხუბამდეც მივიდეს. გაცილებით ჯობია, გავარკვიოთ, რაშია საქმე და რა გვაწუხებს ყველაზე მეტად:

1. „მეუღლე არ ლაპარაკობს ჩემთან საკუთარ პრობლემებზე. არც ჩემი საქმეები აინტერესებს..." – ზოგადად, მამაკაცებს არ უყვართ საკუთარ პრობლემებსა და სურვილებზე ხმამაღლა ლაპარაკი. საკუთარ თავში ჩაკეტილობა მათ ბუნებაში დევს. ქალები კი პირიქით არიან მოწყობილები – მათ ურჩევნიათ, დაიცალონ სათქმელისგან და სხვების დახმარებით მოძებნონ გამოსავალი. გასაგებია, რომ, თუკი გეტყვით გასაჭირის შესახებ, გვერდშიც დაუდგებით, მაგრამ, დუმს, როგორც პარტიზანი და, რა გინდა, ქნა?! აჯობებს, საერთოდ დაანებოთ თავი და დაელოდოთ, სანამ თვითონ არ აიხსნის ენიდან კლიტეს. ზედმეტი შეკითხვებით უფრო გააღიზიანებთ და, გამორიცხული არ არის, სხვაზე გაბრაზებულმა, ჯავრი თქვენზე იყაროს.

2. „თვითონ ვერ ახერხებს ამიხსნას, რა უნდა და ჩემზე ბრაზობს..." – ესეც მამაკაცური ბუნების ბრალია. მათ დეტალებზე კონცენტრაცია უჭირთ. მით უმეტეს, საერთოდ არ ესმით ნართაულები და ვერც მინიშნებას გაიგებენ. ამიტომ, სათქმელი ყოველთვის მოკლედ და ძალიან კონკრეტულად უნდა უთხრათ – ეს ერთადერთი გამოსავალია. რაც შეეხება იუმორს, შეეგუეთ იმას, რომ კაცს უხეში და მძიმე იუმორი აქვს, თან, ზოგჯერ არცთუ სასიამოვნო.

## სცადეთ, მოეწონება!

მამაკაცს მოსწონს, როცა მის გარეგნობასა და ჩაცმულობაზე საყვარელი ქალი ზრუნავს. ეხმარება სტილის შერჩევაში, მერე კი კომპლიმენტებს არ იშურებს. თუ არ დაიზარებთ და მეუღლის მხარდამჭერი გახდებით, ამით მხოლოდ მოიგებთ – გაიგებთ მისი სურვილების, გემოვნებისა და ოცნებების შესახებ და, თანაც უფრო დაუახლოვდებით – მამაკაცები ხომ ბოლომდე მოზრდილ ბიჭუნებად რჩებიან. ბავშვობაში მათ გარდერობზე დედა ზრუნავდა. არც ახლა იქნებიან წინააღმდეგნი, თუკი დედის ფუნქციას საყვარელი მეუღლე შეასრულებს. ნურასოდეს ეტყვით უარს, როცა რჩევისთვის მოგმართავთ და რამდენიმე პერანგს გაჩვენებთ – არ დაგეზაროთ, ყურადღებით შეათვალიერეთ და არჩევნის გაკეთებაში გულწრფელად დაეხმარეთ – ხომ გინდათ, თქვენი მეუღლე საკუთარ თავში დარწმუნებული იყოს და წარმატებასაც მიაღწიოს?! სხვათა შორის, დიდი მნიშვნელობა აქვს პერანგის ფერს და, გარდა ამისა, ქალის მსგავსად, მამაკაცსაც სჭირდება, იყოს დარწმუნებული იმაში, რომ კარგად აცვია, კარგად გამოიყურება და საზოგადოებისთვის მისაღებია, მით უფრო, თუ ის საქმიანია და აქტიური. თქვენ ხომ გაქვთ სურვილი, მეუღლეს მოსწონდეთ, უყურადღებოდ არ რჩებოდეს ის სიახლეები, რაც თქვენს ჩაცმულობაში შეიტანეთ? ზუსტად იგივე უნდა მამაკაცსაც. ამიტომ, შეეცადეთ, ამ დროს იყოთ გულწრფელი და ღიმილიანი.

## დააკვირდი და მიხვდები!

გაგება იმისა, ცრუობს თუ არა მამაკაცი, საკმაოდ იოლია. ქალების უმრავლესობა მყისიერად შიფრავს ტყუილს. თუკი ეს თავად უნდა და სჭირდება. დიახ, ნამდვილად არის მომენტები და სიტუაცია, როცა ქალისთვის საჭიროებას არ წარმოადგენს მამაკაცის სიცრუეში გამოჭერა. ანუ, როცა ქალი „ვერ ხედავს", რომ კაცი მას ატყუებს, ეს იმას ნიშნავს, რომ შეგნებულად იტყუებს თავს. სამწუხაროდ, ასეთი ურთიერთობა ხანგრძლივი არ არის.

დააკვირდი და მიხვდები, რომ საკმარისად ბედნიერი ხარ. მთავარია, მიხვდე, რომ ბედნიერება ის არის, რაც ახლა გაქვს, რაც შენთან და შენ გვერდით არის. არ უნდა იცხოვრო რაღაც ჯადოსნურის და არაჩვეულებრივის მოლოდინში.

კიდევ, უნდა დააკვირდე იმ ადამიანს, რომელიც გვერდით გყავს... ხშირად და კარგად უნდა დააკვირდე. გაგახსენდება, რა მოგწონდა და რას აფასებდი მასში. დაინახავ ყველა იმ დადებით თვისებას, რისთვისაც შეიყვარე და მაშინ აღარ გაგიჭირდება, გახდე უფრო დამთმობი და მიმტევებელი. აღარ გამოეკიდო წვრილმანებს და უფრო ხშირად შეინარჩუნე სიმშვიდე. არ შეიძლება, დაგავიწყდეს ის, რომ ყველა ადამიანი ინდივიდუალურია. ის შენ არ გგავს და არც უნდა გგავდეს. ნუ მოახვევ მას თავზე შენს განუხორციელებელ ოცნებებს და ნუ შეაწუხებ წუწუნით. მას ნამდვილად აქვს უფლება, საკუთარი ოცნებები ჰქონდეს. როცა ამას ჯეროვნად გააცნობიერებ, ურთიერთობა ბევრად გამარტივდება და კონფლიქტებიც გაცილებით ნაკლები გექნებათ.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# საგაზაფხულო დიეტა

მართალია, ჯერ კიდევ არ დამთბარა, მაგრამ გაზაფხული თანდათან იკრებს ძალებს და შორი აღარ არის ის დრო, როცა პალტოებსა და ქურთუკებს გვერდზე გადავდებთ და საზაფხულო სამოსით შევიმოსებით. მაგრამ, ვართ კი მზად ამისთვის? ზამთრის განმავლობაში დაგროვილი თუნდაც რამდენიმე კილოგრამმა, შესაძლოა, ისეთი დისკომფორტი შეგვიქმნას, ლამაზად ჩაცმის ხალისიც კი დაგვიკარგოს. ამიტომ, დევიზად უნდა ვაქციოთ სიტყვები – „გახდი საგაზაფხულოდ!“ – და, თან, საქმესაც შევუდგეთ.

**„ვახშამი დაუთმე მტერს!“** – ეს ცნობილი გამოთქმაა. დიდი ხანია, დიეტოლოგებს შორის მიმდინარეობს დავა იმის შესახებ, საღამოს რომელი საათის შემდეგ უნდა „დაივიწყოთ“ გზა სამზარეულოსკენ, უფრო სწორად, რომელი საათის შემდეგ აღარ უნდა გამოაღოთ მაცივარი. ზოგი ამტკიცებს, რომ ჭამა შუაღამითაც შეიძლება, თუკი ვახშმობიდან 3-4 საათის შემდეგ დაწვებით დასაძინებლად; ზოგი კი დარწმუნებულია, რომ საღამოს 6 საათი დღის განმავლობაში ბოლო კვების დროა, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, ოჯახური ვახშამი ან საღამოს წვეულება, შესაძლოა, წამებად გექცეთ. ამიტომ, სასურველია, დაუჯეროთ ჭკვიანი კაცის სიტყვებს (რა თქმა უნდა, „მტერი“ პირდაპირი გაგებით არ უნდა იგულისხმოთ) და, თუ სავახშმოდ ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან ერთად მიუჯდებით სუფრას (თუ მათ გახდომის პრობლემა არ აწუხებთ), წინასწარ მოიმარაგეთ თქვენთვის 1 ჩაის ჭიქა კეფირი ან უცხიმო მაწონი, ერთი ცალი ვაშლი ან ბანანი და აუცილებლად – წყალი (შეგიძლიათ, წვრილად დაჭრილი ვაშლი და ბანანი კეფირში ან მაწონში შეურიოთ და ისე მიირთვათ). თუ ასე მოიქცევით, სუფრასთან ზედმეტად აღარ იგრძნობთ თავს და, თანაც, დაგროვილი ცხიმების წვას დააჩქარებთ.



**დალიე და გახდი!** – ეს ცარიელი სიტყვები არ გეგონოთ; არც ფორმალური მოწოდებაა, რომელიც მხოლოდ მოწოდებად რჩება.

მათთვის, ვისაც უჭირს „გემრიელობებთან“ გამოთხოვება, არსებობს გახდომის კიდევ ერთი მეთოდი: წყლის დიეტა. მთავარი, რაც ამ დროს მოგეთხოვებათ, არის თვითდისციპლინა, რომელიც ჩვენ მიერ შემოთავაზებული უბრალო წესების დასაცავად დაგჭირდებათ:

* აუცილებლად მიდით კონსულტაციაზე ექიმთან და დაადგინეთ, შეიძლება თუ არა თქვენთვის წყლის დიეტის დაცვა;
* თუ ექიმმა ნება დაგრთოთ, ყოველ დილით, უზმოზე, ყლუპ-ყლუპად დალიეთ 1 ჩაის ჭიქა წყალი (ოთახის ტემპერატურის) – ეს მთელი დღის განმავლობაში დააჩქარებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას.
* ყოველი კვების წინ, 20 წუთით ადრე, ისევ ყლუპ-ყლუპად დალიეთ 1 ჭიქა წყალი – ის შეავსებს თქვენს კუჭს, შეამცირებს შიმშილის გრძნობას და გაცილებით ნაკლები რაოდენობის კერძი დაგანაყრებთ.
* ჭამის პროცესში წყალი არ დალიოთ, არც ჭამის დამთავრებისთანავე დააყოლოთ – წყალი ანეიტრალებს კუჭის წვენს, რითაც ხელი შეეშლება საკვების მონელების ნორმალურ პროცესს.
* ყოველდღე სვით 1,5-2 ლიტრი წყალი (კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ეს უნდა გააკეთოთ ექიმის კონსულტაციის შემდეგ).

მაგრამ, არ გეგონოთ, რომ წყლის დიეტის დაცვის შემთხვევაში, შეგიძლიათ, რაც გნებავთ და რამდენიც გნებავთ, მიირთვათ. ცხადია, საუზმეც, სადილიც, სამხარიც და ვახშამიც უნდა შედგებოდეს მსუბუქი, ნაკლებად კალორიული და ვიტამინებითა და მიკროელემენტებით გაჯერებული პროდუქტებისგან. როგორც წესი, აქცენტი გააკეთეთ ხილზე, ბოსტნეულზე, რძემჟავა პროდუქტებზე და ბურღულეულზე, თევზი და ხორცეული (უცხიმო) მიირთვით მხოლოდ მოხარშული ან ორთქლზე მომზადებული. თითოეული კერძის რაოდენობა კი არ უნდა აღემატებოდეს 250 გრამს (წყლის გარდა).

**და, კიდევ ერთი:** შეეცადეთ, მკაცრად დაიცვათ კვების საათები (ოთხჯერადი კვება აუცილებელია) – ეს რეჟიმში აყენებს ორგანიზმს და აჩქარებს ცხიმის წვას.

წარმატებებს გისურვებთ!

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა**: **რა არის ანტიოქსიდანტი?**

**პასუხი**: ლათინურად „ანტი“ ნიშნავს საწინააღმდეგოს, „ოქსის“ – მჟავეს, ანუ, ანტიოქსიდანტი ნიშნავს „მჟავასაწინააღმდეგოს“. ესაა ქიმიური ნივთიერებების სპეციფიკური ჯგუფი, რომელსაც ჩვენი ორგანიზმიც გამოიმუშავებს, მაგრამ, ასაკის მატებასთან ერთად, მისი რაოდენობა მცირდება. ამ შემცირების მიზეზი, გარდა ასაკისა, არის სტრესები, მავნე ჩვევები, არასწორი კვება და ეკოლოგია.

ნებისმიერი ნივთიერების დაშლა მომდინარეობს ჟანგბადის აქტიური ფორმების შედეგად (ანუ, თავისუფალი რადიკალებით). სწორედ ამ თავისუფალი რადიკალების მავნე ქმედებებს ებრძვის ანტიოქსიდანტი.

**კითხვა**: **მაინტერესებს, რით არის თაფლი კანისთვის სასარგებლო?**

**პასუხი**: თუ თაფლზე ალერგია არ გაქვთ, თავისი უნიკალური შემადგენლობის წყალობით, თაფლი არის პრაქტიკულად სრულყოფილი პროდუქტი ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ის შეიცავს ანტიმჟავებსა და ფლავონოიდებს (კერძოდ, უნიკალურ პინოცემბრინს), რომლებსაც შეუძლიათ ანტიბაქტერიული ზემოქმედება. გარდა ამისა, თაფლი ბუნებრივი დამატენიანებელია, რომელიც აგროვებს და ინახავს კანში ტენს; გარდა ამისა, ის არის ალფა-ოქსიმჟავას წყარო – ეს ის კომპონენტია, რომელიც ეხმარება კანს მკვდარი უჯრედებისგან გათავისუფლებაში; ასევე, შეიცავს ანტიოქსიდანტებს, რომლებსაც გამოაქვს ტოქსინები.

**კითხვა**: **რომელი უფრო უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის და კანისთვის – ლაზერი თუ სკალპელი?**

**პასუხი**: სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ თერაპია და ქირურგია კონკურენტები კი არა, ერთი მთელის ორი შემადგენელი ნაწილია. ამიტომ, გააჩნია პრობლემას. თუ გსურთ კანის ხარისხის გაუმჯობესება, ან, ვთქვათ, ფერის შეცვლა, აუცილებელია თერაპიული პროცედურები (ბიორევიტალიზაცია, მიკროელექტრონული თერაპია, ინიექციური მეთოდიკები, ენდერმოლოგია, ფოტოგაახალგაზრდავება, პილინგი); მაგრამ, თუ სახის ოვალის, თვალის ჭრილის ან ცხვირის ფორმის შეცვლა მოინდომეთ, უმჯობესია, პლასტიკურ ქირურგს მიმართოთ.

**კითხვა**: **რა არის ლიპოფილინგი?**

**პასუხი**: ლიპოფილინგი არის ცხიმოვანი ქსოვილის გადანერგვა პაციენტის სხეულის ერთი ზონიდან მეორეზე. საკუთარი ცხიმი არ იწვევს ალერგიასა და შეუთავსებლობას. ლიპოფილინგის შედეგად კეთდება ორმაგი კორექცია: პრობლემური ზონიდან შორდება ზედმეტი ცხიმები და გადაინერგება იმ ზონაში, სადაც ცხიმების ნაკლებობაა. ამ ოპერაციას ქალბატონები ძირითადად იკეთებენ მკერდის გადიდების მიზნით. ოპერაციის შემდეგ არ რჩება ნაკვალევი და მკერდი ძალიან ბუნებრივად გამოიყურება.



**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ისევ ახალგაზრდა და ლამაზი!

დღეს შემოგთავაზებთ მეთოდებს, რომლებიც დაგეხმარებათ, სკალპელის გარეშე გაიქროთ ნაოჭები და კანის ზედაპირზე დარჩენილი ნაწიბურები.

წვრილი ნაოჭებისა და პიგმენტური ლაქების მოსაშორებლად კანის დაჭიმვა დღეს თავისუფლად არის შესაძლებელი მაღალტექნოლოგიური პროცედურების წყალობით.

***ბიოარმირება***: კანში შეჰყავთ ჰიალურონის მჟავის შემცველი პრეპარატები, რომლებიც აუმჯობესებს სახის ფერს, ღრმად ატენიანებს კანს, უნარჩუნებს ფორმას მის „კარკასს“ და ასწორებს ნაოჭებს. პროცედურა აბსოლუტურად უმტკივნეულოა, შედეგს კი მაშინვე დაინახავთ.

***პლაზმოლიფტინგი***: გაახალგაზრდავება ხდება საკუთარი სისხლის პლაზმის ინიექციით, რომელიც შეიცავს ტრომბოციტების მაღალ დოზას. ეს მეთოდი აშორებს დაბერების ნიშნებს და აღადგენს კანის ახალგაზრდობას უჯრედების დონეზე.

ულტრაბგერითი თერაპია არეგულირებს კუნთების ტონუსს, იწვევს სისხლძარღვების გაფართოებას, აძლიერებს კაპილარების სისხლით მომარაგებას, აუმჯობესებს სისხლის ვენურ უკუდენას.

კანის სიღრმეში შეღწევისას ულტრაბგერითი ტალღები ახდენს ქსოვილის მიკრომასაჟს, განსაკუთრებით ზემოქმედებს მკვრივ ნაწიბურებზე. ულტრაბგერის მოქმედებაზეა დაფუძნებული ულტრაბგერითი მასაჟი, ფონოფორეზი, კავიტაციური ლიპოლიზი და სახის ულტრაბგერითი გაწმენდა.

# რა დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან იოსებ სტალინსა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძეს



იოსებ სტალინი კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძეზე 12 წლით უმცროსი იყო. კალიტრატე ცინცაძემ კიევის სასულიერო აკადემია 1892 წელს დაამთავრდა, იოსებ ჯუღაშვილი კი, ორი წლის შემდეგ, 1894 წელს შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. მღვდელი ცინცაძე დიდუბის ეკლესიაში მოღვაწეობის პარალელურად, ერთი პერიოდი, თბილისის სასულიერო სემინარიაშიც ასწავლიდა. სწორედ აქ შეხვდნენ ერთმანეთს პირველად მომავალი ზესახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის ერთპიროვნული მბრძანებელი, იოსებ სტალინი და საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი, კალისტრატე ცინცაძე. ამ ორი პიროვნების ურთიერთობებზე ვისაუბრებთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერისტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით.

დოკუმენტურად დადასტურებული არ არის, თუ რა ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან მასწავლებელსა და მოსწავლეს. სამაგიეროდ, დადასტურებულია, რომ 1922 წლიდან დევნილ, ხოლო შემდეგ პატიმრობაში მყოფ მღვდელ კალისტრატე ცინცაძეს, სტალინი არ დახმარებია. ცხადია, სტალინს ექნებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიასთან ერთად, მსჯავრებული მღვდელი კალისტრატე ცინცაძეც იყო. მაგრამ, იმხანად სტალინს არ შეეძლო, სხვა მსჯავრდებულებისგან გამოერჩია საკუთარი მასწავლებელი და პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა. ეს, ალბათ კარგად უწყოდა კალისტრატე ცინცაძემაც და ამიტომაც არ შეაწუხა თხოვნით სტალინი.

ბოლშევიკური სიმკაცრის მიუხედავად, კალისტრატე ცინცაძე პირნათლად ასრულებდა ჯერ ქაშუეთის წმიდა გიორგის წინამძღვრის, ხოლო შემდეგ მღვდელმთავრის მოვალეობას. კალისტრატე ცინცაძემ შეურიგებელი პოზიცია დაიკავა, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა ქაშუეთის წმიდა გიორგის ეკლესია, ისევე როგორც ყველა სხვა მოქმედი თუ დახურული ეკლესია, მათი კუთვნილი მიწის ნაკვეთი, შენობა, წმიდა წიგნები და სხვა ნივთები. საბჭოთა ხელისუფლება წლების განმავლობაში ედავებოდა კალისტრატე ცინცაძეს ქაშუეთის ეკლესიაში დაცული განძეულობის გადამალვას. ქაშუეთის წინამძღვრის მტკიცე პოზიცია, ცხადია, აღიზიანებდა საბჭოთა ხელისუფლების მესვეურთ. თუ გავიხსენებთ მეოცე საუკუნის 30-იანი წლების ავბედით ეპოქას, დიდ გაბედულებად უნდა ჩაითვალოს მეუფე კალისტრატეს მიერ 1938 წლის 31 აგვისტოს ლავრენტი ბერიასთვის მიწერილი წერილი. კალისტრატე წერდა, რომ საქართველოს სიძველეთა კომიტეტის მიერ ქაშუეთის ეკლესია აყვანილი იყო აღრიცხვაზე. ამასთან დაკავშირებით, მეუფე კალისტრატე საკმაოდ გაბედული და სახიფათო თხოვნით მიმართავდა ბერიას: „კადნიერად მივაქცევ რა თქვენს განათლებულ ყურადღებას ზემოაღნიშნულზედ, პატივისცემით გთხოვთ განკარგულებას, ქვაშვეთის სამრევლოს განკარგულებაში დატოვებისთვის". მოულოდნელად, ლავრენტი ბერიამ უკან დაიხია და კალისტრატე ცინცაძის თხოვნას ასეთი რეზოლუცია დაადო: „გთხოვთ, გვაცნობოთ, არსებობს თუ არა რაიმე ოფიციალური წყარო ქვაშვეთის ეკლესიის დახურვის შესახებ". ამის შემდეგ მითქმა-მოთქმა იმის თაობაზე, რომ ქაშუეთის ეკლესიას საქართველოს საპატრიარქოს ჩამოართმევდნენ და დაანგრევდნენ, შეწყდა. ძნელი სათქმელია, ასეთი გაბედული ნაბიჯების გადადგმისას, საბჭოთა ხელისუფლებასთან მუდმივი დაპირისპირებისას, ჰქონდა თუ არა კალისტრატე ცინცაძეს იოსებ სტალინის მფარველობის იმედი. ყოველ შემთხვევაში, კალისტრატე ცინცაძე, ჯერ როგორც დეკანოზი, ხოლო შემდეგ, როგორც მეუფე, ძალზე გაბედულად და შეუპოვრად მოქმედებდა.

უფრო მეტი მასალაა სტალინისა და კალისტრატე ცინცაძის ურთიერთობის შესახებ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის პერიოდიდან. 1917-1943 წლებში რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია არ ცნობდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას. ომის წლებში სტალინის ნებით და ინიციატივით, ცვლილება განიცადა საბჭოთა ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკამ. ყველასთვის მოულოდნელად, რუსეთის ეკლესიის მეუფეებთან შეხვედრისას, სტალინმა რუსეთში პატრიარქობის აღდგენის იდეა წამოაყენა. მართლაც, 1943 წლის სექტემბერში რუსეთში აღდგა პატრიარქობა. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად აირჩიეს მიტროპოლიტი სერგი (სტრაგოროდსკი). კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ სწრაფად აუღო ალღო შექმნილ ვითარებას და დაიწყო ნიადაგის მოსინჯვა, რუსეთის ეკლესიის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის მიზნით. ცხადია, კალისტრატე ცინცაძემ კარგად იცოდა, რომ პატრიარქი სერგი ამ საკითხს ვერ გადაწყვეტდა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობა იმდენად მნიშვნელოვანი საკითხი იყო, რომ ეს სტალინის გვერდის ავლით ვერ მოგვარდებოდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა პირდაპირ სტალინს არ მიმართა. 1943 წლის 14 სექტემბერს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ ოფიციალური წერილით მიულოცა სერგი სტრაგოროდსკის პატრიარქად არჩევა და გამოთქვა რწმენა, რომ რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის ურთიერთობა აღდგებოდა. პატრიარქმა სერგიმ საპასუხო წერილში გამოთქვა მზადყოფნა ორ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის მოლაპარაკების დაწყების შესახებ. ცხადია, მოსკოვში მოლაპარაკების მიზანი და მისი შედეგიც წინასწარ იქნებოდა განსაზღვრული. ანუ, უკვე მიღებული იქნებოდა პოლიტიკური გადაწყვეტილება, რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის შესახებ. ამ გადაწყვეტილებას ვერც პატრიარქი სერგი და ვერც რუსეთის ეკლესიის სინოდი ვერ მიიღებდნენ, გადაწყვეტილება იოსებ სტალინს უნდა მიეღო. 1943 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩამოვიდა სტავროპოლისა და პიატიგორსკის მთავარეპისკოპოსი – ანტონი. მოლაპარაკების შემდეგ, 31 ოქტომბერს, თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქის, კალისტრატეს თანამწირველი იყო, რუსი მთავარეპისკოპოსი ანტონი. ეს კი ნიშნავდა, რომ ორ ეკლესიას შორის ევქარისტიული კავშირი აღდგა.

1944 წელს გარდაიცვალა რუსეთის პატრიარქი სერგი. 1945 წლის იანვარ-თებერვალში მიმდინარეობდა რუსეთის საეკლესიო კრება ახალი პატრიარქის არჩევის მიზნით. რუს მღვდელმთავრებთან ერთად, მას ესწრებოდა ორი მართლმადიდებელი პატრიარქი: ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი ქრისტეფორე და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე. კალისტრატე ცინცაძე მონაწილეობდა რუსეთის ახალი პატრიარქის ინტრონიზაციაში, რომელიც 1945 წლის 4 თებერვალს შედგა. არსებობს ვერსია, რომ 1945 წლის იანვარ-თებერვალში, მოსკოვში ყოფნის პერიოდში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე, ცინცაძე შეხვდა იოსებ სტალინს. შეხვედრაზე კალისტრატე ცინცაძე სამოქალაქო ტანსაცმელში (ფრაკში) გამოწყობილი მისულა. ამ ვერსიის მიხედვით, საუბრისას სტალინს კათოლიკოს-პატრიარქისთვის უკითხავს: „კალისტრატე, ღმერთის უფრო გეშინია, თუ ჩემი?" კალისტრატე ცინცაძეს უპასუხია: „რა, თქმა უნდა, ღმერთის!" სტალინს ირონიულად გაუღიმია და უთქვამს: შენ რომ ღმერთის უფრო გეშინოდეს, ჩემთან პატრიარქის შესამოსელით მოხვიდოდიო. როგორც გაირკვა, ყოველივე ეს, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან, 1948 წელს იოსებ სტალინისადმი გაგზავნილ წერილში კალისტრატე ცინცაძე აღნიშნავს, რომ მოსკოვში ყოფნისას (1945) მას სტალინის ნახვა უნდოდა, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ მიეცა.

რუსეთში პატრიარქობის აღდგენის შემდეგ, ეკლესიაზე ზედამხედველობის მიზნით, შეიქმნა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან (მინისტრთა საბჭოსთან) არსებული რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭო, რომლის თავმჯდომარეც იყო გიორგი კარპოვი. მართალია, ეს საბჭო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეებს განაგებდა, მაგრამ არსებობდა არა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოსთან, არამედ საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან და, რადგან საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო, საქართველოს ეკლესიაც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საბჭოს უნდა დაქვემდებარებოდა. ცხადია, ასეთი ეშმაკური გადაწყვეტილება სტალინთან შეთანხმების გარეშე ვერ იქნებოდა მიღებული. ეს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემაც კარგად იცოდა, მაგრამ არ შედრკა და 1945 წლის 6 იანვარს წერილით მიმართა იოსებ სტალინს. კალისტრატე ცინცაძე ითხოვდა, რომ საბჭოსთვის სახელი გამოეცვალათ და ეწოდებინათ ასე: საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭო. ამრიგად, კალისტრატე ცინცაძემ მოითხოვა ორგანიზაციის დასახელებიდან სიტყვა „რუსეთის" ამოგდება და ყოველივე ამას, საკმაოდ გაბედული არგუმენტაციით ასაბუთებდა. ის აღნიშნავდა, რომ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია არის ავტოკეფალიური, ანუ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის თანასწორი და აქედან გამომდინარე, არ შეიძლება, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს იურისდიქცია ჰქონდეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაზე. მოწაფემ მასწავლებლის წინაშე უკან დაიხია. სტალინმა მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც სრულიად მიუღებელი იყო რუსეთის პატრიარქისა და საეკლესიო იერარქებისთვის და ცხადია, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვისაც. ახლად შექმნილი ორგანიზაციის სახელწოდება კალისტრატე ცინცაძის მოთხოვნით შეიცვალა.

**ანრი შავლაძე**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# რომელ დღეებში ნანახ სიზმრებს უნდა მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება

სიზმარი ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრია, ის სინამდვილის ანარეკლია და, ამიტომ, ნურასდროს ეცდებით სიზმრის აბსურდულობის მტკიცებას. ძილის პროცესს რეინკარნაციასაც უკავშირებენ. ძილის დროს პრაქტიკულად ყველა ფიზიოლოგიური პროცესი ნელდება, თითქოს ადამიანი ამ სამყაროს სცილდება და სხვა სამყაროში ხვდება. ამ დროს არარეალური სამყაროს სტუმრები ვართ, გამოღვიძებისთანავე კი რეალობას ვეჯახებით, ანუ, რეალურ სამყაროში ვბრუნდებით. სიზმარში მოდის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის გადამუშავებაც ხდება და ამით ჩვენი ქვეცნობიერი იმართება.

ბევრს აინტერესებს, არის თუ არა სიზმარი სინამდვილის ანარეკლი, დათრგუნული სურვილების კოდირებული ხილვა; აქვს თუ არა სიზმარს წინასწარმეტყველების უნარი, არის თუ არა ის ჩვენი განწყობის სტიმულატორი, შთაგონების წყარო და ასე შემდეგ. ყველას უნდა შეეძლოს მისი სწორად მართვა და ახსნა. სიზმარს, როგორც სხვა ყველაფერს სამყაროში, ორი ძალა მართავს: დადებითი და უარყოფითი. როგორ სიზმარსაც ხედავს ადამიანი, სწორედ ისეთი აურა აქვს მას, ანუ, ისეთი დადებითი ან უარყოფითი ძალის ზეწოლის ქვეშ იმყოფება რეალურ ცხოვრებაში. ხშირად ადამიანებს წინასწარმეტყველური სიზმრები ახალმთვარეობის დღეებში ესიზმრებათ. ამიტომ, ამ სიზმრებს უნდა მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოთ ისინი.

ყველაზე ხშირად სიზმრებს ხედავენ თევზების, კირჩხიბის, მორიელის, მერწყულისა და კუროს ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანები. ნათელხილული სიტუაციები კი ადამიანებს უფრო მეტად სავსე მთვარის დროს ესიზმრებათ. განსაკუთრებით მაშინ, როცა მთვარე თევზებისა და მორიელის ზოდიაქოს ნიშანშია. ასევე, ცხადდება ის სიზმარი, რომელსაც ადამიანი ახალმთვარეობიდან პირველ, მესამე, მერვე, მეცხრე, მეთერთმეტე, მეთორმეტე, მეცამეტე, მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე, მეცხრამეტე, ოცდამეორე, ოცდამეხუთე, ოცდამეექვსე, ოცდამეშვიდე, ოცდამერვე, ოცდამეცხრე და ოცდამეათე დღეს ნახავს. ამიტომ, ამ დღეებში ნანახ სიზმარს მეტად მიაქციეთ ყურადღება.

***წყლის სტიქიის ნიშნები*** – კირჩხიბი, მორიელი და თევზები – ღამეული ხილვების მეფეებად ითვლება. ისინი მრავალფეროვან სიზმრებს ხედავენ. ხშირად კი ამ ნიშნებით დაბადებული ადამიანები სწორედ სიზმრის სახით იღებენ მეტად საჭირო ინფორმაციას. შესაძლოა, მათ სიზმარში მინიშნებაც მიიღონ.

***ჰაერის სტიქიის ნიშნები*** – ტყუპები, სასწორი და მერწყული, სიზმარში იმას ხედავენ, რაზეც მეტად ფიქრობენ და რასაც განიცდიან რეალურ ცხოვრებაში. თუმცა, შესაძლოა, ღამით, ძილში მათ იმ პრობლემის გადაჭრის გზაც კი მიიღონ ინფორმაციის დონეზე, რის მოგვარებასაც მანამდე ვერ ახერხებდნენ.

***ცეცხლის სტიქიის ნიშნები*** – ვერძი, ლომი და მშვილდოსანი, სიზმარში დიდი ფანტაზიით გამოირჩევიან. ხშირად ხედავენ ფერად სიზმრებსაც. ამბიციური ბუნების გამო, ისინი ძილშიც კი მწვერვალებს იპყრობენ. თუმცა, სიზმარში მიღებულ გაფრთხილებას ყველაზე მეტად ეს ნიშნები უკეთებენ იგნორირებას, რაც ხშირად ცხადში მეტად ძვირად უჯდებათ.

***მიწის სტიქიის ნიშნები*** – კურო, ქალწული და თხის რქა ძალიან პრაქტიკულ ადამიანებად მოიაზრებიან. ისინი სიზმარში პრობლემის პრაქტიკულად გადაჭრის გზას ხედავენ. ასევე, ხშირად ხედავენ წინასწარმეტყველურ სიზმრებსაც, თუმცა ამას ყურადღებას არ აქცევენ, რაც ხშირად ცხოვრებაში უკან სწევთ.

საჭიროა, თითოეულმა ჩვენგანმა კარგად დაიმახსოვროს სიზმრად ნანახი, გააანალიზოს – ხომ არ არის ეს მინიშნება და რეალურ ცხოვრებაში გაითვალისწინოს ღამით მოსული საჭირო ინფორმაცია.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2006 წლის 10 მაისს, ღამის საათებში. რომელ სფეროში გაუმართლებს მას სამომავლოდ, რა არის მისი კარმული მისია და ზოდიაქოს რომელი ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან ელის სასურველი ოჯახური თანაცხოვრება?**

**პასუხი:** თქვენი შვილისთვის სამომავლოდ საქორწინო პარტნიორებიდან კარგია ურთიერთობა: მორიელის, ვერძის, ქალწულის, თხის რქის ან კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულთან. არ არის სასურველი, ურთიერთობა ლომთან და მერწყულთან. პროფესიებიდან წარმატებების მომტანია: ფსიქიატრია, სასწრაფო დახმარების სამსახური, რეანიმატოლოგია, ქირურგია, სტომატოლოგია, გინეკოლოგია, არატრადიციული მედიცინა, საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო სფერო, სამართალდამცავი ორგანოები, საგამომძიებლო საქმე, სამხედრო სტრუქტურები, საგადასახადო, საბაჟო საქმიანობა, სადაზღვევო კომპანიები და დეპარტამენტები, პედაგოგიური სამსახური, სპორტი, მანქანათმშენებლობა, საინჟინრო სფერო, სამეცნიერო-კვლევითი საქმე, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, ფსიქოთერაპია. რაც შეეხება კარმულ მისიას, აუცილებელია, გამოავლინოს დადებითი თვისებები ხასიათში, გამოირჩეოდეს ლიდერულ-ორგანიზატორული ნიჭით. უნდა იყოს კეთილშობილი და სამართლიანი, დაეყრდნოს ცოდნის ბაზას, ოპტიმიზმს; იყოს ორგანიზებული, შეუპოვარი, მიზანსწრაფული, მომთმენი, შრომისუნარიანი, ნებისყოფიანი, პრაქტიკული, ფულის ყაირათიანად მხარჯველი. დაეყრდნოს ინტუიციას, შეეძლოს საიდუმლოს დაცვა.

**კითხვა: დავიბადე 1981 წლის 5 დეკემბერს, დილით. მინდა, უცხოეთში გამგზავრება. იქნებ, მირჩიოთ, რომელი ქვეყანა ჯობია და, ასევე, მაინტერესებს, ზოდიაქოს რომელი ნიშნით დაბადებულ ადამიანთან მელის მშვიდი და ჰარმონიული ოჯახური თანაცხოვრება?**

**პასუხი:** თქვენთვის მისაღებია ურთიერთობა თხის რქის, მორიელის, ლომის, სასწორის, მერწყულის ან ვერძის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანთან. უცხოეთიდან კი კარგია: მექსიკა, ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, ისლანდია, საბერძნეთი, ჩინეთის სამხრეთი ნაწილი, მაკედონია, ირლანდია, უკრაინა, კვიპროსი, პოლონეთი, შვეიცარიის აღმოსავლეთი ნაწილი, მოლდოვა, არგენტინა, ესტონეთი, ფინეთი, ლატვია, ისრაელი.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1987 წლის 5 დეკემბერს. უნდა უცხოეთში წასვლა, იქ სწავლა, მუშაობა. ასტროლოგიურად, ამ თვალსაზრისით რომელი ქვეყნებია მისთვის მისაღები?**

**პასუხი:** უცხოეთი მისთვის დიდი წარმატებების მომტანი არ არის. თუმცა, იქ წასვლა და ძალების მოსინჯვა, ნამდვილად ღირს. ქვეყნებიდან კარგია: ინგლისი, დანია, ავსტრალია, შვედეთი, ყაზახეთი, სინგაპური, მალაიზია.

**კითხვა: დავიბადე 1978 წლის 24 მაისს. მინდა, უცხოეთში ვცადო ბედი. ასტროლოგიურად, რომელი ქვეყნებია ჩემთვის უფრო მისაღები?**

**პასუხი:** თქვენი კარმულ-კოსმიური მისია სწორედ უცხოეთს უკავშირდება. ამიტომ, იქ გამგზავრება და ძალების მოსინჯვა თქვენთვის აუცილებელია. ქვეყნებიდან მისაღებია: ინგლისი, ავსტრალია, დანია, შვედეთი, ყაზახეთი, ვიეტნამი, ლაოსი, სინგაპური, მალაიზია, ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი, საფრანგეთის სამხრეთი, სერბეთი, სლოვენია, ესპანეთი და პორტუგალია.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

18-19 მარტი, **სამშაბათი-ოთხშაბათი** 19.00 - **„მალე მოვალ წვიმად...”** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ნიკო გომელაურის ლექსებზე აგებული სპექტაკლი. რეჟისორი: დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: ნინო თარხან-მოურავი, ნინო მაყაშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, დათო დარჩია, ზაზა ბარათაშვილი, დათუნა გოცირიძე, ნათია კვაშალი, თამთა ინაშვილი, ნინო კასრაძე, ნიკა ქაცარიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

20 მარტი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მტრის ნიღაბი”** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ბესო ზანგური, გაგი სვანიძე, ზაალ ბარათაშვილი, გელა ლეჟავა, მამუკა ლორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

21 მარტი, **პარასკევი** 19.00 - **„ფსიქოზი 4:48”** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: კიტა როყვა. მონაწილეობს: ბესო ზანგური. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

22 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„მაგრიტის შემდეგ”** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, გელა თავბერიძე, ნინო კასრაძე, ირაკლი სანაია, ბექა სონღულაშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, ლევან ხურცია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

23 მარტი, **კვირა** 19.00 - **„ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი”** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ნინო არსენიშვილი, გოგა ბარბაქაძე, პაატა გულიაშვილი, ბესო ზანგური, ნინო თარხან-მოურავი, გაგი სვანიძე, ია სუხიტაშვილი, ნიკა ქაცარიძე. ***ხანგრძლივობა: 3სთ. 10 წუთი;***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

18 მარტი, **სამშაბათი** 20.00 - **„რეპეტიციის შემდეგ”** - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: თემო კუპრავა. მონაწილეობენ: ზურა ბეგალიშვილი, ქეთა შათირიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

19 მარტი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ჟოლო”** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

19 მარტი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ტანგო ნაბიჭვართან”** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), რეჟისორები: ქეთევან ხარშილაძე, გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: კოტე თოლორდავა, ია შუღლიაშვილი, ეკა ნიჟარაძე, ლილე ფილფანი, ნინო გომართელი, ნინო დუმბაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ნიკუშა ჩიქოვანი, ლევან გელბახიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

20 მარტი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ჰაჯი-მურატი”** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 6 - 16 ლარი), რეჟისორი: გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, პაატა ინაური, რატი გოგუაძე, გიორგი შავგულიძე, გაგა შიშინაშვილი, ზაზა იაქაშვილი, თემურ კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

21 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები”** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

23 მარტი, **კვირა** 20.00 - **„პეიზაჟს აკლია სითბო”** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), დამდგმელი რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ვარლამ კორშია, ლილე ფილფანი, დიმიტრი ტატიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966**

21-22-23 მარტი, **პარასკევი-შაბათი-კვირა** 20.00 - **„შევხვდებით სამოთხეში”** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: ზურაბ ბერიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, გურამ ჯაში, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21**

18 მარტი, **სამშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი”** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

19 მარტი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„რკინის ბიჭები”** - (ბილეთის ფასი - 6, 10 ლარი), რეჟისორი: კოტე აბაშიძე. მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, ვანო იანტბელიძე, სოფო გურგენიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

21 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!”** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

22 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„რიჩარდ III”** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ქეთა ლორთქიფანიძე, მარიამ ნადირაძე, მარიამ ჯოლოგუა, ანი ალადაშვილი, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, ჯაბა კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

23 მარტი, **კვირა** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი”** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**ალმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90**

20-21 მარტი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 19.00 - **„ლურჯი ფრინველი”** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: ნიტა ლომიძე, ანდრია გაბრიჩიძე, ანა ქურთუბაძე, ტატო ჩახუნაშვილი, ნინო გომართელი, ანა ჯავახიშვილი, ლევან კახელი, ბუბა გოგორიშვილი, ანა დოიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

22-23 მარტი, **შაბათი-კვირა** 19.00 - **„პარმენი”** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: კოტე ფურცელაძე. მონაწილეობენ: ანა ალექსიშვილი, ანა წერეთელი, ეკატერინე დემეტრაძე, გიორგი ტორიაშვილი, გიგი ქარსელაძე, ბაჩო ჩაჩიბაია, არჩილ სოლოღაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06**

21 მარტი, **პარასკევი** 18.00 - **„ხოლსტომერი. ცხენის ისტორია”** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: ვალერი ხარიუტჩენკო, ლუსია არტიომოვა, აპოლონ კუბლაშვილი, მარიშა კიტია, არჩილ ბარათაშვილი, მიშა არჯევანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, ლაშა გურგენიძე, სოფიო ლომჯარია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

22 მარტი, **შაბათი** 18.00 - **„ინგლისური დეტექტივი”** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: არჩილ ბარათაშვილი, ნანა დარჩიაშვილი, მიხეილ არჯევანიძე, ირინა კვიჟინაძე, ინა ვორობიოვა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

23 მარტი, **კვირა** 12.00 - **„ალისფერი იალქნები”** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: მიხეილ ამბროსოვი, კარინა ყენია, მედეა მიმლაძე, ვასილი გაბაშვილი, ლერი გურგენიძე, არჩილ ბარათაშვილი, ირაკლი აფაქიძე; ***1სთ. 40 წუთი;***

## სამეფო უბნის თეატრი
**გ. აბესაძის ქუჩა №10. ტელ.: 292-38-70, 299-61-71**

19 მარტი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ფრეკენ ჟული”** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: დათა თავაძე. მონაწილეობენ: პაატა ინაური, კატო კალატოზიშვილი, ნატუკა კახიძე, მაგდა ლებანიძე, სალომე მაისაშვილი, ქეთა შათირიშვილი, გიორგი შარვაშიძე, იაკო ჭილაია, ანა წერეთელი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

22 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„მახინჯი”** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: დათა თავაძე. მონაწილეობენ: სოსო ხვედელიძე, პაატა ინაური, კატო კალატოზიშვილი, იაკო ჭილაია, გაგა შიშინაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

23 მარტი, **კვირა** 20.00 - **„სტრიპტიზი”** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ნიკა თავაძე. მონაწილეობენ: პაატა ინაური, დათა თავაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97**

21 მარტი, **პარასკევი** 19.00 - **„სასტუმრო, ორი სამყაროს გასაყარზე”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: აკაკი ხიდაშელი, ნუგზარ ყურაშვილი, ანა მატუაშვილი, გვანცა კანდელაკი, ნინო ანდრიაძე, ბექნუ ქაფიანიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

22 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„ტრუსები”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: კალევ კუდუ. მონაწილეობენ: სოფია სებისკვერაძე, ალეკო ალავიძე, მამუკა მაზავრიშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, მზია ტალიაშვილი, გიორგი მიგრიაული, გიორგი ჭუმბურიძე, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

23 მარტი, **კვირა** 19.00 - **„ვაჟა”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: ოთარ ბალათურია. მონაწილეობენ: გია ჯაფარიძე, ანა მატუაშვილი, გვანცა კანდელაკი, ხატია მელქაძე, ჯაბა ჯაფარიძე, ბექნუ ქაფიანიძე, ზურაბ იაშვილი, ზურაბ ავსაჯანიშვილი, ვაჟა ციციშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

## ორშაბათი 17 მარტი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** მხ/ფ **"უკანასკნელი საზღვარი"** **17.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **18.00** ტ/სერ. **"სიკეთე და ბოროტება"** **19.30, 04.30** "ქართული ჯარი" **21.00** ტ/სერ. **"მეამბოხე მიწა"** **22.00** სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **23.30** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **00.30** მხ/ფ **"უიღბლონი"** **02.20** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ) **05.00** სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" (გ/ჩვ) **06.30** დ/ფ "დიდი ხელოვნება".

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"შურისმაძიებელი"** **12.30,13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **6** სერ. **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ **"სილა"** **22.00** ორი ვარსკვლავი **00.00 2014** წლის ოქროს გლობუსის დაჯილდოების ცერემონია **02.00** მხ/ფ **"რემბო - 2"** (ს.სტალონე).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"დასასრული"** **17.00** ქ.მხ/ფ. **"დათა თუთაშხია"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** ქ.მხ/ფ. **"მისტერ ძიძა"** **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ. **04.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "ოსტატები" **07.50** მხ/ფ **"ლომა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"მოკვეთილი"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** სპექტაკლი - "საქართველოს უკანასკნელი დედოფალი" **17.40** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება(გ.გვასალია) **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"გლახის ნაამბობი"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი **21.25** სახლი ღვთისა **21.40** საღვთისმსახურო წელიწადი **22.25** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ვარდისფერი კაცი" გოდერძი ჩოხელი **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "რბოლა" **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **9.15 სერიალი "ჩემი შვილები"** **10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური ამბები" (გამ.) **14.00** სტუდია "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** NX სპიკერი **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## სამშაბათი 18 მარტი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** მხ/ფ **"უკანასკნელი საზღვარი"** **17.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა". **18.00** ტ/სერ. **"სიკეთე და ბოროტება"** **19.15** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** ტ/სერ. **"მეამბოხე მიწა"** **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.50** I არხი წარმოგიდგენთ **23.40 ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: **ჩელსი – გალათასარაი** (პ/რ) შესვენებისას: "ტელევიქტორინა" **01.40** მხ/ფ **"კიბორჩხალა სადილზე"** **03.20** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ.) **05.30** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" (გ/ჩვ) **06.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა".

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **47** სერ. **11.20, 12.05** სერ. **"შურისმაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** **7** სერ. **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ. **"სილა"** **22.00** თოქ შოუ - თეა სიჭინავას პოლიტიკის დრო (პ/ე) **00.00** ქ.მხ/ფ **"ოცნების ქალაქი"** **02.00** მხ/ფ **"უცნაური პერსონა"** (დ.ჰოფმანი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"დასასრული"** **17.00** ქ.მხ/ფ. **"დათა თუთაშხია"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **00.00** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "ჩუქურთმა" **06.45** მხ/ფ **"პიანისტი"** I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00** სიახლე **10.35** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან **11.20** საღვთისმსახურო წელიწადი **11.40** სახლი ღვთისა **12.10** მხ/ფ **"გლახის ნაამბობი"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დოკ/ფ "ერთი ჭორროხის შვილები" **16.00** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.25** კონცერტი - სულიერება და მუსიკა **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ./ფ. "ჰობოი" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი - ლია ახალაძე "აფხაზეთის ტაძრები" **23.40** დოკ/ფ "ვანის ნაქალაქარი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე

**0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "რბოლა" **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **9.15 სერიალი "ჩემი შვილები"** **10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური ამბები" (გამ.) **14.00** "თქვენი გადახდილია" (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** NX სპიკერი **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**17 – 23 მარტი**

*დარბაზი 1*

12.00 - **„ლეგო მულტფილმი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

14.30, 17.00, 19.45, 22.30 - **„300: იმპერიის აღზევება"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

18.00, 20.00, 22.30 - **„თბილისი მიყვარხარ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.30 - **„ტარზანი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.30, 20.00 - **„პომპეი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

22.30 - **„განძზე მონადირეები"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.30 - **„პომპეი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

17.15, 19.45 - **„უსაზღვრო სიყვარული"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

22.30 - **„უოლ სტრიტის მგელი"**, *ხანგრძლივობა: 3სთ.;*

*დარბაზი 5*

12.30 - **„300: იმპერიის აღზევება"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

15.00, 17.30 - **„ლეგო მულტფილმი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

20.00 - **„განძზე მონადირეები"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

22.30 - **„უსაზღვრო სიყვარული"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.15, 14.45, 17.15 - **„ლეგო მულტფილმი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

20.00, 22.30 - **„300: იმპერიის აღზევება"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.15, 15.00, 17.30 - **„300: იმპერიის აღზევება"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

20.00, 22.30 - **„უსაზღვრო სიყვარული"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00 - **„ტარზანი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.30 - **„პომპეი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

17.00 - **„უსაზღვრო სიყვარული"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

19.30 - **„ლეგო მულტფილმი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

22.30 - **„მისი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი:
www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# „ფუნჩოზა“ სოკოთი და ბოსტნეულით






**საჭირო ინგრედიენტები:** 100 გრამი ბრინჯის მაკარონი – „ლაფშა“, იგივე „ფუნჩოზა”, 200 გრამი სოკო, 2 თავი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, 100 გრამი ბოლოკი, 3 კბილი ნიორი, 2 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 1 სადილის კოვზი 3-პროცენტიანი ძმარი, 1 სადილის კოვზი შაქარი, 70 გრამი ზეთი, 1 კონა ქინძი, წითელი, ცხარე წიწაკა, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ფუნჩოზა 2 წუთი ადუღეთ, შემდეგ დაწურეთ, გადაავლეთ მდუღარე და ისევ დაწურეთ. მთელ-მთელი სოკო ხარშეთ 10 წუთის განმავლობაში. ხახვი დაჭერით ნახევარრგოლებად, ბოლოკი და სტაფილო – ძალიან წვრილ ჩხირებად, სოკო – ფირფიტებად. სოკო მოშუშეთ ზეთში, დაუმატეთ ხახვი და შუშეთ შეწითლებამდე. ჩაუმატეთ სტაფილო და ბოლოკი და ოდნავ შებრაწეთ. მოასხით სოიის სოუსი, ძმარი, უყავით დანაყილი ნიორი, მარილი, ცხარე წიწაკა, შაქარი და შუშეთ ეს ყველაფერი 5 წუთის განმავლობაში.

მოხარშული ფუნჩოზა გადმოიღეთ ღრმა და განიერ ჭურჭელში, ზემოდან მთელ სიბრტყეზე მოათავსეთ მზა ბოსტნეული და მოაყარეთ დაჭრილი ქინძი. მიირთვით ცხელივე. ეს კერძი ჩვეულებრივი „ლაფშა“ მაკარონისგანაც ძალიან გემრიელი გამოდის.

# სპაგეტის ღვეზელი





**საჭირო ინგრედიენტები:** 3-4 ნაჭერი ბეკონი, 2 ცალი პომიდორი, 150 გრამი მაგარი ყველი, 2 ცალი კვერცხი, 250 მილილიტრი რძე, 200 გრამი სპაგეტი, სუნელი – თქვენი გემოვნებით. მარილი, შავი პილპილი, მწვანე ხახვი.

**მომზადების წესი:** ერთმანეთში კარგად აურიეთ კვერცხი და რძე, დაუმატეთ მარილი და შავი პილპილი და, თუ სურვილი გაქვთ, ცოტა სუნელიც. ყველი გახეხეთ და ესეც ჩაუმატეთ რძისა და კვერცხის ნარევს. სპაგეტი მოხარშეთ მარილიან წყალში და გადაწურეთ. პომიდორი დაჭერით ცოტა მსხვილ კუბიკებად. გამოსაცხობ ფორმას წაუსვით ზეთი. კუბიკებად დაჭრილი პომიდორი შეურიეთ სპაგეტის, ეს მასა გადაიტანეთ კვერცხიან და ყველიან თასში, ძალიან კარგად ამოურიეთ, მოათავსეთ ფორმაზე და ზემოდან დააწყვეთ ბეკონის ნაჭრები და მსხვილად დაჭრილი პომიდორი. ტაფა მოათავსეთ 180 გრადუსზე გაცხელებულ აირღუმელში. 30 წუთის შემდეგ, როცა ბეკონი შეწითლდება, გამოიღეთ, ზემოდან მოაყარეთ თხელ ფირფიტებად დაჭრილი ყველი, წვრილად დაჭრილი მწვანე ხახვი და ტაფა 10 წუთით ისევ დააბრუნეთ აირღუმელში. სულგუნით განსაკუთრებით არაჩვეულებრივი გამოდის.

# სოკო „განსაკუთრებული“





**საჭირო ინგრედიენტები:** 2 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 50 გრამი ფქვილი, 1 თავი ხახვი, 250 გრამი კომბოსტო, 300 გრამი ახალი ქამა სოკო, 2 სადილის კოვზი წვრილად დაჭრილი ნიახური, დაფნის ფოთოლი, მარილი, შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** სოკო დაჭერით თხელ ფირფიტებად, კომბოსტო ძალიან წვრილად დაკეპეთ. სოკო ჩაშუშეთ ძალიან ცოტა წყალში, დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში. ნიახური ძალიან წვრილად დაჭერით და კომბოსტოსთან ერთად ჩაუმატეთ სოკოს.

ტომატ-პასტა და ხახვი შუშეთ დაბალ ცეცხლზე, დაუმატეთ ფქვილი, მოასხით სოკოს და დატოვეთ ძალიან დაბალ ცეცხლზე 15 წუთის განმავლობაში. სულ ბოლოს დაუმატეთ მარილი, შავი პილპილი და დაფნის ფოთოლი, წამოადუღეთ და გადმოდგით. ძალიან გემრიელია, ნოყიერი და სასარგებლოც.

# „ბოლოკუნა“ გია ჯაჯანიძისგან





**საჭირო ინგრედიენტები:** ნახევარი კილოგრამი ბოლოკი, თითო კონა ქინძი, ოხრახუში, კამა და მწვანე ხახვი. ზეთი – შესაწვავად, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ბოლოკი გაარჩიეთ და კარგად გარეცხეთ. დაჭერით მრგვალ და თხელ ნაჭრებად. შეწვით ზეთში ორივე მხრიდან და მოათავსეთ სასალათეში ფენა-ფენა, ფენებს შორის კი მოაყარეთ წვრილად დაჭრილი და ერთმანეთში არეული მწვანილი და მწვანე ხახვი. ასევე ფენა-ფენად მოაყარეთ მარილი, მაგრამ, არ გარისკოთ და ზედმეტი არ მოგივიდეთ, დაიცავით ზომიერება. კერძი შეგიძლიათ დაასრულოთ ორნაირად: პირველ შემთხვევაში ბოლოს მოასხით 1 ცალი ლიმონის წვენი; მეორე შემთხვევაში, შეგიძლიათ, საერთოდ არაფერი მოასხათ და ისე მიირთვათ.









# ვანილისა და შოკოლადის პუდინგი

**საჭირო ინგრედიენტები:** 2 სადილის კოვზი შაქრიანი ვანილი, 1 სადილის კოვზი კარაქი, 3 სადილის კოვზი კაკაოს ფხვნილი, 3 სადილის კოვზი ფქვილი, 1/2 ჭიქა (1 ჭიქა=250 მილიგრამს) შაქარი, 2 ჭიქა რძე (დაახლოებით ნახევარი ლიტრი), ნიგოზი – მოსაყრელად.

**მომზადების წესი:** შეურიეთ ერთმანეთში შაქარი და ფქვილი. დაასხით რძე, დადგით ცეცხლზე და მუდმივი მორევით მიიყვანეთ ადუღებამდე. ცოტა ხანს ადუღეთ დაბალ ცეცხლზე, კრემივით. როცა შესქელდება, გადმოდგით ცეცხლიდან, დაუმატეთ კარაქი და ძალიან კარგად აურიეთ.

გაყავით მთლიანი მასა ორ ტოლ ნაწილად და ნახევარი სხვა ჭურჭელში გადაიღეთ. ერთს დაუმატეთ შაქრიანი ვანილი, მეორეს – კაკაო. ორივე „კრემი“ ცალ-ცალკე დადგით დაბალ ცეცხლზე და ცოტა კიდევ ადუღეთ უკეთ შესქელებამდე. ხშირად მოურიეთ, რომ არ მიიწვას. ნიგოზი დააქუცმაცეთ ან დაჭერით. შეგიძლიათ, მოსაყრელად დაფხვნილი ვაფლიც გამოიყენოთ. თუმცა, ამ შემთხვევაში, დესერტი სუფრაზე მაშინვე უნდა მიიტანოთ, რომ ვაფლი არ დარბილდეს და გემო არ დაკარგოს. პუდინგი ფენებად მოათავსეთ მინის მაღალ ჭიქებში. ფენებს შორის მოაყარეთ დაქუცმაცებული ნიგოზი, ზემოდან კი მოაყარეთ ნიგოზი და გახეხილი შოკოლადი. შედგით დესერტი მაცივარში და კარგად გააცივეთ, თან, შესქელდება კიდეც. გემრიელია და საკმაოდ ნოყიერიც.



ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# სალათა „საგაზაფხულო“

**საჭირო ინგრედიენტები:** 100 გრამი ბულგარული წიწაკა, 4 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 1 სადილის კოვზი თაფლი, 5 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 50 გრამი სალათის ფოთლები, 150 გრამი მოხარშული ჭარხალი, 150 გრამი სტაფილო, 1 ცალი პატარა ვაშლი, 200 გრამი ყველი, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ლიმონის წვენს დაუმატეთ 4 სადილის კოვზი წყალი, თაფლი, ზეითუნის ზეთი, მარილი და პილპილი. სალათის ფოთლები ხელით დააქუცმაცეთ. ჭარხალი, სტაფილო და ვაშლი დაჭერით სასურველი ზომის ნაჭრებად. ყველაფერი ერთმანეთში აურიეთ, მოასხით შეზავებული ლიმონის წვენი და ზემოდან დაფხვნილი ყველი მოაყარეთ.



# ფარშირებული სოკო

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 თავი ხახვი, 1 კბილი ნიორი, 12 ცალი დიდი ზომის ქამა სოკო, 300 გრამი პომიდორი, 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 300 გრამი ისპანახი, 100 გრამი ყველი, 125 მილილიტრი ნაღები, 1 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, ახლად დაფქული პილპილი და მარილი – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** ნიორი და ხახვი წვრილად დაჭერით. სოკოები გაასუფთავეთ, გარეცხეთ და გაამშრალეთ. ფრთხილად მოაშორეთ ფეხები და წვრილად დაჭერით პომიდორთან ერთად (ქუდები დროებით შეინახეთ). აირღუმელი გაახურეთ 180 გრადუსზე. ქვაბში გაცხელებულ ზეთში ჩაშუშეთ ნიორი, ხახვი და ჩაუმატეთ დაჭრილი ისპანახი. როდესაც დარბილდება, დაუმატეთ დაჭრილი სოკო, პომიდორი და კიდევ 1-2 წუთი შუშეთ. შემდეგ შეურიეთ გახეხილი ყველი, მარილი და პილპილი. ნაღებში აურიეთ ტომატ-პასტა, მარილი და პილპილი, შეურიეთ მოშუშულ ინგრედიენტებს და ამ მასით ამოავსეთ სოკოს ქუდები. ფარშირებული სოკოები მოათავსეთ საცხობ ტაფაზე, ზემოდან მოაყარეთ გახეხილი ყველი და დაახლოებით 25 წუთით შედგით ღუმელში.

# ღორის ხორცი ჩინურად

**საჭირო ინგრედიენტები:** 600 გრამი ღორის რბილი ხორცი, 130 მილილიტრი ბოსტნეულის ბულიონი, 100 გრამი მიწის თხილი, 3 ცალი სტაფილო, 1 ძირი პრასი, 3 ცალი სხვადასხვა ფერის ბულგარული წიწაკა, 6 სადილის კოვზი ზეთი, 3 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 1 სადილის კოვზი დაფხვნილი კარი, 1 სადილის კოვზი შაქარი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით პატარა, მოგრძო ნაჭრებად, დაასხით სოიის სოუსი, დააყარეთ დაფხვნილი კარი და გააჩერეთ 30 წუთი. მიწის თხილი დაფქვით. წიწაკები და სტაფილო მსხვილ ჩხირებად დაჭერით. პრასი – რგოლებად. ღრმა ტაფაში გააცხელეთ ზეთი და მაღალ ცეცხლზე შებრაწეთ ხორცი. ხორცი ამოიღეთ, ტაფაში მოათავსეთ ბოსტნეული, დააყარეთ შაქარი, ცოტა დაფხვნილი კარი, მარილი და მოშუშეთ. შემდეგ დაასხით ბოსტნეულის ბულიონი და ჩააწყვეთ შემწვარი ხორცი. ჩააყარეთ მიწის თხილი და, როდესაც წამოდუღდება, ცეცხლიდან გადმოდგით.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 19 მარტი

07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" 14.00 მხ/ფ "**გრიზლის ჩანჩქერი**" 17.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 18.00 ტ/სერ. "**სიკეთე და ბოროტება**" 19.15 "ჩვენი ეზო" 21.00 ტ/სერ. "**მეამბოხე მიწა**" 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ 23.00 დ/ფ 23.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: **ბორუსია – ზენიტი** (პ/რ) შესვენებისას: "ტელევიქტორინა" 01.40 მხ/ფ "**ოჯახური ნაკლი**" 03.10 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ) 05.10 "ჩვენი ეზო" (გ/ჩვ) 05.40 პოლიტიკური თოქ-შოუ (გ/ჩვ.).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00" 20.00, 00.30 ქრონიკა. 10.05 სერ. "**ბედის ანაბარა**" 11.20, 12.05 სერ. "**შურისმაძიებელი**" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05, 16.03 სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" 8 სერ. 17.50, 19.05 სერ. "**მარგალიტი**" 21.00 სერ. "**სილა**" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 EMERGENCY– სასწრაფო დახმარება 00.40 მხ/ფ "**მფრინავი ხანჯლების სახლი**".

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ვარდისფერი ბრილიანტი**" 11.00 სერ. "**ბრაზილიის გამზირი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. "**დასასრული**" 18.55 სერ. "**ტიტების დრო**" 20.00 სერ. "**ქალბატონი დილა**" 22.00 "ნანუკას შოუ" 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. (ტიტ.).

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 ქვიშით ნაამბობი 06.45 დოკ/ფ "ვანის ნაქალაქარი" 06.50 მხ/ფ "**პიანისტი**" II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00 სიახლენი 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 12.50 მოკ./ფ. "**პოზოი**" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.30 კონცერტი - ანდრია ბოჩელი 17.00 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 პირველშეწირული წირვის განმარტება(მამა ბიძინა გუნია) 19.35 მხ/ფ "**დანაშაული მოხდა**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარნი" დოსითეოზ ქუთათელი 23.40 დოკ/ფ "პოდმანიე" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 5.30, 6.30, 7.30 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი "რბოლა" 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 9.15 **სერიალი "ჩემი შვილები"** 10.15, 16.00 **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** 13.00, 18.25, 0.30, 3.15 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) 13.40, 21.30, 1.30, 3.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 14.00 "თქვენი გადახდილია" (გამ.) 14.30, 1.45, 4.30 NX სპიკერი 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 2.15 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## ხუთშაბათი 20 მარტი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" 14.00 მხ/ფ "**და მოვა სიყვარული**" 17.00 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის სამყარო" 18.00 ტ/სერ. "**სიკეთე და ბოროტება**" 19.15, 04.10 "შემოძახილი" 21.00 ტ/სერ. "**მეამბოხე მიწა**" 22.00, 04.40 "არენა" 23.00 "უცნობი მუსიკა" 00.30 მხ/ფ "**ნახევრად პროფესიონალი**" 02.10 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ) 05.40 მხ/ფ "**და მოვა სიყვარული**".

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00" 20.00, 01.50 ქრონიკა. 10.05 სერ. "**ბედის ანაბარა**" 11.20, 12.05 სერ. "**შურისმაძიებელი**" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05, 16.03 სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" 9 სერ. 17.50, 19.05 სერ. "**მარგალიტი**" 21.00 სერ. "**სილა**" 22.00 ქ.მხ/ფ "**გაიღიმეთ**" 00.00 მხ/ფ "**16 კვარტალი**" 02.00 მხ/ფ "**მფრინავი ხანჯლების სახლი**".

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ვარდისფერი ბრილიანტი**" 11.00 სერ. "**ბრაზილიის გამზირი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. "**დასასრული**" 18.55 სერ. "**ტიტების დრო**" 20.00 სერ. "**ქალბატონი დილა**" 22.00 პროფილი 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. (ტიტ.).

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ "ერთი ჭოროხის შვილები" 07.20 პირველშეწირული წირვის განმარტება(მამა ბიძინა გუნია) 07.35 დოკ/ფ "საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარნი" დოსითეოზ ქუთათელი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქართული ალბომი 11.25 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ "**დანაშაული მოხდა**" 13.15 ივერიის ეკლესია 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.30 მრავალთათვის საკეთილო - ნანა ხატისკაცი 16.10 კონცერტი - თამარ და ნათია ბერაიები 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.30 "პორტრეტები" 20.15 მოკ./ფ. "**ადგილის დედა**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 თეთრიდან თეთრამდე 21.30 დოკ/ფ "შორ ვართ" 22.25 საქართველოს ისტორია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "წმინდა კირილე ალექსანდრიელი" 23.50 ქვიშით ნაამბობი 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 5.30, 6.30, 7.30 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი "ყოჩაღი ბიჭები" 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 9.15 **სერიალი "ჩემი შვილები"** 10.15, 16.00 **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** 13.00, 18.25, 0.30, 3.15 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) 13.40, 21.30, 1.30, 3.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 14.00 შოუ "ოთხი ოთხზე" (გამ.) 14.35, 1.45, 4.30 NX სპიკერი 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 2.15 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## პარასკევი 21 მარტი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" 14.00 მხ/ფ "**ბორსალინო და კომპანია**" 17.00 ძიუდო. თბილისის გრან-პრი (პ/რ) 19.30 დ/ფ "ბარსელონას გერმანული პავილიონი" 21.00 ტ/სერ. "**მეამბოხე მიწა**" 22.00, 04.40 პოლიტიკური თოქ-შოუ 23.30 მხ/ფ "**იბრძოლე**" 00.45 მხ/ფ "**მიჩივლე**" 02.40 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ) 06.10 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის სამყარო".

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50 ქრონიკა. 09.10 იმედის დილა (პ/ე) (გაგრძელება) 10.05 სერ. "**ბედის ანაბარა**" 11.20, 12.05 "**შურისმაძიებელი**" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05, 16.03 სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" 10 სერ. 17.50, 19.05 სერ. "**მარგალიტი**" 21.00 სერ. "**სილა**" 22.00 თოქ შოუ - რეაქცია (პ/ე) 00.00 მხ/ფ "**ორფევრის სანაპირო**" (ჟ.დეპარდიე) 02.00 მხ/ფ "**16 კვარტალი**" (მ.დეფი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ვარდისფერი ბრილიანტი**" 11.00 სერ. "**ბრაზილიის გამზირი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. "**დასასრული**" 18.55 სერ. "**ტიტების დრო**" 20.00 სერ. "**ქალბატონი დილა**" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი.

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მრავალთათვის საკეთილო - ნანა ხატისკაცი 07.15 დოკ/ფ "წმინდა კირილე

ალექსანდრიელი" **07.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** საქართველოს ისტორია **11.05** სახლი ღვთისა **11.15** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **13.00** მოკ./ფ. "**ადგილის დედა**" **13.25** პატერიკი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება (გ.სარია) **15.20** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.45** კონცერტი -პატარა საზეიმო მესა **16.55** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.40** მხ/ფ "**არსენას ლექსი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** შაბათის სახარების განმარტება (მამა ზურაბი) **23.30** დოკ/ფ "ღმერთს ებარებოდეთ" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30, 14.00** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "ყოჩაღი ბიჭები" **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **9.15 სერიალი "ჩემი შვილები" 10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური ამბები" (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** გადაცემა "პულსი"(გამ.) **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 20.00 სერიალი "დაკარგული დრო" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## შაბათი 22 მარტი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.40** საბ. ან/სერ. "**სკუბი დუ! ბანაკის საშინელებანი**" **10.00** საბავშვო მხ/ფ "**განძთა კუნძული**" **11.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** არჩილ კერესელიძე – **100** წლის იუბილე **13.40** მხ/ფ "**მზის იმპერია**" **16.30** "გურმანია" **17.00** ძიუდო. თბილისის გრან-პრი (პ/რ) **19.00** "ეტალონი" **21.00** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **22.00** "წითელი ზონა" **23.00** მხ/ფ "**საქმე დახურულია**" **01.00** მხ/ფ "**მარილში**" **03.00** "გურმანია" (გ/ჩვ) **03.30** "შეხვედრები მწერალთა სახლში" (გ/ჩვ) **04.30** "ეტალონი" (გ/ჩვ) **05.30** მხ/ფ "**ბორსალინო და კომპანია**".

**08.00** ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" **08.25** მხ/ფ "**საქორწინო წვეულება**" **10.25** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** "ჩვენებურები - ქვათა ღაღადი'' **2** სერ. **12.00** სერ "**მერლინი**" **13.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **14.30** ეკა ხოფერიას თოქ შოუ (გ/ჩ) **17.50, 19.05** სერ. "**მარგალიტი**" **19.30** ევროპაბეთი - გათამაშება (პ/ე) **21.00** სერ. "**სილა**" **22.00** სერ. "**დედამიწის ბურჯები**" **3** სერ. **23.00** მხ/ფ "**ბაზა**" (ს.ელ ჯექსონი) **00.50** მხ/ფ "**ორფევრის სანაპირო**".

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.00** ეკი ვოკი გ/ჩ **11.00** იღბლიანი ბორბალი გ/ჩ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** შერეკილები **15.30** "ნანუკას შოუ" - გ/ჩ **18.55** სერ. "**ტიტების დრო**" **20.00** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** რა? სად? როდის? **00.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **00.30, 03.30** მხ/ფ.

**06.05** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** შაბათის სახარების განმარტება (მამა ზურაბი) **10.50** ქრისტიანული სწავლება **11.00** კვირიაკე **12.10** მხ/ფ "**არსენას ლექსი**" **13.05** საღვთისმეტყველო საუბრები **14.00** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა - "**ტოსკა**" **17.25** დოკ/ფ "ველური ბუნება" **18.10** სად უჩინარდებიან ჩემპიონები - გურამ საღარაძე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** თბილისის ტაძრები **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.20** დოკ/ფ "წუთისოფლიდან მარადისობისკენ" **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ქართული ხმები **00.35** დროის ჩანაწერები **01.25** მხ/ფ "**კატინი**" I ნაწ.

**00.00, 1.00, 2.00, 3.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** ფარული კამერა (საბ.) **8.30** მულტფილმი "ოლივერ ტვისტი" **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** (გამ.) **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 21.40** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **18.45, 1.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **20.00 სერიალი "დაკარგული დრო" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 2.30** "თქვენი გადახდილია" (ანეკდოტები) **23.30, 3.30 სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება" 0.30** NX სპიკერი (გამ.) (ორშ.) **4.30, 5.30, 6.30** ფარული კამერა.

## კვირა 23 მარტი

**08.00** დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **09.00** საბ/ფ "**ჰარი პოტერი და ნახევარსისხლა პრინცი**" **11.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სამოთხის ვაშლები" **14.00** დ/ფ "სამეფო სასტუმრო" **14.30** ქართ. მხ/ფ "**თოჯინები იცინიან**" **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **შეიძლება შეიცვალოს 17.00** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **17.55 ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი: "**დინამო**" – "**მეტალურგი**" (პ/რ) **17.00** ძიუდო. თბილისის გრან-პრი (პ/რ) **19.30** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **20.30, 03.10** "ტელებლოგი" **21.00** "ჩემი წიგნი" **22.00** ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა - მხ/ფ "**და იქმნა ნათელი**" **23.45** მხ/ფ "**მაგარი პოლიციელები**" **01.40** "სამოთხის ვაშლები" **02.40** "ჩვენი ფერმა" (გ/ჩვ) **03.40** მხ/ფ "**მზის იმპერია**".

**08.00** ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" **09.00** მხ/ფ "**ჰანა მონტანა**" **11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ "**მერლინი**" **13.00** კულინარიული დუელი **14.30** იმედის გმირები **15.00** ქ.მხ/ფ "**ხევსურული ბალადა**" **17.30** ორი ვარსკვლავი (გ/ჩ) **20.00** პანორამა **21.00** ღამის შოუ **22.00** სერ."**დედამიწის ბურჯები**" **4** სერ. **23.00** ქ.მხ/ფ "**მედიატორი**" **00.50** მხ/ფ "**უკანასკნელი ლეგიონი**" (ტიტ.).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ.**10.30** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** გააცინე და მოიგე (**16** მარტის გ/ჩ) **14.00** ეკი ვოკი **15.30** პროფილი გ/ჩ **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **21.00** P. S. **22.00 სერიალი "ჩემი ცოლის დაქალები" 23.00** კომედი შოუ **00.30, 03.30** მხ/ფ.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** თბილისის ტაძრები **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.50** ქართული ხმები **11.30** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ "**ლომა, დავიწყებული მეგობარი**" **13.30** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.25** დროის ჩანაწერები **19.15** დოკ/ფ "წმინდა ანტონ ჭყონდიდელი" **19.25** მხ/ფ "**სამანიშვილის დედინაცვალი**" **21.40** კვირიაკე **21.40** ქვიშით ნაამბობი **21.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დიდი მარხვა - მამა მაქსიმე - ჯვრის თაყვანისცემის კვირა **00.30** პორტრეტები **01.10** მხ/ფ "**კატინი**" II ნაწ.

**00.00, 1.00, 2.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** ფარული კამერა (საბ.) **8.00** მულტფილმი "ოლივერ ტვისტი" **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** (გამ.) **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 21.40** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **18.30, 0.30** სტუდია "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 2.30** შოუ ,,ოთხი ოთხზე" **23.40, 3.35 სერიალი "კრიმინალური აზროვნება" 1.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.)(ოთხშაბათის და ხუთშაბათის გადაცემები) **3.10, 4.35** NX სპიკერი (გამ.) (სამშ.) **5.30, 6.30** ფარული კამერა.

## ვერძი

კარგი პერიოდია სამსახურში სიტუაციის დასალაგებლად. ჯანმრთელობა ხელს შეგიწყობთ ახალი კავშირების დამყარებასა და ინფორმაციის ადვილად ათვისებაში. კარგია, ასევე, მეგობრული კონტაქტები და გართობა. სასიყვარულო სფეროში კი ყველაფერი თავისთავად დალაგდება.

## კურო

მოგიწევთ დამატებითი საქმის შესრულება, დახარჯული შრომა კი კარგ შემოსავალს გპირდებათ. მოერიდეთ დიდ ფიზიკურ დატვირთვას. ცვლილებებია მოსალოდნელი საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში, თუმცა, გადაწყვეტილებების მიღება ნაადრევია და არ გირჩევთ რამის შეცვლას.

## ტყუპები

მეტი ყურადღება მიაქციეთ საქმეს და ხელმომჭირნედ ხარჯეთ ფული. მიუდექით სამსახურებრივ საქმიანობას შემოქმედებითად. სასიცოცხლო ენერგია მატებას დაიწყებს და ეს ხელს შეგიწყობთ, ადვილად წარმართოთ მოლაპარაკებები და შეხვედრები. საყვარელ ადამიანთან კი ნუ გაამწვავებთ ურთიერთობას და ნუ შეიქმნით ზედმეტ პრობლემებს.

## კირჩხიბი

შესუსტებას დაიწყებს ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც შრომისუნარიანობაზე უარყოფითად აისახება. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებთან ურთიერთობასა და საყვარელ ადამიანს. უსმინეთ კოლეგების რჩევებს. არ გირჩევთ უცხო ხალხთან კონტაქტს. საყვარელი ადამიანისგან იგრძნობთ მხარდაჭერასა და მეტ სითბოს.

## ლომი

საინტერესო შეხვედრებისა და ახალ ხალხთან ნაცნობობის პერიოდია, თუმცა, არ გირჩევთ ახალი საქმის დაწყებას. მეტი ყურადღება მიაქციეთ საყვარელი ადამიანის პრეტენზიებს. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას და მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას.

## ქალწული

საქმეში წარმატებები გელით, თუ მას შემოქმედებითად და ყურადღებით მოეკიდებით. შინაგანი დაძაბულობა უსიამოვნებებს გპირდებათ, რაც თქვენს განწყობაზეც უარყოფითად იმოქმედებს. ნუ იქნებით აგრესიული და მოთოკეთ ემოციები. არ არის გამორიცხული, საყვარელ ადამიანთან სიტუაციაც დაიძაბოს, თუმცა, ეს დროებითია და მალე გაივლის.

## სასწორი

კრიზისული მდგომარეობა მალე გამოსწორდება. თავს უკეთ იგრძნობთ და მოგინდებათ მეგობრებთან ურთიერთობის აღდგენა. სახლში ინტერიერის შეცვლა დადებითად იმოქმედებს თქვენს განწყობაზე. საყვარელ ადამიანთან პრობლემებს შეგიქმნით დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, ამიტომ, მასაც გაუგეთ.

## მორიელი

გამოიყენეთ ძველი კავშირები, დაამყარეთ კონტაქტები და აუცილებლად გაითვალისწინეთ სხვისი აზრიც. არ დაიწყოთ საქმის გარჩევა საყვარელ ადამიანთან – ეს მხოლოდ სიტუაციას დაძაბავს. არ გირჩევთ მოგზაურობას. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებთან ურთიერთობას.

## მშვილდოსანი

პრობლემების მიუხედავად, გაგიადვილდებათ საქმის კეთება და მიზნის მიღწევა. გაუფრთხილდით ფინანსებს და არ ფლანგოთ ფული უმიზნოდ. საყვარელ ადამიანზე ზრუნვა და მის გარშემო იდილიის შექმნა თქვენზეც დადებითად აისახება. არ გირჩევთ შორ გზაზე მოგზაურობას.

## თხის რქა

პესიმიზმი და ცუდი განწყობა თქვენს ფიზკურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება. ამიტომ, მეტად გაერთეთ და დაისვენეთ. წარმატებებს მოგიტანთ საქმისადმი კონსერვატორული მიდგომა. არ გირჩევთ ფარულ სასიყვარულო შეხვედრებსა და პირად კავშირებს.

## მერწყული

ხანგრძლივი პროექტები და საქმიანი აქტიურობა მომავალში კარგ შემოსავალს გპირდებათ. ნუ გაფლანგავთ დროს გართობაზე. არ გარისკოთ და იყავით მეტად გულღია და სამართლიანი. ერიდეთ მოგზაურობას და მეტად ენდეთ საყვარელი ადამიანის სიტყვებს.

## თევზები

თავს ენერგიულად იგრძნობთ. მოიმატებს გონებამახვილობა, გაიზრდება ორგანიზატორული ნიჭი და ადვილად შეძლებთ შემოსავლების გაზრდას. კარგია გადაადგილებები. არ გარისკოთ. პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 29 აპრილი, 06 სთ: 55 წთ.**

## ორშაბათი

მოერიდეთ სიტუაციის ძალდატანებითი მეთოდებით გამოსწორებას, ვალის აღებას. ნუ გადაიტვირთებით და ნუ განმარტოვდებით. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ჩალისფერი, მწვანე, ყვითელი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლაზურიტი, ნეფრიტი, ჟადეიტი, ტოპაზი ან საფირონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო კავშირები, მეგობრული კონტაქტები, გართობა, ექიმებთან კონსულტაცია, მკურნალობის დაწყება. სუსტდება ყელი, თირკმელები, კანი, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

## სამშაბათი
## გეომაგნიტური დღე

კარგია სასიყვარულო შეხვედრები, ახალი ნაცნობობა. გამახვილდება ინტუიიცია. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ყვითელი, მწვანე ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლაზურიტი, ნეფრიტი, ჟადეიტი, აკვამარინი ან ციტრონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია შოპინგი, გართობა, კულტურული ღონისძიებების ჩატარება, შემოქმედებითი მუშაობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმელები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

## ოთხშაბათი

მოიმატებს აგრესია, დეპრესია, სულსწრაფობა და კონფლიქტური სიტუაციები. აქტიურად იმუშავეთ და ივარჯიშეთ. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ჩალისფერი, ნაცრისფერი, წითელი, ყვითელი, მწვანე ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ლაზურიტი, ნეფრიტი, ჟადეიტი, ოპალი, ტოპაზი ან ონიქსი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ გირჩევთ ახალი საქმის დაწყებას, ადგილსამყოფლის შეცვლას, სესხის აღებას. სუსტდება ყელი, თირკმელები, შარდსასქესო და რეპროდუქციული სისტემები, კანი.

***პოზიტიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

## ხუთშაბათი
## გეომაგნიტური დღე

მოიმატებს ენთუზიაზმი და აქტიურობა. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, მწვანე ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ქრიზოპრაზი, გიშერი, ყვითელი იასპი ან ჯესპილიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა ახალი საქმის დაწყება, მოგზაურობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. კარგია თვითშემეცნება, ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, სამეცნიერო კვლევა, თმის შეჭრა. სუსტდება შარდსასქესო და რეპროდუქციული სისტემები.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.***

## პარასკევი
## გეომაგნიტური დღე

გამახვილდება პასუხიმგებლობის გრძნობა და რეალობის აღქმის უნარი. ერიდეთ ზედმეტ კონტაქტებს. ატარეთ წითელი, ყვითელი, მწვანე, შავი, შინდისფერი, ლურჯი, ცისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ფირუზი, აქატი. მიაქციეთ ყურადღება სიზმრებს. არ ვარგა ადგილსამყოფლის შეცვლა, უცხო ხალხთან კონტაქტი, სესხის აღება. კარგია ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, სამეცნიერო კვლევა, თმის შეჭრა. სუსტდება შარსდსასქესო და რეპროდუქციული სისტემები, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

## შაბათი

აქტიური და შემოქმედებითი დღეა. კარგია საოჯახო და საყოფაცხოვრებო საქმეების შესრულება, ინტელექტუალური მუშაობა, სწავლა, იურიდიული საკითხების გადაწყვეტა, უცხოელებთან კონტაქტი. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ლურჯი, ყვითელი, ცისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, ძოწი, სარდიონი, ჰელიოტროპი ან ამაზონიტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. არ ვარგა მშენებლობა. მეტად დაეყრდენით ოპტიმიზმსა და ინტუიციას. კარგია სამეცნიერო კვლევა, ვარჯიშების ჩატარება. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატირური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

## კვირა

კარგია შემოქმედებითი მუშაობა, ხელოვნებასთან კონტაქტი, მოგზაურობა, უცხოელებთან ურთიერთობა. მოიმატებს ინტუიცია. ატარეთ წითელი, ყვითელი, ლურჯი, ცისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, სარდიონი, ჟადეიტი, ლაზურიტი ან იაგუნდი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ინტელექტუალური საქმიანობა, ბუნებასთან კონტაქტი. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ბერეკაშვილი

გვარში ფუძეა საკუთარი სახელი **ბერი**. მისი ზოგადი მნიშვნელობაა – ვაჟი, ძე, ყმა. **ბერისგან** წარმოქმნილია ბევრი საკუთარი სახელი, რომლებიც მრავალ ქართულ გვარ-სახელშია ჩაქსოვილი.

გვარში არსებული გადმოცემის მიხედვით, **ბერეკაშვილი** და **ბერიკაშვილი** ერთი და იგივე გვარადაა მიჩნეული.

**ბერეკაშვილი** ისტორიულ წყაროებში მეჩვიდმეტე საუკუნიდან მოიხსენიება.

**ბერეკაშვილი** – ხუცესი, 1697 წელს მიწის ნაკვეთზე ედავებოდა ვინმე ჯაბანა მაკუჭასძეს.

ისტორიულ წყაროებში მოიხსენიებიან იოვანე და ასლამაზა **ბერეკაშვილები**.

საქართველოში 815 **ბერეკაშვილი** ცხოვრობს: ქუთაისში – 323, ტყიბულში – 154, თბილისში – 86. არიან სხვაგანაც.

### მწყერაძე

აზნაურ **მწყერაძეთა** გვარიდანაა გამოყოფილი **ბერუკაშვილი**. „აზნაურ **მწყერაძეთა** წინაპარნი არიან იმერეთიდან მოსულნი, რომელნიც ესახლენ ლოსიათ ხევს, მწყერის ციხე ადგილსა წოდებულსა და ადგილისა გამო გაუგვარდათ **მწყერაძეობა**. არიან ესენიცა აზნაურნი და ცნობილნი ლუარსაბ მეფისა დროსა და მოხსენიებულ ტრაქტატსა შინა“ (იოანე ბატონიშვილი, „შემოკლებითი აღწერა“).

**მწყერაძე** მოიხსენიება მეჩვიდმეტე საუკუნის შუა ხანებში.

საქართველოში 79 **მწყერაძე** ცხოვრობს: თელავში – 26, თბილისში – 24, გორში – 9.

### მაცაბერიძე

გვარის ფუძეა რთულად შედგენილი საკუთარი სახელი **მაცაბერი**. ასევე, გვხვდება საკუთარი სახელი **მაცი**. ამ სახელისგან ნაწარმოები გვარებია: **მაციშვილი, მაცაკიძე, მაციაშვილი, მაცუკიშვილი**.

„ძლიერ ძველად ჩანან **მაცაბერიძე, მაციშვილი** და მისთანანი, რომელშიც **მაც** ძირია საგულვებელი.”

1941 წელს **მაცაბერიძეები** ამბროლაურის რაიონის სოფელ აგარიდან ასურეთში გადასულან საცხოვრებლად და იქ დაფუძნებულან.

საქართველოში 797 **მაცაბერიძე** ცხოვრობს: თბილისში – 352, ამბროლაურში – 77, ზესტაფონში – 60. არიან სხვაგანაც.

### მალიშავა

გვარის ფუძეა მეტსახელი **მალიშა.**

**მალიშავას** გვარის მეორე ვარიანტია **მალიჩავა**. მსგავსი შემთხვევა ბევრია ქართულ გვართა წარმოქმნის ისტორიაში. **მალიჩავები** ცხოვრობენ ალერტკასში, დიდ ნეძში, სენაკში. ტოპონიმებია: სამალიჩო – უბანი ყულიწყალსა და ოკულეს შორის.

გადმოცემის თანახმად, ილორიდან გამოქცეულა სამი ძმა მალიჩავა. ერთი ნეძში შეჩერებულა, მეორე – ხეციაში, მესამის ამბავი კი უცნობია. ცნობილია, რომ **მალიჩავების** „ჯინჯი ხატი” ილორი იყო და, ამიტომაც, ამ გვარიდან ილორის ეკლესიის მნათეებს ირჩევენ.

საქართველოში 235 **მალიშავა** ცხოვრობს: ზუგდიდში – 122, თბილისში – 31, ხობში – 13. არიან სხვაგანაც.

### ხრიკაძე

ეს არის სიტყვა **ხრიკიდან** ნაწარმოები გვარი.

**ხრიკი** ნიშნავს ხერხს რამის მისაღწევად, ასევე, შესაკრავ კავს, დუგმას. **ხრიკას** კუთხურად ქვევრიდან ღვინის ამოსაღებ ჭურჭელსაც უძახიან.




ვარაუდით, **ხრიკაძეთა** წინაპრები ორშიმოს ხელოსნები იყვნენ და სწორედ ამის მიხედვით გაუგვარდათ სიტყვა **ხრიკა**. აღმოსავლეთ მთიანეთში **ხრიკა** ხშირად სახელადაც გვხვდება

**ხრიკაძეები** მეცხრამეტე საუკუნეში ჩანან თეთრი წყაროს რაიონში.

საქართველოში 283 **ხრიკაძე** ცხოვრობს: ბორჯომში – 105, თბილისში – 65, ახალციხეში – 24. არიან სხვაგანაც.

### მირზიაშვილი

გვარი მომდინარეობს საკუთარი სახელიდან – **მირზა**, ხოლო თვით სახელი **მირზა** არაბულ-სპარსული სიტყვიდან – ამირზადე – „ამირის შვილი“. ამირა შუა აზიაში არაბთა მოსვლის დროიდან ეწოდებოდა მხედართმთავარს, მმართველს. ჩინგიზ ხანის შვილის, თემურის შვილებმა მიიღეს წოდება **ამირ (ემირ) ზადე**. აქედან, თავ-ბოლოს მოკვეცით, მიღებულია **მირზა**, რომელიც გვხვდება როგორც ტიტულად, ისე საკუთარ სახელად.

„ასანბეგიშვილი თაყა პაპუნა გოშსტაშაბიშვილს სოფელ ტბისში აძლევს **მირზიაშვილს**, მისი მამულითა და სასახლით“ (ყმა-მამულის გაცვლილობის წიგნი ასანბეგიშვილებისა პაპუნა გოსტაშაბიშვილისადმი, 1671 წელი).

**„მირზიაშვილის** ნაქონი ვენახი ტბისში თაყა ბარათაშვილმა მიჰყიდა პაპუნა გოსტაშაბიშვილს“.

საქართველოში 201 **მირზიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 84, დუშეთში – 78, მცხეთაში – 2; არიან სხვაგანაც.

### აბულაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **აბულა.**

**აბულა** მკერვალთუფროსი მოიხსენიება 1635 წელს. **აბულაშვილი** მოიხსენიება სოფელ ენაგეთში: ერთ-ერთი გუჯარის მიხედვით, ბატონ დავით აბაშიშვილს ის მაცხოვრის ხატისთვის შეუწირავს. 1721 წლის აღწერის მასალებში **აბულაშვილები** არიან ყმებიც და აზნაურებიც. **აბულაშვილები** მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში ცხოვრობდნენ ფშავის სოფელ შუაფხოშიც.

საქართველოში 1 178 **აბულაშვილი** ცხოვრობს: სიღნაღში – 403, თბილისში – 286, ახმეტაში – 142. არიან სხვაგანაც.

### არჩაია

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **არჩა**, რომელიც კოლხეთში ფართოდ იყო გავრცელებული.

**არჩა** საკუთარი სახელის – **არჩილის** კნინობითი ფორმა უნდა იყოს. **არჩილი** კი ძველი ქართული საკუთარი სახელია.

მსგავსი ფუძით ნაწარმოები გვარებია: **არჩავა, არჩვაძე, არჩვანიძე.**

1637-1660 წლების ისტორიულ დოკუმენტებში მოიხსენიება ბაბუშარა **არჩაია**.

საქართველოში 634 **არჩაია** ცხოვრობს: სენაკში – 176, თბილისში – 60, ქუთაისში – 50. არიან სხვაგანაც.

### ყელბერაშვილი

გვარის ფუძეა მეტსახელი **ყელბერა**.

გადმოცემით, ეს სახელი შეურქმევიათ კაცისთვის, რომელსაც ყელზე ჩიყვის ამონაზარდი ჰქონია. მისი გვარი მაისურაძე ყოფილა.

1721 წელს ღოუბანში მოიხსენიება იასე სოლოღაშვილის ყმა – იესე **ყელბერაშვილი**.

„1818 წელს ღოუბნელი ბეჟანა **ყელბერაშვილი** ნათლავს ვაჟიშვილს, გლახას. მიმრქმელი იყო ნინია გერმანოზიშვილის მეუღლე – მარიამი“.

საქართველოში 345 **ყელბერაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 176, თეთრი წყაროში – 130, რუსთავში – 22. არიან სხვაგანაც.

### ლარაძე

გვარის ფუძეა სიტყვა **ლარი**, რომელიც ქართულში სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება.

**„ლარაძე** – ციციშვილთა აზნაურიშვილი”.

აზნაურიშვილი **ლარაძე** მოიხსენიება საციციანოს ყმების ნუსხაში; ხვედურეთში მას ორი კომლი ყმა ჰყავდა, ლუოვისხევში – შვიდი, ბისში – სამი, თხილნარში – ოთხი, იფუნევში კი – ერთი.

1721 წლის აღწერით, პაატა **ლარაძე** იყო მებატონე. მას ყმები ჰყავდა ყარაბულაღში.

სწორედ პაატა **ლარაძისგან** მომდინარეობს გვარი პაატაშვილი, ზურაბ **ლარაძისგან** – ზურაბიშვილი, ბიძინა **ლარაძისგან** – ბიძინაშვილი.

საქართველოში 46 **ლარაძე** ცხოვრობს: თბილისში – 41, ყვარელში – 5.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

**ქართველი მომღერალი ეთერ ბერიაშვილი, ბავშვობიდან მღეროდა და არაერთ საერთაშორისო კონკურსზეც გამოსულა წარმატებით. თუმცა, ის ფართო საზოგადოებამ რუსულ „ვოისში" გამოსვლის შემდეგ შეამჩნია და შეიყვარა. მან თავისი ენერგიულობით, პოზიტიური მუხტითა და ქართული პოტენციალით, ისეთი ცეცხლი დაანთო ბრმა ქასთინგის სცენაზე, რომ ჟიურის ოთხივე წევრი შემოატრიალა. თუმცა, მან არჩევანი ლეონიდ აგუტინზე შეაჩერა და მისი გუნდის ფავორიტიც გახდა. ეთერს თავისი დამახასიათებელი სტილი და სიმღერის შესრულების ორიგინალური მეთოდი აქვს. ეს ის საიდუმლოა, რითიც ნებისმიერი მსმენელის მოხიბვლა შეუძლია.**

# რა გზა გაუხსნა რუსულმა „ვოისმა" ეთერ ბერიაშვილს და როდის უნდება მას თავის მოკვლა დიდ რუსეთში

**ეთერ ბერიაშვილი**: სპეციალობით თერაპევტი ვარ. თუმცა, ყოველთვის მინდოდა, მუსიკალური კარიერის გაგრძელება პროფესიონალურ დონეზე და ასეც მოვიქეცი. თეთრი ხალათი კი მეცვა, მაგრამ, ყველა სტუდენტურ კონცერტზე ვმღეროდი და ვხვდებოდი, დიდი სცენა მიზიდავდა. მშობლებისგან ჩუმად ვიმეცადინე პედაგოგთან და ასე ჩავაბარე მოსკოვის გლისინის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში, საესტრადო ფაკულტეტზე.

**– თეთრ ხალათს დიდი სცენა რატომ არჩიე? ხომ შეიძლებოდა, ორივე საქმე პარალელურად გეკეთებინა და მომღერალი ექიმი ყოფილიყავი?**

– ჩემი გული და სული სცენისკენ იხრებოდა. თან, თუ ექიმი ხარ, სულ ორიენტირებული უნდა იყო ამ სფეროში მიმდინარე სიახლეებზე. დედა მეუბნებოდა, თან პაციენტი გასინჯე და თან მუსიკაც გქონდეს ჩართული, უსმინე, რა პრობლემააო. მე კი ვპასუხობდი, არ შემიძლია ორივე საქმის ერთდროულად კეთება – თუ პაციენტს ვსინჯავ, მაქსიმალურად მისკენ ვარ მიმართული; თუ მუსიკას ვუსმენ, მას ვყვები და მისკენ ვიხრები. ასე რომ, ორივე საქმე ერთდროულად ვაკეთო – ჩემთვის ეს გამორიცხულია. ერთი წელი სამედიცინოს კათედრაზე ვმუშობდი და მივხვდი, ამ საქმისგან ძალიან შორს ვიყავი. ჩემი ექიმობა, მშობლების გარდა, არავის სჭირდებოდა. სიმღერით კი ბევრს მივაღწიე. დღეს ცნობილი სახე ვარ რუსეთში და ბევრ კონცერტზე მიწვევენ.

**– რთული არ არის, ისეთ დიდ ბაზარზე, როგორიც რუსეთია, სიმღერით საკუთარი სიტყვა თქვა და დიდ სცენაზე ადგილი დაიმკვიდრო?**

– სიმღერ-სიმღერით არ გამჭირვებია დიდ რუსეთში ჩემი ადგილის პოვნა. მთავარია, ამ საქმეში ყველაფერი ჩადო – გული, სული, შრომა, დრო, ნერვები და ყველაფერი გამოვა. სხვათა შორის, ქართულ შემოქმედებას რუსეთში დიდ პატივს სცემენ და შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ მე აქ ჩემი ქვეყნის ღირსეული შვილი ვარ. პატივისცემის გარდა, არაფერი მიგრძნია რუსებისგან. მოსკოვში ჩემი ტკივილია ის, რომ ქართველები ნიჭიერები ვართ როგორც სიმღერაში, ისე კრიმინალში. ეს კი ძალიან მიშლის ხელს და მტკივა. მთელი ჩვენი კულტურა ნულს უტოლდება, როცა კონცერტზე ტაშს მიკრავენ, შემდეგ კი კულისებში მხვდებიან ყვავილებით, მილოცავენ წარმატებულ გამოსვლას და თან მეუბნებიან: ბინა გაიქურდა და ამაში ქართველები იყვნენ გარეულიო. მინდა, ამ დროს თავი მოვიკლა. მე რუსეთში. ქართულ გვარს სიამაყით ვატარებ და მრცხვენია, როცა ჩვენზე ცუდს ამბობენ. 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ვერიდებოდი ქართული სიმღერების შესრულებას რუსეთში. ვფიქრობდი, გაღიზიანება არ გამოვიწვიო-მეთქი და, თქვენ წარმოიდგინეთ, თავად პუბლიკა ითხოვდა ქართულ სიმღერებს. რუსები ამბობდნენ, რუსულ სიმღერებს ყველგან ვისმენთ, ჩვენ ქართულის მოსმენა გვინდაო. ხომ წარმოგიდგენიათ, მე ამ დროს რა ამაყი ვიყავი?! პოლიტიკა, ქართულ და რუსულ კულტურაზე არ მოქმედებს.

**– სიმღერის ნიჭი გენეტიკურად დაგყვა?**

– ოჯახში სულ მღეროდნენ. დედის მხარე ძალიან კარგი ხმით და სმენით გამოირჩევა. ისეთ ხალხურ სიმღერებს მღერიან, არსად რომ არ მომისმენია. ჩვენს სახლში სუფრა რომ იშლებოდა, მრავალხმიანი ხალხური სიმღერის შესრულება გარდაუვალი იყო.

**– დიდი ხანია, სცენაზე დგახარ. თუმცა, პოპულარობა, მაინც რუსულმა „ახალმა ხმამ" მოგიტანა.**

– აბსოლუტურად გეთანხმებით. რომ არ ყოფილიყო „ახალი ხმა", უბრალოდ, მოსკოვის შიდა ჯაზ-კლუბებისა და საერთაშორისო ფესტივალების დონეზე ვიქნებოდი. ახლა კი, გზა ხსნილი მაქვს და ბევრმა გამიცნო – მაფასებენ, მიწვევენ კონცერტებზე. ვერ გეტყვით, რუსული შოუ-ბიზნესის ნომერი პირველი მომღერლების გვერდით ვდგავარ-მეთქი, მაგრამ არც ბოლო ადგილზე ვარ. მიმაჩნია, რომ ფართო მასებმა „ვოისის" მეშვეობით გამიცნეს და ამან საკმაოდ პოპულარული გამხადა. მიხარია, რომ გავრისკე და კონკურსში მონაწილეობა მივიღე. ამან წარმატება მომიტანა. უამრავი თაყვანისმცემელიც შევიძინე. 41 წლის ასაკში ასეთი პოპულარობის შეგრძნება, ძალიან მაგარია. თუმცა, ვხუმრობ ხოლმე, ოცი წლის გოგო რომ ვიყო, უფრო მეტი თაყვანისმცემელი მეყოლებოდა-მეთქი ***(იცინის).***



**მოსკოვში ჩემი ტკივილია ის, რომ ქართველები ნიჭიერები ვართ, როგორც სიმღერაში, ისე კრიმინალში**

**– პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

– პირად ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე მაქვს და ეტყობა, ამიტომაც არ ვარ სკანდალური მომღერალი ***(იცინის).*** არც ჭორაობა მიყვარს და სკანდალებსაც ვერიდები. მყავს მეუღლე, რომელიც სულ გვერდით მიდგას და ასევე, მყავს ორწლინახევრის შვილი. შოუ-ბიზნესი ხომ იცით როგორი სფეროა? ყველას აინტერესებს: ვინ ვის ჭორავს, ვინ ვის უწყობს სკანდალებს. მე კი არც ჭორაობა მიყვარს და არც „სკანდალისტი" ვარ. არც ჩემზე ვაძლევ მსგავსი რამეების საბაბს სხვებს. მეკითხებიან, რუსეთში რომ ხარ, არ იცი მელაძეს, რამდენი საყვარელი ჰყავსო?! გეფიცებით, არც ვიცი და არც მაინტერესებს, ვის რამდენი საყვარელი ჰყავს. ეს მათი პირადი საქმეა და რაში მაინტერესებს მელაძის საყვარლები? დამიჯერეთ, მე ვალერი და კონსტანტინე მელაძის სიმღერა, არანჟირება, კონცერტები და შემოქმედება მაინტერესებს და არა მათი საყვარლების სია.

**– დავიჯერო, საკუთარ თავზე ჭორიც კი არ გაგიგია?**

– როგორ არა. გავიგე, თურმე დიდი ფული გადავიხადე რუსულ „ვოისში". გამეცინა, მაგდენი ფული რომ მქონოდა, ოჯახის ვალებს გადავიხდიდი, რაღა ჟიურის წევრებს გავამდიდრებდი ***(იცინის).*** ბოლოს და ბოლოს ჩემ გარშემო უამრავ ადამიანს სჭირდება დახმარება და დავეხმარებოდი. რასაც მივაღწიე – ყველაფერს ჩემი შრომით. სხვათა შორის, სამედიცინოზეც რომ ჩავაბარე, მაშინაც ასე ამბობდნენ: მშობლებმა ფული „ჩაყარესო". მართლა კარგად ვიყავი მომზადებული და ფულით მოწყობა, სულ არ მჭიდებოდა. ჩვენს გარშემო, უამრავი ადამიანია, რომელიც ინტერესდება ჩვენი ცხოვრებით და სამწუხაროდ, ის უფრო უხარიათ, როცა ნეგატივი ხდება. ვფიქრობ, მე ჩემი გზა მაქვს, ოცნებებიც ნელ-ნელა ამიხდა და ერთი დიდი ოცნება დამრჩა ასახდენი.

**– და, ეს ოცნება რა არის, იქნებ გაგვიმხილო?**

– მინდა, საქართველოში კონცერტი გავმართო და ჩემი ხალხისთვის გულით ვიმღერო. შარშან, ანდრეი მაკარევიჩთან ერთად ვიყავი თბილისში და ვიმღერე. თუმცა, მე, ჩემი სოლო კონცერტი მინდა ჩავატარო და სცენიდან გითხრათ, გაგრძნობინოთ ჩემს ქართველებს როგორ მიყვარხართ! ბედნიერი ქალი ვარ – ვაკეთებ საქმეს, რომელიც მიყვარს, მყავს უთბილესი ოჯახი და უამრავი გეგმაც მაქვს, რომელთაც მალე განვახორციელებ. ასევე, ვცდილობ, ყველა საქველმოქმედო კონცერტში მივიღო მონაწილეობა, სიმღერით შევიტანო ჩემი მოკრძალებული წვლილი და ამით დავეხმარო, ვისაც ეს სჭირდება. მე დიდ რუსეთში პატარა, წარმატებული ქართველი ვარ და საქართველოში რომ დავრჩენილიყავი, ალბათ, რიგითი ექიმი ვიქნებოდი. ამბიციური ვარ და მინდა, უფრო მეტს მივაღწიო. იმედია, შევძლებ.

**ნონა დათეშიძე**

თბილისის ონკოლოგიური ცენტრი

# შპს „თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი"

გთავაზობთ სიმსივნური და სხვა დაავადებების სრულფასოვან დიაგნოსტიკასა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მკურნალობას მედიკამენტოზური, ოპერაციული და ნოვაციური მეთოდის – ინტრაოპერაციული სხივური თერაპიის გამოყენებით. ჩვენი კლინიკის ბაზაზე კიბოს სკრინინგის უფასო პროგრამის ფარგლებში ვახორციელებთ გარკვეული ნოზოლოგიების დიაგნოსტიკასა და ოპერაციულ მკურნალობას.

**ვემსახურებით „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას" ყოფილ ბენეფიციარებს – სტუდენტებსა და პენსიონერებს.**

**მოგვმართეთ- თბილისი, დიღომი, ლუბლიანას №5, მეოთხე სართული. კლინიკა „თბილისის ონკოლოგიური ცენტრი"
2 364485, www.cancer.ge**

# როგორ აღმოჩნდა 15 მილიონი დოლარის ღირებულების ბრილიანტები მთავრობის სახლის ერთ-ერთ ჭაღში

***პუბლიკაციის ყველა მთავარი მონაწილის ვინაობა და მოქმედების ზოგიერთი ადგილი შეცვლილია. სავარაუდოდ, ყველა მათგანი დღესაც ცოცხალია. მათი ვინმესთან მსგავსება შემთხვევითია, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.***

## ფანტასტიკური დანაკარგი

1977 წლის 2 ივლისს, სევერო ურალსკის დაბა №5-ში განსაკუთრებული შემთხვევა მოხდა. ეგრეთ წოდებული პირველი დონის სეიფიდან 45 ცალი ალმასი დაიკარგა, რომელთა საერთო წონა სამას კარატს შეადგენდა და იმდროინდელი კურსით თორმეტი მილიონი მანეთი ან თხუთმეტი მილიონი დოლარი ღირდა. მაშინდელი ოფიციალური კურსით, მანეთი დოლარზე მეტად ფასობდა. დაბა №5 კი არც ერთ ხელმისაწვდომ რუკაზე არ იყო აღნიშნული, რადგან იქ უძვირფასესს ალმასებს მოიპოვებდნენ და სტრატეგიულ, საიდუმლო ობიექტს წარმოადგენდა. დაბა №5-ს უმაღლეს დონეზე იცავდნენ და მას „კაგებეს" გამოცდილი კადრები აკონტროლებდნენ. ალმასის კარიერი სულ რაღაც 900 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენდა და 300 X 300 მეტრზე ადგილი გაუვალ მავთულხლართებით იყო შემოფარგლული. მთელ პერიმეტრზე კბილებამდე შეიარაღებული, კარგად გაწვრთნილი დაცვა მოძრაობდა ძაღლებით. კარიერის უფროსი, „კაგებეს" გენერალ-ლეიტენანტი პავლე ზენკინი პასუხისმგებელი იყო ყველაფერზე, რაც იქ ხდებოდა. კარიერის დაცვაზე პასუხს აგებდა „კაგებეს" პოლკოვნიკი იური სუხანოვი. ხოლო პირველი დონის სეიფი კი „კაგებეს" პოლკოვნიკ ევგენი სალტიკოვს ებარა. მხოლოდ მისი თანდასწრებით შეიძლებოდა სეიფის გახსნაც და დახურვაც. ალმასების მოპოვებაზე სიკვდილმისჯილი პატიმრები მუშაობდნენ და მათი ზედამხედველი კაგებეს პოლკოვნიკი მერაბ ხუცურაული იყო.

ალმასების დაკარგვა სწორედ ევგენი სალტიკოვმა აღმოაჩინა და დაუყოვნებლივ პავლე ზენკინს შეატყობინა. მან ეს მოსკოვს აცნობა და სულ რაღაც რვა საათის შემდეგ №5 დაბაში უშიშროების კომიტეტის სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი ჩავიდა, რომელსაც ყველაფრის ადგილზე გარკვევა ევალებოდა. გამომძიებლებმა კარიერზე მომუშავე ყველა ადამიანი პასუხისგებაში მისცეს, თითოეულს სასამართლომ 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ესენი იყვნენ: კარიერის უფროსი – გენერალ-ლეიტენანტი პავლე ზენკინი, დაცვის უფროსი – პოლკოვნიკი იური სუხანოვი, სეიფის უფროსი – პოლკოვნიკი ევგენი სალტიკოვი და კაპიტანი ოლეგ სმირნოვი, რომელიც 2 ივლისს სეიფთან მორიგეობდა. სმირნოვის დაკითხვა განსაკუთრებული მეთოდით ჩატარდა, ანუ ფიზიკური ზემოქმედების ქვეშ. სწორედ ამან გადაარჩინა სიკვდილს, რადგან გამომძიებლები მის უდანაშაულობაში დარწმუნდნენ. კაპიტან სმირნოვს თავის კაბინეტში ეძინა და გამოტყდა, რომ იმ ღამეს არაყი დალია. არყის ბოთლის გამოკვლევამ დაადასტურა, რომ მასში ძლიერმოქმედი საძილე საშუალება იყო გარეული. გამოძიებამ ვერ დაადგინა, თუ ვინ და როგორ ჩაუყარა სმირნოვს არაყში ძილის წამალი. ოთხივე ბრალდებული სპეციალურ საპყრობილეში განათავსეს. კარიერის მთელი მომსახურე პერსონალი შეცვალეს, მათ შორის პოლკოვნიკი მერაბ ხუცურაულიც. კარიერზე მხოლოდ პატიმრები დატოვეს სამუშაოდ და ალმასების მოსაპოვებლად. თუმცა, ორი თვის შემდეგ, კარიერზე უბედური შემთხვევა მოხდა. ერთ-ერთ გვირაბში, სადაც ალმასებს ეძებდნენ, ლოდები ჩამოცვივდა და სიკვდილმისჯილი პატიმარი, კოტე ღუდუშაური დაიკარგა... კარიერის ახალმა შემადგენლობამ მხოლოდ სამი კვირის მერე შესძლო გვირაბის ლოდებისგან გაწმენდა... ღუდუშაური იქ ვერ იპოვეს და ივარაუდეს, რომ მისი ცხედარი წყალქვეშა მდინარემ წაიღო. ლოდების ჩამონგრევა სწორედ წყალქვეშა მდინარის ადიდებამ გამოიწვია, მდინარე კი ხშირმა წვიმებმა აადიდა...

**„კაგებეს" სპეციალურმა საგამოძიებო ჯგუფმა ალმასები ვერ აღმოაჩინა, მაგრამ 4 ადამიანს 15-15-წლიანი პატიმრობა მიესაჯა**

## 15 წლის შემდეგ

1992 წლის 6 იანვარს, როდესაც მთავრობის სასახლე ოპოზიციის ამბოხებულმა ძალებმა აიღეს, მათ სასახლის ერთ-ერთი დამცველი, მერაბ ხუცურაული დააპატიმრეს და დახვრეტას უპირებდნენ. ეს ის პოლკოვნიკი ხუცურაული იყო, რომელიც №5 დაბაში მომხდარი განსაკუთრებული შემთხვევის გამო გაათავისუფლეს სამსახურიდან. ხუცურაულმა ერთ-ერთი ამბოხებული ოფიცერი გვერდზე გაიხმო და უთხრა:

– თუ არ დამხვრეტთ, გაგამდიდრებთ.

ოფიცერს უკვე ნაბრძანები ჰქონდა ზვიადისტი ტყვეების გაშვება და არავის დახვრეტას არ აპირებდა, მაგრამ ხუცურაულის წინადადებამ დააინტერესა და მიუგო:



– თუ გამამდიდრებთ, მაშინ არ დაგხვრეტთ. აბა, თქვით, რას მთავაზობთ?!

– მე აქ ორი კვირა სულ სხვა მიზნით ვიმყოფებოდი. ომს საერთოდ არ ვაპირებდი და მოხალისედ იმიტომ ჩავეწერე, რომ ჩემს სიმდიდრესთან ახლოს ვყოფილიყავი.

– რა სიმდიდრესთან? – გაუკვირდა ოპოზიციონერ ოფიცერს და ხუცურაულს გაოცებით შეხედა, – განაგრძეთ, გისმენთ.

– ერთ-ერთ ჭაღში ორმოცდახუთი ცალი ბრილიანტია და თუკი არ მომკლავთ, შუაზე გავიყოთ. უფრო სწორად, თქვენ ოცდასამი ცალი გქონდეთ, მე კი ოცდაორიც მეყოფა.

– რას ბოდავთ, რა ბრილიანტები, – ოფიცერმა პისტოლეტი მიუშვირა ხუცურაულს შესაშინებლად. მან კი უპასუხა:

– არ მესროლოთ, სიმართლეს ვამბობ. თხუთმეტი წლის წინ რუსეთში, ურალში ერთ სიკვდილმისჯილ პატიმარს კარიერის სეიფიდან ორმოცდახუთი ცალი ალმასი მოვაპარინე. მერე კარიერზე აღმოჩენილი გვირაბით გავატანე სანდო კაცს და ორი თვის მერე ის პატიმარიც გამოიპარა. მანამდე კი უბედური შემთხვევა გავითამაშეთ. ჩემმა კაცმა ეს ალმასები ერთ იუველირს მიუტანა. მან ისინი ბრილიანტებად აქცია და საიმედოდ დამალული და ადვილად სანახავი რომ ყოფილიყო, მთავრობის სახლის ერთ-ერთ ჭაღში ჩაამონტაჟა. მე მხოლოდ იმ ჭაღის ნომერი ვიცი, ხოლო თავად ჭაღი სად კიდია – არა. იმიტომ, ვიმყოფებოდი აქ, რომ ბრილიანტებიანი ჭაღი მომეძებნა. ჭაღის ნომერია 102 და ეს ნომერი ჭაღს სარტყელი რკინის ქვეშ აქვს ამოშტამპული.

ხუცურაული მართალს ამბობდა. მან პატიმარ ღუდუშაურის დოსიე კარგად იცოდა და ისიც უწყოდა, რომ ღუდუშაური მედვეჟატნიკი იყო. დახვრეტა კი ღუდუშაურს ცოლისა და მისი დედის მკვლელობისთვის მიუსაჯეს, რადგან ორივე დედა-შვილი მეძავობდა. ღუდუშაური კარიერის გვირაბიდან გაიპარა, რომელიც მისივე აღმოჩენილი იყო შემთხვევით. ამ საქმეში ხუცურაულისა და ღუდუშაურის გარდა, კიდევ ორი მეწილე იყო. ხუცურაულის ძმისშვილი აჩიკო ხუცურაული, რომელმაც თბილისში ალმასები ჩამოიტანა და იუველირი ნოდარ სანიკიძე. სწორედ სანიკიძემ დამალა ბრილიანტები მთვარობის სასახლის ჭაღში, რადგან 1977 წელს იქ ახალი ჭაღები ჩამოკიდეს და მათ ნოდარ სანიკიძე ამონტაჟებდა. 1992 წლისთვის იუველირი სანიკიძე უკვე გარდაცვლილი იყო, მედვეჟატნიკი ღუდუშაური 1980 წელს უცხოეთში გაიქცა და მას მერე არ ჩანდა. მერაბის ძმისშვილი აჩიკო კი 1991 წელს ჰოლანდიაში გაემგზავრა.

ამბოხებულმა ოფიცერმა მერებ ხუცურაულის მონათხრობი არ დაიჯერა, მაგრამ მთავრობის სასახლის ყველა გადარჩენილი ჭაღები მაინც შეამოწმეს. მათ შორის 102-ე ნომერი არ აღმოჩნდა. მერაბი გაუშვეს. 1993 წელს კი გერმანიაში, საბაჟოზე აჩიკო ხუცურაული დააკავეს, რომელსაც ჯიბეში არადეკლარირებული, ექვსი ცალი ბრილიანტი აღმოაჩნდა, თითოეული 2-2- კარატიანი იყო. აჩიკო ხუცურაული მოსკოვში აპირებდა გაფრენას. ის უკან დააბრუნეს, მისი პიროვნება გადაამოწმეს და რომ გაიგეს, ჰოლანდიის მოქალაქე იყო, ბრილიანტები უკან დაუბრუნეს. თუმცა, ბაჟის ფული გადაახდევინეს...

***P. S.* *არსებობს ვერსია, რომ მთავრობის სასახლის ბრილიანტებიანი ჭაღი 1991 წლის 20 დეკემბერს სწორედ აჩიკო ხუცურაულმა ჩამოხსნა, ბრილიანტები ამოიღო და ჰოლანდიაში გაიტანა. მით უმეტეს, რომ სწორედ იმ დღეებში იმყოფებოდა მთავრობის სასახლეში და ელექტრიკოსის სტატუსით ელექტროგაყვანილობას ამოწმებდა.***

**ნიკა ლაშაური**

# შეყვარებულის შეურაცხყოფის გამო 32 წლის მამაკაცმა ბავშვობის მეგობარი დანით დაჩეხა

ალექსანდრე ხ-მ უახლოესი მეგობარი და მეზობელი სასიკვდილოდ გაიმეტა. როგორც ირკვევა, მეგობარი მან შეყვარებულის შეურაცხყოფის გამო მოკლა, უფრო ზუსტად, შეყვარებული ღალატში ამხილა. 32 წლის ალექსანდრე ამჟამად 14-წლიან სასჯელს იხდის, მაგრამ სასჯელის მოხდის შემდეგ, სავარაუდოდ, საკუთარ სახლში დაბრუნებას ვეღარ შეძლებს – მკვლელობის შემდეგ მისი ოჯახი იძულებული გახდა სახლ-კარი დაეტოვებინა და სხვაგან გახიზნულიყო.

საქმის მასალების მიხედვით, განსასჯელსა და დაზარალებულს, რომლებიც თანატოლები და ერთად გაზრდილები იყვნენ, წარსულში დავა და კონფლიქტი არასდროს ჰქონიათ. ისინი ბავშვობიდან მეგობრობდნენ და, როგორც ყველა დაკითხული მოწმე ამბობს, ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. მეტიც, წვეულებებზეც ერთად დადიოდნენ, რადგან ორივე კარგად მღეროდა. იმ საბედისწერო დღესაც ალექსანდრე (იგივე ლექსო) და გიორგი საერთო მეგობრის დაბადების დღეზე იყვნენ. ბიჭები სახლში ერთად დაბრუნდნენ, მაგრამ, ვინაიდან შინ მარტო იყო, ალექსანდრემ გიორგის ცოლი სახლში გააშვებინა და სთხოვა, ქეიფი ჩემს სახლში გავაგრძელოთო. დაბადების დღეზე ნაქეიფარმა მეგობრებმა სუფრა გაშალეს და ღვინით დაწყებული ქეიფი არყით განაგრძეს.

დაახლოებით ნახევარ საათში, ლექსოს ტელეფონზე შეყვარებულმა, მაიკო კ-მ დაურეკა და კარგა ხანს ესაუბრა. ნასვამი გიორგი, რომელიც მათ საუბარს უსმენდა, მეგობარს ცინიკურად შეჰყურებდა. ლექსომ კი, მას შემდეგ, რაც ტელეფონზე საუბარი დაასრულა, მეგობარს სთხოვა, სახლში წასულიყო, რადგან მისი შეყვარებულის მშობლები სახლში არ იყვნენ და მასთან აპირებდა წასვლას. როგორც ირკვევა, გიორგის ძმაკაცის საქციელი არ მოეწონა და მისი შეყვარებული ცუდად მოიხსენია, თანაც, ურჩია, რომ ჯობდა, მასთან კავშირი საერთოდ გაეწყვიტა. სწორედ ეს ფაქტი გახდა მათ შორის დაწყებული კამათის მიზეზი, მაგრამ გიორგი არ ეშვებოდა, მეგობარს უმტკიცებდა, რომ მისი შეყვარებული სხვებსაც ხვდებოდა და მასთანაც ისე გამომწვევად იქცეოდა ხოლმე, რომ თავს უხერხულად გრძნობდა. როგორც ლექსო ჩვენებაში მიუთითებს, ამის გამო იგი ძალიან გაბრაზდა. გიორგის ჯერ მშვიდად უთხრა, გაჩუმებულიყო, მაგრამ გიორგი თავისას განაგრძობდა – იმ „ბოზს" კი არ უყვარხარ, შენი ფული ხიბლავს, შენგან მეტი არაფერი აინტერესებსო. მთვრალი ბიჭების შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა. სახლში არავინ იყო, რომ გაეშველებინა და ინციდენტი მკვლელობით დასრულდა – გაღიზიანებულმა ლექსომ მაგიდიდან პურის დანა აიღო და ძმაკაცს რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. გიორგი კ. ადგილზე გარდაიცვალა...

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, განსასჯელმა სახლიდან წასვლა ვერ გაბედა. ტელეფონს ეცა, რომ სასწრაფო გამოეძახებინა, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, ვინაიდან დაჭრილი უკვე მკვდარი იყო, გადაიფიქრა. ამის შემდეგ ის კარგა ხანს დადიოდა ოთახებში და ფიქრობდა, რომ თვითონაც მოეკლა თავი, მაგრამ ბოლოს სახლიდან წასვლა გადაწყვიტა. თუმცა, ამ დროს მის სახლს მეზობელი მოადგა, რომელმაც დააკაკუნა, მაგრამ ალექსანდრემ კარი არ გაუღო.

როგორც ირკვევა, მეზობელი ლექსოსთან იმ მიზეზით მივიდა, რომ სახლიდან ხმაური, შემდეგ კი ბრაგვანის ხმა შემოესმა. თუმცა, ვინაიდან კარი არავინ გაუღო, ფაქტი საეჭვოდ მიიჩნია და, რადგან თავად დაინახა, თუ როგორ შევიდნენ ბიჭები ლექსოს სახლში, იფიქრა, რომ სახლში ქურდები იყვნენ და ლექსოს მოსაძებნად იქვე ახლოს მდებარე გიორგის სახლში წავიდა. როგორც მეზობელმა ჩვენებაში განაცხადა, მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ლექსომ გიორგი სახლამდე მიაცილა და მასთან შევიდა. თუმცა, ბიჭები არც იქ იყვნენ, გიორგის მეუღლის ნათქვამით დარწმუნდა, რომ გიორგი ნამდვილად ლექსოსთან იყო.

სიტუაციის გასარკვევად მეზობელიც და გიორგის მეუღლეც უკან დაბრუნდნენ, მაგრამ კარს ამჯერადაც არავინ აღებდა. ამასობაში სხვა მეზობლებიც მოგროვდნენ და სახლში შესვლის გადაწყვეტილება მიიღეს. სახლში შესულებს საშინელი სურათი დახვდათ – გარშემო სისხლის გუბე იდგა, გიორგის სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. მეორე ოთახში კი ლექსო დანით ხელში იჯდა იატაკზე... მიცვალებული პროზექტურაში გადაასვენეს. ექსპერტიზის დასკვნით, მოკლულს დანით ხუთი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული: ორი გულმკერდის არეში, სამი – მუცელში.

ალექსანდრე ხ-ს ჩვენებიდან: „ჩვენ ერთად გავიზარდეთ, არა მარტო მეზობლები, ძალიან ახლო მეგობრებიც ვიყავით. ალბათ, ვერ იპოვით ადამიანს, ვინც დაგიდასტურებთ, რომ ოდესმე გვეჩხუბოს. გასაყოფი არასდროს არაფერი გვქონია. გიორგის სიმთვრალე ჰქონდა ცუდი, რის გამოც სიფხიზლეში შემდეგ ბოდიშებს იხდიდა ხოლმე. იმ დღეს დაბადების დღიდან დავბრუნდით და ვთხოვე, ქეიფი ჩემთან გაგვეგრძელებინა. ცოტა ხანში ტელეფონზე შეყვარებულმა დამირეკა. მართალია, მაიკო განათხოვარი იყო და შვილიც ჰყავდა, მაგრამ ჩემთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, მის ცოლად მოყვანას მაინც ვაპირებდი. საუბრის ბოლოს შევთანხმდით, რომ გიორგის სახლში გავუშვებდი და მე ღამით მასთან დავრჩებოდი. ეს რომ ვუთხარი, გიორგიმ მაიკოს შეურაცხყოფა მიაყენა: რას ელაპარაკები ამდენს, რით ვერ გაიგე, რომ ბოზია, მაინცდამაინც შენი თვალით უნდა ნახო, ვის უჯდება მანქანაში და სად მიჰყავთო? ვუთხარი, რომ, თუ ასე იყო, დაემტკიცებინა, მაგრამ, ამის ნაცვლად, ჩემს გასაღიზიანებლად უკვე ჩემს ნათესავ გოგოზე მითხრა, თითქოს მასაც საყვარელი ჰყავდა. ამ სიტყვებმა ძალიან გამაღიზიანა, გიორგი კი, არათუ ჩუმდებოდა, ორივეს ლანძღვას განაგრძობდა და მათ უწესო ცხოვრებას მიმტკიცებდა. მისი მოკვლა აზრადაც არ მომსვლია, ჯერ ხელით შევეხე და გაჩუმება ვთხოვე, მაგრამ ამ დროს სასქესო ორგანოსთან ძლიერად ამომარტყა ფეხი და იქვე ჩავიკეცე. შემდეგ მართლა არაფერი მახსოვს, არც ის ვიცი, ჩემს ხელში დანა როგორ აღმოჩნდა და ვერც იმას ვიხსენებ, რამდენი ჭრილობა მივაყენე. ეს არ იყო განზრახ მკვლელობა, რაც მოხდა, აფექტში ჩავიდინე. აზრზე რომ მოვედი, ის ცოცხალი აღარ იყო და მე ხელში სისხლიანი დანა მეჭირა. როცა მის წინ ჩავიკეცე, აღარ სუნთქავდა. არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ვერავისთან დარეკვა ვერ გავბედე. მალე კარზე ბრახუნიც მომესმა, მაგრამ ვერ გავაღე. გამოსავალს ვერ ვპოულობდი, არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა. გაქცევა არც მიცდია. მერწმუნეთ, მისი მოკვლა მართლა არ მინდოდა. ძალიან განვიცდი რაც მოხდა. მთელი გულით ვინანიებ, რაც ჩავიდინე და არ აქვს მნიშვნელობა, თქვენ რას მომისჯით".

განსასჯელისა და მისი ადვოკატის პოზიცია – რომ მკვლელობა აფექტში მოხდა – სასამართლომ არ გაიზიარა. მან მიიჩნია, რომ დანაშაული დადასტურებული იყო საქმეში არსებული ყველა მტკიცებულებით და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობისთვის მეგობრის მკვლელს 14 წლით პატიმრობა მიუსაჯა, რაც ყველა ინსტანციის სასამართლომ ძალაში დატოვა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

**17 მარტი**

1959 – ტიბეტის ქალაქ ლხასაში ჩინეთის ხელისუფლებამ მხეცურად გაუსწორდა მრავალათასიან მიტინგს, რასაც მოჰყვა აჯანყება მთელ ტიბეტში. დაიღუპა 65 ათასი ადამიანი.

1991 – ჩატარდა რეფერენდუმი საბჭოთა კავშირის, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკების ფედერაციის შენარჩუნების შესახებ, რასაც რეფერენდუმის მონაწილეთა 76 პროცენტმა დაუჭირა მხარი.

**18 მარტი**

1871 – წარმოიშვა პარიზის კომუნა. მოხდა პირველი პროლეტარული რევოლუცია.

1921 – დაიდო რიგის ზავი, რითაც პოლონეთს ერგო უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთი მიწები.

1965 – ადამიანი პირველად გავიდა კოსმოსში. ალექსეი ლეონოვმა 10 წუთით დატოვა „ვოსხოდ 2-ის" ბორტი, რასაც მილიონობით ადამიანი ტელევიზიით ადევნებდა თვალყურს.

**19 მარტი**

721 – პტოლემეუსის თანახმად, ბაბილონელებმა პირველად დაწერეს ქრონიკებში მზის დაბნელების შესახებ.

1831 – ამერიკაში მოხდა ბანკის პირველი ძარცვა.

1945 – იაპონიაში დაიხურა სკოლები და 6 წელზე უფროსი ასაკის ყველა ბავშვი გაიგზავნა სამხედრო სამუშაოებზე.

1953 – პირველად გაიმართა „ოსკარით" დაჯილდოების ცერემონიალის ჩვენება ტელევიზიით.

1970 – შედგა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის ლიდერების პირველი შეხვედრა.

**20 მარტი**

1815 – კუნძულ ელბაზე გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ნაპოლეონი კვლავ გახდა საფრანგეთის იმპერატორი.

1854 – ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსდა რესპუბლიკური პარტია.

1933 – ნაცისტურ გერმანიაში გაჩნდა პირველი საკონცენტრაციო ბანაკი – „დახჰაუ".

**21 მარტი**

1684 – ფრანგმა ასტრონომმა ჯოვანი კასინიმ აღმოაჩინა სატურნის ორი თანამგზავრი – დიონა და ტეფია.

1924 – 24 წლის შვეიცარიელმა ფიზიკოსმა ვოლფგანგ პაულიმ გამოაქვეყნა „აკრძალვის პრინციპი", რაც გახდა მენდელეევის ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემის თეორიული ახსნის საფუძველი.

1952 – განის პრემიერ-მინისტრი გახდა ნკვამე ნკრუმა – პირველი ზანგი, აფრიკული სახელმწიფოს სათავეში.

**22 მარტი**

1312 – რომის პაპის, კლიმენტი მეხუთის ბრძანებით გაუქმდა ტამპლიერთა ორდენი.

1717 – ლონდონის სამეფო თეატრში შედგა პირველი პანტომიმური სპექტაკლის პრემიერა.

1882 – ამერიკის შეერთებულ შტატებში აიკრძალა მრავალცოლიანობა.

1888 – დაარსდა ინგლისის საფეხბურთო ლიგა.

1907 – ლონდონის ქუჩებში გამოჩნდა პირველი ტაქსი დროის მრიცხველებით.

1935 – სპარსეთს ოფიციალურად ეწოდა ირანი.

**23 მარტი**

1839 – ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ბოსტონის გაზეთ Morning Post-ში პირველად გამოჩნდა ცნობილი აბრევიატურა O.K.

1841 – ლონდონში რიჩარდ ბიერდმა გახსნა მსოფლიოში პირველი ფოტოატელიე.

1919 – მილანში ბენიტო მუსოლინიმ დააარსა მსოფლიოში პირველი ფაშისტური ორგანიზაცია.

1966 – პირველად 400 წლის შემდეგ რომში შედგა რომის პაპისა და კენტერბერის არქიეპისკოპოსის შეხვედრა.

# ფლორის სამყაროში



**რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე**

> **ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**
>
> **გოეთე**

კითხვა: **იქნებ ამიხსნათ, აუცილებელია თუ არა მცენარისთვის გადარგვა და დეტალურად, რა პროცედურები უნდა გავიაროთ მისი გადარგვისას?**

**პასუხი:** გადარგვა მცენარეს ენერგიას ჰმატებს და ახალი, ჯანსაღი ფესვების ზრდას უწყობს ხელს. ახალი ქოთანი ძველზე მხოლოდ 2-3 სანტიმეტრით ფართო უნდა იყოს. იდეალურია მცენარის გადარგვა ზრდის პერიოდის დაწყებამდე. ზამთრობით, როცა მცენარე „იძინებს“, გადარგვას ერიდეთ, რადგან ამ დროს შეიძლება, ფესვები დაულპეს. ქოთნის ძირში 1-2 სანტიმეტრ სისქეზე ჩაყრილი კენჭები ან კერამიკის ნატეხები საჭირო სივრცეს ქმნის დრენაჟისთვის და ხელს უშლის ქოთანში წყლის შეგუბებას. ქოთანში იმდენი მიწა ჩაყარეთ, რომ მცენარის მიწისქვეშა ნაწილი ქოთნის კიდეზე 2-3 სანტიმეტრით დაბლა იყოს და მოსარწყავად საკმარისი ადგილი დარჩეს. ფრთხილად შემოაყარეთ მიწა, ოღონდ ზედმეტად ნუ დატკეპნით, თორემ ეს ხელს შეუშლის დრენაჟს და ჰაერს გამოდევნის. ქოთნის ზედაპირი შეგიძლიათ, დეკორატიული ფენით (კენჭები, ნიჟარები) გაალამაზოთ. ერთი მხრივ, ეს ამცირებს აორთქლებას, მაგრამ აძნელებს ნიადაგის ტენიანობის დადგენას. ძალიან დიდი ზომის მცენარის გადარგვა ხშირად შეუძლებელია. ამიტომ, მცენარის სიჯანსაღის შესანარჩუნებლად, ყოველ გაზაფხულზე მიწის ზედა ფენა განაახლეთ. მიწას ზედა, 2-3-სანტიმეტრიანი ფენა მოაშორეთ. წვრილი ფესვების დაზიანება ნუ შეგაშინებთ. მცენარეს ზემოდან სასუქშერეული, ტენიანი მიწის 2-3-სანტიმეტრიანი ფენა მოაყარეთ.

კითხვა: **საჭიროა თუ არა მცენარისთვის ქოთნის ზუსტად შერჩევა და დამოკიდებულია თუ არა ეს მცენარის უკეთ გახარებაზე?**

**პასუხი:** სწორად შერჩეული ქოთანი სილამაზეს მატებს მცენარეს. ჭურჭელი ძირითადად ორი სახისაა: ქოთანი, რომელშიც მცენარეს ჩარგავთ და კაშპო, რომელშიც მცენარეს ქოთნიანად ჩადგამთ. ქოთნის შერჩევისას გაითვალისწინეთ, მოყვავილე მცენარეებს ფერადდეტალებიანი ქოთნები უხდება, ხოლო მკვეთრი, კონსტრუქციული ფორმის მცენარეები, უბრალო, მარტივი ფორმის ქოთნებში უფრო ეფექტურია. დეკორატიული კაშპო, რომელიც პლასტმასის ულიმღამო ქოთანს მალავს, წყალგაუმტარი უნდა იყოს, რომ მორწყვის შემდეგ, ზედმეტი წყალი შიგ ჩაგროვდეს. ფსკერზე ნახვრეტიან ქოთანში მცენარე პირდაპირ უნდა ჩარგოთ. როგორც წესი, ასეთი ქოთანი ლამბაქთან ერთად იყიდება. ლამბაქი ავეჯს მორწყვის შემდეგ გაჟონილი წყლისგან იცავს.

კითხვა: **ბინაში არ მაქვს მაღალი ტემპერატურა. მაინტერესებს, ლავანდას ხომ არ დააზიანებს?**

**პასუხი:** ზამთარში, თუ ტემპერატურა დაბალია, მიწა მხოლოდ ტენიანი უნდა იყოს. ლავანდა ორპირ ნიავს იტანს, მაგრამ სინესტეს – ნაკლებად. ამ დროს ტემპერატურა მინიმუმ 2-3 გრადუსი უნდა იყოს. მცენარე მზის მწველ სხივებსაც აიტანს და შეგიძლიათ, კაშკაშა სინათლეზე მოათავსოთ.

კითხვა: **რამდენად გამძლე მცენარეა იზოლეპისი?**

**პასუხი:** ძლიერი, კომპაქტური მცენარის გაზრდას კაშკაშა სინათლე სჭირდება. მცენარე სიგრილეში უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე სიცხეში. დადგით ჰაერზე და მოარიდეთ სიცხეს. კარგია მინიმალისტური ინტერიერი. თუ ამ პირობებს გაითვალისწინებთ, იზოლეპისი გამძლე გახდება.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



**რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე**

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
>
> **ანატოლ ფრანსი**

კითხვა: **გთხოვთ მაცნობოთ არასრულწლოვან მსჯავრდებულს სასჯელის სახით შეფარდებული თავისუფლების აღკვეთისას, სასჯელის მოხდიდან რა ვადებში უნდა მოეხსნას ნასამართლეობა?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ იმას, ვინც დანაშაული თვრამეტ წლამდე ჩაიდინა ნასამართლეობა გაუქარწყლდება და მოეხსნება ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ; მძიმე დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან ხუთი წლის შემდეგ.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რა შედეგი მოჰყვება არასრულწლოვანისთვის დანიშნული აღმზრდელობით ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების დარღვევას?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ თუ არასრულწლოვანი სისტემატურად არღვევს აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ ეს ღონისძიება სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს წარდგინებით გაუქმდება და მასალები გადაიგზავნება არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, რას გულისხმობს აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების, გაფრთხილების გამოყენება არასრულწლოვნის მიმართ?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ გაფრთხილება ნიშნავს, არასრულწლოვნისათვის იმის განმარტებას, თუ რა ზიანი გამოიწვია მისმა ქმედებამ და რა შედეგი მოჰყვება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის განმეორებით ჩადენას.

კითხვა: **გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ უნდა განხორციელდეს არასრულწლოვნის მიმართ აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების, საზედამხედველოდ გადაცემის გამოყენება?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ საზედამხედველოდ გადაცემა ნიშნავს, მშობლისთვის ან მისი შემცვლელი პირისთვის, ანდა სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოსათვის, იმ მოვალეობის დაკისრებას, რამაც აღმზრდელობითი ზეგავლენა უნდა მოახდინოს არასრულწლოვანზე და კონტროლი გაუწიოს მის ყოფაქცევას.

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, შეუძლია თუ არა სასამართლოს, დააკისროს არასრულწლოვანს ზიანის ანაზღაურების მოვალეობა იმ შემთხვევაში, თუ ის არ მუშაობს ან სოციალურად დაუცველთა ოჯახიდანაა?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ზოგადად არასრულწლოვნისთვის ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრებისას, სასამართლო ითვალისწინებს მის ქონებრივ მდგომარეობას, შესაბამის შრომით ჩვევებს და ამის გათვალისწინებით, უნიშნავს ან არ უნიშავს ზიანის ანაზღაურების მოვალეობას.

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: მყავს ავტომობილი „მერსედესი", ცე კლასის, 1.8-იანი ძრავით, 1997 წლის, მართვის მექანიკური კოლოფით. როცა სიჩქარეს მოვუმატებ, მანქანას ეგრეთ წოდებული „ძიორგანიები" აქვს. მანქანას გამოვუცვალე სანთლები, ბაბინის ჩიბუხი, კომპიუტერის მიერ ნაჩვენები „რასპრედვალის" ამთვლელი „დატჩიკი", ჩავხსენი ლამბდა-ზონდი, ჰაერმზომი, მაგრამ, არ უშველა. რა შეიძლება, რომ სჭირდეს? იქნებ რამე მირჩიოთ?**

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> მიხაილ შუმახერი

**პასუხი:** ეგრეთ წოდებული „ძიორგანიები" შეიძლება მექანიკური დეტალებისგანაც იყოს გამოწვეული. ისეთი პრიმიტიულისგანაც კი, როგორიცაა წვრილი მილების უმნიშვნელო დაზიანება, რომელიც ძრავის სხვადასხვა სექტორს აერთიანებს და ვაკუუმის მეშვეობით კონტროლდება. კარგი იქნებოდა პრობლემის უფრო დეტალურად ჩამოყალიბება, ანუ რა დროს მთავრდება ეს პროცესი და როგორი ხარისხის არის ის, ძნელად შესამჩნევი თუ მკვეთრი. ყველაზე ხშირად ასეთ შემთხვევებში საწვავის მიწოდების სისტემა აღმოჩნდება ხოლმე დამნაშავე. გადაამოწმებინეთ საწვავის წნევა და მისი მდგრადობა სისტემაში, აგრეთვე, ეგრეთ წოდებული „ინჟექტორები". თუ აქაც ყველაფერი კარგად არის, მაშინ, უფრო ღრმად გადამოწმება მოგიწევთ, ვინაიდან, შესაძლოა, ძალიან უმნიშვნელო დაზიანებიდანაც კი მოდიოდეს ეს პრობლემა. მაგალითისთვის, რადგან კომპიუტერი „რასპრედვალის" ამთვლელ „დატჩიკს" აჩვენებს ან აჩვენებდა, შესაძლოა, სწორედ ის მექანიკური დეტალი იყოს დაზიანებული, საიდანაც ზემოხსენებული „დატჩიკი" იღებს ინფორმაციას.

**კითხვა: მირჩიეთ, რომელი ავტომობილი ჯობია: „ტოიოტა ქამრი", „ჰონდა აკორდი", „მაზდა 6" თუ „ფოლკსვაგენ პასატი" (2007 წლის შემდეგ გამოშვებული ავტომობილები) და რა არის მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები?**

**პასუხი:** თქვენ მიერ ჩამოთვლილი ყველა ავტომობილი ძალიან კარგია, სწორი მიმართულებით ხართ წასული. მაგრამ, თუ უფრო პრაქტიკულობის თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, ჩამოთვლილთაგან ყველაზე ეკონომიური „ჰონდაა" – მინიმუმ ერთი ლიტრით მაინც „ჯობნის" იმავე კლასის სხვა მოდელებს. ამავდროულად, თავისი განსაკუთრებული სტილი აქვს, როგორც სალონში, ისე გარედან, თან, პრაქტიკულიცაა სერვისის თვალსაზრისით. მეორე ადგილზე დავაყენებდი „ტოიოტას". ძალიან პრაქტიკული ავტომობილია, იშვიათად ფუჭდება, მაგრამ, სტილით ახლოსაც ვერ მივა „ჰონდასთან" – გაცილებით ღარიბულად გამოიყურება. ელემენტარულად, სალონში განათებაც კი, „ჰონდას" გაცილებით დახვეწილი აქვს. ამის შემდეგ დავაყენებდი „მაზდას" და ბოლოს – „პასატს". „მაზდა" საკმაოდ პრაქტიკული ავტომობილია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენთან ჯერ ახალი ხილია და მომხმარებელსაც და ხელოსნებსაც მასთან ურთიერთობის გამოცდილება ძალიან მწირი აქვთ. რაც შეეხება „პასატს", მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარების გამოცდილება ძალიან დიდია და ნაწილების შოვნა – ადვილი, ის პრაქტიკულობაში იაპონურ ავტომობილებამდე მაინც ვერ მოდის. პერიოდულად, შეიძლება, რაღაც ისეთი დაემართოს, რაც პრაქტიკულად გამორიცხულია იაპონური მანქანების შემთხვევაში. მაგალითად, რომელიმე სენსორი გამოვიდეს მწყობრიდან და კომპიუტერს თავგზა აურიოს.



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: რომელი პარაზიტები წარმოადგენენ გაცილებით დიდ საფრთხეს ცხოველებისთვის?**

**პასუხი:** გასათვალისწინებელია, რომ ამ დროს აქტიურდებიან ექტოპარაზიტები – რწყილები და ტკიპები. ცხოველთა ექტოპარაზიტებიდან ძაღლისთვის ყველაზე მეტ საშიშროებას წარმოადგენენ იქსოდიდეს ტკიპები, რომლებიც ისეთი საშიში დაავადების გადამტანები არიან, როგორიცაა პიროპლაზმოზი. რომ დავიცვათ ძაღლი აღნიშნული ტკიპების კბენისაგან, საჭიროა, რეგულარულად დავამუშაოთ ის რეპელენტებით. აღნიშნული პროცედურის ქვეშ იგულისხმება ანტიპარაზიტული წვეთების რეგულარული გამოყენება. ის უნდა დავაწვეთოთ მინდაოზე, მისი ჯერადობა კი დამოკიდებულია მწარმოებელზე, რომელიც წარმოადგენს პროდუქციას. ასევე, ყოველი გასეირნების წინ, განსაკუთრებით სკვერებში, რეკომენდებულია, ცხოველს დავასხათ ინსექტოაკარაციდული სპრეი, თან, მუდმივად უნდა ეკეთოს სპეციალური ანტიპარაზიტული საყელო. აღნიშნული პროცედურები უნდა შესრულდეს კომპლექსში. ისინი ავსებენ ერთმანეთს და ასეთი საშუალებით იძლევიან უფრო მყარი დაცვის გარანტიას, ვიდრე მათი ცალ-ცალკე გამოყენებისას.

**კითხვა: როგორ გამოვკვებოთ ძაღლი გაზაფხულის პერიოდში?**

**პასუხი:** ძაღლის ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს სწორი და სრულყოფილი რაციონი. ამას განსაკუთრებით გაზაფხულზე უნდა მიექცეს ყურადღება, რადგან, ამ დროს აღინიშნება ვიტამინების ნაკლებობა და, ამიტომ, მნიშვნელოვანია სწორი კვება.

**კითხვა: როგორც მითხრეს, ცხოველის კვება პირდაპირ დამოკიდებულებაშია მის ჯანმრთელობასთან. ჯანსაღი და დაბალანსებული საკვები უზრუნველყოფს ცხოველის ჯანმრთელობის შენარჩუნებას, იმუნური სისტემის ბრძოლის უნარიანობას, რაც დაავადებების მიმართ დამცველობით ფუნქციას გააძლიერებს და ორგანიზმს დაიცავს სხვადასხვა დაავადებისგან. იქნებ, კიდევ მომაწოდოთ კვებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია.**

**პასუხი:** საკმაოდ კარგად ხართ ინფორმირებული. გეტყვით, რომ, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საკვებს ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა დაავადების მკურნალობისას. როგორც წესი, სხვადასხვა დაავადების დროს ინიშნება სპეციფიკური სახის სამკურნალო დიეტები. დიეტის სახე და ტიპები დამოკიდებულია დაავადების ხასიათზე და ასევე, იმაზე, თუ რა სისტემის დაავადება და რა ორგანოს დაზიანებაა. მაგალითად, შაქრიანი დიაბეტის დროს, ცხოველის ორგანიზმის სიცოცხლის შენარჩუნებისთვის დიეტას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ დროს საკვებიდან უნდა ამოიღოთ ნახშირწყლები და ცხიმები. საკვები უნდა დააბალანსოთ ვიტამინებითა და პროტეინებით. ღვიძლის დაზიანებისას, მნიშვნელოვანია დიეტის დაცვა, რადგან ამ დროს დაუშვებელია საკვებში ცხიმოვანი მჟავეების ისეთი შემცველობა იყოს, რაც ტოქსიკურად იმოქმედებს ღვიძლზე. ცილები უნდა მიიღოს ცხოველმა – უცხიმო ხაჭოსა და მაწონის სახით აუცილებელია, საკვებში ჩართოთ B ჯგუფის ვიტამინები. თირკმელების ანთებითი თუ სხვადახსვა სახის ფუნქციური პათოლოგიის დროს, მკურნალობაში წამყვანი როლი დიეტოთერაპიას ენიჭება. ამ დროს საკვებიდან ამოღებული უნდა იყოს ისეთი ინგრედიენტები, რაც თირკმელებისა და შარდის გამომტანი ორგანოების გაღიზიანებას იწვევს. კერძოდ, უნდა შეუზღუდოთ მარილიანი საკვები, ხოლო ცხოველს თუ მიდრეკილება აქვს შარდკენჭოვანი დაავადბების მიმართ, ასეთ შემთხვევაში, ცხოველს სპეციფიკური დიეტა ესაჭიროება.



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

- სიღნაღის სოფელი / ცარიელი ჭურჭელი
- ცხვირის შემსწავლელი დარგი
- საიდუმლო სიტყვა / ბალეტ „ჟიზელის“ ავტორი
- ხრიკი
- ცეცხლის ენა / მუს. ნაწარმოებები
- ქალაქი სამხრეთ მექსიკაში
- ტატოს მეგობარო ორბელიანი
- იყო ასეთი ჩვენი ანსამბლი
- იაპონიის კუნძული
- პირველი პირი
- ნორვეგიის დედაქალაქი
- მეთაური / არა
- პოლონელი მღვდელი
- ხელის გულზე მკითხაობა
- სულხან საბას პერსონაჟი
- (.......) სმოქტუნოვსკი
- იტალიელი დრამატურგი
- თეატრის კოლექტივი
- მსახიობ. საქმე / ქოხი ნაპირზე
- 1,3,5,7,9 11,13,15
- საშენი მასალა
- ლატვიის დედაქალაქი
- მსახიობი ვენტურა
- რუსული თქმულება
- დამუხტული ნაწილაკი
- ქალაქი ესპანეთში
- დაბა ზესტაფონის რაიონში
- ბუხარი / ....იოსელიანი
- თბილისის უბანი
- კისრის ძვალი
- შიფრის გასაღები
- ჩეხ. კომპოზიტორი
- უსარგებლო ნივთები
- ებრაელთა დიდი წინაპარი
- (.....) მღვიმელი
- საგაზეთო თხზულება
- მისამღერის ნაწილი
- ჩვენი მდინარე / თანდებული
- ტანი კიდურების გარეშე
- ფუჭი, უშედეგო / ....პეპბერნი
- (......) კრისტი
- პირველი გაკვეთილი
- მონოდების სიტყვა / ნისლი
- კურორტ. რუსეთში / ბელგიის მდინარე
- შუშა
- ავანსი / სამკაული
- ვიოლინოების ოსტატი
- პატარა მღრღნელი
- იხილე ფოტო



- ბოსტნეულის კერძი
- ქალის ევროპული სახელი
- ონის რაიონის სოფელი
- შოთას ლექსი
- ეგვიპტური ღვთაება
- თბილისის ქუჩებში ეწერა 2003 წელს
- პორტუგალიელი მწერალი
- ადვილი მარტივი
- (....) ელიავა / (.....) კუროსავა
- ჩანთოსანი დათვი
- ინდური ღვთაება ვიშნუს ცოლი
- ოქროს ურდოს მეფე / გნიასი
- სანქტ-პეტერბურგის მდინარე
- რუმინეთ. ქალაქი / ხორბალს აქვს
- რკინის ჯოხი / რაფაელა.....
- ყველაფერს ოქროდ აქცევდა
- გრამატ. კავშირი
- (.....) ტერნერი
- მუხლშია / ფრანგი კომპოზ.
- სურნელება / ლოგინის ნაწილი
- ეშმაკი, ავსული
- სასროლი ჯოხი
- სწავლობს გიგლა (.......), მზემ შემოუჭყიტინა...
- ტიბეტური პირუტყვი
- აფრიკის ქვეყანა
- ჩვენი არაბი ჭაბუკი
- ქილილა და..... / გრამატ. კავშირი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 3 | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 3 | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 14 | | | | 5 | 3 |
| | | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 3 | 8 | 8 | 3 | | | | | | | 10 | 12 | 4 | 15 | 5 | 4 | 2 | 3 |
| 6 | 10 | 3 | 4 | 3 | | | 2 | 3 | 3 | | | | | | 3 | 7 | 7 | 6 | 1 | | | 6 | 3 | 3 | 12 | 16 | | | | | 9 | 10 | 8 | 2 | 3 | 18 | 16 | 1 | 1 |
| 1 | 1 | 1 | 3 | 3 | | | 3 | 4 | 5 | 8 | 6 | 3 | | | 13 | 7 | 2 | 2 | 3 | 4 | 1 | 2 | 2 | 3 | 5 | 6 | | | 3 | 7 | 14 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 1 | 1 | 1 | 3 | 3 | 7 | 6 | 5 | 12 | 12 | 12 | 13 | 15 | 22 | 22 | 4 | 3 | 3 | 3 | 2 | 1 | 2 | 4 | 4 | 3 | 3 | 3 | 23 | 21 | 18 | 17 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 1 | 1 | 1 |
| | | 2 | 2 | 6 |
| | | 2 | 2 | 9 |
| | | 1 | 1 | 9 |
| | | 1 | 1 | 8 |
| | | 1 | 4 | 8 |
| | | 1 | 4 | 7 |
| 3 | 2 | 2 | 6 | 7 |
| | 4 | 6 | 6 | 7 |
| 4 | 6 | 1 | 5 | 7 |
| 2 | 5 | 3 | 7 | 7 |
| | 2 | 10 | 7 | 7 |
| | 3 | 10 | 8 | 6 |
| 2 | 5 | 5 | 6 | 6 |
| 2 | 4 | 4 | 10 | 4 |
| 2 | 2 | 4 | 11 | 4 |
| 2 | 5 | 2 | 9 | 4 |
| 2 | 6 | 3 | 7 | 4 |
| | 2 | 14 | 8 | 4 |
| 2 | 10 | 1 | 10 | 3 |
| | 2 | 10 | 11 | 2 |
| | 2 | 10 | 11 | 4 |
| | 2 | 10 | 10 | 3 |
| | 5 | 8 | 9 | 3 |
| | | 5 | 7 | 12 |
| | 13 | 2 | 5 | 5 |
| | | | 14 | 11 |
| | | | 20 | 19 |
| | | | | 28 |
| | | | 14 | 13 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | | 6 | 7 | | | 8 | 3 |
| 9 | 7 | | | 3 | | 6 | | 2 |
| | 3 | | 4 | | 5 | 7 | 9 | |
| 4 | | 2 | 3 | | 7 | | 1 | 5 |
| 5 | | | 1 | 6 | 4 | 2 | 7 | 9 |
| 7 | 1 | 9 | 5 | 8 | | | | |
| 2 | | | 9 | | | 1 | 3 | 7 |
| 3 | 9 | 7 | | | 8 | 4 | | |
| | | 1 | 7 | | 3 | 9 | 2 | 8 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | 1 | | | | 7 | | 3 |
| | 7 | | 6 | | 2 | | 8 | |
| | 8 | | | | 9 | | | 2 |
| 6 | | 8 | | | | | 9 | |
| | | 7 | | 5 | 3 | | | 6 |
| 1 | 2 | | | 9 | | 3 | | |
| 3 | | 4 | | | | | 2 | |
| | | 2 | | | 4 | | 5 | |
| 8 | | 9 | | 6 | | | | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად






ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
ტელ.: 272 9191
თამარაშვილის №36

# იპოვეთ ათი განსხვავება





## დაეხმარე გზის გაკვლევაში



## რა ფერის შარფს ქსოვს ბებია



# გლეხი და ხე

## (იგავ-არაკი)

ერთ გლეხს ეზოში ხე ედგა. ხე უნაყოფო იყო, მხოლოდ ბელურები და ჭრიჭინობელები აფარებდნენ თავს. გლეხმა ხის მოჭრა განიზრახა. აიღო ცული და ჭრა დაუწყო. ჭრიჭინობელები და ბელურები გარს შემოესივნენ. თავშესაფარს ნუ დაგვინგრევ, ამ ხეზე ხომ ჩვენ ვგალობთ და შენც გართობთო. გლეხმა ყური არ უგდო მათ თხოვნას. შემოჰკრა და შემოჰკრა ხეს. როცა გადაიქცა, ფუღუროში თაფლი აღმოჩნდა. გლეხმა მწარედ ინანა, ცული შორს გადააგდო და ხეს წმინდანივით ეთაყვანა.

შეგონება: ადამიანი ზოგჯერ სიკეთეს ისე არ ეძებს, როგორც გამორჩენას.

## რიცხვრებუსი

,,3, ,5,, 5,,, 10,,





# იქნებ დეპრესია გაქვთ?

*ტესტი რთული არ არის. მთავარია, ყურადღებით წაიკითხოთ და ზუსტად შეასრულოთ მოცემულობა. თავაზობთ დოქტორ უილიამ ზუნგის დეპრესიის და თვითშეფასების სკალას.*

**1; 2; 3; 4; 6; 7; 8; 10; 11; 12; 14; 15; 16; 18 და 20 პუნქტზე პასუხების შესავსებად იხელმძღვანელეთ შემდეგი პრინციპით:**

„არასოდეს“ – 1 ქულა;
„ხანდახან“ – 2 ქულა;
„ხშირად“ – 3 ქულა;
„ყოველთვის“ – 4 ქულა.
5, 9, 13, 17 და 19 პუნქტები:
„არასოდეს“ – 4 ქულა ;
„ხანდახან“ – 3 ქულა;
„ხშირად“ – 2 ქულა;
„ყოველთვის“ – 1 ქულა.

**მაშ, დავიწყოთ:**

1. მოთენთილი და სევდიანი ვარ;
2. დილაობით თავს მშვენივრად და მხნედ ვგრძნობ;
3. ხშირად ვარ ტირილის გუნებაზე;
4. ღამით ცუდად მძინავს;
5. მადა დაქვეითებული არ მაქვს;
6. გამძაფრებული მაქვს სექსუალური შეგრძნებები;
7. ისეთი განცდა მაქვს, რომ ყველაფერი უნდა დავკარგო;
8. ხშირად მაწუხებს მუცლის შებერვა და გაზები;
9. გული ჩვეულებრივზე სწრაფად მიძგერს;
10. უმიზეზოდ ვიღლები;
11. ისევე სალად ვაზროვნებ, როგორც ადრე;
12. მიადვილდება იმის კეთება, რაც შემიძლია;
13. აფორიაქებულს ერთ ადგილზე გაჩერება მიჭირს;
14. მაქვს მომავლის იმედი;
15. უფრო გაღიზიანებული ვარ;
16. ადვილად ვიღებ გადაწყვეტილებებს;
17. ვგრძნობ, რა არის სასარგებლო და აუცილებელი;
18. საკმაოდ მრავალფეროვანი ცხოვრება მაქვს;
19. ბევრს გაუიოლდება ცხოვრება, თუკი მოვკვდები;
20. დღემდე მახარებს ის, რაც ადრე მიხაროდა.

**შედეგები:**

*20-49 ქულა – აბსოლუტურად ნორმალური მდგომარეობა გაქვთ.*

*50-59 ქულა – მსუბუქი დეპრესია. რაღაც უნდა შეცვალოთ.*

*60-69 ქულა – სასწრაფოდ მიაკითხეთ ფსიქოთერაპევტს, დროს ნუ დაკარგავთ!*

*70 ქულაზე მეტი – ღრმა დეპრესია გაქვთ.*

## სამეფო ქათამი

გავრცელებული მოსაზრებით, ფარშევანგის ფრთები სახლში არ უნდა გქონდეს. ფარშევანგი ხომ ქალღმერთ ჰერას საყვარელი ფრინველი იყო, მას კი არ მოეწონება მისი რჩეულის შეურაცხყოფა და დამნაშავეს თავის რისხვას არ მოაკლებს...



სინამდვილეში, ფარშევანგიც ჩვეულებრივი ქათამია, უბრალოდ, შეფერილობა აქვს უჩვეულო და განსაკუთრებული. სწორედ ამიტომ არის ის გამორჩეული. ფარშევანგს ულამაზესი კუდი აქვს და ხშირად მისი წყალობით მოიპოვა ყველაზე ლამაზი ფრინველის ტიტული. ფარშევანგი ძალიან სწრაფად დარბის და სიჩქარის განვითარებაში კუდი სულაც არ უშლის ხელს. ცოტათი მშიშარაც არის – უმნიშვნელო საფრთხის დროსაც კი უჩვეულოდ სწრაფად გარბის და მაღალ ნარგავებში იმალება.

ანტიკურ სამყაროში, ძველ საბერძნეთში, სადაც ფარშევანგი სპარსეთიდან მოხვდა, თავიდან, როგორც განსაკუთრებული და იშვიათი არსება, მოედნებზე გამოჰყავდათ და ხალხს დიდი თანხის ფასად აჩვენებდნენ. მოგვიანებით ის ქალღმერთ ჰერას საყვარელ ფრინველად იქცა. მითი მოგვითხრობს, რომ, როცა ყოვლისმნახველი გოლიათი არგური დაიღუპა, ქალღმერთმა ჰერამ მისი ათასი თვალით მორთო ფარშევანგის კუდი.

ძველ რომში ფარშევანგი იმპერატორების ემბლემა იყო და მონეტებზეც კი გამოსახავდნენ. ჩინეთში ფარშევანგი ღირსებისა და სილამაზის სიმბოლოდ იქცა. ფრინველის ბუმბულის გადაცემით ადამიანს უმაღლეს რანგს ანიჭებდნენ და ამით აღნიშნავდნენ იმპერატორის წინაშე მის დამსახურებას.

ინდოეთში ფარშევანგს სრული თავისუფლება აქვს და, შეუძლია, იქ ისეირნოს, სადაც მოესურვება, ანუ, იქაც წმინდა და ღვთაებრივ ფრინველად არის მიჩნეული. გარდა ამისა, ის შესანიშნავად ნადირობს გველებზე, რისთვისაც ინდოეთის მცხოვრებლებს ძალიან უყვართ და ყურადღებას არ აქცევენ მის გამყინავ ხმას.

ფარშევანგი გამაყრუებლად ყვის ჭექა-ქუხილისა და მუსონების, ანუ, წვიმების სეზონის დადგომის წინ.

ფარშევანგი ყველაზე რელიგიური ფრინველიც არის – ის თითქმის ყველა რელიგიაშია წარმოდგენილი და სათანადოდ დაფასებულიც. მაგალითად, ისლამში ფარშევანგის თვალი გულის თვალთან ასოცირდება, ასევე, მზისა და მთვარის ერთიანობასთან; ანუ, ფარშევანგია დასტური იმისა, რომ სრულ წინააღმდეგობებს შორისაც შეიძლება არსებობდეს ჰარმონია და კავშირი.

## ძველბერძნული მაყალი

გაგიკვირდებათ, მაგრამ, თითქმის ფაქტია, რომ, ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ადამიანებმა იცოდნენ ისეთი კულინარიული შედევრების შესახებ, როგორც არის მაყალზე შემწვარი მწვადი და შესაფერისი ჭურჭელიც კი ჰქონდათ ამისთვის. მაგალითად, მიკენის ცივილიზაციის პერიოდში, მეთოთხმეტე-მეთერთმეტე საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, არსებობდა სპეციალური თიხის ყუთები გვერდებზე სახელურებით. ასეთი ყუთები მრავლად არის ნაპოვნი გათხრების დროს. მკვლევრები დარწმუნებულები არიან, რომ ამ ყუთებს ძველი ბერძნები ცხელ ნახშირზე ხორცის შესაწვავად იყენებდნენ.

გარდა ამისა, სამარხებში ნაპოვნია ტაფები გამომწვარი თიხისა და ფაიფურის ზედაპირებით, რომლებსაც მაშინდელი მზარეულები კვერების გამოსაცხობად იყენებდნენ. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ მიკენის ცივილიზაციის ადამიანებს უკვე ჰქონდათ თანამედროვე ტაფების მსგავსი ჭურჭელი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ის ყველასთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა. ალბათ, ფუფუნების საგნადაც ითვლებოდა, რადგან, მხოლოდ შეძლებულ მოქალაქეთა სამარხებშია ნაპოვნი.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# უბრალოდ, ჩავარდა

## ერლი სტენლი გარდნერი

„ელამი“ ბარი პრემიუმ-კლასის ვაგონში უდარდელი, მილიონერი ფრანტივით დასეირნობდა და იქ მყოფ მგზავრებს დაკვირვებით ათვალიერებდა. ძვირფასი კოსტიუმი სოლიდურ იერს აძლევდა და საერთოდ არ ეტყობოდა, რომ მის სინდისზე ორი ადამიანის სიცოცხლე იყო. შეუბრალებელსა და ცივსისხლიანს, ხელი ოდნავაც არ აჰკანკალებია, ისე მოკლა ბანკის დარაჯი და მძიმედ დაჭრა პოლიციელი, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა. ბარი საერთოდ არ ფიქრობდა ჩადენილ დანაშაულზე და, ბუნებრივია, არც სინდისი აწუხებდა. მისი პრობლემა ის იყო, რომ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა – თითების ანაბეჭდები დატოვა – ეს ტაქტიკურად გაუმართლებელი იყო, რაც პოლიციელის სიკვდილმა დაამძიმა. მთავარი იყო, ბედს არ ემტყუნა და რაღაც კონკრეტულ მანძილზე მოშორებოდა იქაურობას... ჯერჯერობით ყველაფერი მშვიდად იყო. ბარი, ის იყო, თითქმის დაწყნარდა და მოეშვა, რომ უცებ ნიუიორკელი კერძო დეტექტივი ბენსონი დაინახა. ის ვაგონ-რესტორანში იჯდა და ყავას მიირთმევდა. მათი მზერა სულ ერთი წამით შეხვდა ერთმანეთს, მაგრამ, ბარი მიხვდა, რომ „დაიწვა“. ვაგონ-რესტორანი ღირსეული კაცის თავდაჯერებით გაიარა, მერე კი მოკურცხლა. ვაგონიდან ვაგონში სირბილით გადადიოდა, სანამ ბოლო ვაგონს არ მიაღწია. ერთადერთი გზა რჩებოდა: სანამ დეტექტივი გონს მოვიდოდა და მატარებლის მთელ დაცვას ფეხზე დააყენებდა, მატარებლიდან უნდა ჩამხტარიყო. ასეც მოიქცა... მატარებელი მთელი სისწრაფით მიჰქროდა და ბარიმ ნახტომისას ჰაერში ნახევარბრუნი გააკეთა. იმან უშველა, რომ მიწა რბილი და ფხვიერი აღმოჩნდა. არაფერი სტკენია. ადვილად მოახერხა წამოდგომა და, როცა დარწმუნდა, რომ მისი რევოლვერიც ადგილზე იყო, შვებით ამოისუნთქა. თუმცა, დრო დასვენებისთვის არ ჰქონდა – რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოშორებოდა იქაურობას. რამდენიმე მეტრი რომ გაირბინა, ცხენი და მასზე ამხედრებული კაცი დაინახა. ბევრი არ უფიქრია: წინ გადაუხტა, ალვირზე ხელი უტაცა და რევოლვერი პირდაპირ სახეში დაუმიზნა.

– ცხენი მჭირდება. ახლავე ჩამოეთრიე და ხმა არ ამოიღო!

საშუალო ასაკის მამაკაცმა, რომელსაც სოლიდური იერი ჰქონდა, მოულოდნელობისა და შიშისგან ხმა ვერ ამოიღო. დამფრთხალი უყურებდა რევოლვერის ლულას, საიდანაც ყოველ წუთს შეიძლებოდა, ტყვია გამოვარდნილიყო...

– მომისმინეთ, მე ექიმი ვარ. აქვე ახლოს, რანჩოში, პატარა გოგონა სიცხისგან იწვის. დროზე თუ არ მივედი, შეიძლება, მერე გვიანიც იყოს... გამოიჩინეთ გულმოწყალება...

– ჩამოეთრიე და მადლობა მითხარი, რომ აქვე არ ჩაგაძაღლე! ტყვია მენანება და იმიტომ – არ ვიცი, როდის რამდენი ტყვია დამჭირდება და ვისთვის. მაგრამ, თუ ენას არ ჩაიგდებ, გადავიფიქრებ.

ბარიმ ექიმი ხეზე მაგრად მიაბა, ცხენს მოახტა და გააჭენა. ცხენზე პირველად იჯდა, მაგრამ, ეტყობა, ჭკვიანმა პირუტყვმა იგრძნო მხედრის ძალა და ადვილად დაემორჩილა. უნაგირზე წყლიანი მათარა, ბუტერბროდიანი პარკი და ექიმისთვის საჭირო ხელსაწყო-წამლებით სავსე ჩანთა აღმოაჩინა. უცებ ინანა, რომ ცოცხალი დატოვა – ის ხომ მოწმე იქნებოდა, მაგრამ, უკან მობრუნების დრო არ იყო. წინ ტრამალი მოჩანდა, რომლის ბოლოშიც გორაკებსა და მთებს ხედავდა. „ამ გზით თუ ვივლი, შეიძლება, შტატის საზღვრამდეც კი მივიდე. ფული ბევრი მაქვს. გამყოლი მჭირდება და აქაურობას თავს დავაღწევ“... ბარიმ იცოდა, რომ გამყოლის გარეშე გზას ვერ გაიგნებდა. ბანკიდან დიდი ფულის გამოტანა ვერ შეძლო, მაგრამ, ორმოცდაათი ათასი დოლარიც არ იყო პატარა თანხა. მან გარემოს სწრაფად მოავლო მზერა. მის გამჭრიახ თვალს არ გამოპარვია შორს, გორაკთან მდგარი პატარა ქოხი და იქითკენ გააჭენა...

***

პატარა, ნახევრად დანგრეულ მიწურში, ძველი ყუთების, ფიცრებისა და ტომრების გარემოცვაში, ძველმანებით მოვაჭრე ორი მაწანწალა იჯდა, ძველი მეგობრები – სემ სვიფტი და გაბი. სემი მოწყენილი და თავჩაქინდრული იჯდა. გაბი შუაცეცხლზე ირმის ხორცს წვავდა.

– კარგი, ცხვირ-პირი ნუ ჩამოგტირის, ყველაფერი კარგად იქნება.

– რა იქნება კარგად, გაბი, – ამოიოხრა სემმა, – ფული თითქმის არა გვაქვს. ამ სეზონზე ძალიან არ გაგვიმართლა. როგორ უნდა გადავიტანოთ გრძელი და ცივი ზამთარი?

– ნადირობით, სემ, ნადირობით... ჯერ კიდევ კარგად ვხედავ და თოფიც არ დამძველებია... კეთილი ადამიანებიც ისევ ცხოვრობენ ახლოს. ნუ ჯავრობ, ბებერო...

– ეჰ, გაბი... მე დიდხანს ვერც ვიცოცხლებ, სტენოკარდია მაქვს და გული მაწუხებს.

– სისულელეს ნუ ლაპარაკობ! რაც შენ სამედიცინო ჟურნალების წაკითხვა დაიწყე, იმის მერე ყველა დაავადება ერთად გაწუხებს. ეს სულ იმ ექიმის ბრალია, ვინც შენ ამ ჟურნალებს გაძლევს.

– მე კითხვა მიყვარს, გაბი, ამის გარეშე არ შემიძლია.

– ჰო, მაგრამ, სამედიცინო ჟურნალები აშკარად ზედმეტი იყო შენთვის... – უცებ გაბიმ ყურადღება დაძაბა და მიაყურადა, – მგონი, ცხენის ფეხის ხმა ისმის, ვიღაც გვესტუმრა...

მიწურის კარი გაიღო და ქოხში ბარი შევიდა.

– გამარჯობა... ამ მიწურში თქვენ ცხოვრობთ?

– ასე გამოდის, – მიუგო სემმა, – აქ ვიზამთრებთ ხოლმე მე და ჩემი მეგობარი... თქვენ რა ქარმა გადმოგაგდოთ აქეთ?

– ექიმი ვარ... შემატყობინეს, რომ შტატის საზღვართან, მთებში, ვიღაც ავად გამხდარა... მგონი, გზა დავკარგე... დახმარება მჭირდება. ერთ-ერთი უნდა გამომყვეთ და გზა მასწავლოთ...

გაბიმ და სემმა ერთმანეთს გადახედეს. რაღაც არ მოეწონათ დაუპატიჟებელი სტუმრის გამოხედვაში.

– ანუ, ცხენით ხართ?

– ჰო... რომელი გამომყვებით?

– ექიმო, – დაიწყო სემმა, – მე, ცოტა არ იყოს, ენდოკარდიტი მაქვს, რაც, შეიძლება, სასარგებლო არ აღმოჩნდეს თქვენთვის.

– ფეხებზე მკიდია ეგ შენი ენდოკარდიტი! თუ რამე ფასეულობას არ წარმოადგენს, არაფერში მჭირდება. ახლა ადექი, შემწვარი ხორცი პარკში ჩამიწყვე და გამომყევი. სწრაფად, თორემ, ძალიან ცუდი გაბრაზება ვიცი! – „ელამის“ ხმა სასტიკად და ცივად ჟღერდა. მეტი დამაჯერებლობისთვის, იარაღის ლულაც გამოაჩინა, მაგრამ, მისი ამოღება ველარ მოასწრო – გაბი ელვის სისწრაფით გადახტა, სანადირო თოფი აიღო და ბარის ორივე მუხლი გაუხვრიტა. ბანდიტმა არაადამიანურად იბღავლა და მიწაზე გაიშხლართა.

– შენი დედაც, ბებერო! ეს როგორ გააკეთე?..

– მე ძველი მონადირე ვარ, იდიოტო! შენნაირი ლაჩარი ბევრი მინახავს. თუ ჩემს მეგობარ ექიმს რამე დაუშავე, ცოცხალი ვერ გადამირჩები – ჩემი ხელით გაგიხვრეტ შუბლს და ტვინს გაგასხმევინებ, თუკი საერთოდ გაქვს ტვინი...

ბარიმ კიდევ შეიგინა და მიიღო კიდეც თოფის კონდახი ყბაში. სწორედ ამ დროს, ვიღაცამ კარი შემოგლიჯა და მიწურში შეიარაღებული პოლიციელები შემოცვივდნენ ადგილობრივ შერიფთან ერთად.

შერიფმა აღმუვლებულ ბარის ხელბორკილები დაადო და შვებით ამოისუნთქა:

– მადლობელი ვარ თქვენი, ბიჭებო... ძალიან დაგვეხმარეთ. როგორ მიხვდით, ვინ იყო?

სემმა ჩაიცინა:

– გვითხრა, ექიმი ვარო, არადა, რამდენიმე ისეთი ტექნიკური შეცდომა დაუშვა, დამწყებ მედიკოსსაც რომ არ ეკადრება. მართალია, გაბი ამბობს, რომ მე მედიცინისგან შორს ვარ, მაგრამ, უკვე დავამტკიცე, რომ სამედიცინო ჟურნალების კითხვა ძალიან სასარგებლო რამ არის.

შერიფმა ხმამაღლა გაიცინა.

– ჰო, მართლა, ბიჭებო... ჩვენი ექიმი კარგად არის, მივუსწარით. ამ ნაძირალას ხეზე მიუბამს, კოიოტების შესაჭმელად... ერთი ამბავიც უნდა გითხრათ: ამ არამზადის დაჭერაზე ჯილდო იყო დაწესებული – თხუთმეტი ათასი დოლარი. ბანკში დაბრუნებული თანხის პროცენტიც არ იქნება ცოტა. ასე რომ, ზამთარს, ალბათ, პარიზში გაატარებთ. გაბი, მგონი, შენ ყოველთვის გაინტერესებდა პარიზის ნახვა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# ქალური შურისძიება

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები" №1-10(689)

დუმდა მზიაც, მაგრამ, პროფესორისგან განსხვავებით, ღაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლები და კალთა უსველდებოდა. ის გრძნობდა, როგორ გაორდა მისი პიროვნება – როგორ იქცა ერთი მზია ორ მზიად: ერთს კიდევ უფრო მეტად შეუყვარდა ეს საშინელი კაცი,



მეორე კი მასში ნამდვილ მონსტრს ხედავდა და სიკვდილივით ეშინოდა მისი. ისიც კი აღარ იცოდა, დარჩებოდა თუ არა მის მოსავლელად და მკურნალობის კურსის გასაგრძელებლად.

დუმილი თითქმის ნახევარ საათს გაგრძელდა. ამასობაში დიმიტრიმ სული მოითქვა, გამბედაობა მოიკრიბა და მზიას მიმართა:

– ხომ გითხარი, მონსტრი ვარ-მეთქი.

ხმამაღლა რომ არ აბლავლებულიყო, მზია წამოხტა და სამზარეულოში გაიქცა. ირაკლი ქებაძე და მისი პაციენტი, მარტო დარჩნენ პირისპირ და ვერც ერთი ვერ იღებდა ხმას. ბოლოს ისევ დიმიტრიმ დაარღვია დუმილი:

– ბატონო ირაკლი, უფლება გაქვთ, უარი თქვათ ჩემს მკურნალობაზე და ჩემი თავი სხვა ექიმს გადააბაროთ. გეფიცებით, არ მეწყინება. ცხადია, იმ ექიმსაც არ მოვუყვები ჩემი არაკაცობის შესახებ. შესაბამისად, არ გაუჭირდება ჩემი მკურნალობა და ჩემთან, როგორც პაციენტთან ურთიერთობა.

ქებაძე ისევ დუმდა. უნდოდა, რამე ეთქვა, მაგრამ, თავს ვერ უყრიდა სათქმელს. ამიტომ, სიცოცხლეში პირველად, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ისევ დიმიტრიმ გამოიყვანა მდგომარეობიდან:

– ბატონო ირაკლი, ბოდიშს გიხდით, ასე რომ შეგაწუხეთ. ვიცი, რომ ახლა ძალიან გძულვართ...

– არა, არ მძულხართ, – უცბად შეაწყვეტინა სიტყვა პროფესორმა, – უბრალოდ, პატივს აღარ გცემთ როგორც მამაკაცი მამაკაცს. მკურნალობას, ცხადია, განვაგრძობ.

– მადლობელი ვარ, ბატონო პროფესორო, – მაინც გაუხარდა დიმიტრის.

– სამადლობელი არაფერია. ეს ჩემი კარგი ადამიანობიდან არ მომდინარეობს, მე ჰიპოკრატეს ფიცი მაქვს დადებული და ვალდებული ვარ, პირად მტერსაც კი ვუმკურნალო.

– მარტო მაგიტომ არ გიხდით მადლობას, ბატონო ირაკლი. იმის გამოც ვარ მადლობელი, ჩემთვის დრო რომ გაიცადინეთ, მომისმინეთ და ამით ასეთი ქვა მომხსენით გულიდან. ვერც კი წარმოიდგენთ, ახლა რამდენად უკეთ ვგრძნობ თავს. რომ იცოდეთ, როგორ ვიტანჯებოდი ამ ყველაფრის გამო მას შემდეგ, რაც საავადმყოფოში მოვხვდი. ალბათ, უფრო ლმობიერი იქნებოდით ჩემ მიმართ, თუმცა, რა უფლება მაქვს, ლმობიერება მოვითხოვო.

– იცით, ბატონო დიმიტრი, მიუხედავად ჩემი ასაკისა და ცხოვრებისეული გამოცდილებისა, მაინც დრო მჭირდება, რომ ეს ყველაფერი გადავხარშო. ვერ მოგატყუებთ, რადიკალურად უარყოფითად შეიცვალა ჩემი განწყობა თქვენ მიმართ, მაგრამ, ამ თქვენს საქციელს, უფრო სწორად, თქვენს პიროვნებას, აქვს ერთადერთი დადებითი მომენტი – ყველა თქვენს საქციელს გულწრფელად ინანიებთ. სწორედ ეს მიტოვებს იმედის პატარა ნამცეცს, რომ ყველაფერი არაა დაკარგული.

– ანუ, თქვენ გჯერათ ჩემი?

– მჯერა თქვენი გულწრფელობის და, სწორედ ამიტომ, გირჩევთ, მოძღვართან მოინანიოთ ცოდვები.

– მოძღვარი არ მყავს და, საერთოდაც, ეკლესიური არასდროს ვყოფილვარ.

– არა უშავს, ეს არასდროს არ არის გვიან. თუ გნებავთ, მე გამოგიგზავნით სულიერ მამას – ჩემი კარის მეზობელია; თუ არა და, თქვენ თვითონ მიდით ეკლესიაში, როცა გარეთ გასვლის უფლებას მოგცემთ.

– ვიფიქრებ ამაზე, ბატონო ირაკლი. ახლა კი უნდა ვითავხედო და ერთი კითხვა დაგისვათ. ოღონდ, თქვენგანაც გულწრფელი პასუხი მინდა.

– ბრძანეთ.

– დამეხმარებით?

– რაში?

– რაღაცეების გარკვევაში.

– კერძოდ?

– კერძოდ, ვინ მომწერა ის წერილი და არის თუ არა თორნიკე ჩემი შვილი.

– ბატონო დიმიტრი, თქვენ მეტისმეტს ითხოვთ ჩემგან. ჩათვალეთ, რომ არც კი გამიგია, რაც მითხარით. მე არც პატარა ბიჭი ვარ, არც გამომძიებლობაზე მიოცნებია ოდესმე და არც ღირსების საქმედ მიმაჩნია სხვისი ცხოვრების ბნელი კუნჭულების ჩხრეკა, თუნდაც ამის გაკეთება ვინმემ მთხოვოს. ერთადერთი, რა პირობის მოცემაც შემიძლია, ის არის, რომ ხელს არ შეგიშლით.

– ბოდიშს გიხდით, ბატონო ირაკლი, იმ ყველაფერს კიდევ ერთი უტაქტო და თავხედური თხოვნა დავამატე.

– დაწყნარდით. მე ჩემი სათქმელი უკვე გითხარით. ახლა კი მზიას ახალ მითითებებს დავუწერ და წავალ. მეც დავრეკავ ხოლმე და მზია თვითონაც დამეკონტაქტება. კარგად ბრძანდებოდეთ.

– ნახვამდის.

ირაკლი ქებაძე სამზარეულოდან გამოსულმა თვალებდასიებულმა მზიამ კარამდე მიაცილა, დიმიტრის ოთახში დაბრუნდა და ფანჯარასთან დადგა ხმისამოუღებლად. დიმიტრის მისკენ არც გაუხედავს, ისე ჰკითხა:

– გეზიზღები?

– არა, – ჩუმად უპასუხა გოგომ და საწოლს მიუახლოვდა, – გინდა, რამე დასალევი მოგიტანო?

დიმიტრის სულაც არ სწყუროდა, მაგრამ, მზიას შემოთავაზება შერიგებად მიიღო და გახარებულმა უპასუხა:

– ბორჯომში ლიმონი ჩამიწურე და ისე მომიტანე. ცოტა მჟავეს თუ გამიკეთებ, კარგი იქნება...

***

დიმიტრიმ მოახერხა მზიას შერიგება. გოგო ისევ ისე ერთგულად უვლიდა, მაგრამ, თავისდაუნებურად, ერთგვარ დისტანციას იჭერდა მასთან – ძველებურად შინაურულად და შეთამამებულად აღარ ესაუბრებოდა, თითქოს ეშინოდა, რომ ისევ რამე საწყენი და გულსატკენი არ ეთქვა მოულოდნელად ნერვებაშლილ პაციენტს. დიმიტრი გრძნობდა მზიას სიფრთხილეს და განსაკუთრებით თბილად ექცეოდა. ჯერ ერთი, მართლაც განიცდიდა,



ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.....................................
მარიკა 599 24 28 31

რომ აწყენინა ერთადერთ ერთგულ ადამიანს (დიმიტრის ამაში ეჭვი არ ეპარებოდა), თანაც, ძალიან სჭირდებოდა მზიას დახმარება – სხვანაირად ის ვერ გაარკვევდა სიმართლეს. ამიტომ, მორჩილ და მოსიყვარულე ბავშვად იქცა: ყველაფერს უჯერებდა, უსიტყვოდ ემორჩილებოდა და თვალებში შეჰყურებდა. თავისი აღსარების მეორე დილით კი, პროცედურების ჩატარების შემდეგ, დიმიტრიმ პირდაპირ უთხრა მზიას, შენ თუ არ დამეხმარე, იცოდე, დარდი საფლავში წამყვებაო. მზია შინაგანად მზად იყო, რომ დიმიტრი საკმაოდ რთულ საქმეს დაავალებდა, მაგრამ, ერთი წუთითაც კი არ უფიქრია უარის თქმა, რადგან, ჯერ ერთი, გრძნობდა, რომ თვითონ იყო თავისი პაციენტის ერთადერთი გულშემატკივარი – ასე რომ არ ყოფილიყო, დიმიტრი მას, სულ ცოტა ხნის წინ გაცნობილ ექთანს, არ გაუმხელდა მამაკაცისთვის ყველაზე მტკივნეულ საიდუმლოს და, მით უმეტეს, არ ჩარევდა თავის პირად საქმეებში; მეორეც, მზიას ქალური ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა, გაეგო, რა ხდებოდა იმ მამაკაცის ცხოვრებაში, რომელიც მას ლამის დანახვისთანავე შეუყვარდა.

– მზია, მოაჩოჩე სავარძელი საწოლთან, დაჯექი და ყურადღებით მომისმინე. დღეს მე გნიშნავ ჩემს პირად შერლოკ ჰოლმსად, მეგრედ თუ პუაროდ, მოკლედ, პირად დეტექტივად.

– მის მარპლი ვიქნები.

– კი ბატონო, მარპლი იყავი, ჩემთვის უკეთესია – მარპლი ქალური ალღოთი უჯობრავდა დანარჩენებს, – გაეცინა დიმიტრის.

– შენ ვინ იქნები, უოტსონი? თუმცა, რა შუაშია უოტსონი მარპლთან...

– არა, მე ვიქნები ერთ-ერთი კლიენტი, მაგრამ, თუ გინდა, შიგადაშიგ უოტსონობასაც გაგიწევ, თუ საჭირო გახდება.

– გისმენთ, მისტერ უოტსონ, – ღიმილით უთხრა მზიამ და საბანი გაუსწორა.

– მოკლედ, თავიდან, სანამ გამოძიებას დავიწყებთ, უნდა მიხვიდე ჩემს ოფისში. მდივანი გაფრთხილებული მეყოლება და ჩემი კაბინეტის კარს გაგიღებს. იქ აუცილებლად უნდა იყოს ის წერილი, რომელიც ავარიის წინ მივიღე. როგორც უკვე გითხარი, დამლაგებელი არ გადააგდებდა.

– სავარაუდოდ, სად უნდა ვეძებო?

– რომ წავიკითხე, მაგიდაზე მოვისროლე. მოკლედ, მაგიდიდან დაიწყე. თუ იქ არ დაგხვდა, უფლებას გაძლევ, გადაქექო ყველა უჯრა, ყველა თარო, ანუ, მოქმედების სრული თავისუფლება გაქვს. არ არის გამორიცხული, რომ ფურცელი მაგიდიდან გადაფრიალდა და რაღაცის ქვეშ შევარდა. მოკლედ, შენი მობილიზებულობის იმედი მაქვს.

– მდივანი თავზე უნდა მადგეს?

– არა, ვეტყვი, რომ ოთახში მარტო დაგტოვოს.

– გასაგებია. რომ მოვკვდე, მაინც ვიპოვი და მოგიტან. მერე რა უნდა ვქნა?

– მერე, დედუქციის მეთოდით უნდა გავიგოთ, ვინ არის წერილის ავტორი – ესაა ყველაზე მთავარი. ეს თუ დავადგინეთ, მერე უკვე ადვილად გაირკვევა, სიმართლეა თუ არა ის, რაც იმ წერილში წერია.

– ბატონო დიმიტრი, არ გეწყინოს, ამას რომ გეკითხები, მაგრამ, თუნდაც ერთი პროცენტით მაინც უშვებ, რომ, შეიძლება, სიმართლე იყოს?

დიმიტრიმ იუხერხულა პასუხის გაცემა – ეს ძალიან ინტიმური თემა იყო, მაგრამ, რადგანაც სწორედ მზიას უნდა გემოქმედებინა ეს ჩახლართული საქმე, გადაწყვიტა, ბოლომდე გულახდილი ყოფილიყო.



– იცი, რაშია საქმე? – თქვა და საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ განაგრძო: – თუ ფაქტებს დავეყრდნობი, ეს სიმართლე არ უნდა იყოს.

– რა ფაქტებს? – ვერ მიხვდა ექთანი.

– რა გჭირს, გოგო, ყველაფერი სიტყვასიტყვით უნდა მათქმევინო? – ხუმრობით შეუწყრა დიმიტრი.

– ცხადია, ყველაფერი უნდა გათქმევინო, შენც და დანარჩენებსაც, – სერიოზულად უპასუხა „მარპლმა“, – აბა, როგორ მივაგნო სიმართლეს?

– ვინ დანარჩენებს? უკვე იცი, რომ ისინი ბევრნი არიან? – „ფაქტების“ თემას გადაუხვია დიმიტრიმ.

– რა გჭირს, ბატონო დიმიტრი? – იმავე სიტყვებით და ისეთივე ხუმრობის ტონით შეუბრუნა კითხვა მზიამ, – სანამ იმ ერთს მივაგნებ, რამდენიმე კაცის გაცნობა და მათთან გასაუბრება მომიწევს.

– რა იცი, რომ კაცები არიან? – დაიძაბა ავადმყოფი.

– მართლა რა გჭირს, ბატონო დიმიტრი, ასეთი მიუხვედრელი როდიდან გახდი? თანაც, სიტყვაზე მეკიდები. რამდენიმე კაცი-მეთქი, რომ ვთქვი, რამდენიმე ადამიანი ვიგულისხმე და, საერთოდაც, ნუ ხარ ასეთი დაძაბული, ცოტა მოეშვი, თორემ, შენ თუ ცუდად გახდი, ველარ დამეხმარები, მარტო კი ვერაფერს მოვახერხებ. გაიგე, რასაც გეუბნები? – ხმა დაირბილა მზიამ და დიმიტრის ხელზე მოეფერა.

ავადმყოფს ესიამოვნა ეს მზრუნველი ტონიც და მოფერებაც, თვალები დახუჭა და გაიტრუნა. მზიამ აცადა. ორიოდე წუთის შემდეგ კი დიმიტრიმ თვალი გაახილა და უკვე სრულიად დამშვიდებულმა უთხრა:

– გავიგე. უკვე ვაკონტროლებ საკუთარ თავს. ხომ ხედავ, რა დამჯერი ბიჭი ვარ.

ჰოდა, ძალიან კარგი. ახლა კი მითხარი, როდის წავიდე.

– დღეს, ახლავე. გადადება აღარ ღირს.

მზია ჩაფიქრდა. ეშინოდა ავადმყოფის მარტოდ დატოვება, მით უმეტეს, რომ, არ იცოდა, რამდენი ხანი დასჭირდებოდა წერილის მოძებნას.

– რა იყო, ხომ არ გადაიფიქრე? – ჰკითხა შეშინებულმა დიმიტრიმ, – რატომ გაჩუმდი?

– რას ამბობ, გადავიფიქრე კი არა, ერთი სული მაქვს, როდის შევუდგები ჩემს პირველ საგამოძიებო საქმეს, – ნახევრად ხუმრობით უპასუხა გოგომ, – მაგრამ, მეშინია შენი მარტო დატოვება. რამე რომ გაგიჭირდეს, ვინ მოგხედავს?

– პირველი კი არა, მეორე გამოდის. შენ არ თქვი, მეგობარს ბებიასეული ბეჭედი დაეკარგა და ქურდს მივაგნეო? თანაც, რა უნდა მომივიდეს ერთ-ორ საათში? ამაზე მეტი დრო მაინც არ დაგჭირდება.

– ჰო, იმას თუ ჩავთვლით, მეორე გამოდის, მაგრამ, იმ საქმის გამოძიება არავის დაუვალებია, მე თვითონ მოვინდომე, ახლა კი პირველად ვილებ დაკვეთას, – ამაყად თქვა მზიამ და უცებ სხვა თემაზე გადავიდა: – ჰო, შენს ძმას ხომ არ დავურეკო და ვთხოვო ჩემს მოსვლამდე დარჩენა?

– არა. ჯერ ერთი, ის ასე ადვილად ვერ მიატოვებს სამსახურს, თანაც, მინდა, სალამოს რომ მოვა, წერილი უკვე ხელში გვეჭიროს. აი, მერე კი მასთან ერთად განვიხილოთ ყველაფერი. ჭკვიანი კაცია და, შეიძლება, რამე გონივრული რჩევა მოგვცეს.

– მაინც მეშინია... – ჩაილაპარაკა მზიამ.

– რისი გეშინია, გოგო, – გაეცინა დიმიტრის, – ნაჭამი ვარ, ნასვამი ვარ, დილის ყველა წამალი დავლიე, ყველა პროცედურა ჩატარებული მაქვს და ვივარჯიშე კიდეც. შუადღემდე მაინც ასე უნდა ვიწვე და იმ ორ საათს როგორმე გავძლებ შენთან დალაპარაკების გარეშე.

– კარგი, ახლავე წავალ. აქვე, საწოლთან დაგიწყობ ყველაფერს და, თუ რამე მოგინდა, თვითონ აიღე, – „დანებდა“ მზია, მერე პაწაწინა ლამბაქზე ორი ვარდისფერი აბი დადო და უთხრა: – ახლა თორმეტი ხდება. თუ ორ საათამდე არ მოვედი, ეს აბები დალიე.

– რომელ საათზე უნდა დავლიო?

– ზუსტად ორზე. მაგრამ, მე მგონი, მოგისწრებ, – მზია ადგა და თავის ოთახში გავიდა, რომ წასასვლელად მომზადებულიყო. დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ დიმიტრის საწოლს ვილაც უცხო ქალი მიუახლოვდა და თავზე დაადგა.

ავადმყოფს თვალები დახუჭული ჰქონდა და მისი მოახლოება არ დაუნახავს, მხოლოდ ფეხის ხმა გაიგონა, თვალი კი მაშინ გაახილა, როცა მის საწოლთან გაჩერებული ადამიანის სუნთქვა გაიგონა და ძალიან სასიამოვნო სურნელი იგრძნო.

– ვინ ხართ? – წამოიყვირა შემკრთალმა და შიშით შეათვალიერა უცნაურად გამოწყობილი ქალი: კეფაზე დახვეული თმა, გრძელი „ჩოლკა“, მუქი შინდისფერი პომადა, ლოყებზე საკმაოდ მკვეთრად წასმული რუჟი და უზარმაზარი შავი სათვალე საერთოდ არ უხდებოდა ბიჭურ ქურთუკს, საკმაოდ განიერ შარვალსა და ბოტასებს.

ქალი ღიმილით დასცქეროდა ავადმყოფს და ხმას არ იღებდა.

– ვინ ხართ? – გაიმეორა დიმიტრიმ შეკითხვა, ოღონდ, ამჯერად უფრო მშვიდად, რადგან, ეს ქალი რაღაცით ეცნობოდა, – აქ ვინ შემოგიშვათ? – მაგრამ, პასუხი რომ ვერ მი-



ილო, რამდენადაც შეეძლო, მშვიდად გასძახა ექთანს: – მზია, მგონი, შენთან სტუმარია, ერთი წუთით გამოდი!

– აქ ვარ, ბატონო დიმიტრი, – გაეცინა მზიას, სათვალე მოიხსნა და მუქი „ჩრდილებით“ ჩაშავებული თვალები გამოაჩინა.

– შეენ?! – გაოცდა დიმიტრი, – რამ გადაგრია, გოგო, ინფარქტი გინდა, დამმართო? რა ფუფალასავით გამოწყობილხარ?!

– არა, სადგურის კახპასავით, – დააზუსტა მზიამ, მერე ჩანთიდან პატარა სარკე ამოიღო, ჩაიხედა და ერთხელ კიდევ გადაისვა პომადა, – ეს ჩემი მასკიროვკაა.

„მართალს ამბობს, ხომ იცი“, – გაიფიქრა დიმიტრიმ, ხმამაღლა კი სულ სხვა რამ უთხრა:

– ჩემს სამსახურში რაში გჭირდება „მასკიროვკა“?

– იმისთვის, რომ... მოკლედ, შენ ამას მაინც ვერ მიხვდები. ასეა საჭირო და მორჩა! ნება მიბოძეთ, ბატონო დიმიტრი, ისე ჩავატარო გამოძიება, როგორც მე მიმაჩნია საჭიროდ.

– კარგი, ბატონო, რაც გინდა, ის ქენი, ოღონდ, მე ნუღარ გამიხეთქავ გულს, – გაეცინა დიმიტრის, – მაგრამ, ნუღარ აყოვნებ, დროულად წადი და დროულად დაბრუნდი.

– შენს მდივანს დაურეკე?

– სანამ შენ იკაზმებოდი, ველაპარაკე და გელოდება.

– მაშ, ჩაო, ჩემო ძვირფასო! – გაპრანჭული ხმით უთხრა მზიამ და კარისკენ ტანის რხევით გაემართა.

– ჩაო, – უთხრა დიმიტრიმაც და, მზიას საქციელით გამხიარულებულმა, ხმამაღლა გაიცინა.

***

დიმიტრის მდივანი ახალგაზრდა, ძალიან სიმპათიური და დახვეწილი ქალი იყო. როდესაც შეფმა დაურეკა და გააფრთხილა, ჩემი მომვლელი ექთანი მოვა შენთან და კაბინეტში შეუშვიო, რატომღაც, ელოდა, რომ მოვიდოდა პუტკუნა, თეთრ ხალათში გამოწყობილი, ძალიან უბრალო გარეგნობის, 40-45 წლის ქალი, ამიტომ, ამ უცნაური არსების დანახვამ ისე დააბნია, უცებ ვერც კი მოისაზრა, რა უნდა გაეკეთებინა.

– მდივანი თქვენ ხართ, გენაცვალე? – კევის ღეჭვით ჰკითხა მზიამ და, თან, „ლ“ სპეციალურად „ჩაარბილა“.

– დიახ, – მექანიკურად უთხრა მდივანმა.

– თქვენი სახელი გვაჩუქეთ, ლამაზო.

– სალომე, – თავისდაუნებურად დაემორჩილა მდივანი.

– სალომე... კარგი სახელია, მაგრამ, უკვე ნახევარ საქართველოს ჰქვია და აღარ არის აქტუალური, – ისევ რბილი ლ-ების კორიანტელი დააყენა მზიამ, მერე ხელისგული გაუშვირა და ღეჭვა-ღეჭვით უთხრა: – გასაღები მომეცი, ჭირიმე, კაბინეტში მაქვს საქმე. ხომ გაგაფრთხილეს?

– დიახ... აი, ინებეთ. თუმცა, არა, მე თვითონ გაგიღებთ, – მდივანი დაბნეული მივარდა კარს, ძლივს გააღო და შიგნით შეუძღვა, – შემობრძანდით.

– მადლობა, გენაცვალე. ახლა აქ მარტო დამტოვეთ. საქმეს რომ მოვრჩები, მე თვითონ დაგიძახებთ, – უთხრა მზიამ და გაშტერებული მდივანი ხელკავით გაიყვანა დიმიტრის კაბინეტიდან.

სალომე მხოლოდ მას შემდეგ გაბრაზდა საკუთარ თავზე, რაც კაბინეტის კარში გასაღების გადატრიალების ხმა გაიგონა. მაშინვე მოვიდა გონს და ტელეფონს ეცა. დიმიტრიმ მეორე ზარზევე უპასუხა.

– რა მოხდა, სალომე, ხომ მშვიდობაა? – ჰკითხა შეშინებულმა.

– ეს ვინ გამოგზავნეთ, ბატონო დიმიტრი? ექთნები დაილია თბილისში, რომ ამ უჟასს არ უყურროთ ყოველდღე, დილიდან საღამომდე?

– რა გინდა, რას ერჩი? მართალია, უბრალო გოგოა, მაგრამ, თავისი საქმე ძალიან კარგად იცის.

– მე არ ვიცი, რა იცის კარგად, მაგრამ, ამ საფრთხობელას საზოგადოებაში ყოფნა ნამდვილი გმირობაა! – აღშფოთებას ვერ მალავდა მდივანი.

არადა, ძალიან კარგი ექთანი და ძალიან კარგი ადამიანია. მაინც რა ქნა ისეთი, ასე რომ გაგაგიჟა?

– რომ დაბრუნდება, თვითონ მას ჰკითხეთ. მაინტერესებს, იქნება თუ არა გულწრფელი ეგ თქვენი „კარგი ექთანი“! ნახვამდის, ბატონო დიმიტრი, მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ, – სალომემ ტელეფონი გათიშა და ერთი ჭიქა ცივი წყალი სულმოუთქმელად დალია.

***

კაბინეტში შესულმა მზიამ ჩანთა ფანჯარასთან მიდგმულ სავარძელზე დადო, სათვალე მოიხსნა და გულდაგულ დაიწყო წერილის ძებნა. ჯერ მაგიდის ზედაპირს მოავლო თვალი, მერე მის ქვეშ შეიხედა და ვერაფერი რომ ვერ ნახა, უჯრებს მიადგა. პირველივე უჯრაში იდო კონვერტი, რომელსაც ეძებდა, მაგრამ ის ცარიელი ამოჩნდა. კონვერტი მაინც აიღო, სავარძელზე, ჩანთის გვერდით დადო და ძებნა განაგრძო. ყველა ფურცელი სათითაოდ ნახა, მაგრამ წერილი არსად ჩანდა. მერე თაროებიც გადაქექა და კედელში ჩადგმული პატარა კარადაც, წერილი კი მაინც ვერ ნახა. ორიოდე წუთი დაისვენა და ყველაფერს ხელმეორედ ჩამოუარა, თუმცა, ამაოდ. ბოლოს ფანჯარაც გამოაღო და შიდა ეზოში გადაიხედა – იქ ხომ არ გადავარდაო, მაგრამ, ეზოში ქაღალდის პაწაწინა ნაკუწიც კი არ ეგდო, ისე იყო გაწკრიალებული. იმედგაცრუებულმა მზიამ ფანჯარა მიხურა და, სწორედ ამ დროს, გარედან შემოქროლილმა ნიავმა სავარძელზე დადებული კონვერტი გადააფრიალა და მეორე სავარძლის ქვეშ შეაგდო. გოგო იძულებული გახდა, მარტოს გაეჩოჩებინა ეს უზარმაზარი რბილი სავარძელი, რომ თავისი ერთადერთი მონაპოვარი მაინც წაეღო დიმიტრისთან. ქშენა-ქშენით გააჩოჩა დაახლოებით ნახევარ მეტრზე და კონვერტის გვერდით შუაზე გაკეცილი დამტვერილი ქაღალდი დაინახა. მზია გახარებული ეცა ფურცელს, გადაშალა და...

– ვიპოვე! ღმერთო ჩემო, ვიპოვე! – ისე იყვირა გახარებულმა, რომ კარზე მდივანმა მიუკაკუნა და შეშინებულმა ჰკითხა, ხომ მშვიდობააო. მზიას არც კი გაუცია პასუხი, კონვერტსა და ფურცელს ჯერ სულის შებერვით, შემდეგ კი ხელით მოაშორა მტვერი, მერე ჩანთაში ჩადო ორივე, ეცა კარს, გააღო და მეტეორივით გავარდა კაბინეტიდან.

– კარის ჩაკეტვა არ დაგავიწყდეს! – მიაძახა გაოგნებულ მდივანს და მის თვალწინ მოჩვენებასავით გაუჩინარდა.

ორს აკლდა ათი წუთი, მზია სახლში რომ მივიდა. დიმიტრიმ მისი აციმციმებული თვალები და გაბადრული სახე რომ დაინახა, მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და უსაყვედურა:

– რატომ მაშინვე არ დამირეკე, ხომ იცოდი, როგორ ველოდი შედეგს?

– რომ დამერეკა, ისეთი ეფექტი აღარ ექნებოდა, – უპასუხა გოგომ და თეთრი კონვერტი ცხვირწინ აუფრიალა: – ჩათვალე, რომ საქმე დაიძრა! აჰა, გამომართვი!

დიმიტრიმ ჯერ დააპირა გამორთმევა, შემდეგ კი დამდუღრულივით უკან გასწია ხელი:

– არ მინდა, მომაშორე თავიდან!

– რას ჰქვია, მოგაშორო, კინაღამ შევეწირე ამის მოძებნას! – ემოციურად შეეპასუხა მზია, მერე წამალი დაალევინა, საწოლთან მდგარ სავარძელში მოკალათდა და კონვერტი მუხლებზე დაიდო.

– ხომ არ მოგშივდა? თუ გინდა, ჯერ გასადილებ და მერე დავიწყოთ.

– არა, არ მშია. რაც დამიტოვე თეფშზე, შენს მოლოდინში სულ შევჭამე ნერვიულობისგან. ახლა რა უნდა ვქნათ? მეგონა, წერილის

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

ხელში ალბისთანავე დავიწყებდი გამოკვლევას, ახლა კი, არც ვიცი, როგორ მოვიქცე. მგონი, დავიბენი, ხომ იცი... – თქვა უმწეოდ დიმიტრიმ.

– რამ დაგაბნია, გამოცოცხლდი! ახლა რა უნდა ვქნათ და, კონვერტი და ფურცელი ცალცალკე უნდა გამოვიკვლიოთ – ასე მაქვს წაკითხული. დავიწყოთ კონვერტით: ჩვეულებრივი კონვერტია, საკანცელარიო მაღაზიებში 10 თუ 15 თეთრი ღირს... გარედან მხოლოდ შენი სახელი და გვარი აწერია, არავითარი მისამართი... ეტყობა, შენს ოფისამდე თვითონ მოიტანა ან ვინმეს დაავალა მოტანა, მაგრამ, ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, ასეთ წერილს სხვას ვერ გამოატანდა – ხომ შეიძლება, ის ვილაც ზედმეტად ცნობისმოყვარე აღმოჩენილიყო და წერილი წაეკითხა?! გამორიცხული არაფერია, ამიტომ, ასეთ რისკზე არ წავიდოდა...

დიმიტრი ყურადღებით უსმენდა მზიას და გაოცებული იყო ამ სიცოცხლით სავსე გოგოს ლოგიკური აზროვნებით.

მზიამ პაუზა გააკეთა და დიმიტრის ჰკითხა:

– რატომ არაფერს მეუბნები, რამეს არასწორად ვამბობ?

– პირიქით, ისე ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვები მაგ წერილის ავტორს, რომ, მგონი, რამდენიმე წუთში კარზეც მივადგებით, დავუკაკუნებთ და ვკითხავთ: „უკაცრავად, გუგა სახლშია?"

– ვინ გუგა? – უცებ ვერ მიხვდა მზია.

– ჩემი ყოფილი ცოლის ყოფილი საქმრო.

– შენ გგონია, რომ ეს წერილი გუგამ გამოგიგზავნა?

– აბა, სხვა ვინ მოიგონებდა ასეთ შურისმაძიებლურ ტექსტს? თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ გუგა იყო.

– მოიცა, ნუ ჩქარობ. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, მაგრამ, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ.

– გეუბნები, ეგ იქნება, სხვა არავინ. ეგ გადამეკიდა მტრად მას მერე, რაც ნანიტა წავართვი.

– ისე, ბატონო დიმიტრი, არ გეწყინოს, მაგრამ, არც ისე პატარა მიზეზია გადასაკიდებლად, მაგრამ, დავიჯერო, მეტი მტერი არავინ გყავს?

– მტრების მეტი რა მყავს, ცვენაზე არიან, შენ მოკეთე თქვი თორემ... – ჩაილაპარაკა დიმიტრიმ.

– ჰოდა, მაცადე, მივიდე ბოლომდე.

– კარგი, ბატონო, ყურადღებით გისმენ. წეღან მისაყვედურე, რატომ არაფერს მეუბნები, ახლა – მაცალეო... ველარ გავიგე, რა ვქნა, – გაიბუტასავით დიმიტრი, მაგრამ მერე ისევ სძლია ინტერესმა და მზია თვითონვე დააჩქარა: – მიდი, რაღას გაჩერდი, სული დამელია შენს ლოდინში. მე მგონი, სწორი გზით მიდიხარ. სად შეჩერდი?

მზიას ესიამოვნა შექება და უფრო ენერგიულად განაგრძო:

– შევჩერდი იქ, რომ წერილს სხვას არ გამოატანდა. ანუ, გამოდის, რომ თვითონ მოიტანა, მაგრამ... – და გოგომ მრავალმნიშვნელოვნად აზიდა წარბები.

– მაგრამ?! – ვერ მოითმინა დიმიტრიმ.

– თქვენი ოფისის შესასვლელში დამონტაჟებულია ვიდეოთვალი? – იკითხა უცებ „მის მარპლმა".

– რა თქმა უნდა!

– ეს ყველამ იცის?

– თავისთავად ცხადია.

– ანუ, სავარაუდოდ, წერილის ავტორსაც ეცოდინებოდა.

– გუგა თვითონ მუშაობდა იქ და, ეცოდინებოდა, აბა რა! – ვერ მოითმინა დიმიტრიმ.

– ბატონო დიმიტრი, მოიცადე, გუგამდეც მივალთ, თუ საჭირო გახდა. შენი ნათქვამიდან ისე გამოდის, ვინც თქვენთან არ მუშაობდა, არ იცოდა ვიდეოთვალის არსებობა?

– როგორ არა, ყველამ იცის, რომ ნებისმიერ ოფისს შესასვლელშიც და სხვაგანაც აქვს ვიდეოთვალი, მერე რა?

– მერე ის, რომ, წერილის ავტორმა, შეიძლება, ოფისის კარამდე თვითონ მიიტანა კონვერტი ისე, რომ „თვალს" არ დაეფიქსირებინა, იქ კი ვინმეს სთხოვა, შენი კაბინეტის კარის წინ დაედო.

– ვის, თანამშრომელს?! ხომ მაშინვე გაიშიფრებოდა და დაცვა აიყვანდა?

– არა, რატომ – თანამშრომელს? იქ ხომ უამრავი ხალხი შედი-გამოდის.

– ჰო, მაგრამ, ჩემს კართან კონვერტის შეუმჩნევლად დადგება გამორიცხულია... მოიცა, გამახსენდა! მდივანმა ის კონვერტი რომ შემომიტანა, მითხრა, კურიერმა იპოვა გარეთა კართან და, რადგან თქვენი სახელი და გვარი ეწერა, მე დამიტოვაო.

– გასაგებია... – ჩაილაპარაკა მზიამ, – ახლა უნდა დაურეკო შენი დაცვის სამსახურს და ვიდეოთვალის იმ დღის ჩანაწერი უნდა მოატანინო.

– აქ? – გაუკვირდა დიმიტრის.

– აქ, აბა სად? შენთვის ჯერ არ შეიძლება ასეთ მანძილზე წასვლა-წამოსვლა და დიდხანს ფეხზე დგომა. ნუ გეშინია, მოვახერხებ, რომ აქ ვნახოთ ის ჩანაწერი. კონვერტის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით ამოიწურა. ახლა წერილზე გადავიდეთ.

– გუგას დაწერილია-მეთქი! – ისევ წამოიყვირა დიმიტრიმ.

მზიამ ყურადღება აღარ მიაქცია თავისი პაციენტის გამოხტომებს და წერილის კვლევა დაიწყო: ჯერ გულდასმით დაათვალიერა ორივე მხრიდან, მერე კი რამდენჯერმე წაიკითხა ტექსტი, ოლონდ, ჩუმად, თავისთვის, რომ ავადმყოფი არ გაენერვიულებინა, შემდეგ კი ხმამაღლა გამოაცხადა:

– თუ გინდა, დაგენიძლავები, რომ ამ წერილის ავტორი ქალია! თანაც, მართლწერასთან მწყრალად არ უნდა იყოს – საერთოდ არ აქვს შეცდომები.

– საიდან მიხვდი, რომ ქალია? – დაეჭვდა დიმიტრი, – ხელით ნაწერი რომ იყოს, კიდევ შეიძლებოდა, მეფიქრა, რომ კალიგრაფიით გამოიცანი, მაგრამ, მანდ ხომ კომპიუტერზე აკრეფილი ტექსტია?

– მართალი ხარ, ბატონო დიმიტრი, მაგრამ, შრიფტს შეხედე – მსხვილი და მრგვალია; კაცი კი წვრილ შრიფტს აირჩევდა. თანაც, ეს ფურცელი პატარა კონვერტში იყო ჩადებული. კაცი უფრო დიდ კონვერტს იყიდდა. გარდა ამისა, მუქარაც ქალურია, კაცი სულ სხვა რამეს დაწერდა, უფრო უხეშსა და უზრდელს.



მაგრამ, ქალია ამ წერილის დამწერი თუ კაცი, მისი ავტორი შენს უახლოეს წრეში უნდა ვეძებოთ.

– სადღა მყავს უახლოესი წრე, ყველა გავაქციე, – ჩაილაპარაკა დიმიტრიმ და ხელი ჩაიქნია.

– უახლოეს წრეში ვგულისხმობ შენს ყოფილ ცოლს, შვილებს, იმ ვილაც გუგას, ბოლოდროინდელ საყვარლებს და შენს პარტნიორებს.

– საიდან დავიწყოთ?

– რადგან შენ ასე ამოიჩემე, გუგათი დავიწყებ, მაგრამ, არ ვიცი, შემიშვებენ თუ არა მასთან პაემანზე, თუმცა, ამის „ჩაწყობა" ირაკლი ქებაძეს შეუძლია.

– რანაირად?

– ხომ გითხარი, გუგას დაკითხვებს გამომძიებლის თხოვნით ესწრებოდა-მეთქი, არა მგონია, ასეთ პატარა რამეზე იმ გამომძიებელმა უარი უთხრას.

– ეს არც ისეთი პატარა რამეა. მგონი, კანონით, მარტო ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს აქვთ პაემანზე შესვლის უფლება.

– არა მგონია, გამონაკლისები არ არსებობდეს.

– ეგ აღარ ვიცი, მაგრამ, ამ ყველაფრის გარდა, ეჭვი მეპარება, რომ ქებაძე რამეში დაგვეხმაროს. ხომ გახსოვს, იმ დღეს როგორ ცივად და უხეშად მითხრა, რომ არა ექიმის პროფესიაო... – გაიხსენა დიმიტრიმ.

– ჰო, მახსოვს, მაგრამ, ძალიან კეთილი კაცია, უკვე დაავიწყდებოდა მაშინდელი ემოცია. თუმცა, შენ მაშინ ისეთები მოგვიყევი, ბატონო დიმიტრი, ირაკლი კი არა, მეც კინაღამ თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი.

– ჰოდა, აქედან გამომდინარე, არაფერიც არ დაავიწყდებოდა...

– მე ვიცი, როგორც უნდა მოვიქცეთ და, არა მგონია, ვცდებოდე, – წამოიძახა მზიამ.

– როგორ? – გამოცოცხლდა დიმიტრი.

– როგორ და, ბატონი გიორგი მივუგზავნოთ ირაკლი ექიმს, მას ვათხოვნინოთ და უარს ვერ ეტყვის – ძალიან დიდ პატივს სცემენ ერთმანეთს.

– მგონი, მართალი ხარ, ხომ იცი, – გაუხარდა დიმიტრის.

– ვის რა უნდა ვთხოვო, ჩემო კარგებო? – გიორგი ისე მოულოდნელად დაადგა თავზე ძმასა და მის მომვლელს, რომ ორივე შეკრთა და შეშინებული მიაჩერდა მოლიმარ სახლის პატრონს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-10(689)**

## სიურპრიზი

თიკომ თვალები მოისრისა... არა, ნამდვილად არ ეჩვენებოდა – მის წინ... მის საწერ მაგიდაზე, არც მეტი, არც ნაკლები, ბროლის ფეხსაცმელი იდო... ნამდვილი – დიახ! ზუსტად ისეთი, კონკიას რომ ეცვა მეჯლისზე; აი, იმ მეჯლისზე, უფლისწული რომ გაიცნო... თიკომ ყურადღებით მიიხედ-მოიხედა ცოტათი დაეჭვებულმა, მაგრამ, ოფისის ჰოლი ცარიელი იყო. პრინციპში, კარი ხომ თვითონ გაალო გასაღებით. კიდევ ერთი წუთი და, ჯადოსნური სიზმარი დასრულდა – ვიღაცამ მხარზე მოჰკიდა ხელი და მაგრად შეანჯღრია:

– გოგო, რამ დაგაძინა ამ უთენია, სახლში ვერ გამოიძინე? თიკო, შენ გელაპარაკები, რას გაშტერებულხარ? ახლა რომ ვახო შემოსულიყო, რას აპირებდი?! – გიგის მოულოდნელად სიცილი აუტყდა. თიკომ უხეშად ჰკრა ხელი და შეუყვირა:

– მერჩივნა, ვახო შემოსულიყო, ვიდრე შენი იდიოტური სიფათი დამენახა... არადა, დარწმუნებული ვიყავი, რომ არ მეძინა, – ამოიოხრა გოგომ, – როგორი საზიზღარი და აუტანელი ხარ, თანაც ყოველთვის. რისთვის მოეთრიე?

– უცნაური შეკითხვაა. რას ნიშნავს, გოგო, რისთვის მოვეთრიე?! სამუშაო დღე დაიწყო, – გიგიმ საათზე დაიხედა, – ხუთ წუთში დაიწყება. მალე ყველა მოვა. ასე რომ, მადლიერი უნდა იყო ჩემი – სირცხვილს გადაგარჩინე, შენ კი მაინც ილანძღები...

თიკომ უკმაყოფილოდ აუქნია ხელი. გიგიმ გაიცინა:

– მართლა არ გეგონა, რომ გეძინა, ტო?! დედას გაფიცებ, არ გეგონა?

– აუ, თავიდან მომწყდი, რა... შენი დანახვაც არ მინდა...

– მდაა... ეტყობა, მაგარ სიზმარს ხედავდი და გაგიტყდა, რომ გაგაღვიძე.

– გამოიცანი, – მკვახედ მიუგო თიკომ.



– საინტერესოა, – მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა ბიჭმა, – ღრმად საინტერესო...

– რა არის საინტერესო? – გამოაჯავრა თიკომ, – შედი, რა, შენს ოთახში და ნუღარ მაღიზიანებ...

– სახლში რატომ ვერ გამოიძინე? აუ, მივხვდი – გვეშველა და კაცი გაიჩინე, ანუ, საპატიო მიზეზი გქონია. ღამეს გაათენებდი, აბა, რა! მიხარია. არ ვხუმრობ, გულწრფელი ვარ...

– გიგი! – იყვირა თიკომ, – თავიდან მომწყდი, ჭკუიდან არ შემშალო!

– კარგი, რამ გაგაცოფა, უკვე მივდივარ. აი, მიყურე, – გიგიმ ფეხაკრეფით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და შემინული კარი მძიმედ შეაღო.

თიკომ სახეზე აიფარა ხელები და ასლუკუნდა.

– ღმერთო, რა დაგიშავე... რა კარგად ვიყავი და, უცებ... – თიკომ ცრემლიანი თვალები მუჭით მოისრისა, – ღრუბლებიდან ეგრევე მიწაზე დავენარცხე, თანაც ისე, რომ გვერდები მწარედ დამეჟეჟა. სიზმარი ყოფილა... კი მაგრამ, ასე უცნაურად როგორ ჩამეძინა? ეს რაღაცას ნიშნავს... მოიცა, როგორ იყო?! ჰო, ყველაფერი იქ, იმ ოფისში ხდებოდა... ფეხსაცმელიც თითქოს ნამდვილი და რეალური ჩანდა. ვაიმე, მერე ვინ გამაღვიძა?.. გიგიმ! თუ ეს რამეს ნიშნავს, დავღუპულვარ და ის არის... – თიკო სერიოზულად ანერვიულდა.

– რა მოგივიდა, თიკუნ? – შუბლშეჭმუხნილსა და მოღუშულს ლაშა წამოადგა თავზე, – მოვიდა შეფობა?

– რომელი შეფობა? – უხალისოდ და სლუკუნით ჩაილაპარაკა თიკომ, – თუ ვახო გაინტერესებს, ჯერ არ მოსულა. გიგი თავის ოთახში ბრძანდება. მოსვლაც მოასწრო და ჩემთვის გუნების მოშხამვაც. ნამდვილი ურჩხულია. გამიხეთქა გული და ახლა, ალბათ, ბედნიერია.

ლაშამ უკმაყოფილოდ გადააქნია თავი:

– რატომ ვერ თანხმდებით? ასეთი რა გჭირთ, რომ ძაღლი და კატასავით კაწრავთ და უყეფთ ერთმანეთს?

– არ ვიცი. ეგ, მგონი, იმიტომ დაიბადა, რომ მე გამიმწაროს სიცოცხლე, – ისევ ასლუკუნდა თიკო, – რა უბედური ვარ... მთელი დღეა, აქ ვზივარ და არავინ მყავს გულშემატკივარი. ვახომაც ერთი ქალი როგორ ველარ მიიღო სამსახურში, რომ თქვენ წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდამჭერი მყოლოდა...

– კარგი რა, თიკუნა, აბა, მე როდის გებრძვი? საერთოდ არ განწუხებ, – მოლბა ლაშა და გულაჩუყებულმა მხარზე დაადო ხელი.

– აუ, მომშორდი რა, მარტო დამტოვე... მაცადე, საკუთარი თავი და უიღბლობა გამოვიტირო.

ლაშამ ამოიოხრა და ოთახში შევიდა. გიგი ღია ფანჯარასთან იდგა და სიგარეტს ეწეოდა. კარის ხმაზე შემობრუნდა.

– მოხვედი? მოდი ერთი აქ და იქით გაიხედე – ეს ქალები გამაგიჟებენ... სანამ არ მოკლავს ქმარი, არ მოისვენებს – კიდევ ახალი ჰყავს.

– მოცლილი ხარ? მეტი საქმე არ გაქვს? რას უთვლი საყვარლებს, რა შენი საქმეა? რაც უნდა და მოსწონს, ის უკეთებია, შენ რა განაღვლებს?

– ფსიქოლოგიური ტრაქტატი უნდა დავწერო ქალებსა და მათ უცნაურობებზე. ზოგი ისეთი ორიგინალური შეგხვდება, გაოგნდები.

– შენ არ ამტკიცებდი, ყველა ქალი ერთნაირიაო?

გიგიმ თავი გააქნია.

– უკვე ეჭვი მეპარება და ჩემს ადრინდელ მოსაზრებებს უნდა გადავხედო – გუშინ ერთმა ქალმა სერიოზულად შეარყია ისინი.

ლაშამ ეჭვით შეხედა მოღიმარ გიგის.

– ახალი გყავს ვინმე? მოკლედ, დროს არ კარგავ, მაგარი ხარ!

– არა, ტო, არავინაც არ მყავს. ნინის მერე სერიოზული არავისთან არაფერი მქონია და მე თვითონ მიკვირს... რაღაცნაირად, ინტერესი გამიქრა.

– ვერ ყოფილა შენი საქმე კარგად. დრო ხომ არ არის, ექიმს მიმართო? – დასცინა ლაშამ.

– სულაც არ არის სასაცილო და, რაც შენ იგულისხმე, ეგ საერთოდ არაფერ შუაშია... უბრალოდ, დაფიქრებისა და ღირებულებების გადაფასების პერიოდი მაქვს... თუმცა, რას გიხსნი, საერთოდ არ გაინტერესებს.

– უბრალოდ, შენგან მიკვირს ასეთი აზრები.

– რატომ? არც ისეთი ქარაფშუტა ვარ, როგორც ეს სხვებს ჰქონიათ.

– რა ვიცი, ისე იქცევი, რომ... – მხრები აიჩეჩა ლაშამ.

– როგორ ვიქცევი?

– როგორ და... ახლავე გეტყვი – უპასუხისმგებლოდ, თუნდაც თიკოსთან დამოკიდებულებაში. დიაუთენია რომ აატირე ის გოგო, რას ერჩოდი? წავა ეგ აქედან და პასუხს ვახოსთან შენ აგებ, იცოდე.

– სად წავა, რატომ წავა, რა დავუშავე საერთოდ და რატომ მართავს სპექტაკლებს? არაფერი დამიშავებია, მართლა.

– გადი და ნახე, რა დღეშია. სერიოზულად გეუბნები, თუ ვახოც ცუდ გუნებაზე, ანუ მარცხენა ფეხზე ამდგარი მოვიდა, სერიოზული ჩხუბი იქნება.

გიგიმ ამოიოხრა და ფანჯარა დახურა:

– არადა, როგორ მაინტერესებდა, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი. მოუსწრებდა თუ არა ქმარი და როგორ დაიძვრენდა თავს ქალბატონი...

– ჩვენს ქალბატონს მიხედე აქ, ახლა ეს უფრო მნიშვნელოვანია, დამიჯერე.

– ვაა, რას მერჩის, რა უნდა, ეძინა და გავაღვიძე, სულ ეს იყო და კიდევ ეგ ტირის? ის ჯობდა, ვახოს ენახა მაგიდასთან ჩაძინებული? ვა, გადამრევს ეს ხალხი...

– ვის ეძინა მაგიდასთან, თიკოს? – გაუკვირდა ლაშას, – შეუძლებელია!

– ვითომ რატომ არის შეუძლებელი? ძილი არ ეკარება მის ლამაზ თვალებს თუ მე ვარ ქრონიკული და პათოლოგიური მატყუარა? – გაცხარდა გიგი.

– უბრალოდ, ვერ წარმოვიდგინე, – მხრები აიჩეჩა ლაშამ, – ჩემს შემთხვევაში უფრო რეალური იქნებოდა ეგ ამბავი. ბავშვს კბილები ამოსდის და ლამის ყოველ ღამეს გვათენებინებს. დაგვქანცა მეც და დედამისიც...

კარი გაიღო და ოთახში ზუკა შემოვიდა:

– გამარჯობა! რა ხდება, რა გჭირთ ყველას?

– პრობლემები გაგვიმწვავდა, – ხელები გაშალა გიგიმ, – ლაშას ბავშვი არ აძინებს, თიკოს ვინ არ აძინებს, ეგ უკვე აღარ ვიცი და, საერთოდაც, გამოუძინებლობის ნიადაგზე გაჩენილ დეპრესიაზე საშინელი არაფერი არ არის... შენ, რაღაც კარგ გუნებაზე ჩანხარ.

– ჰო, არა მიშავს. თქვენგან განსხვავებით, კარგად მეძინა, – გაიცინა ზუკამ, – რა იყო?

– სალაპარაკო მაქვს შენთან.

– რაზე? – დაეჭვდა ზუკა.

– შეკვეთაზე, – გიგიმ მკლავზე მოჰკიდა ხელი მეგობარს და ოთახიდან თითქმის ძალით გაათრია.

– რა გინდა, სად მექაჩები? – გააპროტესტა ზუკამ, – თიკო არ გეყო და ახლა მეც უნდა მომიშალო ნერვები?

– ოჰ, შემოგჩივლა უკვე?

– არაფერიც არ შემოუჩივლია. ძალიან მარტივი ამოცანა ამოვხსენი. ამჯერად რას ერჩოდი?

– არაფერს. მართლა არაფერს და ნუ მომაყოლებ ახლა თავიდან.

– შენი ამბავი რომ ვიცი, ერთ სიტყვას ეტყოდი იმისთანას...

– დაანებე თიკოს თავი და შენზე ვილაპარაკოთ, – ერთბაშად დასერიოზულდა გიგი, – ბიჭო, გუშინ ლიზა ვნახე...

ლიზას ხსენება საკმარისი აღმოჩნდა, რომ ზუკას ფეხები აჰკანკალებოდა და ფერი წასვლოდა...

– მატყუებ! – წამოიყვირა და ფანჯრის რაფას მოებღაუჭა.

– არა. რატომ უნდა მოგატყუო? შენც ხომ იცი, ვისი ცოლია, ჰოდა, შევხვდი, რომ შეკვეთის დეტალებზე გვესაუბრა.

ზუკა ცოტა ხანს ჩუმად იყო, მერე კი იფეთქა:

– უსინდისო ხარ! უსინდისო კიდევ რბილად ნათქვამია, საზიზღარი არსება! არც კი ვიცი, რა გიწოდო. ყველას ამწარებ და სიცოცხლეს ჯოჯოხეთად უქცევ. მითხარი, რა უთხარი ჩემს ლიზას?

– ნუ გიჟდები და ისტერიული ქალივით ნუ წივი, ადამიანურად ვილაპარაკოთ.

– შენთან ვილაპარაკო ადამიანურად? გიგი, რა გინდა ჩემგან? რამე დაგიშავე? ასეთი ბოროტი რატომ ხარ?

– არ ვარ ბოროტი... რა ჩემი ბრალია, რომ ვახომ მე გამგზავნა? საქმე არ გამეკეთებინა? ჰოდა, იქ ლიზაც იყო.

– რატომ?

– რას ნიშნავს – რატომ? იმიტომ, რომ ეგ ბიზნესი მისი და მისი ქმრისაა. ლიზა ძალიან აქტიურად არის ამ ყველაფერში ჩართული და, მინდა გითხრა, რომ საკმაოდ ჭკვიანია.

– ეგ არ მაინტერესებს, – გააწყვეტინა ზუკამ.

– აბა, რა გაინტერესებს?

– ჩემზე ილაპარაკეთ?

– ვილაპარაკეთ, – ამოიოხრა გიგიმ, – შეგიძლია, მშვიდად მომისმინო?

– არ ვიცი, ვერ შეგპირდები.

– მაშინ, საერთოდ გავჩუმდები.

– ამ შანტაჟს მოეშვი და ყველაფერი მითხარი, რაც ლიზამ ჩემზე თქვა. ერთი სიტყვა არ გამოგრჩეს, იცოდე...

– შანტაჟის დიდოსტატი შენ ყოფილხარ. მე მაგდენს ვერ გავქაჩავ, – ჩაიცინა გიგიმ, – ლიზას შენ არ სჭირდები.

– თვითონ გითხრა?

– ჰო. გარდა ამისა, ძალიან არ უნდა, რომ წვეულებაზე წამოხვიდე.

ზუკას ტუჩები აუკანკალდა:

– იდიოტი ხარ.

– მე რატომ, ტო, მე რას მერჩი? – გაოცებით გაშალა ხელები გიგიმ.

– იმიტომ, რომ ფეხებზე გკიდივარ. დარწმუნებული ვარ, ლიზას შენ ურჩიე ეს სისულელე.

– რა სისულელე, რას ამბობ?

– რომ მე იქ არ მივიდე.

გიგიმ ამოიოხრა:

– ასეც რომ იყოს, რა არის ამაში ცუდი ან არასწორი?

– არაფერი, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ მოღალატე ხარ.

– რატომ, გამაგებინე, რატომ? სკანდალის მომხრე რომ არ ვარ, იმიტომ?

– დიახ. თანაც, არ მესმის, რა სკანდალზე ლაპარაკობ.

– რომ არ გესმის, ეგაა უბედურება და მთავარი პრობლემა. სხვათა შორის, მე ლიზასი კარგად მესმის.

– ჰო?! ხომ არ შეგიყვარდა კიდეც? უკვე დაეჩალიჩე?

– ნუ ხარ, ბიჭო, იდიოტი. რას ნიშნავს „დავეჩალიჩე“, სულ გააფრინე? ქმარი ჰყავს იმ ქალს და ბავშვს ელოდება. ასეთი უზნეოც კი არ ვარ!

– დიდი ხანია, მორალსა და მაღალ ზნეობას ქადაგებ? როდის აქეთ გახდა ქმარი შენთვის დაბრკოლება?

გიგიმ შეურაცხყოფილი კაცის გამომეტყველება მიიღო:

– ერთი კარგად გაიხსენე, ჰო, გაიხსენე, როდისმე მქონია გათხოვილ ქალთან რომანი? შენ რომ ლიზას დაუახლოვდი, თავიდანვე არ გეუბნებოდი, ეგ ამბავი ცუდად დამთავრდება-მეთქი? შეიძლება, მე ნინისთან ერთგულება ვერ გავქაჩე, მაგრამ, ქმრიან ქალს არ ავტორღიალებივარ.

– მე ვეტორღიალები ლიზას? ამის თქმა გინდა? – გაცხარდა ზუკა, – ამის მერე კიდევ იტყვი, რომ უსინდისო არა ხარ?

– ბიჭო, შენ ლიზა გიყვარს? – ბოლო საშუალებას მიმართა გიგიმ.

– მერე?

– არა, ასე არა. მიპასუხე, მართლა გიყვარს?

– ძალიან მიყვარს, ძალიან... ეჭვი გეპარება ამაში?

გიგიმ მხრები აიჩეჩა:

– რა ვიცი... მე რომ ადამიანი მიყვარს, მისთვის დისკომფორტის შექმნას არ ვცდილობ. საყვარელი ქალი ჩემი ეგოიზმის გამო რატომ უნდა ვანერვიულო?

– ნინი არ იყო შენი საყვარელი ქალი? რაც შენ ეგ ანერვიულე...

– ჰოდა, ვნანობ. მაგის მერე ჭკუა ვისწავლე და არ მინდა, შენც გაიმეორო ჩემი შეცდომა.

– რას მთხოვ? პირდაპირ მითხარი.

– ან არ წამოხვიდე იმ წვეულებაზე, ან ისე მოიქეცი, ლიზას პრობლემა არ შეექმნას.

– ახლა იმის ბანაკში გადაბარგდი?

– ზუკა, სულ ნუ აურიე. შენს ბანაკში რომ ვარ, იმიტომ დავღალე



ენა ამდენი ლაპარაკით. და, კიდევ ერთს გეტყვი: ის კაცი იმსახურებს პატივისცემას!

– ვისზე ამბობ?

– ლიზას ქმარზე, იმ ლევანზე. ღირსეული ადამიანია. ოღონდ, არ მითხრა ახლა რომ ღირსეულ კაცებს ცოლები არ ღალატობენ. მეც ასე ვფიქრებდი, მაგრამ, ლევანის გაცნობის შემდეგ აზრი მთლიანად შევიცვალე. თავისი ცოლიც ძალიან უყვარს. მართლა უყვარს, უანგაროდ და ქალღმერთივით. ასე რომ, დამშვიდდი და აზრზე მოდი...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-10(689)

– მე აქ არცთუ ისე ცოტა შემიძლია, მაგრამ მართლაც დიდი საშიშროების წინაშე დგახარ. შენი უსაფრთხოების გარანტია არ არსებობს. პატიმრებს შორის თუ არა, კოლონიის თანამშრომლებში მაინც იპოვიან შემსრულებელს და მოგკლავენ. ამიტომ, შენი დიდხანს აქ გაჩერება არ შეიძლება.

– ასეც ვიცოდი და ტყუილად არ მეშინოდა, – მითხრა ვანომ და მკითხა, – აქედან სად წავალ?

– უნდა გაიქცე და დაიმალო.

– როგორ? სად? – ხელი ჩაიქნია ვანომ და აცრემლებული მზერა მომაპყრო.

– გაქცევაში მე დაგეხმარები და დასამალ ადგილზეც გაგიშვებ, მაგრამ როდემდე დაიმალები?

– აბა, რა უნდა ვქნა?

– უცხოეთში გაიქეცი და შენი წამალი დააპატენტე, რაც მილიონრად გაქცევს, – ვუთხარი ვანოს და თვალი ჩავუკარი, – იქ შენ ფეხებს ვერავინ მოგჭამს. პირიქით, ხელის გულზე დაგისვამენ.

ვანო ისე იყო შეშინებული, ბოლომდე არ მენდობოდა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა. მე კი, ყველაზე საიმედო პატიმრებს გავანდე ვანოს ამბავი და ის მათ ზონიდან გააქციეს. გენიოსი ექიმი-ალერგოლოგი მატარებლით გავიდა კოლონიიდან, რომელსაც ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში პატიმრების მიერ დამზადებული კარადები მიჰქონდა. სწორედ ერთ-ერთ ასეთ კარადაში იჯდა ვანო. გაქცევის წინ მას მოსკოვის ერთ-ერთი კონსპირაციული ბინის მისამართი მივეცი და ვუთხარი:

– ჩემი სახელით მიხვალ, ეტყვი, რომ პაზეგში ხარ და ყველაფერში დაგეხმარებიან. აბა, ღმერთი გფარავდეს, ბედნიერად!

ვანო გადამეხვია და აცრემლებულმა მითხრა:

– შენი დიდი მადლობელი ვარ, კობრა და ამ სიკეთეს არასოდეს დაგივიწყებ. სიცოცხლის ბოლომდე შენი მევალე ვარ და ამ სიკეთეს ვერასდროს გადაგიხდი.

ვანომ მშვიდობიანად ჩააღწია მოსკოვში. შემდეგ კი იქიდან ფინეთში გადავიდა, ოკეანე გადასერა და ამჟამად ამერიკის კონტინენტზე მოღვაწეობს. როგორც ვვარაუდობდი, ამჟამად ის მილიონერი, საყოველთაოდ ცნობილი ექიმია და რაც მთავარია, თავს უსაფრთხოდ და კომფორტულად გრძნობს. სანამ ექიმობით გაითქვამდა სახელს, ვანომ თავისი საბჭოური ცხოვრების შესახებ წიგნი დაწერა, რომელიც ბესტსელერად იქცა და დიდი ტირაჟით გაიყიდა. ეს წიგნი მეც წაკითხული მაქვს. მეც ვარ მოხსენიებული, მაგრამ, რა თქმა უნდა, სხვა სახელითა და სტატუსით, რომ არ გავშიფრულიყავი. ვანომ, რამდენჯერმე დიდი გრევი გამიკეთა როგორც ზონაში, ასევე სვაბოდაზე. ერთი სიტყვით, სიკეთე მას არ დავიწყებია. თუმცა, სამშობლოში ჩამოსვლა შავი ჭირივით არ უნდა და ღმერთმა უწყის, მოუნდება თუ არა ოდესმე ამის გაკეთება.

რაც ვანოს შეემთხვა, მსგავსი ისტორია ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ხდება და განაწყენებული მასა თითქმის ყოველთვის ბლოკს უკრავს გამორჩეულ ინდივიდს, მის ჩაძირვას ცდილობს, რასაც, არცთუ იშვიათად, ახერხებს კიდეც. ამ მხრივ, გამონაკლისი არც ქურდული სამყაროა და ჩემს კოლეგებსაც არაერთხელ შეუკრავთ ბლოკი, ჩვენი საძმოს რომელიმე წევრისთვის. ჯერ კიდევ გაგანია კომუნისტური წყობის დროს, ჩვენმა ახალგაზრდა ძმამ და კოლეგამ გივი დოჩიამ, მეტსახელად „ქერამ“ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა საქართველოს კრიმინალურ სამყაროში, რაც ზოგიერთ მის კოლეგას არ ეპიტნავა და გივის გაფუჭება გადაწყვიტეს. თუმცა, ქერა ძალიან პატიოსანი და ჭკვიანი პიროვნება იყო და მისი კომპრომეტირება რთულ საქმეს წარმოადგენდა. გივი არც ხარბი იყო, არც მექალთანე და არც ნარკომანი. ის ყოველთვის ზუსტად იცავდა ნებმანულ ქურდულ ტრადიციებს და თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, „გამჭვირვალედ“ მოქმედებდა, რა თქმა უნდა, ჩვენს წრეში. ანუ, ქურდულმა სხოდკამ ყოველთვის ზუსტად იცოდა, სად და როგორ მიდიოდა მის მიერ ნაშოვნი თითოეული კაპიკი. ასეთ გამჭვირვალობას, თან ერთი მინუსიც ახლავს – ინფორმაციის გაჟონვის დიდი ალბათობა არსებობს. მაგრამ, ქერა სუფთად მუშაობდა და მიუხედავად იმისა, რომ მილიციას არაერთხელ დაუკავებია, ყოველთვის უშვებდნენ, რადგან დანაშაულს ვერ უმტკიცებდნენ. აშკარა იყო, რომ ჩვენს წრეში ჩამშვები მოქმედებდა, მაგრამ მისი ალმოჩენა ვერ ხერხდებოდა. პირადად ვერავის დაადებდი ხელს, რადგან ამას დამამტკიცებელი საბუთები სჭირდებოდა. ვარაუდის დონეზე ლაპარაკი კი ჩვენში არ მოსულა. შეიძლება, ვარაუდი მართალიც კი იყოს, მაგრამ ვინც ამ ვარაუდს უტყუარ ფაქტს არ მოაყოლებდა, აუცილებლად წააგებდა თავს.



ერთხელ ქერამ და მისმა პაძელნიკმა, პირობითად მას კაკო ვუწოდოთ, ქუთაისში ერთი ფაშისტის სახლი გაქურდეს და ტავარი კაკომ წაიღო ბარიგასთან სოჭში. თუმცა ის გაუჩინარდა და ერთი კვირის მერე მტკვარში იპოვეს. კაკო გაგუდული იყო და ორგანიზმში ალკოჰოლის დიდი დოზა აღმოუჩინეს. ნაქურდალი საქონელი არსად ჩანდა. სოჭელმა ბარიგამ თქვა, რომ კაკო მასთან არ ყოფილა. აშკარა იყო, რომ კაკო ჯერ დაათვრეს და შემდეგ მოკლეს, ხოლო ნაქურდალი საქონელი გაიტაცეს. მილიციამ მკვლელობის მუხლით საქმე აღძრა და გამოძიება დაიწყო. მალე ქერა აიყვანეს და პაძელნიკის მკვლელობაში დასდეს ბრალი. გივი დოჩიას სასაცილოდაც კი არ ჰყოფნიდა ეს ბრალდება და მართალია, ქურდობაში მონაწილეობის ფაქტს აღიარებდა, მაგრამ მეგობრის მკვლელობას კატეგორიულად უარყოფდა.

– დოჩია, შენ ხომ ქურდი ხარ და არა მკვლელი. რატომ მოკალი კაკო, რა ვერ გაიყავით, – ეუბნებოდა გამომძიებელი ქერას, ის კი პასუხობდა:

– ქურდობაში მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გამოვტყდი, რომ მკვლელობაში ჩემი მონაწილეობის აბსურდულობა დაგენახათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემგან ამ აღიარებას ვერ მიიღებდით.

– მე კი ვფიქრობ, რომ ამ აღიარებით შენ უფრო დიდი დანაშაულიდან გინდა თავის დაძვრენა და კაკო შენი მოკლულია, – იმეორებდა გამომძიებელი.

– მაშინ, დამიმტკიცეთ!

– დაგიმტკიცებთ კიდეც, მაგის დროც მალე მოვა, – ამბობდა გამომძიებელი და ერთ მშვენიერ დღეს ქერას ეზოში მდებარე სარდაფიდან, რომელიც დოჩიებს ეკუთვნოდა, ქუთაისში მოპარული ნივთები ამოიღეს. მხოლოდ რამდენიმე ძვირფასი სამკაული აკლდა და ისინიც ორი დღის შემდეგ, ერთი ქალის ბინაში იპოვეს, რომელიც ქერას საყვარელი იყო. ქალი ამბობდა, რომ ეს ნივთები მას გივი დოჩიამ აჩუქა. დაპირისპირებაზე ქალმა ეს სიტყვები გაიმეორა და ის ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილის საფუძველზე, სახლში გაუშვეს. ქერა, რა თქმა უნდა, ყველაფერს კატეგორიულად უარყოფდა და ამბობდა, ეს ყველაფერი მოწყობილია. ჩემი საყვარელი კი დააშინეს და ჩვენება მუქარის შედეგად მიაცემინესო. თუმცა, კრიმინალურ სამყაროში მას რეპუტაცია შეურყიეს და ქურდების უმრავლესობა სხოდკის მოწვევას და ქერასთვის ტიტულის აყრას მოითხოვდა. ერთი კვირის შემდეგ, ამ საქმის ერთადერთი მოწმე, დოჩიას საყვარელი მოკლეს. ამას მოჰყვა ჭორები, რომ ეს მკვლელობა ქერას ორგანიზებული იყო ბრალდებიდან თავის დასაძვრენად. ამით მისი რეპუტაცია კიდევ უფრო შეირყა და თითქმის ყველა ქურდი აუმხედრდა. მე და ბერძენას არ გვჯეროდა ქერას დანაშაულის და ყოველ ღონეს ვხმარობდი მის გასამართლებლად.

– ბერძენ, ძმაო, რამე უნდა ვიღონოთ, თორემ ქერას ტყუილად გააფუჭებენ. ამით კი ძაღლები და ზოგიერთი ნაბოზარი ჩვენი ძმა იხეირებს, – ვუთხარი ბერძენას, მან კი მკითხა:

– მაინც, ვისზე გაქვს ეჭვი?

– ტაბულაზე, – ვუთხარი ბერძენას, მას კი გაეცინა:

– მეც მასე ვფიქრობ. ჩემი აზრით, ტაბულა ნასედკაა, ძაღლებთანაა შეკრული და მათ გაუჩალიჩეს ქერას. თანაც, ყველაზე პასიური ქერას ლანძღვაში ისაა. ეს კი ძალიან საეჭვოა.

– ათიანში მოარტყი, მეც ზუსტად მასე ვფიქრობ, მაგრამ, როგორ გინდა, ეს ყველაფერი დაამტკიცო?

– არ ვიცი, – თავი გააქნია ბერძენამ.

– მე ვიცი.

– როგორ?

– როგორ და ქურდული სამართალი რომ აღვასრულოთ, ამ შემთხვევაში, ქურდულ კანონს უნდა გადავუხვიოთ.

ბერძენა წმინდა წყლის ნეპმანელი იყო და ქურდული კანონებიდან მილიმეტრით გადახვევაც კი საშინელ ცოდვად მიაჩნდა. თუმცა ქერას უდანაშაულობაში აბსოლუტურად დარწმუნებული იყო. ის ორ ცეცხლს შუა იდგა და არჩევნის გაკეთება უჭირდა. კარგა ხნის პაუზის მერე, მკითხა:

– რის გაკეთებას ფიქრობ?

– მარტივი და ეფექტური რამის. ტაბულა უნდა დავითრიოთ და ძალით ვათქმევინოთ ყველაფერი.

– რას ამბობ, კობრა, ეგ როგორ შეიძლება?

– აბა, სხვაგვარად ქერა დაილუპება.

– ტაბულა რომ უდანაშაულო იყოს, მაშინ?

– დამნაშავეა ეგ ბოზი, დარწმუნებული ვარ.

– და მაინც, რომ არ იყოს?

– იქნება, იქნება, ბერძენ! ხოლო თუ ტაბულა მართლა უდანაშაულო აღმოჩნდა, მაშინ თავს მოვიკლავ. რას იტყვი, მომყვები?

– მოგყვები, – მტკიცედ მითხრა ბერძენამ.

ტაბულა მე და ბერძენამ თავისსავე სახლის სადარბაზოში დავითრიეთ და ერთ სარდაფში ჩავათრიეთ. ძელზე ფეხით დავკიდეთ და ვუთხარი:

– აბა, ტაბულ, შე ბოზო, თუ არ გინდა, რომ დაგბრიდო, თქვი, ქერას როგორ გაუჩალიჩეთ.

– კობრა, შე თავად ბოზო, რას მერჩი, რა ნახალკას მტენი, – უკან არ დაიხია ტაბულამ, რაც მოსალოდნელიც იყო. მაგრამ, უკან არც მე დამიხევია და პირქვედაკიდებულ ტაბულას ჯერ რამდენჯერმე ნეკნებში მოვდე კომბალი, შემდეგ კი ვკითხე:

– გეყოფა და ყველაფერს იტყვი, თუ უფრო მაგრად დაგცხო?

– შენ რა, გაგიჟდი? რას მტენი, ბიჭო, რა ძაღლივით მექცევი?

ტაბულას ცემა განვაახლე და მანამდე არ გავჩერებულვარ, სანამ თვითონ არ დამიწყო ხვეწნა და ატირდა:

– გეყოფა, გეყოფა, კობრა, ყველაფერს გეტყვი, ოღონდ აღარ მცემო.

მე კომბალი დავუშვი და ტაბულას ვუთხარი:

– აბა, მიდი, გისმენ!

– კობრა, ძმაო, ნამდვილად არ მინდოდა ასეთი რამის გაკეთება და მაიძულეს. ძაღლებმა მაიძულეს.

– როგორ გაიძულეს.

– ზაქროს ცოლთან გამომიჭირეს და ამით შემაშინეს.

ზაქრო ჩვენი კოლეგა იყო, რომელიც ციმბირში იხდიდა სროკს და ნამდვილად არ მეგონა, თუ მისი ცოლი ბოზობდა. ამიტომ, ორმაგად გავმწარდი, ტაბულას ნეკნებში მაგრად მოვდე და ვუთხარი:

– შე ტრაკო, შე ნაბოზარო! ეგ როგორ იკადრე? ჩქარა გააგრძელე!

ტაბულამ ერთხანს იყმუვლა და ბოლოს თქვა:

– ქუთაისის ბაითის ამბავი კაკოსგან ვიცოდი. ეს ყველაფერი ძაღლებს მოვუყევი და კომბინაციაც მათ დაალაგეს. კაკო მე დავათვრე და გავგუდე. შემდეგ კი ძაღლების დახმარებით მტკვარში გადავაგდე. მოპარული ტავარი დოჩიასთან და მის საყვარელთან ძაღლებმა ჩადეს და ქალიც მათ დაბრიდეს.



– კიდევ, კიდევ რას იტყვი? – ვღრიალებდი და ტაბულას ნეკნებში ვურტყამდი კომბალს. ბერძენამ კი ერთი წიხლი ამოსცხო თავში ტაბულას, მე მხარზე ხელი მომხვია და მითხრა:

– მეტი რაღა უნდა თქვას. თავისი დანაშაული აღიარა და ძაღლების გვარებიც დაასახელა. არ შემოგვაკვდეს. წავედით, საქმეს მივხედოთ, თან ეს მძორიც წავიყვანოთ. რაც მთავარია, კასეტაც წამოიღე, რომ შემდეგ ამ ნაბოზარმა თავისი ნათქვამი არ გადათქვას.

მე და ბერძენამ ტაბულა სხოდკაზე მივათრიეთ, ჩვენს კოლეგებს ბოდიში მოვუხადეთ და ჩანაწერი მოვასმენინეთ, ბოლოს კი ვთქვი:

– მართალია, ქურდულ კანონს გადავუხვიეთ, მაგრამ სხვაგვარად სიმართლეს ვერ გავარკვევდით და უდანაშაულო ჩვენი ძმა დაილუპებოდა.

– სწორად მოიქეცით და არანაირი კანონი არ დაგირღვევიათ, – გვითხრა ერთმა ძალიან ავტორიტეტულმა ქურდმა, რომელიც დღესაც ცოცხალია და მას სხვებიც დაეთანხმნენ.

ტაბულას სხოდკამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, რომელიც სისრულეში იქნა მოყვანილი. სიკვდილით დაისაჯნენ კაკოსა და ქერას საყვარლის მკვლელობაში გარეული მილიციელებიც, ქერამ კი მხოლოდ ქურდობისთვის მოიხადა სროკი. ხუთ წელიწადში გათავისუფლდა, მაგრამ ჩვენთან აღარ დაბრუნებულა. მან ნებაყოფლობით თქვა უარი ქურდობაზე, ბერად აღიკვეცა და სასულიერო მოღვაწეობას შეუდგა. სხვათა შორის, ქერას ცოტა ხნის წინ შევხვდი. ერთ საღამოს სახლში ჯდომა მომბეზრდა, თანაც ეკლესიაში წასვლა მომინდა. რადგან პაბეგში ვიყავი, ქუდი დავიხურე, მუქი სათვალე გავიკეთე და სამების ტაძარში ავედი. იმ დღეს სამებაში მაინცდამაინც ბევრი ხალხი არ იყო. სამი სანთელი დავანთე და უკვე ტაძრიდან გამოსვლას ვაპირებდი, როდესაც ჩემთან მორჩილი მოვიდა და მკითხა:

– თქვენი გვარი გველესიანია?

მიუხედავად იმისა, რომ არალეგალურ მდგომარეობაზე ვიმყოფებოდი და ვიმალებოდი, მორჩილს მივუგე:

– დიახ. გველესიანი ვარ.

– გოგია გქვიათ?

– დიახ.

– წამომყევით. მამა პეტრე გიხმობთ.

მორჩილს მორჩილად გავყევი. მან პატარა ოთახში შემიყვანა, თვითონ კი წავიდა.

შუა ოთახში სასულიერო სამოსში გამოწყობილი მამაკაცი იდგა, რომელმაც ჯვარი გადამსახა და მითხრა:

– მშვიდობა შენს მობრძანებას.

– ქერა? – აღმომხდა მე, მაგრამ იქვე დავამატე, – ბოდიში, მამა პეტრე.

მამა პეტრე ჩემკენ წამოვიდა, გადამეხვია და მითხრა:

– როგორ ხარ, გიორგი. რამდენი ხანია, ერთმანეთს არ შევხვედრივართ.


**ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**



– შენ როგორ ხარ, მამაო. მართლაც ძალიან დიდი დრო გავიდა.

– რა მიშავს. უფალს ვემსახურები. შენ?

– მე პაბეგში ვარ, მამაო... „სოდი“ მეძებს.

– ეგ ცუდია. ალბათ, ისევ ქურდი ხარ.

– სწორედ რომ, ქურდობის გამო მეძებენ. პატიმრობიდან რომ გავთავისუფლდი, სახლში „სოდი“ დამადგა და პროვოკაციული კითხვა დამისვეს, ქურდი ვიყავი თუ არა. მე, რა თქმა უნდა, უარი არ ვთქვი ჩემს სტატუსზე და ციხეში შებრუნება დამიპირეს, მაგრამ გაქცევა მოვახერხე.

– მერე და როდემდე აპირებ სირბილს ამხელა კაცი?

– ეგ არ ვიცი, მამაო. ასეთ დღეში პირველად არ ვარ და მაინცდამაინც არ მიჭირს.

– იქნებ ახალი ცხოვრება დაიწყო?

– კონკრეტულად?

– ქურდობაზე რომ უარი თქვა? – მითხრა მამა პეტრემ, – მაშინ თავს დაგანებებენ და ახალი ცხოვრების დაწყებას შეძლებ.

– არა, მამაო. ასეთი რამ ჩემთვის უკვე გვიანაა და შეცდომა იქნება.

– ესე იგი, მე შევცდი, როდესაც ქურდობა დავთმე?

– ეგ სხვა იყო. შენ დროზე გააკეთე არჩევანი. ჩემი მხრიდან კი ახლა მასეთი საქციელი არასწორი იქნება.

– ჩვენთან მოდი, ეკლესიაში და ყოველმხრივ ხელს შეგიწყობ.

– არა, მამაო, არ გამოვა. სანამ ვიქნები, ქურდი ვიქნები და ქურდად მოვკვდები.

მე და მამა პეტრემ სალაპარაკო თემა შევცვალეთ. მასთან კიდევ ნახევარი საათი დავყავი, გამოვემშვიდობე და წამოვედი.

– გიორგი, იფიქრე მაინც და თუ გადაწყვეტილებას შეცვლი, მოდი და დაგეხმარები, – მითხრა მამა პეტრემ და ჩვენ ერთმანეთს დავშორდით.

სახლში რომ დავბრუნდი, მამა პეტრეს წინადადება ყოველმხრივ ავწონ-დავწონე, მაგრამ ჩემს აზრზე დავრჩი და ვთქვი, – ღვთისმსახურება კარგია, მაგრამ მე ეს არ შემიძლია. ქურდი ვარ და ქურდად მოვკვდებიმეთქი...

არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ ვკეკლუცობ და ვითომდა „იდეურს ვაწვები“, სინამდვილეში, მზად ვარ პოზიციები დავთმო, როგორც ეს ბევრმა ჩემმა კოლეგამ გააკეთა. არა! არც ვკეკლუცობ, არც პოზიციებს დავთმობ და ჩემი სიტყვების დასტური დღევანდელი, ძებნილის სტატუსია. არაერთხელ მომიყოლია, სარფიან შემოთავაზებებზე და ერთსაც დავამატებ. მხოლოდ ჩემი მონათხრობის გმირთა სახელებს შევცვლი, რადგან თითქმის ყველა მათგანს უმაღლესი პოლიტიკური და ბიზნესთანამდებობები უკავიათ დღესდღეობით.

უკვე საკმაოდ ავტორიტეტულ ქურდს მთელ საბჭოეთში მიცნობდნენ, იმ პერიოდში სვაბოდაზე ვიყავი და თბილისში ვიმყოფებოდი. ერთ საღამოს ტელეფონმა დარეკა და რომ ვუპასუხე, ჩემმა ძველმა ნაცნობმა, მთაწმინდელმა ბორისმა (ბორისი, რა თქმა უნდა, პირობითი სახელია) მითხრა:

– კობრა, ძვირფასო, როგორ ხარ?

ბორისი ხმაზე ვიცანი და მივუგე:

– ქურდულად ვარ, ბორის, ქურდულად. შენ როგორ გიკითხო?

– ვაა, ვაა, როგორ მიცანი, კობრა-ჯან?

– როგორ და ხმით.

– მაგრად გამიხარდა, რომ გახსოვარ. ახლა რას აკეთებ, გცალია, რომ რესტორანში მოვსხდეთ სკუჩნად?

– თუ საქმე გაქვს, ჯობია, ჩემთან სახლში მოხვიდე.

– კობრა-ჯან, მარტო არ ვარ. ერთი კაცი მახლავს თან.

– მოდით. გელოდებით, – მოკლედ მოვუჭერი, რადგან ვიცოდი, ტყუილად არ დამპატიჟებდა რესტორანში.

– ნახევარ საათში შენთან ვართ, – მიპასუხა ბორისმა და ყურმილი დაკიდა.

ბორისის თანამგზავრი სერგო იყო. დღეს ის საყოველთაოდ ცნობილი პიროვნებაა, მაშინ კი დამწყები მოჩალიჩე ცეხავიკი იყო და ფულის შოვნას იწყებდა. ბორისი შინაურივით იქცეოდა და მივხვდი, თავის თანამგზავრს აწონებდა თავს – აქაოდა, ასეთ სახელოვან ადამიანს ვიცნობო. სერგო, რა თქმა უნდა, მოკრძალებულად იყო და მივხვდი, მაკვირდებოდა. უჭკუო და ქარაფშუტა არც ბორისი გახლდათ, მაგრამ სერგოს აშკარად ეტყობოდა, რომ პრაქტიკული გონება ჰქონდა და ძალიან ეშმაკიც იყო. ასეთი ადამიანები ტყუილად არავის არაფერს უკეთებენ. ყველასა და ყველაფერს პრაქტიკული კუთხით აფასებენ, დესპოტები არიან და ხშირ შემთხვევაში, გადაჭარბებულად ამბიციურებიც. სერგო წუთში გავშიფრე და თითქმის ზუსტად ამოვიცანი მათი ვიზიტის მიზანი. ცოტა რომ დავლიეთ და წავიზაკუსკეთ, ბორისმა მითხრა:

– კობრა-ჯან, სერგო ჩვენიანია და შენთან ამიტომ მოვიყვანე. საქმე აქვს და მოუსმინე.

– თქვი, ძმაო, გისმენ, – ვუთხარი სერგოს და სიგარეტი გავაბოლე. სერგომ მკაცრი საქმიანი იერი მიიღო და მითხრა:

– კობრა, ბორისი ჩემი ნდობით აღჭურვილი პირია, მის სიტყვას ვენდობი და მჯერა. სწორედ ამიტომ მოვედი შენთან. თან, ჩემმა დაკვირვებებმაც ცხადყო, რომ ბორისმა სწორი რჩევა მომცა და მისამართი არ შემშლია. პირდაპირ გეტყვი, ძალიან დიდი საქმის თანაბარ წილს გთავაზობ და გარწმუნებ, რომ ეს საქმე მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება, შესაბამისად, შენი წილიც გაიზრდება. შენ კი შენი კუთხით მჭირდები საქმეში და პრისტუპნი მირს უნდა მიხედო. ჩვენი საქმე ტყავ-გალანტერეის ცეხებია და ორიგინალური ბიჟუტერიის დამზადება, რომელიც მთელს

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ს | | ნ |  | | | | | | | ნ | | კ | | ჩ |
| მ | ე | რ | ი | | | | | | | კ | ე | რ | ა | ტ | ი |
| | რ | | ქ | | | | | | | | ვ | | ხ | | თ |
| კ | ო | ბ | ა | | | | | | | ნ | ა | ფ | ი | ც | ი |
| | ვ | ა | რ | | | | | | | ე | | ე | | ე | |
| ა | ი | რ | ა | | | | | | ი | ნ | ა | ტ | ე | რ | ბ |
| ფ | | ო | | | | ბ | | ბ | რ | ა | ზ | ი | ლ | ი | ა |
| ლ | ი | ნ | ო | | შ | ა | ი | რ | ი | | ი | | ი | | რ |
| ა | | ი | | ქ | | ლ | | უ | | ე | ზ | ო | ს | | ბ |
| | ჰ | | კ | ა | პ | უ | ე | ტ | ი | | ი | რ | ო | გ | ი |
| კ | ა | მ | ა | რ | ა | | ს | ო | რ | ო | | ი | | ე | |
| | მ | | ბ | ი | გ | ვ | ა | | ი | | | ნ | ე | ტ | ო |
| პ | ე | რ | უ | | ო | | კ | ი | ნ | ა | ლ | ო | კ | ო | |
| | რ | | კ | ა | დ | რ | ი | | ა | ბ | ა | კ | ა | | ს |
| ს | ი | მ | ი | | ა | ბ | ა | ს | | ი | ტ | ო | ლ | ი | პ |
| უ | | ა | | ე | | ი | | ა | ქ | ტ | ი | | ი | ნ | ა |
| ფ | ი | ლ | ა | ტ | ე | ლ | ი | ა | | ი | | | | ო | |
| რ | | ვ | | ნ | | ი | | რ | ი | ბ | ო | ს | ო | მ | ა |
| ა | ი | ა | ბ | ა | ბ | | ლ | ი | ს | ი | | ა | რ | ი | ვ |
| | ქ | | ა | | ი | | ე | | ლ | | ო | მ | ა | ლ | ო |
| ი | რ | ა | ქ | მ | ა | | ი | თ | ა | ი | ლ | ო | გ | | კ |
| ა | ი | ნ | ო | ი | | ა | ლ | ე | მ | | ი | ა | უ | ზ | ა |
| გ | | ი | | ა | დ | ა | ი | ლ | ი | | ფ | | ლ | | დ |
| ო | დ | ა | ვ | უ | | კ | | ა | | დ | ა | რ | ი | კ | ო |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 2 | 1 | 8 | 4 | 6 | 3 | 5 | 9 |
| 4 | 3 | 9 | 5 | 1 | 7 | 2 | 6 | 8 |
| 8 | 6 | 5 | 9 | 3 | 2 | 1 | 4 | 7 |
| 5 | 9 | 6 | 3 | 7 | 1 | 8 | 2 | 4 |
| 2 | 4 | 3 | 6 | 8 | 9 | 7 | 1 | 5 |
| 1 | 7 | 8 | 4 | 2 | 5 | 9 | 3 | 6 |
| 9 | 8 | 4 | 1 | 6 | 3 | 5 | 7 | 2 |
| 3 | 5 | 7 | 2 | 9 | 4 | 6 | 8 | 1 |
| 6 | 1 | 2 | 7 | 5 | 8 | 4 | 9 | 3 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 4 | 5 | 3 | 2 | 8 | 6 | 9 |
| 2 | 3 | 8 | 6 | 9 | 1 | 5 | 4 | 7 |
| 6 | 9 | 5 | 4 | 7 | 8 | 3 | 2 | 1 |
| 4 | 5 | 7 | 9 | 2 | 3 | 6 | 1 | 8 |
| 8 | 6 | 9 | 1 | 5 | 4 | 7 | 3 | 2 |
| 3 | 1 | 2 | 8 | 6 | 7 | 9 | 5 | 4 |
| 7 | 4 | 6 | 2 | 8 | 5 | 1 | 9 | 3 |
| 9 | 2 | 3 | 7 | 1 | 6 | 4 | 8 | 5 |
| 5 | 8 | 1 | 3 | 4 | 9 | 2 | 7 | 6 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. სტეროიდებს. 2. ხელები გაითბოს მის ჯიბეებში. 3. იოანეს სახარებიდან. 4. მენორა. 5. 5. კედი (KIDS – ბავშვები; RUBBER – რეზინი). 6. ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობაზე. 7. თეძოს. 8. მაფია. 9. მოსემ. 10. პიცა.**

სოიუზში იყიდება. დღესდღეობით ტყავის ექვსი ცეხი მაქვს, ცხრა კი – ბიჟუტერიის. ამას წინათ ერთი კაცი მოვიდა ჩემთან და მითხრა:

– მე „გრელკა“ ვარ.

– მე კი სერგო, – არ დავამთავრებინე სიტყვა ახალმოსულს. ხელი ლამის ძალით ჩამოვართვი და ვუთხარი, – გისმენ, ჩემო გრელკა, რაშია საქმე?

– სერგო, ქურდებს პატივს სცემ? – მკითხა გრელკამ, რაზეც ვუპასუხე:

– ყველას თავისი გზით გაუმარჯოს. ქურდებთან შეხება არასდროს მქონია, ჩემთვის არაფერი დაუშავებიათ და რას ვერჩი. ისე კი, პატივისცემამდე საქმე არ მისულა და თუ საჭირო იქნა, არც ამაზე დავიხევ უკან.

გრელკამ ხელები გაშალა და მითხრა:

– ვეტყობა, რომ გაგებული კაცი ხარ და ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვა არ გაგვიჭირდება. ქურდებს ფული გვჭირდება და მათი სახელით მოვედი შენთან. რას იტყვი, ყოველთვიურად რომ ათი ათასი მანეთი გადაგვიხადო? სამაგიეროდ, არავინ შეგაწუხებს და ყოველმხრივ ხელშეუხებელი იქნებიო...

ჩემო კობრა, ქურდულის ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ქურდმა დაუფიქრებელი სიტყვა არ უნდა თქვას. გრელკამ კი მითხრა, ყოველმხრივ ხელშეუხებელი იქნებიო და ვკითხე:

– არც მილიცია, უფრო სწორად კი ობხესი (დღევანდელი საგადასახადო) შემაწუხებს?

– მე კაი ხალხზე მაქვს ბაზარი, თორემ ბოზები რა მოსატანია. ისინი შენ თვითონ უნდა გაისტუმრო.

– მაშინ, არ მაწყობს, – მშვიდად ვუთხარი გრელკას, – ძალიან ძვირი დამიჯდება.

– ქურდების უარით გასტუმრება, ბევრად უფრო ძვირი დაგიჯდება. ამდენ პატიოსან კაცს რომ ხაზს გადაგვისვამ, გგონია, გეპატიება?

– მემუქრები?

– კი არ გემუქრები, სიმართლეს გეუბნები. სვაბოდაზე კიდევ შეინახავ თავს, მაგრამ ციხეში რომ მოხვდე, რას იზამ?

– თავის შენახვა არც იქ გამიჭირდება. ნებისმიერი შემთხვევისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ ციხეში ჩაჯდომას არ ვაპირებ და ჩათვალე, რომ ეს თითქმის გამორიცხულია.

– შენი უარი რად ჩავთვალო, ქურდების სიჩზე დაკიდებად?

– არავითარ შემთხვევაში. ასეთი რამ მე ფიქრშიაც არ გამივლია.

– თუ არ გაგივლია, ფულზე უარს რატომ გვეუბნები?

– ფული ჩემია და ვისაც მინდა, იმას მივცემ. შენ მე დიდ წილს მთხოვ იმ საქმიდან, რომლის აწყობაშიც არანაირი წვლილი არ შეგიტანია და უარსაც ამის გამო ვამბობ.

– ესე იგი, საბოლოოდ უარს ამბობ ფულის გამოსვლაზე?

– უარს ვამბობ.

– წავედი, ნახვამდის.

– მშვიდობით, – მივუგე გრელკას და კარამდეც კი არ მიმიცილებია.

მის ლაპარაკში საინტერესო ის იყო, რომ ის, ზოგადად, ქურდების სახელით ლაპარაკობდა. მართალია, ნეტავ, თუ გრელკამ სხვა ქურდების სახელი თავისი მიზნებისთვის გამოიყენა, ხომ არ იცი, ჩემო კობრა?

– ეს საქმე უჩემოდ არ გადაწყდებოდა, – მოკლედ მივუგე სერგოს. გულში კი ცეცხლი მეკიდა, რადგან გრელკას უღირსი საქციელი ჩირქს სცხებდა მთელ ჩვენს პატიოსან საძმოს და შესაბამის რეაგირებას მოითხოვდა.

– გასაგებია, – მშვიდად მითხრა სერგომ, – მშიშარა კაცი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ წინ ვიყურები. დარწმუნებული ვარ, მომავალში ძალიან დიდი საქმეების კეთება მომიწევს და შენისთანა ავტორიტეტული და პატიოსანი კაცის გვერდით დაყენება აუცილებელია. დამეხმარები?

– ქურდი ვარ და ქურდულ ჩარჩოებს ვერაფრის გამო ვერ გავცდები, – თავი გავაქნიე და გავაგრძელე, – საქმოსნობა და ცეხავიკობა ჩემი პროფილი არაა. ამიტომ, მეც ისევე გეუბნები უარს, როგორც შენ უთხარი უარი გრელკას და სავსებით სამართლიანადაც. ქურდი უნდა იპარავდეს და მისი წილიც ესაა. სხვა წილი მას არ ეკუთვნის და თუ კი ვინმე რამეს გამოვა, ეს – გრევია. გრევი კი ნებაყოფლობითია. ციხეში ყომარიდან მოსული წილიც გრევია და ქურდს არანაირი უფლება არ აქვს, მოგებული მაყუთიდან წილი მოითხოვოს.

– გასაგებია, ძმაო, – მითხრა სერგომ, შემდეგ ბორისს გადახედა, კვლავ მე მომიბრუნდა, წასვლის წინ მაგიდაზე ქაღალდის ხვეული დატოვა და დაამატა, – აი, ეს ჩემი პირადი გრევია შენთვის და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს.

სერგო და ბორისი რომ წავიდნენ, ხვეული გავხსენი, შიგ ათი ათასი მანეთი იდო. შემდეგ ჩემს მეზობელს დავურეკე, რომელიც ჩემი სახლის მესამე სართულზე ცხოვრობდა და ჩემთან ვიხმე. 19 წლის ვახო რომ მოვიდა, ვკითხე:

– თეონა როგორაა?

– ისევ ისე, კობრა. ფულს ველოდებით.

თეონა მეზობლის შვიდი წლის ბავშვი იყო – ვახოს და. თირკმლის გადასანერგავად ცხრა ათასი მანეთი სჭირდებოდა და გერმანიაში უნდა გადაეფრინათ, ფული კი არ იყო.

– აი, ვახო, ათი ათასი მანეთი. გამომართვი და საქმეს მიხედეთ. თეონას ვჩუქნი ამ ფულს.

– რას ამბობ, კობრა? ასეთი ძვირფასი საჩუქარი... – ათრთოლებული ხმით დაიწყო ვახომ, მე კი სიტყვა გავაწყვეტინე:.

– ბოდიალს მოეშვი და ფული წაიღე. სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერია ამქვეყნად. დავაი, საქმეს მიხედეთ.

ვახო გადამეხვია, ატირდა და მითხრა:

– შენი ვალიდან ვერასოდეს ამოვალ. შენი ჭირიმე, კობრა. შენ თეონა გადაარჩინე.

– წადი. ნუ აგვიანებ. თეონას აკოცე და



ჩემგან მოიკითხე, – ვუთხარი ვახოს და გავისტუმრე.

თეონას საოპერაციო ფულის შოვნას ისედაც ვაპირებდი, ვინმესგან უნდა მესესხა. შემეძლო, საქმეზე წავსულიყავი და ფული ამგვარად მეშოვა, მაგრამ ორი რამ მაკავებდა. პირველი ის, რომ ფული ბავშვისთვის იყო საჭირო და მოპარული ფულით ბავშვის მკურნალობა, ცოტა არ იყოს, სახიფათოდ მივიჩნიე. მეორე კი ის, რომ შემთხვევით მილიცია თუ ამიყვანდა, ფულს ვერ ვიშოვიდი და ესეც ბავშვის საწინააღმდეგოდ იმუშავებდა, ფული კი სასწრაფოდ საშოვნელი იყო. ამიტომ, ავირჩიე უხიფათო გზა – სესხება. სერგოს გრევი კი სწორედ რომ ღმერთის საჩუქარი იყო და თეონას საქმე უპრობლემოდ მოგვარდა. სერგოს რომ ეთქვა, ეს გრევი ყველა ქურდის არისო, მაშინ მე ჩემს კოლეგებს შევეკითხებოდი და მხოლოდ მას მერე ვაჩუქებდი თეონას. ერთი სიტყვით, ყველაფერი სამართლიანად დალაგდა. თეონა გერმანიაში გადააფრინეს, თირკმელი გადაუნერგეს და ყველაფერმა იმაზე უკეთესად ჩაიარა, ვიდრე ვარაუდობდნენ. ერთი წლის მერე თეონა სრულიად გამოჯანმრთელდა და მე მოვნათლე. დღეს თეონა ქალია, ქმარშვილი ჰყავს და ბედნიერად ცხოვრობს. რაც შეეხება გრელკას, თავდაპირველად, მისთვის კოლექტიური პრეტენზიის წაყენება მინდოდა, მაგრამ თეონას გამო, გადავიფიქრე. სწორედ გრელკას არასწორმა საქციელმა მოიყვანა ჩემთან სერგო და ათი ათასი მანეთი მაჩუქა, რამაც პატარა გოგონა გადაარჩინა. ამიტომ, კოლეგა ჩემთან ვიხმე და სახლში რომ მეწვია, ვუთხარი:

– გრელკა-ჯან, როგორ ხარ?

– ვარ, რა, – მხრები აიჩეჩა გრელკამ, – ხომ მშვიდობაა, კობრა, რატომ დამიძახე?

– გრელკა, ძმაო, ქურდი ხარ, აფერისტი, თუ აფერისტი ქურდი?

– ვერაფერს ვხვდები. რატომ მეკითხები?

– სერგოს გაწეწვა რომ მოინდომე ჩვენი სახელით, – ვუპასუხე გრელკას, მან კი კოპები შეიკრა და მითხრა:

– ოფიციალურ პრეტენზიას მიყენებ?

– ოფიციალურ პრეტენზიას სხოდკაზე წაგიყენებდი, მაგრამ, რადგან აქ გეუბნები შენს არასწორ საქციელს ოფიციალურ მსვლელობას არ ვაძლევ.

– მიკვირს, რატომ? შენ ხომ ზაკონნიკი ხარ და ქურდულ კანონს რის გამო არღვევ, ყურებით გინდა დამიჭირო?

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**მის შესახებ თბილისში ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა. თვითონაც არ ახსოვს, როგორ გახდა „ჩაშკა", თუმცა, კარგად ახსოვს როგორ გაიარა გზა ჩვეულებრივი შიკრიკობიდან ცნობილ საქმოსნამდე, რომელიც თბილისში ერთ-ერთი მდიდარი და გავლენიანი კაცი გახდა. მის სახელთან არის დაკავშირებული ბევრი სენტიმენტალური და კეთილი ისტორია. დღეს, 84 წლის ასაკში, ამბობს, რომ ასამგად დაუბრუნდა ყველაფერი, რაც გაიღო ამ ქალაქში, რომელიც მაშინაც ვერ მიატოვა, როცა ცხოვრების მძიმე წლები დაუდგა.**

# რატომ მიჰყიდა ჩაშკამ საცოლეს „ბასანოშკები" და რა მოუწყო მან ხონის კოლონიაში ებრაელ პატიმრებს

– ბოტანიკის ქუჩაზე ვარ დაბადებული, მაგრამ, აქ, ლესელიძის ქუჩაზე, პაპაჩემთან ვარ გაზრდილი. იმ სახლის მეპატრონეები, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, აზერბაიჯანელები იყვნენ. მაშინ თბილისში არავინ კითხულობდა, ვინ აზერბაიჯანელი იყო, ვინ – ებრაელი, ვინ – ქართველი. ეს იყო ამ ქალაქის დიდი ხიბლი და სიმდიდრე. ჩემს მშობლებს ათი შვილი ჰყავდათ. მე პირველი, უფროსი შვილი ვარ. ორი ძმა და ერთი და გარდამეცვალა და ამ დიდი ოჯახიდან შვიდი დედმამიშვილი დავრჩით. ახლა ჩემი სამი და ნიუ-იორკში ცხოვრობს, სამნი კი ისრაელში არიან. მამაჩემი, ისაკ ჯანაშვილი, კეცხოველის ქუჩაზე, საჯარო ბიბლიოთეკაში კაჩეგრად მუშაობდა. პადვალში, ხუთი საფეხურით ჩასასვლელ პატარა ბინაში ვცხოვრობდით. არაფერი არ გვქონდა, გაჭირვებით გვზრდიდა მამა შვილებს, მაგრამ, ძალიან ტკბილად მახსოვს ის წლები. მამაჩემი ძალიან წესიერი და პატიოსანი კაცი იყო, არც ფულის შოვნა იცოდა და არც ვაჭრობა. არ ვიცი, მე ვისი მარიფათი გამომყვა. მოშე მერქვა და ას მანეთად მიხეილი გავხდი, მერე მოშეც ვიყავი და მიხეილიც *(იცინის)*. მამაჩემი რომ გარდაიცვალა, უკვე ბევრი ფული მქონდა და 50 000-დოლარიანი საფლავი გავუკეთე. მაშინ ეს ძალიან დიდი ფული იყო. დოლარი ჩვენთან ორი მანეთი და ათი შაური ღირდა. 100 ათასი დოლარი ვიყიდე მოსკოვში ვიღაც კაი ბიჭისგან. ეს ასი ათასი დოლარი აბაზანაში დავმალე. ერთი ქალი მახლდა, იმას ჩავუდე და ისე ჩამოვიტანე ის ფული თბილისში. აქ დოლარი ძვირად გავყიდე და მამაჩემს მაგარი სასაფლაო გავუკეთე.

**– ვაჭრობა როგორ დაიწყეთ?**

– ჩემი დის მამამთილი, მიხო ჯინჯიხაშვილი, თბილისში ერთ-ერთი ცნობილი და ნაღდი მეწამლე იყო. ჩემს დას ხომ არ შევეცილებოდი, მაგრამ, მერე ისე მოხდა, რომ მეც ამ საქმეში მოვხვდი. ერთი კაცი იყო, ისრაელში მიდიოდა. იმან მითხრა, რამდენს მომცემ, მოსკოვში, მეცნიერებათა აკადემიაში, ერთი კარგი „მისამართი" რომ მოგცეო. მე ვუთხარი: არა გრცხვენია, ამაში ფულს როგორ მთხოვ-მეთქი. გაიმეტა და მომცა მოსკოვის მისამართი. კარგ „კანალზე" გავედი. ჩავედი მოსკოვში წამლის ჩამოსატანად და იქიდან დაიწყო ეს ყველაფერი. მანამდე მეც ძალიან მიჭირდა. პირველად შიკრიკად დავიწყე მუშაობა პროფკავშირებში, ხან იქით დავრბოდი, ხან – აქეთ. მძღოლიც ვიყავი – ხუთი წელიწადი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორს, დორიან კიტიას ვატარებდი. მერე ტუზივით დამეცა, იმ კაცმა რომ მისამართი მომცა. მეცნიერებათა აკადემიას ჰქონდა „გარაჟი", სადაც მუშაობდა მძღოლი, რომელიც მაძლევდა ისეთ წამლებს, რომლებიც თბილისში არ იშოვებოდა. მოსკოვში წამლის „ბუდეს" მივაგენი და მე რა გამაჩერებდა, მატარებლით ვატანდი წამალს „პრავადნიკებს", მეც მომქონდა ხოლმე.

**– „ჩაშკა" რატომ დაგარქვეს?**

– არც კი ვიცი „ჩაშკა" ვინ დამარქვა. ეს კითხვა მოსამართლე იური ტყეშელაშვილმაც დამისვა, რომელმაც გამასამართლა, როცა შევარდნაძემ ტყუილად დამიჭირა. ვერც მოსამართლეს გავეცი პასუხი. როგორც მე მახსოვდა, აქ ერთი კაცი იყო, სიმონ ალელიშვილი, რაღაცეებს მეძახდა – „ჩიჩეს", „ჩაჩოს" და, ბოლოს, „ჩაშკა" შემრჩა. მერე მელორ ტყეშელაშვილმა მითხრა: კარზე „ჩაშკა" დააწერეო. დავუჯერე და ასე გახმაურდა ეს მეტსახელი. ციხეში რომ გაიგეს, ჩაშკა შემოვიდაო, უნდა გენახათ რა ამბავი ატყდა. კაცი არსად არ იკარგება, ყველგან კაცია. მე ყველა ბობოლა მიცნობდა სამინისტროში. ბევრი სიკეთე მქონდა გაკეთებული, ჩემი მომდურავი კაცი არ არსებობდა და ეს კარგად იცოდნენ. მილიცია არ მეკარებოდა.



კარგი მამაძაღლი ვარ ამ ასაკშიც

**– მაგრამ, მაინც დაგიჭირათ ედუარდ შევარდნაძემ.**

– „მერსედესი" ვიყიდე და ეს არ მაპატია. მე რომ დამიჭირა, მერე ერთი ჩემი ნაცნობი ჟურნალისტი მივიდა შევარდნაძესთან. უთქვამს, ჩაშკა დაგიჭერიათო. რა ჩაშკაო, ერთი ჩაშკა მაქვს და სახლში იმით ჩას ვსვამო – ვითომ არ იცოდა ჩემი ამბავი. იმ ჟურნალისტს ისიც უკითხავს, რად დამარხე ცოლი ეზოშიო? აბა, რა მექნაო, ეზოში რომ არ დამემარხა, ყოველდღე მამპარავდნენო, – აი, ეგეთი კაცი იყო ეგ ოხერი. 70 ათასი მივეცი იმ მანქანაში. ოთხი მანქანა მყავდა, მაგრამ, მაინც ვიყიდე. პაემანი მქონდა ციხესთან ერთ ქალთან, ის ელოდა, რომ მე „გაზ 24-ით" მივიდოდი. „ვოლგა" ქუჩაში დავაგდე და „მერსედესით" წავედი „სვიდანიაზე". სანამ მანქანას ვიყიდდი, ბევრმა გამაფრთხილა, „მერსედესი" არ იყიდოო, მაგრამ, არ დავუჯერე. თბილისში პირველი „მერსედესი" მე მოვიყვანე, მერე – კალათბურთელმა მიშა ქორქიამ. შევარდნაძემ კაცი გამომიგზავნა: მე „გაზ 24-ით" დავდივარ, შენ – „მერსედესით", გაყიდე ეგ მანქანაო. როცა მივხვდა, რომ არ ვიყავი მანქანის გამყიდველი, რაღაც უბედურება მომიწყო და დამიჭირა. ვახტანგ რაზმაძემ დაუბარა, ჩაშკას ათი წელი მიეცითო, მაგრამ, ცხრა წელი მომისაჯეს. ხუთი წელი ვიჯექი. მერე „სტატია" შემეხო, თან, ზვიად გამსახურდიაც დამეხმარა, როცა ეროვნული მოძრაობა მოვიდა ხელისუფლებაში. ზვიადსა და მის ოჯახს კარგად ვიცნობდი. როცა დამიჭირეს, ერთი წელი „კაგებეს" ციხეში გამატარებინეს – ხალხზე ილაპარაკეო. მე რისი მოლაპარაკე ვიყავი, კაცო! ხონში გადამიყვანეს. მამის სულს გეფიცები, საკანში რომ შევედი, ვინც მოვიდა, გაუმარჯოსო! – ასე შემხვდნენ. ყველა პატიმარი პატივს მცემდა. ათი ებრაელი იყო ჩემთან ერთად ლაგერში, დავაწყობდი ხოლმე იმ ებრაელებს და ავატარებდი და ჩავატარებდი ხოლმე ხონის „ბროდვეიზე". ხონში ჩემთან ერთად იჯდა ოდიშარია ბუია, მაშინ მაგარი ქურდი იყო. ოო, ძალიან დიდ პატივს მცემდა. ციხეში ისეთ დროს ვატარებდი, გარეთ რომ ვერ გაატარებს ზოგი. თუ ფული გაქვს, ყველგან პირველი კაცი ხარ.

**– როდესაც ძალიან ბევრი ქართველი ებრაელი, მათ შორის, თქვენი დები და ძმები, ისრაელში გადავიდნენ საცხოვრებლად, თქვენ რატომ არ წახვედით მათთან ერთად?**

– მე ძალიან მიყვარდა საქართველო, თბილისი. რა სიკეთეც მე დავთესე ამ ქვეყანაში, ათი იმდენი მოვიმკე ქართველებისგან. სხვაგან ვერ გავძლებდი. ხუთჯერ-ექვსჯერ ვარ ნამყოფი ისრაელში, მაგრამ, არც ერთხელ არ დავრჩი. 26 საუკუნის მეგობრობა გვაქვს ქართველებსა და ებრაელებს, ეს ისეთი ურთიერთობაა, არაფერი რომ არ წაშლის. მე ამერიკაშიც შემიძლია წასვლა, ვიზა მაქვს ჩარტყმული, წავიდოდი ჩემს დებთან, მაგრამ, არც იქ მივდივარ. ახლა ვაპირებ რამდენიმე თვით ისრაელში წასვლას. ჩემი შვილი აქ სამსახურს ვერ შოულობს, ცოტა ხნით წავალ მასთან ერთად, ექვს თვეში პენსიას დავინიშნავ და ჩამოვალ... კარგი მამაძაღლი ვარ ამ ასაკშიც *(იცინის)*. ქართველი მეუღლე მყავდა, სად უნდა წავსულიყავი, ლამარას აქ ხომ ვერ მივატოვებდი?! ეეხ, ეხლა რასაც ვდარდობ ის არის, რომ ჩემს ცოლს ძალიან ვაწრაზებდი – ქალების მოყვარული ვიყავი, სულ პრობლემებს ვუქმნიდი. შარშან დედის დღეს გარდაიცვალა ჩემი ლამარა. ორი შვილი დაგვრჩა, ორი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი. კარგი გოგოები მყავს, ხათუნა და ნანა არიან ჩემთვის ყველაფერი. ეჰ, ნეტავ ასე არ გამებრაზებინა ახალგაზრდობაში ჩემი ლამარა. ყველაფერი მე შემომწირა. 57 წელი ვიცხოვრეთ ერთად. პატარა გოგო გამომყვა ცოლად. აქ, ლესელიძის ბაღში გავიცანი. მაშინ ამ ბაღში გაქანებული ვაჭრობა იყო, ლამარას „ბასანოშკების" ყიდვა უნდოდა. ვიღაცა ურიას 30 მანეთი დაეფასებინა ბასანოჩკა, გამოვართვი ის „ბასანოშკები" და 15 მანეთად მივყიდე ლამარას. რომ ნახა, ნახევარ ფასად იყიდა, მერე დედა, ანა გიორგევნა მომიყვანა. სასიდედრომ დუშეთში დამპატიჟა – იქ ცხოვრობდნენ. ვიტრინაჩე, სპორტის მინისტრის მძღოლს „ზიმი" ვეთხოვე და იმით ჩავედი დუშეთში. ლამარა საავადმყოფოში მუშაობდა. იქ ისეთი ამბები დამხვდა, მეც თავი გამოვიდე. ყველას ძალიან მოვეწონე და ასე დავიწყეთ ერთად ცხოვრება.

**– თქვენზე ძალიან ბევრი ცნობილი ისტორია გამიგია. დღეს ყველაზე ხშირად თავად რა გახსენდებათ იმ დროიდან?**

– კაცს რომ შევატყობდი, რომ წამლის ფული არ ჰქონდა და ბოლო კაპიკებს მაძლევდა, ფულს როგორ გამოვართმევდი. ზოგს ავტობუსის და მატარებლის ფულსაც კი იქით ვაძლევდი ხოლმე. ერთხელ ერთი ბიჭი მოვიდა ჩემთან, შვილისთვის უნდოდა წამალი. ხვალ ამ ჯინსის შარვალს გავყიდი და ფულს-მოგიტანო, მითხრა. არ მინდა შენი ფული-მეთქი, ისე გავატანე ის წამალი. ერთხელაც, ასე მოვიდა ჩემთან ახალგაზრდა კაცი და, ისე წავიდა, რომ წამალი არ წაუღია. გვიან მივხვდი, რომ ფული არ ჰქონდა. გული დამწყდა, ვერ მოვითმინე და იმ მატარებელს გავეკიდე, რომლითაც ის რაიონში მიდიოდა. მცხეთაში გავაჩერე მატარებელი, მემანქანეს მივეცი წამალი, რომ ის ბიჭი მოეძებნათ. ამის მეტი არც არაფერი დამრჩა, შვილო. ეს ყველაზე მაგარი რამეა, გაჭირვებულ კაცს რომ ხელს გაუმართავ და დაეხმარები, ამაზე მეტად არაფერი ფასობს. 84 წლის ვარ და ყველაზე კარგად ის მახსოვს, რაც ჩემი გაკეთებული სიკეთეებისთვის ასმაგად დამიბრუნდა უკან.

**თამუნა ნიჟარაძე**

# რა სექსუალური პრობლემების წინაშე დგას ქართველი მამაკაცების ნაწილი და რის გამო დადიან მეძავებთან

*ამინდის საგაზაფხულო ცვლილებები არამცთუ კატებზე, არამედ, ბუნებრივია, ადამიანებზეც საოცარ ზეგავლენას ახდენს და ნიშანდობლივია, რომ მარტი ორალური სექსის თემის სკანდალით დაიწყო.*

*მე უკვე რამდენიმე დღეა, ბუნებაში რომანტიკული სექსის განწყობაზე ვარ. თუმცა, ამ დრომდე მხოლოდ ფანტაზიებით შემოვიფარგლები და გადავწყვიტე, საკუთარით თუ ვერა, სხვისი სექსუალური ცხოვრებით მაინც დავკავდე – გამოვეხმაურო ამ ერთობ აქტუალურ თემას, როგორიცაა „ორალური სექსი“. ამ საკითხს ქვემოთ გავშლი, მანამდე კი, დიდი ეჭვი მაქვს, ჩემი რედაქტორები ამ მასალას დაბლოკავენ და მეძავ-მეძავ რზენა ტყუილად შემრჩება. თან, იმისიც მეშინია, რომელიმე სიტყვა, მაგალითად, „ბოზი“ არასწორად არ ვიხმარო მეძავთან მიმართებაში და ჟურნალისტთა ქარტიის საბჭომ სასამართლოში ჩემზე სარჩელი არ შეიტანოს. არადა, შოთა რუსთაველი ჯერ კიდევ როდის მოიხსენიებს ამ სიტყვებს: როსკიპო, ბოზო დიაცო... სამწუხაროდ, დილით ჟურნალი ბეჭდვაში უნდა ჩავშვა და დრო არ მაქვს, ამ საბჭოსთან გადავამოწმო, რომელი ვიხმარო ბოზი, როსკიპი თუ მეძავი, ისე, რომ კანონი არ დავარღვიო. თუმცა, რუსთაველი კი გამიგებდა, რისი თქმა მინდა.*

*მთელი კვირაა, რედაქციაში ვნებათაღელვა არ ცხრება და „აღშფოთოვანებული“ (აღშფოთებისა და აღფრთოვანების სინონიმი – ავტორი) საზოგადოება განვიხილავდით, კარგი იყო თუ ცუდი, მსახიობ თინა მახარაძის სკანდალური სატელევიზიო ინტერვიუ. მეც „აღშფოთოვანებული“ – ერთი მხრივ, თინას გმირობით მოხიბლული და მეორე მხრივ, ჩემი ერთ-ერთი თანამშრომლის მოსაზრებით, რომ სექსი მხოლოდ მამაპაპური და გასამრავლებლად არის მოგონილი, ეს დღეები ძარღვებში სისხლგამთბარ, გულანთებულ-თვალებაჟუჟუნებული სამსახურის მერე, რედაქციასთან ახლოს, ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე პირველივე ბართან, პირველივე მეძავს გავუჩერე მანქანა. მანაც ბიუსჰალტერის „პლეჩო“ გაისწორა და ეკონომიკური აღზევების იმედით ჩამიჯდა მანქანაში. თუმცა, რომ გაიგო, კუნილინგუსის საკითხით ვიყავი დაინტერესებული, მითხრა, კაცი მეგონე და „პრო-ჭიათურელი“ ყოფილხარო და გადავიდა მანქანიდან.*

*ახლა უკვე ძარღვებში სისხლგამთბარ, გულანთებულ-თვალებაჟუჟუნებულს, შეურაცხყოფ-იმედგრაცრუებაც დამემატა და კიდევ ერთი შეურაცხყოფა რომ აღარ მოეყენებინა ვინმეს, ჩემს ძველ მეგობარ მეძავს დავურეკე. ლუკამ გავაგდებინე და ჩემთან ვიხმე, რათა კიდევ ერთხელ მოეყოლა თავისი სექსუალური თავგადასავლები, რომლის წიგნად გამოშვება მირჩევნია. თუმცა, შესაძლოა, ყოველ ორშაბათს ჟურნალში გამოვაქვეყნო, თუ ამის ნებას დამრთავენ და როგორც ამბობენ, საზოგადოებრივი დიდი ინტერესი იქნება. მაგრამ, მასთან ინტერვიუც საკმაოდ სკანდალური გამოვიდა, მერე რა, რომ არც ცნობილი მსახიობია და არც ეტრადის ვარსკვლავი, რომელიც პოლიტელიტის მაღალი კლასის 3 000-დოლარიანი მეძავი იქნებოდა. მაგრამ თავის საქმეში შემდგარი და წარმატებულია, რომელსაც პატივს ვცემ და ზოგიერთ ჩემს ფსევდოპატიოსან ნაცნობს მირჩევნია.*

**– ჩვენი მეგობრობა, ისევე, როგორც შენი პროფესია, უძველესია და ანტიკური ეპოქიდან იღებს სათავეს. „სვეცკი“ ქალი ხარ და სოციალური ქსელიც უცხო არ არის შენთვის. შესაბამისად, გეცოდინება კვირის თემა – „ორალური სექსის“ სკანდალის შესახებ და უპირველესად, შენი აზრი მაინტერესებს.**

– ეს იმ მსახიობმა გოგომ რომ თქვა, ჩემთვის პრობლემა არ არისო, ხომ? არ მინახავს ეგ გადაცემა, მაგრამ ყველა მაგაზე ლაპარაკობს. თუმცა, ვერ მივხვდი, რატომ ატყდა ამხელა ამბავი ამის გამო?! ეს რომ ჩემს ახალგაზრდობაში მომხდარიყო, მაშინ, გასაგებია, და ახლა ვის უკვირს ორალური სექსი? ორალი კი არა, ისეთები ხდება, ეს თუ არ ნახე, ვერ დაიჯერებ.



**– შენი კლიენტები ხშირად გთხოვენ ორალურ სექსს?**

– *(იცინის)* ის რა ფერისაა, დიდი ხანია, თვალით აღარ მინახავს. ეს, რა თქმა უნდა, ნახევრად ხუმრობით, მაგრამ უკვე დიდი ხანია ჩემთან და ჩემს ნაცნობ ქალებთან, ცოტა განსხვავებული კატეგორია დადის. ჩვენ ეგრეთ წოდებულ „ელიტარულ“ კლასს მივეკუთვნებით.

**– რას გულისხმობ?**

– იმას, რომ ბიჭების უმრავლესობა კუნილინგუსზეა გადასული და არც შენი ორალი სჭირდებათ და არც სხვა რამე. მგონი, საზღვარგარეთ-

**ადრე მე მცემდნენ და მაგინებდნენ კაცები, ახლა მე ვცემ და ვაგინებ**

შია თუ სადღაც, რომ ქალს თუ 3 წელი სექსი არ ჰქონია, ქალიშვილად ითვლება. ჰოდა, მეც უკვე რამდენი წელია, ქალიშვილი ვარ. ისე, სხვათა შორის, ჩვენს კატეგორიაში რამდენიმე ნამდვილად ქალიშვილი გოგო მუშაობს.

**– ანუ, ფულს მარტო კუნილინგუსში გიხდიან?**

– კი. ათიდან რვას სხვა არაფერი აინტერესებს, ამის გარდა, კიდევ ბევრი რამ აინტერესებთ, მაგრამ, როგორც ასეთი, სექსით ძალიან იშვიათად ვკავდები.

**– მაგალითად, ყველაზე უცნაური იმ ბევრ რამეში რა შედის, რაც მათ აინტერესებთ?**

– მაგალითად, „დომინირება“ – როცა ვცემ, ვშოლტავ და სახეში ვურტყამ. ბევრს უყვარს დამცირება, როცა ვაფურთხებ, ვაგინებ და ვეუხეშები. ახლა ძალიან მოდაშია „ოქროს წვიმა“, „ცხელი შოკოლადი“ და როცა მე ვასრულებ კაცის როლს.

**– ანუ კაცთან სექსში ასრულებ კაცის როლს?**

– კი. ბიჭების უმრავლესობა, ყოველ შემთხვევაში ჩემთან, ან ჩემს დაქალებთან ვინც მოდის, ყველა ასეთ ურთიერთობას ანიჭებს უპირატესობას. მაგალითად, მე მყავს ერთი მონა (მას მოსწონს, როცა მონას ვეძახი), რომელთანაც აბსოლუტურად არანაირი სექსი არ მაქვს, უბრალოდ, როცა არ უნდა დავურეკო, მოვა, სახლს დამილაგებს, ჭურჭელს დამირეცხავს და თუ ვანა-ტუალეტის გახეხვას დავავალებ, ეს უფრო მეტ სიამოვნებას ანიჭებს. ზოგჯერ დასჯის მიზნით, ტუალეტს არ ვახეხინებ და ისე ვუშვებ. ხშირად ვურეკავ, პროდუქტებს ვაბარებ და მოაქვს, ოღონდ სახლში არ ვუშვებ, კარში მომაწვდის, მკერდზე ხელს მომკიდებს და მიდის.

**– მოდი, კონკრეტული ისტორიები მერე მომიყევი, მაგრამ მე შენეული ვერსია და შეფასება მაინტერესებს ამ ყველაფერზე. შენი აზრით, რა ფენომენთან გვაქვს საქმე?**

– დიდი ფსიქოლოგი და სექსოლოგი მე არ ვარ, მაგრამ ბევრს კი ვჯობივარ. 52 წლის ვარ და ძალიან ბევრი მაქვს ნანახი, ცოტა ხანში, პენსიაზე გავალ და მემუარების წერას დავიწყებ. მაგრამ, ერთი ბიჭი მყავს, რომელსაც 60 და მეტი წლის ქალები აინტერესებს და მეც ვეუბნები, რომ 8-10 წელიწადში მომაკითხე-მეთქი. ის კი მაინც არ მანებებს თავს. რაც შეეხება ფენომენს, ვერ გეტყვი, რასთან გვაქვს საქმე. სხვათა შორის, ბევრისთვის მიკითხავს, მაგალითად, რატომ უყვარს, როცა ამცირებენ და ბოსტნეულით აკმაყოფილებენ...

**– ანუ ვეგეტარიანელი კლიენტებიც გყავს?**

– მყავდა. ახლა ხელოვნურ კვებაზე გადავიყვანე *(იცინის)*. სამწუხაროდ, საქართველოში არ არის სექს-შოპები და სეზონური ბოსტნეულის გამოყენება მიწევდა იქამდე, სანამ ერთმა კლიენტმა არ მაჩუქა.

**– აღარ დაგამთავრებინე, რა პასუხებს იძლეოდნენ, როცა ეკითხებოდი, რატომ მოგწონს ასეთი ურთიერთობაო?**

– ზოგიერთი ასეთი სექსის შემდეგ რადიკალურად იცვლება. უჩუმრად დგება და დაუმშვიდობებლად მიდის. ზოგი ამბობს, რომ ბავშვობაში დედა ხშირად სცემდა, ზოგი ციხეში მიეჩვია თუ მიაჩვიეს. მაგალითად, ერთმა მითხრა, რომ მეზობლის ქალმა სცემა, სახლში ჩაკეტა და გააუპატიურა, რაც ყველაზე ნაკლებად მჯერა, რადგან ასეთი რამ, პრაქტიკულად, შეუძლებელია. თუმცა, ადრე, ხომ გახსოვს, „ფუფულოჩნიკობაზე“ ბოთლზე სვამდნენ და მე ეგ უფრო მგონია, თორემ ქალი, რაც არ უნდა ძლიერი იყოს, ახალგაზრდა ბიჭი როგორ უნდა სცემოს და გააუპატიუროს?!

**– როგორც გამოცდილ და სტაჟიან ქალს, მინდა, შენი ახალგაზრდობისდროინდელი ურთიერთობები დღევანდელთან შეადარო.**

– ვერ გეტყვი, რომელი ჯობდა. მაშინ, ამ გზით ფულის შოვნა დანის პირზე სიარულს უდრიდა. მუდმივად შიშისა და სტრესის ქვეშ ვიყავი. ხშირად ვუცემივარ კლიენტებს. იარაღის მიდებები, ჰაერში გასროლები, თეფშის ფრიალი და ათასი უბედურება ხდებოდა. რამდენჯერმე საავადმყოფოშიც მოვხვდი მძიმე დაზიანებებით, მაგრამ მაშინ ძალიან იშვიათად, თუ ვინმე ორალურ სექსს მომთხოვდა. ასეთი რამე, პრაქტიკულად, არ არსებობდა და ის, რომ ვინმეს კუნილინგუსი გაეკეთებინა, ეს ხომ საერთოდ გამორიცხული იყო. მარტო მონაყოლით ვიცოდით, რომ თურმე თურქები აკეთებენ ამას. მერე უკვე, როცა საზღვრები გაიხსნა, მეც წავედი თურქეთში და პირველად იქ მოხდა მოსახდენი.

**(გაგრძელება 78-ე გვერდზე)**

**20 წლის „მეორე ვიცე-მის საქართველო 2013“ – თიკა ჯაბანაშვილი იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს, მესამე კურსზეა და სამომავლოდ, პროკურორობას აპირებს. გარდა ამისა, თიკა ნაციონალური ბალეტის, „სუხიშვილების“ მოცეკვავეა, თუმცა „იმიჯ-ცენტრის“ მიერ ჩატარებული „მის საქართველოს“ შემდეგ, უკვე მოდელობაც დაიწყო.**

# როგორ მუშაობს საკუთარ თავზე „ვიცე-მის საქართველო“ თიკა ჯაბანაშვილი და რაში უნდა თავის გამოცდა მომავალ პროკურორს

**თიკა ჯაბანაშვილი**: დაახლოებით 15 წელია, რაც ვცეკვავ, ანუ მას შემდეგ, როცა მივხვდი, რომ მიწაზე მყარად მიდგას ფეხი. „სუხიშვილებში“ დაახლოებით 6 წელია, რაც ვცეკვავ, გასტროლებზეც დავდივარ. მაგრამ, რადგან ვსწავლობ, ამიტომ, თუ გამოცდებს არ ემთხვევა, მაშინ მივდივარ. ქალბატონი ნინო მიწყობს ხელს.

**– როგორც ვიცი, მომავალში პროკურორობას აპირებ.**

– ჩემი პროკურორობის ამბავი განხილვისა და კრიტიკის საგანი გახდა. რადგან ვცეკვავ, მოდელი ვარ, ამიტომ ფიქრობენ, სწავლას ვერ დავუთმობ საჭირო დროს. მოდელი და პროკურორი – როგორ შეიძლება?! მინდა და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. როცა რაღაც გინდა, იმას აუცილებლად მიაღწევ, მიუხედავად კრიტიკისა, ბარიერებისა, დროის უქონლობისა. დროის სწორად გადანაწილება ადამიანს ყველაფერში ეხმარება. ამიტომ, დასახულ მიზანს აუცილებლად მივაღწევ. ვცდილობ: სწავლას მეტი ყურადღება დავუთმო. ცეკვა და მოდელობა ისეთი პროფესიებია, მომავალში მხოლოდ ამაზე ვერ იქნები დამოკიდებული. ამიტომ, ჩემთვის უფრო პრიორიტეტული პროკურორობაა. ზოგადად, ეს სფერო ძალიან საინტერესოა, კარგი პროფესიაა. თან, ოჯახში იურისტები მყავს: დედა ვაკე-საბურთალოს დეტექტივ-გამომძიებელია, მამა „სოდში“ მუშაობდა.

**– საინტერესოა, დეტექტივ-გამომძიებელი როგორი დედაა?**

– გამომძიებელი დედა სულ დაკავებულია. ერთი პერიოდი საერთოდ ვერ ვხედავდი, დილით ჩემზე ადრე გადიოდა და საღამოს ძალიან გვიან მოდიოდა. ანდა, თუ საქმე იყო გამოსაძიებელი, დანაშაული მოხდებოდა, მაშინ, შეიძლება, არც მოსულიყო სახლში, მთელი დღე მოწმეებთან იყო დაკითხვაზე.

**– ხომ არ გიჩნდებოდა ამის გამო პროტესტის გრძნობა?**

– ძლიერი ქალის მიმართ არასდროს მიჩნდება პროტესტი. დედა ჩემთვის მისაბაძი ადამიანია – ჩემი საუკეთესო მეგობარი, ყველაფერს ვეუბნები. ძალიან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, თან, ასაკიც უწყობს ხელს, არ არის დიდი. დედა ძალიან მტკიცე ხასიათის, მშვიდი, გაწონასწორებული და უპირველეს ყოვლისა, ძალიან ადამიანური, ჰუმანურია – ყველას უგებს, ყველასი ესმის.




**– შენი აზრით, გაქვს მომავალი პროკურორისთვის აუცილებელი თვისებები?**

– პროკურორი უნდა იყოს სამართლიანი – ეს არის მისი მთავარი თვისება. ასევე, უნდა იყოს გაწონასწორებული, უცებ არ გამოდიოდეს წყობიდან. ყველას უნდა უგებდეს და გაითვალისწინოს ყველა პირობა, ფსიქოლოგიას კარგად უნდა იცნობდეს და ადამიანების მიმართ ჰუმანური იყოს. ცოტა რთულია, საკუთარ თავზე საუბარი, თუმცა ერთი რამ შემიძლია, აღვნიშნო: სამართლიანი ნამდვილად ვარ, გარდა ამისა, ზედმეტად ჰუმანურიც. ადვილად მოსატყუებელიც ვარ, მეცოდებიან ხოლმე ადამიანები. მაგრამ, როცა პროკურორი ვიქნები, შევეცდები, ყველაფერი კარგად შევისწავლო – გადავხედო ფაქტებს, ყველა პირობას, მასალას, სამართლიანად გამოვიძიო საქმე და ისე წავუყენო ბრალი.

**– რატომ გადაწყვიტე „მის საქართველოზე“ გამოსვლა და ახლა უკვე მოდელობა?**

– არასდროს მიფიქრია მოდელობაზე. უბრალოდ, კონკურსზე გამოვედი. ძალიან მიყვარს სიახლეები და მინდა, ყველა სფეროში გამოვცადო თავი. ეს კონკურსიც ჩემთვის დამაინტრიგებელი, საინტერესო იყო. ამიტომ, ბედი ვცადე. ახლობლებმაც მირჩიეს: სცადე, რას კარგავო. საბოლოოდ, სამეულში შევედი, რასაც ნამდვილად არ ველოდებოდი. „მეორე ვიცე-მის საქართველოს“ ტიტულზე მეტად გამიხარდა, „მის მეგობრობის“ ნომინაციაში რომ გავიმარჯვე. 28 გოგონამ ფარული კენჭისყრით ამოირჩია ამ ნომინაციაში გამარჯვებული. ყველა ძალიან კარგი, განსხვავებული ადამიანია, მათთან დღემდე ვმეგობრობ. როცა დღეს ამ ლენტს ვუყურებ, მათ სითბოს, სიყვარულს ვგრძნობ, რაც ჩემთვის დიდი სტიმულია. რამე წარმატებას რომ მივაღწიო, ვფიქრობ, მათაც გაუხარდებათ და იამაყებენ ჩემით. „მის ტალანტის“ ნომინაციაში გამარჯვებისთვისაც ვიბრძოდი, ვიცეკვე, მაგრამ დარო მურუსიძემ გაიმარჯვა, რომელიც საქსოფონზე უკრავდა. დამსახურებულად მოიგო, რადგან უნიჭიერესი ადამიანია. უცხოეთში რომ წავალ კონკურსზე, იქაც აუცილებლად ბოლომდე დავიხარჯები.

**– აპირებ უცხოეთში სამოდელო კარიერის გაგრძელებას?**

– სწავლასთან შეთანხმებით გავაკეთებ ყველაფერს, რადგან სწავლა ყოველთვის პრიორიტეტულია. გოგონა მხოლოდ გარეგნულად არ უნდა გამოირჩეოდეს, სულ ცოტა, ინტელექტი მაინც უნდა ჰქონდეს, რომ საზოგადოების წინაშე ღირსეულად წარსდგეს და არა, როგორც თოჯინა. ამიტომ, ამ კუთხით ვმუშაობ საკუთარ თავზე. უცხოეთიდან თუ იქნება სამოდელო სფეროში შემოთავაზებები, ძალიან გამიხარდება, რადგან კიდევ ერთხელ მომეცემა შანსი, თავი სხვა სფეროში გამოვცადო.

**– ახლა, გარკვეულწილად, უკვე გცნობს ხალხი, ზოგს მოსწონხარ, ზოგს არა, ისევე როგორც ნებისმიერი ჩვენთაგანი – ვიღაცას მოსწონს, ვიღაცას არა. შესაბამისად, ალბათ, ცდილობ, გარკვეულწილად, საზოგადოებაში შენს ქცევებს, ჩაცმულობას, საუბარს უფრო მეტი ყურადღება მიაქციო.**

– უკვე დაკვირვების ობიექტები გავხდით. გვაკვირდებიან და ცდილობენ, ჩვენში უფრო მეტი ცუდი დაინახონ და რაიმეში გამოგვიჭირონ, ვიდრე კარგი იპოვონ. არასდროს ვიქცეოდი ცუდად, არასწორად, მაგრამ ახლა უფრო მეტად ვაკონტროლებ თავს. ვცდილობ, სულ ფორმაში ვიყო, მოუწესრიგებელი არ გამოვიდე სახლიდან. საუბრის მანერას, ქცევებს, ეტიკეტს, ჩაცმის სტილს, მოკლედ, ყველაფერს ვაქცევ ყურადღებას, რომ არ გავხდე გასაკრიტიკებელი, დასაცინი. ამას სიამოვნებით ვაკეთებ და ეს არ არის ჩემთვის შეზღუდვა, რადგან განსაკუთრებული არაფერი შემიცვლია. ზოგადად, ჯანსაღი კრიტიკა ძალიან კარგია, რადგან ცდილობ, გაითვალისწინო, საკუთარ თავში რაღაცეები შეცვალო. მაგრამ, არაჯანსაღ კრიტიკაზე ცუდად ვრეაგირებ – გულსატკენია.

**დედა ვაკე-საბურთალოს დეტექტივ-გამომძიებელია, მამა „სოდში“ მუშაობდა, ამიტომ მეც ამ სფეროს გავყევი**

**– შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება, თუ გყავს შეყვარებული, ან როგორი ბიჭები მოგწონს?**

– არ მყავს შეყვარებული. გარეგნობა არ არის ჩემთვის მნიშვნელოვანი. მთავარია, პიროვნულად იყოს ჩამოყალიბებული და არ ეშინოდეს იმის, რომ გვერდით ეყოლება ძლიერი, აქტიური ადამიანი, რომელიც ცდილობს, წარმატებას მიაღწიოს. თვითონაც ასეთი უნდა იყოს: პერსპექტიული, ისწრაფოდეს იმისკენ, რომ რაღაცას მიაღწიოს, წინ წაიწიოს ცხოვრებაში. როცა ძლიერი ადამიანი გყავს გვერდით, თავს ჩამოყალიბებულ პიროვნებად გაგრძნობინებს და თვითონაც ასეთია, ამ დროს მისი გარეგნობა მეორეხარისხოვანია – ის შენთვის მაინც საუკეთესო და ყველაზე სიმპათიური იქნება. რაც მთავარია, უნდა ვუყვარდე. მაგრამ, არ შემიძლია, მთელი დღის განმავლობაში ვეუბნებოდე: აქ ვარ, იქ ვარ. თუმცა, ყველა ქალს სიამოვნებს ყურადღება და ამ მხრივ განებივრებაზეც არ ვიტყვი უარს. უნდა ვგრძნობდე, რომ მისთვის ერთადერთი ვარ და როცა ამას გულით მეტყვის, ეს ჩემთვის უკვე საკმარისი იქნება. თუმცა, სიყვარული უნდა დამიმტკიცოს და ამას როგორ გააკეთებს, ეს მისი გადასაწყვეტია. დაუფიქრებლად არ გადავდგამ ამ ნაბიჯს, რადგან მთელი ცხოვრება იმ ადამიანთან ერთად უნდა გავატარო. ამიტომ, ეს საკმაოდ დასაფიქრებელი საკითხია.

**ნათია უტიაშვილი**



# საქართველო ირბენს მსოფლიოსთან ერთად

2014 წლის 4 მაისს გაიმართება სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და უნიკალური ღონისძიება – Wings for Life World Run, რომელშიც ქველმოქმედებისთვის მთელი მსოფლიო გაერთიანდება, საქართველო კი მისი ნაწილი გახდება.

4 მაისს, საქართველოს დროით 14:00 საათზე, 5 კონტინენტის 40 სხვადასხვა ქვეყანაში ასიათასობით მორბენალი ერთდროულად დაიწყებს სირბილს. ამ დროს კალიფორნიაში დილის 3 საათი, ტაივანში საღამოს 6 საათი, ავსტრალიასა და ტოკიოში კი დილის 4 საათი იქნება.




Wings for Life World Run-ის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ არ არის განსაზღვრული ტრასის მანძილი და დრო, არ არსებობს ფინიშის ხაზი. სპორტის ისტორიაში მსგავსი ღონისძიება ჯერ არ ჩატარებულა. ტრადიციული ფინიშის ხაზის ნაცვლად იქნება სპეციალური „ფინიშ-მანქანა", რომელიც სტარტიდან 30 წუთის შემდეგ დაიწყებს სვლას და იმოძრავებს წინასწარ დადგენილი სიჩქარით (15 კმ/სთ - 20 კმ/სთ - 25 კმ/სთ). როგორც კი ფინიშ-მანქანა გადაუსწრებს რომელიმე მორბენალს, ის ავტომატურად ეთიშება შეჯიბრებას.

„მსოფლიო რბენაში" მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია – როგორც მოხალისე მორბენლებს, ასევე, პროფესიონალ სპორტსმენებს. საქართველოში მონაწილეების სავარაუდო რაოდენობაა 2 000-3 000, მსოფლიოში კი – 200 000-ზე მეტი მორბენალი.

4 მაისი, 14:00, საქართველო, კახეთი: მონაწილეები ირბენენ ლოპოტის გადასახვევიდან კავკასიონის ქედის გაყოლებით, ფინიშ-მანქანის დაწევამდე.

მსოფლიო რბენის შედეგად 2 გამარჯვებული (ერთი ქალი და ერთი მამაკაცი) გამოვლინდება. ისინი აღიარებულნი იქნებიან Wings for Life World Run-ის გლობალურ ჩემპიონებად და საჩუქრად მიიღებენ ექსკლუზიურ ტურს მსოფლიოს გარშემო. საქართველოს ეტაპის 2 გამარჯვებულს კი შესაძლებლობა მიეცემა, მონაწილეობა მიიღოს 2015 წლის რბენაში მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, რომელსაც თვითონ აირჩევს.

მონაწილეებს შორის იქნებიან: „ფორმულა 1-ის" ლეგენდარული მძღოლები სებასტიან ვეტელი და დევიდ კულჰარდტი, მოთხილამურე ლინდსი ვონი, ბრაზილიელი ფეხბურთელი ნეიმარი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი სირბილში კოლინ ჯექსონი და სხვა ცნობილი სპორტსმენები – Wings for Life World Run-ის კეთილი ნების ელჩები მთელი მსოფლიოდან.

საქართველოში კეთილი ნების ელჩები არიან: საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების კაპიტანი ირაკლი მაჩხანელი, სეულის ოლიმპიადის პრიზიორი სირბილში მაია აზარაშვილი, ინტელექტუალი გიორგი ბაქრაძე, სერგი გვარჯალაძე, სამორი ბალდე, დავით ქაცარავა, ნიკა გრიგოლია. პროექტში აქტიურად ჩაერთნენ კალათბურთელები: ზაზა ფაჩულია, თორნიკე შენგელია, ვიქტორ სანიკიძე, ანატოლი ბოისა, კოტე ტუღუში; ფეხბურთელები: აჩი და შოთა არველაძეები, ლევან კობიაშვილი, ზურა ხიზანიშვილი, გიორგი ლორია; მორაგბეები – მამუკა გორგოძე და დავით ზირაქაშვილი; ძიუდოისტები – ვარლამ ლიპარტელიანი და ადამ ოქრუაშვილი, წყალბურთელი რევაზ ჩომახიძე და სხვა ცნობილი ქართველი სპორტსმენები.

ღონისძიებიდან შემოსული სრული თანხა გადაეცემა Wings for Life-ის ფონდს, რომელიც აწარმოებს სამედიცინო და კლინიკურ კვლევებს ზურგის ტვინის დაზიანების სამკურნალოდ. Wings for Life-სა და Red Bull-ის საორგანიზაციო ჯგუფი უზრუნველყოფს ღონისძიების შედეგად შეგროვებული ფულის Wings for Life-ის ფონდში გადარიცხვას EMS (European Merchant Services) საგადასახადო სისტემის გავლით.

მონაწილეობის საფასურია 20 (ოცი) ლარი. რეგისტრაცია მიმდინარეობს ვებ-გვერდზე: www.wingsforlifeworldrun.com, 2014 წლის 20 აპრილის ჩათვლით.



## ტურნირი ხმლით მოფარიკავე გოგონებში

7, 8 და 9 მარტს ჩატარდა საქართველოს პირველობა 20 წლამდე ასაკის ხმლით მოფარიკავე გოგონებს შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ ნიკოლოზ ანდრიაძის სახელობის კლუბის ბავშვები. საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ელენე ნანობაშვილმა, მეორე ადგილი დაიკავა ანი აფრასიძემ. ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ელენე ნანობაშვილსა და ანი აფრასიძეს შორის გამართული ორთაბრძოლა ძალიან დაძაბული გამოდგა და დამთავრდა შედეგით – 15:14. გამარჯვება ელენეს დარჩა, რომელიც უკვე არის საქართველოს სამგზის ჩემპიონი, აფხაზეთის საერთაშორისო ტიტულის მფლობელი; ასევე წელს, 2 თებერვალს, თბილისში გამართულ ევროპის თასზე, მან მეორე ადგილი მოიპოვა გუნდურ ჩათვლაში. ანა აფრასიძე არის საქართველოს ჩემპიონი მოზარდთა შორის, გალაქტიონ ჩიქოვანის სახელობის საერთაშორისო ტურნირის თასის მფლობელი, ევროპის ჩემპიონი 15 წლამდე ასაკის სპორტსმენებში და მსოფლიოს პრიზიორი ასევე 15 წლამდე გოგონებს შორის. ელენე და ანა მთავარი მწვრთნელის მერაბ ბაზაძის და ქეთევან ერემეიშვილის დახმარებით ემზადებიან ბულგარეთში მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებლად.

## ვინ შევიდა გინესის რეკორდების წიგნში საქართველოდან




2014 წლის გინესის რეკორდების წიგნში საქართველოდან ერთი გამორჩეული ადამიანი შევიდა – ეს გახლავთ ეგრეთ წოდებული „კაცი მაგნიტი", ეტიბარ ელჩიევი-ბუდაღლი, რომელსაც თან ახლდნენ მისი პიარ-მენეჯერი, კავკასიის მსოფლიო რეკორდების გენერალური მდივანი – შოთა ქელდიშვილი. წიგნში აღწერილია იტალიასა და ჩინეთში ჩატარებული გინესის შოუზე ეტიბარის შედეგები: თავისი უნუკალური უნარის წყალობით, მან შეძლო 52 კოვზის სხეულზე მიკვრა. ამ ამბის შესახებ ვრცელი პრესკონფერენცია სპორტის სამინისტროში გაიმართა.

## 20 მარტიდან კინოთეატრი „რუსთაველი" აჩვენებს რეჟისორის, გიორგი ვარსიმაშვილის „პარიზულ ოცნებას" წარმოგიდგენთ




20 მარტიდან მაყურებელს კინოთეატრ „რუსთაველში", ასევე, საქართველოს ქალაქებში: საჩხერეში, გორში, ბაკურიანსა და ზუგდიდში, გიორგი ვარსიმაშვილის 73-წუთიანი ფილმის – „პარიზული ოცნების" ნახვის საშუალება ექნება. ფილმის რეჟისორი გიორგი ვარსიმაშვილია, სცენარი ეკუთვნით გიორგი ვარსიმაშვილსა და ნიკოლა რავერის; ოპერატორები – გიორგი შანიძე და იური აბჟანდაძე; ხმა – თეოდორ ჩელარდო; მონტაჟი და მუსიკა – გიორგი ვარსიმაშვილის. როლებში: მადლენ პუგაჩი, კამი კოკენიო, გაბრიელ მირეტე. კინოსტუდია – „ვარს-სტუდიო", ხოლო პარტნიორები: საქართველოს ეროვნული კინოცენტრი, პარიზის მე-8 უნივერსიტეტი, პარიზის სორბონის უნივერსიტეტი, საფრანგეთის რეგიონული განვითარების ფონდი „კრუსი".

ფილმის მოკლე შინაარსი ასეთია: კონსტანცია ერთი პროვინციელი გოგონაა, რომელიც პარიზში ჩადის სასწავლებლად. მისი მთავარი საზრუნავი საცხოვრებელი ბინის პოვნაა, რაც ძალიან რთული აღმოჩნდება. ბინის მეპატრონეები სკეპტიკურად არიან სოფლელი გოგონასადმი განწყობილი. ბინის სხვა მსურველები კი ყველაფერს კადრულობენ მიზნის მისაღწევად...

**გიორგი ვარსიმაშვილი**: პარიზში ვსწავლობდი კინოსარეჟისოროზე. როგორც ყველას, მათ შორის მეც, მქონდა ბინის დაქირავების პრობლემა. ზოგი ჩემი მეგობარი თვეობით ეძებდა ბინას, თუმცა, მე მათთან შედარებით გამიმართლა... ერთხელაც, მივხვდი, რომ ამ თემაზე არც ერთი ფრანგული ფილმი არ იყო გადაღებული, არადა, ეს საკმაოდ დიდი პრობლემაა – ყველა სტუდენტს უჭირს ბინის შოვნა. მოკლედ, გადავწყვიტე, გადამეღო ფილმი, თუმცა, ბინის პრობლემა ავიღე იმისთვის, რომ მომეყოლა ის ამბავი, რაც მაინტერესებდა. ვფიქრობ, რომ ყოველ ჩვენგანს თავისი ადგილი აქვს. მაგრამ კონსტანციას პერსონაჟი ერთადერთია, ვისაც არ შეუძლია, იცხოვროს დიდ ქალაქში, იქ დამკვიდრებული წესებით, სადაც ყველა იტყუება და ასე ეძებს გამოსავალს; კონსტანციას კი არ აქვს ამის გამბედაობა. თუმცა, ფილმის ფინალურ სცენაში ის პოულობს საკუთარ ადგილს...

ვფიქრობ, რომ ფილმში საინტერესო ამბავი, საინტერესო სათქმელია გადმოცემული. გარდა ამისა, მყავს ძალიან კარგი მსახიობები, ბევრია იუმორი და, რაც მთავარია, მაყურებელი ნახავს ისეთ პარიზს, რომელიც არც ერთ ფილმში არ უნახავს.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

# რატომ აკურთხეს ძალით პეტრე იბერი ეპისკოპოსად და როგორ გახდა ის უშვილოთა იმედი და სნეულთა მკურნალი

მეხუთე საუკუნის დასაწყისში ბიზანტიას მართავდა თეოდოსი მეორე, ხოლო სპარსეთს - იეზდიგერდ პირველი. ორივე ხელმწიფეს სურდა, იბერია მოკავშირედ ჰყოლოდა. ქართლის ერთი ნაწილის ხელმწიფემ – ბუზმარმა, როგორც ქრისტიანმა, ბიზანტია არჩია. მას ჰყავდა ძე, უფლისწული მურვანოსი (მურვანოზი – სირიული წყაროებით – ნაბარნუგი). სხვა ვარიანტით, მურვანოსის მამა მეფე ვარაზ ბაკურია (ვარაზ-ბაქარი). ვარაზ ბაკური მეოთხე საუკუნის ბოლოს მეფობდა ქართლის ნახევარში.

უფლისწული დაიბადა დაახლოებით 411 წელს. როცა თორმეტი წლის შესრულდა, თეოდოსი იმპერატორის მოთხოვნით, მამამ კონსტანტინეპოლში გააგზავნა შესაბამისი ამალით.

კეისარმა შვილივით შეიყვარა მძევალი. თეოდოსი და მისი მეუღლე – ევდოქსია ძალიან მორწმუნეები იყვნენ. იმპერატორის აღმზრდელი უფროსი და, პულხერია განსაკუთრებული ასკეტიზმითა და სიწმინდით გამოირჩეოდა. სამეფო კარი თითქმის მონასტრული წესებით ცხოვრობდა. ქართველი უფლისწულიც არ ჩამორჩებოდა მათ. მან გააგრძელა განათლების მიღება, ბრწყინვალედ იცოდა ბერძნული, ასურულიც ისწავლა. იმპერატორის კარზე სწავლულებს ანცვიფრებდა თავისი ცოდნით.



იმ დროს სპარსეთში ქრისტიანები აწამეს. მათი წმიდა ნაწილები მცხეთის სამეფო კარზე მიაბრძანეს ქრისტიანებმა, მეფემ კი თავის ძეს გაუგზავნა. უფლისწული მათ არ იშორებდა.

რომ წამოიზარდა იერუსალიმს წასვლა გადაწყვიტა. იმპერატორი ევედრებოდა, არ წასულიყო და მცველები დაუდგინა. მურვანოსის წასვლის წინააღმდეგი იყვნენ მისივე ამალის წევრებიც, რომლებიც უფლისწულს იბერიის მომავალ ლიდერად მოიაზრებდნენ.

მურვანოსი თავის აღმზრდელ და თანამზრახველ მითრიდატე ლაზთან ერთად, რომელიც ცნობილი ფილოსოფოსი და თეოლოგი იყო დასავლეთ საქართველოდან, გაეშურა წმიდა ქალაქისკენ. თანამზრახველებმა ნავი იპოვეს და ღმერთს მიენდვნენ. თეოდოსი კეისარმა ბევრი ეძება ისინი, მაგრამ ამაოდ.

უფლისწულს თან ჰქონდა ნაწილი ქრისტეს ჯვრისა, ძელიცხოველს მირონი სდიოდა.

იერუსალიმში მურვანოს უფლისწული უფლის საფლავზე ბერად ეკურთხა და უწოდეს სახელი პეტრე, მის მსახურს – იოანე (ლაზი).

ოცდახუთი წლის ასაკში წმიდა პეტრე ძვალი და ტყავილა იყო, იმდენად დაიშრიტა ხორცი.

პეტრე იბერმა მოწაფეებთან ერთად ააშენა ღვთისმშობლის სახელობის ქართველთა მონასტერი. შემდეგ წავიდა პალესტინაში, იორდანეს პირას და სხვა მონასტრის შენება დაიწყო. იქვე მოეწყო ქართველთა კოლონია და სკოლა. მასთან ერთად მოღვაწეობდა მისი მოწაფე, ცნობილი მამა ზაქარია ქართველი და სხვები. პეტრე იბერის მიერ აშენებულ მონასტერში ერთ-ერთი უძველესი შემორჩენილი ნიმუშია ქართული დამწერლობისა.

წმიდა მამებმა ეგვიპტეშიც ააშენეს მონასტერი.

ერთი ერისკაცი მათ საზღვარს ედავებოდა. ერთ დღეს მან მამა იოანეს გაარტყა და მუშები ეკლესიიდან გაყარა. პეტრე ქართველმა ეს რომ გაიგო, თურმე თქვა: „საკვირველი იქნება, თუ ის კაცი არ მოკვდება ამაღამ“. მართლაც, მოჩხუბარი კაცი დილას მკვდარი იპოვეს.

პეტრე იბერმა და იოანე ლაზმა, სხვა თანამოაზრე ქართველებთან ერთად უამრავი საქმე გააკეთეს, ემსახურებოდნენ ქართულ კულტურას და ქრისტიანობას.

გავიდა დრო, წმიდა იოანე ლაზი გარდაიცვალა.

წმიდა პეტრე იბერიელის სახელი განითქვა იერუსალიმში, პალესტინასა და ეგვიპტეში. მას თავისსავე სიცოცხლეში უწოდებდნენ „მსოფლიოში საკვირველად სახელგანთქმულ კაცს“, „მეორე მოციქულ პავლეს“, „ჩვენს პავლეს“, „ახალ მოსეს“...

ამ დროს გარდაიცვალა ქალაქ მიუმის ეპისკოპოსი. მოქალაქეებმა პატრიარქს სთხოვეს, მამა პეტრე ეკურთხებინა ეპისკოპოსად. იცოდნენ რა პეტრე იბერის პოზიცია, პატრიარქის ბრძანებით იგი უდაბნოში იპოვეს და ძალით წაიყვანეს იერუსალიმს, რადგან ქართველი ბერი წინააღმდეგი იყო ამქვეყნიური პატივის.

პატრიარქმა პეტრე ქართველი ეპისკოპოსად აკურთხა და გააგზავნა მიუმში, სადაც დიდი პატივით მიიღეს.

450 წელს გარდაიცვალა იმპერატორი თეოდოსი მეორე. ტახტზე ავიდა მარკიანე კეისარი. 451 წელს ჩატარდა მეოთხე საეკლესიო კრება ქალკედონში, რომელზეც დაიგმო მონოფიზიტობა.

ანტიოქიაში, სირიასა და პალესტინაში ბევრი მონოფიზიტი იყო, რომლებიც აუჯანყდნენ ქალკედონიტებს, დიოფიზიტებს და დიდი ბრძოლები გაუჩაღეს მარკიანეს ჯარებს. რადგან ძალიან ბევრი მონოფიზიტი იყო, მათ მრავალი მართლმადიდებელი მოკლეს. აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებლებიც და მონოფიზიტებიც ცდილობდნენ, პეტრე იბერისადმი დიდი მოწიწება გამოეხატათ, რადგან სახელგანთქმული იყო მისი სიწმიდე და სიბრძნე მთელს ქრისტიანულ სამყაროში.

წმიდა პეტრე იბერის ბიოგრაფის ცნობით, მამა პეტრემ გამოცხადება იხილა თუ როგორ აჰყავდათ გარდაცვლილ მართლმადიდებელთა სულები ანგელოზებს ზეცაში.

ექვსი წლის მერე მეფე მარკიანე მოკვდა და კეისრის ტახტზე ავიდა ლეონ პირველი. მწვალებელმა მონოფიზიტებმა დრო იხელთეს და კვლავ არიეს ქვეყანა. მათ ქართველი მღვდელმთავრის, პეტრეს მოკვლა განიზრახეს. მის რეზიდენციასთან ვითომ ავადმყოფი ბავშვი მიიყვანეს და სთხოვდნენ, გამოსულიყო და განეკურნა ის თავისი ლოცვით. წმიდა პეტრე ყველაფერს მიხვდა და გადაწყვიტა, გასცლოდა იქაურობას, რათა მისი მოკვლის გამო უგუნურნი ცოდვაში არ ჩავარდნილიყვნენ.

გზად ერთ ადგილას გაჩერდნენ, შევიდნენ შენობაში წირვის ჩასატარებლად. შენობა საკერპე აღმოჩნდა. მთავარეპისკოპოსი პეტრე არც შეცბუნებულა და მაინც ჩაატარა წირვა. წირვისას ნაკვერჩხალი გადმოვარდა პეტრე იბერიელის საცეცხლურიდან, კერპებს ცეცხლი მოედო და დაწვა, სახლი კი გადარჩა.

ხმა გავრცელდა, რომ პეტრე იბერიელის ლოცვა უშვილოთა იმედი და სნეულთა მკურნალი არისო და ამიტომ, უამრავი ადამიანი ცდილობდა მასთან მისვლას.

ლეონ კეისარი ჩვიდმეტი წელი მეფობდა. მისი მეფობისას ბიზანტია დაწყნარდა, მართლმადიდებლები გაძლიერდნენ. 474 წელს ლეონ პირველი გარდაიცვალა. ტახტზე ავიდა ლეონ მეორე, მან სულ რამდენიმე თვე იმეფა. იმავე წელს იმპერატორის ტახტი ზენონმა დაიკავა. 482 წელს ზენონ მეფემ სახელგანთქმული წმიდა ესაია და წმიდა პეტრე თავისთან მიიწვია. არც წმიდა პეტრეს და არც წმიდა ესაიას არ სურდათ იმპერატორთან წასვლა. წმიდა ესაიამ ღმერთს ავადმყოფობა სთხოვა, რაც მიიღო კიდეც დროებით, რათა კონსტანტინეპოლში ვერ წასულიყო. წმიდა პეტრე გადაიხვეწა. როგორც ჩანს, მათ არ უნდოდათ, ზენონის მიერ შემოთავაზებული „ჰენოტიკონისთვის“ („შეერთების წერილი”) მოეწერათ ხელი, რაც დიოფიზიტთა და მონოფიზიტთა მორიგებისკენ იყო მიმართული.

კეისარმა ზენონმა მისწერა წმიდა პეტრეს: „ჩემთვის მაინც ილოცეთ!“ ამის მერე ქართველი მეუფე კვლავ დაბრუნდა მიუმში. მიუმის მცხოვრებნი დიდი სიხარულით შეეგებნენ.

გავიდა ხანი, გარდაიცვალა წმიდა ისაია. ქართველი მეუფე თავადაც გრძნობდა ამ სოფლიდან განსვლის მოახლოებას. წმიდა ესაიას და აწ უკვე გარდაცვლილი წმიდა ზენონ სკიტელის მოწაფეები, მოძღვართა ანდერძისამებრ პეტრე იბერიელს დაუმოწაფდნენ.

ერთ დღესაც პეტრე იბერიელმა მრევლს განუცხადა, რომ მალე გარდაიცვლებოდა. იმავე ღამეს წმიდა ზენონ სკიტელის მოწაფედყოფილმა ათანასემ ჩვენება ნახა: ათი დღის შემდეგ წმიდა პეტრეს სულს მოიყვანს წმიდა პეტრე ალექსანდრიელი პატრიარქიო და ეს ტირილით უამბო პეტრე იბერიელს.

ათი დღის განმავლობაში აღარაფერი ჭამა პეტრე ქართველმა, მხოლოდ ლოცულობდა. მეათე დღეს გამოაცხადა: „საყვარელნო შვილნო ჩემნო, ამიერითგან მიხილავ“. მოწაფეები და ხალხი ხელებზე კოცნიდნენ და ტიროდნენ. მან ისინი დაამშვიდა, შემდეგ სენაკში შევიდა. როცა მოწაფეები მის სანახავად შევიდნენ, სენაკში საკმევლის საკვირველი სუნი დახვდათ. პეტრე იბერმა ილოცა და სული ღმერთს მიაბარა.

სამი დღე ვერ დაკრძალეს იგი, იმდენად დიდი იყო მნახველთა და თაყვანისმცემელთა რიცხვი. წმიდა ცხედრის გარშემო საკმევლის სუნი ტრიალებდა.

ასე გარდაიცვალა 491 წელს პალესტინაში, ქალაქ მიუმში ქართველთა მეფის ძე, წმიდა მთავარეპისკოპოსი პეტრე – „სამკაული და სიქადული ქართველთა“.

**გიორგი მახობეშვილი**

**არაჩვეულებრივი პროფესია მაქვს, მუდამ სიახლეებითა და საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობებით მანებივრებს. მორიგი „ნებივრობის" საათები განვიცადე საფრანგეთში მოღვაწე ქართველი მხატვრის, ლევან მოსიაშვილის ინტერვიუს ჩაწერისას. მისი ნამუშევრები ისეთივე ღრმა, მრავალფეროვანი, მრავლისმთქმელი და საინტერესოა, როგორც თავად შემსრულებელი.**

# სად გაიყიდა ლევან მოსიაშვილის ქართული პერიოდის ნამუშევარი 15 ათას ევროდ

**ლევან მოსიაშვილი**: ოდესღაც მეც ვოცნებობდი ჟურნალისტობაზე, რაღაცით შევძელი კიდეც ამ ოცნების ახდენა, მე ხომ ნახატით მომაქვს სათქმელი, ფერებით გესაუბრებით და გიყვებით, რა ხდება ჩემს სულში, ჩემს საქართველოში. იცი, სანამ დავხატავ, ჯერ ვფიქრობ, რად მინდა ისედაც ხომ ჩემში ზის ეს ყველაფერი-მეთქი, მაგრამ, ალბათ, არასწორი იქნებოდა, თქვენთვის არ მომეყოლა, არ გამენდო ნაფიქრალი, ტკივილი თუ სიხარული. უცნაური ხალხი ვართ ქართველები, რაღაცით ამაყები, რაღაცნაირად ბედნიერები, ყველანაირად ლამაზები და დიდი სიყვარულის მატარებლები. თუმცა კი, მაქსიმალისტები!

**– გეთანხმებით. ეს ჩვენი კარგი მხარეა.**

– ეტყობა, ჩემში იმდენად ზის ქართველი თავისი ისტორიით, ტრადიციით, სულიერებითა და ღირებულებებით, რომ ეს ყველაფერი თავისთავად გადადის ტილოზე. დღეს ვქმნი აბსტრაქციებს, მაგრამ ისინიც რაღაცნაირად ქართულია, ღრმა და ფერადოვანია, ჩვენს ულამაზეს პეიზაჟებს მოგაგონებთ. მეუბნებიან, ლევან, შენ ისევ იქ ხარ, შენს საქართველოში – სტილი შეიცვალე და სული კი ვერაო. მსიამოვნებს, თუ ეს ასეა. ყველა ყველას ჰგავს – ბაძავს, თუ თავისით ემსგავსება. მე კი, არასოდეს მრცხვენია გითხრათ სათქმელი – ხანდახან შელამაზებული, ხანდახან პრიმიტიული ანუ ნაივი, მაგრამ ევროპას ეს ესმის. ეტყობა, ზეგანვითარდა მატერიალიზმში და პიროვნულ, სულიერ ფასეულობებში კი უჭირს.

**– ვფიქრობ, ეს ყველაფერი სულიერების დეფიციტში გადაიზრდება. თქვენ გამოფენებზეც სულიერების ძიებაში მოდიან და მიდიან სულიერად გამდიდრებულები. შემოქმედებით სიახლეებზე რას მიამბობთ?**

– ამჟამად ვაგრძელებ აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას საფრანგეთში. სულ ორი დღეა, გავხსენით გამოფენა ქალაქ გრენადაში ისტორიულ, შუასაუკუნეების პერიოდის დარბაზში, რომელიც გრენადის მერიას, კერძოდ ტურიზმის ოფისს ეკუთვნის. ასევე იხსნება პერსონალური გამოფენა ქალაქ ოტერივში. ქალაქის ადმინისტრაციამ ასევე ისტორიული დარბაზი დამითმო, როგორც ერთ-ერთ საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებულს, ერთი თვით მიმასპინძლებენ და მოთხოვნა ჰქონდათ, ქართული სული, იმ პერიოდის ნახატები გვაჩვენე, საქართველოს რომ ეფერებიო.

მეცინება, მგონი, არც ახლა აკლია ჩემი მხრიდან ყურადღება საქართველოს, მალე კვლავ გესტუმრებით გამოფენით და უკვე საფრანგეთში შექმნილ ქართულ ნოსტალგიას წარმოგიდგენთ, აბსტრაქციაში გარდასახულ ჩემს იდეებს. ნახავთ ქართველს ევროპული ტექნიკით, მანერით.

ასევე, ვმონაწილეობ ჯგუფურ გამოფენებში, ახლახან მივიღე მონაწილეობა კასტელმორუს მეექვსე საერთაშორისო სალონში. ასევე, მიმაქვს ნახატები მონბერონის ჯგუფურ გამოფენაზე, ტულუზასთან ახლოსაა ეს ქალაქები, სამხრეთია. აქ უკვე გაზაფხულდა და უამრავი დამთვალიერებელი მოდის გამოფენებზე.

**– მგონი, ევროპაში უფრო მეტი ადამიანი იცნობს მხატვარ ლევან მოსიაშვილს, ვიდრე საქართველოში. იმას ვგულისხმობ, რომ ევროპელები უფრო განებივრებული გყავთ გამოფენებით.**

– მესმის თქვენი. ალბათ, ეს რეალობაა...

**– მეორე მხრივ, არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ საქართველოში მხოლოდ სულიერ სიამოვნებას მიიღებდით თქვენი საქმით... ასე არაა?**

– ჩვენს სამშობლოში ყველაფერზე წინ, სამწუხაროდ, პოლიტიკას თუ პოლიტიკანობას აყენებენ. ამ დროს კი, ცხოვრება სხვა სფეროებშიც ჩქეფს.

**– ჩქეფს და მერე როგორ...**

– რთულია, მანდ დაივიწყონ საკუთარი მე და სხვასაც დაუთმონ ასპარეზი. ეს ყველა სფეროს ეხება. აქ კი ყველა თანასწორია მეტ-ნაკლებად და კონკურენტუნარიანი, გამჭვირვალე გა-



მეუბნებიან, ლევან, შენ ისევ იქ ხარ, შენს საქართველოში – სტილი შეიცვალე და სული კი ვერაო. მსიამოვნებს, თუ ეს ასეა

რემოა. თუ ივარგებ, მიგიღებენ, თუ არა – ამასაც გეტყვიან. ისტორიულად, ეს სისტემა დასავლეთში დიდი ხანია, მუშაობს. ჩვენ ახლა ვიდგამთ ფეხს საქართველოში, სულ რაღაც 20 წელია. თუმცა, ეს ერთი თაობაა და ვწუხვარ, გითხრათ, დაკარგულია ეს წლები და ალბათ თაობაც. უნდა ვისწავლოთ შრომის დაფასება და ნიჭის აღიარება. ფასეულობები გვაქვს, მიმართულება კი დავკარგეთ და კიდევ მინდა ვთქვა, რომ სამწუხაროდ, მატერიალურად არანაირად არ კომპენსირდება საქართველოში ინტელექტუალური შრომა. როდემდე შეიძლება, ველოდოთ გმირებს, მითითებებს, დონორებს... ხომ შეიძლება, შეიქმნას ისეთი სწორი გარემო და კომპენსირება, რომ ქართველები არ ცდილობდნენ, სხვაგან ამტკიცონ ნიჭიერება, სიკარგე, სულიერება. მოკლედ, მინდა გითხრათ, უცხოეთში მინიმუმით რომაა ადამიანი უზრუნველყოფილი, ეს უკვე ბევრს ნიშნავს. ამიტომაც, ავტომატურად ფიქრობ მერე, განვითარებაზე. საკუთარი თავის თვითრეალიზაცია შეუძლებელია, თუ ყოფითი არ გაქვს მოგვარებული. ასე რომ, ბევრი რამაა საკეთებელი თავიდან ჩვენს ულამაზეს ქვეყანაში.

**განსაკუთრებით ვუფრთხილდები ქართული პერიოდის, ანუ მანდ შექმნილ ტილოებს, უკვე ძნელად ველევი. თუმცა, თანხებს არცთუ მცირეს მთავაზობენ მათ სანაცვლოდ. ახლახან მაუწყეს, რომ პეტერბურგის ერთ-ერთ გალერეაში 15 ათას ევროდ გაუყიდიათ ჩემი ქართული პერიოდის ნამუშევარი**

**– თქვენ ბევრი იშრომეთ. აღიარებაც ამის შედეგად გხვდათ წილად.**

– რაც შეეხება აღიარებას, ჩემთვის ეს დიპლომები თუ თასები, მატერიალურად ვგულისხმობ, იმდენად დიდ ფასეულობას არ წარმოადგენს, როგორც შინაარსი, სტიმული, რეალობა იმისა, რომ ერთ ქართველ კაცს გასაქანს აძლევენ, აღიარებენ, ხელს უწყობენ, აკეთოს თავისი საქმე. მინდა გითხრათ, ყველგან, ყველა დოკუმენტში ფიგურირებს, რომ ესა თუ ის ჯილდო გადაეცა ქართველ მხატვარს. ჩემთვის ქართველობა უფრო დიდი ჯილდოა, ვიდრე ეს ყველაფერი, რაც მაქვს. ახლახან გავიმარჯვე ტულუზის საერთაშიორისო სამხატვრო კონკურსში და ქალაქ ვენერკის მერიის თასი გადმომეცა. პლუს ერთთვიანი გამოფენა ამ ქალაქის მერიაში. ბოლო მიღწევაზე ვამბობ, თორემ ამ 16 წელიწადში უამრავი საინტერესო აღიარება მქონდა. მე რეალისტი ვარ. თან, ალბათ, ეს არაა მთავარი და მნიშვნელოვანი – სად, როდის, რა მოიპოვე. ჩვენ ქვეყანას უნდა ემსახურო და მას გაუთქვა სახელი, თორემ ქაღალდებზე, თასებზე, ჯილდოებზე საუბარი და ჩამონათვალი, შორს წაგვიყვანს. გეტყვით, რომ ვარ მარსელის, ლიონის, ტულუზის, ნიცისა და პარიზის რეგიონებსა და ამ ქალაქებში ჩატარებული კონკურსების პრიზიორი, ლაურეატი. მაგრამ, ხაზს ვუსვამ, ეს არაა მთავარი – ყველგან ვცდილობ, საქართველო კარგი მხრით ვანახო, ისე, თითქოსდა ყველაფერი კარგად გვაქვს. ალბათ, ასე ჯობია, საკუთარ თავს ჩვენვე უნდა მივხედოთ. ევროპელები, მხოლოდ კარგს უკრავენ ტაშს და ცუდს, თითქოს იგნორს უკეთებენ.

**– მიწვევებზეც მომიყვებით?**

– მიწვევები და შემოთავაზებები მაქვს, რომ წარვადგინო ნამუშევრები: გერმანიაში, იტალიაში, მალაიზიაში. მიმდინარეობს მოლაპარაკება სამხრეთ აფრიკასთან, რომ ჩვენი, ქართული საელჩოს პატრონაჟით, წარვდგე მათ წინაშე.

**– როგორც ვიცი, ჩვენი ჟურნალი პირველია, ვინც იუწყება, რომ აპრილში თბილისელ დამთვალიერებელსაც გაახარებთ თქვენი გამოფენით. ასეა?**

– ასეა, რადგანაც უდიდეს პატივს ვცემ თქვენს ჟურნალს, მის შინაარს. ჩემთვის თბილესელობა ისევე საამაყოა, როგორც ტულუზელობა. ანუ, დღეს უკვე ორი სამშობლო მაქვს, მაგრამ ორ ღმერთზე ვერ ილოცებ. მე ჩემს თბილისს წინ ვაყენებ. სრულიად ექსკლუზივია და შეგიძლიათ აუწყოთ მკითხველს, რომ თქვენი მონა-მორჩილი, ქართველი მხატვარი მალე გესტუმრებით ჩემი ფრანგული კოლექციითა და ქართული სულით. მინდა, დიდი მოკითხვა გადავცე ყველას და გითხრათ, რომ ყოველთვის თქვენ გვერდით მიგულეთ, მიუხედავად მანძილის სიშორისა, ძალიან მიყვარხართ და მეამაყებით, ჩემო კეთილო და ყველაზე თბილო ადამიანებო, ჩემო ქართველებო!

**– რას ჩამოიტანთ და კიდევ რა თანხად გაიყიდა თქვენი ყველაზე ძვირად ღირებული ნამუშევარი?**

– არის ისეთი ნამუშევრები, რომლებსაც არ გავასხვისებ. მინდა, ისინი საქართველოს საკუთრებად დარჩეს. ამ ნამუშევრების ნაწილს წარმოგიდგენთ სულ მალე, აპრილში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ასე ვთქვათ, ერთგვარი რეტროსპექტივა იქნება განვლილი 20 წლისა. გამოფენაზე წარმოვადგენ ჩემი 5 პერიოდის ნამუშევრებს. განსაკუთრებით ვუფრთხილდები ქართული პერიოდის, ანუ მანდ შექმნილ ტილოებს. უკვე ძნელად ველევი მათ, თუმცა თანხებს არცთუ მცირეს მთავაზობენ მათ სანაცვლოდ. ახლახან მაუწყეს, რომ პეტერბურგის ერთ-ერთ გალერეაში 15 000 ევროდ გაუყიდიათ ჩემი ქართული პერიოდის ნამუშევარი. ასე რომ, ეს ერთგვარი სტიმულიცაა ჩემთვის, რომ ქართულ ხელოვნებას ასე აფასებენ. იცით, რით ვარ ბედნიერი, მადლობა უფალს, რომ ჩემს სიცოცხლეშივე ვხედავ და ვესწრები ამ ყველაფერს. მსოფლიო ბუმბერაზი მხატვრების უმრავლესობა მშიერი დადიოდა. მართალია, მე ჯერ შორი გზა მაქვს გასავლელი, იდეები არის, მთავარია, კარგი მესმოდეს და კარგზე ვიფიქრო... როცა მანდ გცივათ, მეც – მცივა, როცა – გტკივათ, ათჯერ მეტად მტკივა... ვერ ვქმნი. ასე რომ, მოდი, უკეთესად ვიყოთ, ვეცადოთ, ერთმანეთისთვის ვიცხოვროთ. განა რამდენი ვართ ეს ქართველები?!

**ეკა სალაღაია**

# როდის დაბრუნდება სამშობლოში ზურა დოიჯაშვილი და სად „გააჯაზა“ მან თავისი 50 წლის იუბილეზე

**მომღერალი ზურა დოიჯაშვილი დიდი ხანია, არსად ჩანს. ისიც კი გავიგე, საქართველო დატოვა და უცხოეთში ბიზნესი წამოიწყოო. ზოგი ამბობს, სასიმღერო კარიერას თავი დაანება და სახლში ჩაიკეტაო. ასეა თუ ისე, თბილისი პატარა ქალაქია და ათას ამბავს თხზავენ. სად დაიკარგა სინამდვილეში ზურა დოიჯაშვილი, რატომ დატოვა მან თავისი საყვარელი თბილისი და სად აგრძელებს თავის შემოქმედებას, ამას თავად მოგვიყვება.**

**ზურა დოიჯაშვილი**: უკვე ორი წელია, რუსეთში, კერძოდ მოსკოვში ვარ. აქ ვმუშაობ, რესტორანში ვმღერი. ქართული „კაფე ხინკალნაიას” ქსელია მოსკოვში და საკმაო პოპულარობით სარგებლობს. მეც აქ ვარ და სხვათა შორის, ბედს არ ვუჩივი. ხომ იცით, ოჯახს რჩენა უნდა, საქართველოში კი ამას ვერ ვახერხებდი. ამიტომაც გადავწყვიტე, აქ გადმოსახლება, რასაკვირველია, დროებით. რომ არა გაჭირვება, მე ჩემს საყვარელ ქალაქს, თბილისს, როგორ შევეელეოდი? კონცერტი მქონდა ორი წლის წინ და მაშინ გადავწყვიტე, დავრჩები და ცოტა ხნით წავიმუშავებ-მეთქი. გაჭირვებამ ჩამომიყვანა დიდ რუსეთში, თორემ ბევრი რამ მენატრება თბილისში.

**– მაინც, რა გენატრება სამშობლოში?**

– ყველაფერი მენატრება: მეგობრები, ოჯახი, ნაცნობები, თბილისის სუნი, ქუჩები, ბაღები... თბილისში დავიბადე, გავიზარდე და ერთ თვეზე მეტი ვერსად ვძლებდი. ფაქტია, გაჭირვებამ გამაძლებინა ორი წელი რუსეთში. იმედია, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება ჩემს ქვეყანაში და მეც ჩამოვალ. მანდ სიმღერას რა ჯობია? ამ ორ წელიწადში, ორჯერ ვიყავი თბილისში 3-4 დღით, ვიზის გასაგრძლებლად და ვერ მოვასწარი მოსიყვარულება. იმედია, მალე დავბრუნდები.



**ორი წელია, მოსკოვში ვარ და პოლიტიკაზე არავისთან მისაუბრია**

**– მოსკოვში, სად ცხოვრობ და ვისთან ერთად?**

– ბინა მაქვს ნაქირავები და მეგობარ ქართველებთან ერთად ვცხოვრობ. რომ მეგონა, აქ ჩამოსულს ალმაცერად შემომხედავდნენ, პირიქით – რუსებს რომ ქართველები უყვართ და პატივს სცემენ, ეს ფაქტია. პოლიტიკოებმა კი იციან გადაჭარბება, მაგრამ ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის, ქართველი ისევ ქართველად რჩება. ჩვენ მიმართ, მართლაც კარგი დამოკიდებულება აქვთ და ჩვენი ხელოვნება ძალიან მოსწონთ. ვცდილობ, „დაძმობილების ხიდად” ვიქცე ამ ორ ერს შორის, როგორ გამომდის, არ ვიცი. დამიჯერეთ, ორი წელია აქ ვარ და პოლიტიკაზე არავისთან მისაუბრია. ამათ ჩემი სიმღერა აინტერესებთ და არა პოლიტიკოსობა ***(იცინის).*** რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ პოლიტიკაზე, ლაპარაკი ლაპარაკად რჩება. ამიტომ, მირჩევნია, რუსეთში ჩემი საქმე ვაკეთო. ძალიან ბევრი ჩემი მეგობარი მუშაობს და ცხოვრობს დღეს მოსკოვში და ხშირად ვხვდებით ერთმანეთს. როცა დრო გამოგვიჩნდება, ვიკრიბებით და „ვაჯაზებთ” ქართულად ***(იცინის).*** თან, ახალ სიმღერებს ვიწერ და მინდა, სოლო კონცერტი, მომავალში თბილისში ჩავატარო.

**– ზურა, 50 წლის იუბილე სად აღნიშნე?**

– ჩემი ნახევარი საუკუნის იუბილე მოსკოვში აღვნიშნე – ჯერ რესტორანში მეგობრებთან ერთად წავუქეიფე, მიმღერეს მეგობრებმა და მერე, „ლიტერატორების სახლში”, საიუბილეო-შემოქმედებითი საღამო მოვაწყვე. მეკითხებიან ხოლმე, რა მოგართვეს საჩუქრადო, მეც ვპასუხობ, ძირითადად, ალკოჰოლური სასმელი-მეთქი და მეცინება ***(იცინის).*** ეტყობა, ასეთი ტემბრის ხმა რომ მაქვს, ჰგონიათ, ლოთი ვარ და სულ ვსვამ.

**– აღიარე, ხომ გიყვარს დალევა?**

– დალევა როგორ არ მიყვარს. მეგობრებთან ერთად ქეიფს და სადღეგრძელოებს, რა ჯობია! მაგრამ, ის, რომ ჩახლეჩილი ხმა მაქვს და ლოთი ვარ, ტყუილია! ასე რომ, ნახევრად პროფესიონალი მსმელი ვარ და არა „ლუბიტელი” ***(იცინის).*** ხანდახან, რომ დავფიქრდები, ვგიჟდები, ისე მალე გაირბინა წლებმა. თავიდან რომ დავიწყო ცხოვრება, იგივე გზას გავივლიდი ალბათ, არაფერს შევცვლიდი. მალე „გაიფრინა” წლებმა და ეს ცოტა მენანება.

**– ზურა, რუსეთში ქართველი მამაკაცის ტემპერამენტი ისევ ჭრის თუ ეს მითი საბჭოთა კავშირივით დაიმსხვრა?**

– რა თქმა უნდა, ჭრის! ამით ვამაყობთ ჩვენ, ქართველი მამაკაცები. სხვათა შორის, ყველა რუს ქალბატონს უნდა და უხარია, ქართველ კაცთან დამეგობრება. ალბათ, მანდილოსნის მიმართ ჯენტლმენური მოქცევა გვაქვს და ამის გამოც. მე, ერთი ქალი მიყვარს, ეს არის ჩემი მეუღლე და ვფიქრობ, ქართველ ქალზე ლამაზი არ არსებობს.

**– მიუხედავად ასაკისა, საკმაოდ ახალგაზრდულად გამოიყურები. დავიჯერო თაყვანისმცემლები არ განებივრებენ ყურადღებით?**

– რა თქმა უნდა, ჩემი ჩახლეჩილი ხმის გამო, მეც მყავს თაყვანისმცემლები, მოდიან, მისმენენ და მოსწონთ ქართული სიმღერა. ბევრი ახალი სიმღერაც მაქვს, რომელიც ქართველ მსმენელს არ მოუსმენია, რუსეთში კი მოსწონთ და უყვართ. ამიტომ, მინდა, სოლო კონცერტი ჩავატარო საქართველოში და ამით მოგეფეროთ ყველას, ვინც ძალიან მენატრებით. ბედისწერის მჯერა და ვიცი, ეს ოცნება მალე ამიხდება. ხანდახან ვამბობ, ბედნიერი კაცი ვარ, რადგან ასეთი ოჯახი, მეგობრები და ახლობლები მყავს, საყვარელ საქმეს ვაკეთებ, ჯანმრთელი ვარ, ვსუნთქავ და მეგობრების მხარდაჭერა არ მაკლია-მეთქი. აი, ცოტა მატერიალური ბედნიერებაც რომ დაემატოს, ამ ყველაფერს, მთლად უკეთესი იქნება ***(იცინის).***

**– მეგობრების მხარდაჭერაზე გამახსენდა, გავიგე, თითქოს, იმიტომ წახვედი რუსეთში, რომ ახლო მეგობარმა, რომელსაც ბიზნესები აქვს მოსკოვში, წაგიყვანა და რაღაც წილიც კი გადმოგიფორმა. ამაზე რას მეტყვი?**

– ეს ტყუილია, თუმცა, ასე რომ ყოფილიყო, ვფიქრობ, მაგარი იქნებოდა ***(იცინის).*** შეძლებული მეგობრები კი მყავს რუსეთში, მაგრამ არც მილიონები აქვთ, არც მათ ბიზნესწილში ვარ და არც არავის მიწვევით ჩამოვსულვარ აქ. მე, ჩემი პატიოსანი შრომით ვშოულობ ფულს და რესტორანში ვმღერი. აი, მილიონი რომ მქონდეს, ყველას დავეხმარებოდი და ჩემ გარშემო გაჭირვებული არ იქნებოდა.

**– ყველა ასე ამბობს, სანამ მილიონერი გახდება. თუმცა, როგორც მივხვდი, შენ ერთი მილიონი არ გეყოფა. არა?**

– ჰო, მართალი ხარ, მეორე მილიონის შოვნაც მომიწევს, თორემ ერთი მილიონი რას მეყოფა ამდენის გასასტუმრებლად და საკუთარი ცხოვრების ასაწყობად ***(იცინის).*** ბევრი მეუბნება, რატომ წახვედი მოსკოვში, თბილისში უამრავი მეგობარი გყავს და დაგასაქმებდნენო. ისე, საქართველოში მართლაც ბევრი მეგობარი მყავს, ვისაც ბიზნესი აქვს, მაგრამ ეტყობა, ბიზნესში მე ცოტა „წავუკოჭლებ”. არა უშავს, ყველაფერი კარგად იქნება. მე ჩემი თავის იმედი მაქვს. ისე არ წავალ ამ ცხოვრებიდან, ჩემი სათქმელი ბოლომდე არ ვთქვა. ამისთვის, კიდევ ერთი ორმოცდაათი წელი დამჭირდება, თუმცა, როგორც უფალი ინებებს, ისე იქნება.

**ჩემი ადგილი საქართველოშია და ამიტომ, არ მაქვს უფლება, ის სხვაგან ვეძებო და ვიპოვო**

**– ვინც რუსეთში წავიდა, ყველა ამბობს, ჩვენი ადგილი ვიპოვეთ დიდ რუსეთშიო. შენც ასე ფიქრობ?**

– ორი წელი რომ დავრჩი მოსკოვში, ეს იმაზე მეტყველებს, რომ არც მე მიმიღო დიდმა რუსეთმა ცუდად. თუმცა, საკუთარი ადგილი აქ კი არა დედამიწაზე ვერ ვიპოვე ***(იცინის).*** ჩემი ადგილი საქართველოშია და ამიტომ, არ მაქვს უფლება, სხვაგან ვეძებო და ვიპოვო. მე დროებით ვარ აქ და საკუთარი ადგილის პოვნას არ დავიწყებ. მალე ჩამოვალ და ვიცი, თბილისი ყველაზე თბილად ჩამიკრავს გულში. დამიჯერეთ, ძმობაში და მეგობრობაში, ჩემს თბილისს ვერც ერთი ქალაქი ვერ შეედრება.

**ნონა დათეშიძე**

(მე-15 გვერდიდან)

# რა გამონაკლისი დაუშვეს „ტრანოის შოუ-რუმზე” „ატელიე კიკალასთვის“

რგად გაიგონ ეს ქართველმა მოდელებმა და ზოგიერთმა სააგენტომ. მათ ნახეს ჩემი ფოტოები, ჟურნალის ყდები და ამის მერე მითხრეს, რომ ნებისმიერი გადაღებისთვის მომაწვდიან მოდელებს ნებისმიერი რაოდენობით, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ანუ, პარიზული სააგენტოს პროფესიონალი მოდელები შემიძლია, ბაქოშიც ჩამოვიყვანო და საქართველოშიც. გაოცებული დავრჩი მათთან მუშაობით, უდიდესი გამოცდილება მივილე იმ გაგებით, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რამდენად მნიშვნელოვანია კარგი მოდელი ფოტოსესიისთვის; რამდენ ბევრ დროსა და ენერგიას გაზოგვინებს და, თან, ამ დროს, უფრო მეტს ფიქრობ კადრზე და არა იმაზე, მოდელი როგორ იმუშავებს. საქართველოში ზოგიერთ სააგენტოს ჰგონია, რომ, ისეთი ჟურნალების ყდებისთვის, როგორებიც არის „ელ ოფისიელი“, „ვოგი“, „ბუტიკი“, თუ გადაიღებ მოდელებს, თურმე, ჟურნალმა ფული უნდა გადაუხადოს. ეს აბსურდი და სააგენტოს ხელმძღვანელისგან ძალიან დიდი უვიცობაა.

**ნათია უტიაშვილი**

**„იმედის“ ეთერში ახალი შოუ – „ორი ვარსკვლავი“ დაიწყო, რომელშიც პროფესიონალ მომღერალს პარტნიორობას არაპროფესიონალი უწევს. მისი ერთ-ერთი მონაწილე ნოდიკო ტატიშვილია, რომლის მეწყვილე მსახიობი გოგოლა კალანდაძეა. ნოდიკო ამჟამად, ამ პროექტის გარდა, თავის ახალ დისკზე მუშაობს, რომელიც წინასგან რადიკალურად განსხვავებული და საინტერესო იქნება.**

# რის გამო ამთავრებდა საპირისპირო სქესთან სასიყვარულო ურთიერთობას ნოდიკო ტატიშვილი და როდის ხდება ის ქალთან ურთიერთობისას ეგოისტი და ეჭვიანი

**ნოდიკო ტატიშვილი**: ნოესგან სულ მქონდა შემოთავაზება: იცეკვე, იცეკვეო – „ცეკვავენ ვარსკვლავებს“ ვგულისხმობ. მაგრამ უარზე ვიყავი: არა, სირცხვილია, როგორ ვიცეკვო-მეთქი. ძალიან კარგი პროექტია, რეიტინგული, ბევრი ხალხი უყურებს და ზუსტად ამის გამო მერიდებოდა ცეკვა. თუმცა, ვივარჯიშებდი, რაღაცას ვიზამდი, მაგრამ მე „რაღაცეები“ არ მაკმაყოფილებს, ამიტომ ვუთხარი უარი. თუმცა, მეორე უკიდურესობა მაქვს, როცა რაღაცას გადავწყვეტ, მერე ყველაფერს ვიზამ, რომ ის ძალიან კარგად გავაკეთო. იმ დროს ცეკვის ნერვები არ მქონდა. ჩემი ნერვული სისტემა ვერ გაუძლებდა ამ ამბავს. ახალი პროექტი კი ჩემი პროექტია. რაც მთავარია, ეს არ არის ჩემი კონკურსი, აქ პროფესიონალი მომღერალი უნდა მიეხმაროს არაპროფესიონალს, ცნობილ სახეს. ანუ, ეს გოგოლას კონკურსია. მეუბნებიან, ახლა მანქანას მოიგებ და ასე შემდეგ. მე არ ვიგებ მანქანას, იგებს მეწყვილე, ანუ ის, ვინც არ არის პროფესიონალი მომღერალი.

**– კმაყოფილი ხარ პირველი კონცერტით?**

– პირველ კონცერტზე ყველა ნერვიულობდა. ცალსახად შემიძლია აღვნიშნო, რომ რეპეტიციებზე ყველას ნამღერი ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე „ლაივზე“. ეს იყო მათი პირველი გამოსვლა და თან, რომ იცი, კამერებს მიღმა 3 მილიონი ადამიანი გიყურებს, დარბაზში კი დაახლოებით 600-700 კაცი ზის, ეს მათთვის დიდი სტრესია. ჩემთვისაც სტრესი იყო მაშინაც, როცა ვიწყებდი. მაგრამ, ახლა, სცენაზე რომ გამოვდივარ, ყველაზე ბედნიერი ვარ, რადგან ვხედავ მაყურებელს, კამერებს. მაგრამ ამ ყველაფერს ვერ მოსთხოვ მათ, ვისთვისაც ეს უცხოა.

**– თუმცა, შოუს შემდეგ მათი მიმართულებით ძალიან დიდი კრიტიკა წამოვიდა, უფრო სწორად, ლანძღვაც.**

– როდესაც ადამიანს ლანძღავ, მით უმეტეს, არაპროფესიონალი, მაშინ თავხედი ხარ. ჯანსაღი კრიტიკა ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია. მე მიყვარს კარგი კრიტიკა, ოღონდ იმისგან, ვისაც აზრი მოეკითხება და არა იმისგან, ვინც ცუდ ხასიათზეა, ვისაც ლანძღვა უნდა, თავად შეუმდგარია, ან ამ პროექტში ვერ მოხვდა. არ შეიძლება, გააკრიტიკო ამ შემთხვევაში გოგოლა, ან მამუკა ლომაშვილი, ან დალი ჩიტალაძე, ნებისმიერი... ეს აბსოლუტურად მიუღებელია ჩემთვის. ეს ხომ მათი საქმე არ არის და უბრალოდ, ცდილობენ, გააკეთონ. რომ ნახოს მაყურებელმა, ამას როგორ ცდილობენ, შეიძლება, გადაირიოს. გოგოლა არაჩვეულებრივი პარტნიორი და, უპირველეს ყოვლისა, არაჩვეულებრივი ადამიანია. ჩვენ ურთიერთობის რამდენიმე წელი გვაკავშირებს, დუეტიც გვაქვს ჩაწერილი. იმდენად მოწესრიგებულია, გამორიცხულია, დააგვიანოს რეპეტიციაზე, არ იცოდეს ტექსტი, ან სიმღერა, ანდა სახლში არ იყოს ნამეცადინები. რეპეტიციაზე ძალიან კარგი იყო, მაგრამ საშინლად ღელავდა. თან, შემდეგ ჩათვალა, რომ ძალიან ცუდად იმღერა და ამაზე უფრო მეტად ინერვიულა. მე ავუხსენი, რომ ეს ასე არ იყო, უბრალოდ, ემჩნეოდა, რომ ძალიან ღელავდა, მაგრამ მაინც ვერ დავაჯერე. ღელვა ადამიანს ყოველთვის უკან სწევს. მეორე სიმღერაზე ძალიან მშვიდად ვართ, რადგან, არ მახსოვს ამ სიმღერის დროს რეპეტიციაზე გოგოლას რამე არ გაეკეთებინა სწორად. ძალიან კარგად მღერის და იმედია, ისე აღარ ინერვიულებს. ჩემთვის პრიორიტეტულია, გოგოლამ კარგად იგრძნოს თავი. როცა სიმღერებს ვირჩევთ, თუ გოგოლა მეტყვის: ეს არ მინდაო, მეც ვითვალისწინებ. ჩემთვის პარტნიორობა არ არის უცხო. ცხოვრებაში ძალიან გამიმართლა იმ მხრივ, რომ, ვინც კი მყოლია პარტნიორი, ყველა არაჩვეულებრივი ადამიანი და ასევე პროფესიონალი მომღერალი იყო. არ იცი, მე და სოფო გელოვანს რა გვჭირს...

**– რა გჭირთ?**

– ჩვენ ხომ დუეტი არ ვართ, მაგრამ იმდენად მიყვარს სოფოსთან სიმღერა, ვერაფრით ვეგუები, სხვასთან რომ მღერის. ვერც ის ეგუება, მე რომ სხვასთან ვმღერი. ფოტოებს რომ დებს, ვუკომენტარებ: ნუ დებ მასთან გადაღებულ ფოტოებს. ძალიან კარგი ბიჭია, კარგად მღერის, სოფო კმაყოფილია, მაგრამ ვერ ვეგუებით, რომ სხვებთან გვიწევს სიმღერა.



ვისთანაც მქონია ურთიერთობა ამ წლების განმავლობაში, ყველასთან სწორედ ეჭვიანობის გამო მიფუჭდებოდა

**– ეგოისტი ხარ აშკარად.**

– ეგოისტი ვარ, თუმცა არა ავადმყოფურად. მესაკუთრეც არ ვარ. მაგალითად, დედაჩემი და მამაჩემი ჩემს დას რომ ჩაეხუტებიან, აკოცებენ, კი არ მწყინს, პირიქით, ძალიან მიხარია, მაგრამ, მინდა, მეც ჩამეხუტონ და მომეფერონ. როდესაც სახლში მივდივარ, დედას თუ ღვიძავს, იცის, რომ თუ არ მოვა, არ მაკოცებს და არ მომეფერება, ისე ვერ დაიძინებს, რადგან ძალიან გავბრაზდები. ამის გამო გამილვიძებია კიდეც: შევსულვარ მის საძინებელში, მიკოცნია და გამოვსულვარ.

**– სიყვარულიც ეგოისტური იცი?**

– სიყვარულში ვარ ეგოისტიც და ზომიერად ეჭვიანიც. თუმცა არ ვსვამ ისეთ კითხვებს, როგორიცაა: სად მიდიხარ, იქ ვინ იქნება. როცა ლამაზი ქალის მიმართ სიმპათიები გაქვს, სიმპათიების იქითაც ხარ, სამომავლოდ რაღაცეებზე ფიქრობ, ამ შემთხვევაში, ეჭვიანიც ხარ და ეგოისტიც. არა მხოლოდ მე, არამედ ყველა მამაკაცი ასეა. მეც მიყვარს სითბო, ყურადღება. მაგრამ ვისთანაც ურთიერთობა მქონია ამ წლების განმავლობაში, ყველასთან სწორედ ეჭვიანობის გამო მიფუჭდებოდა.

**გოგოლა იმდენად მოწესრიგებულია, გამორიცხულია, რეპეტიციაზე დააგვიანოს, ტექსტი ან სიმღერა არ იცოდეს, ანდა სახლში არ იყოს ნამეცადინები**

**– ისინი ეჭვიანობდნენ?**

– ისინი. ყველა ურთიერთობა, სერიოზული იყო თუ არასერიოზული, ძალიან მალე მთავრდებოდა და მესმის, ესეც ლოგიკურია. როდესაც ვიღაცასთან ერთად გხედავენ სადღაც, თან ჩვენს სფეროში ძალიან ბევრი ლამაზი ქალია, ისიც იციან, როგორი ვარ, როგორ მიყვარს ჯენლტმენობა, მერე ამაზე სულ გიჟდებოდნენ. რამდენჯერმე თვითონ დავამთავრე ურთიერთობა, რადგან გავგიჟდი. ყველაზე შეურაცხმყოფელი იყო კითხვა: აბა, სად ხარ?

**– შენ არ სვამ ამ კითხვას?**

– როგორ არა, მაგრამ კითხვის ინტონაცია არ უნდა იყოს გამაღიზიანებელი: ჰა, ახლა გამოგიჭირეო. ასევე, არ მიყვარს, როცა რეკავენ და მეკითხებიან: სად ხარ? მეც მაქვს ცუდი თვისება, მიყვარს ასეთი კითხვების დასმა, ოღონდ არა იმ ინტონაციით, რომ ვიღაც რაღაცაში გამოვიჭირო, არამედ მინდა, ვიცოდე: სად არის, რას აკეთებს. ეს არ ნიშნავს, რომ ვეტყვი – იქ არ წახვიდე, აქ არ წამოხვიდე-მეთქი.

**– შენი შეყვარებულობის თემა ძალიან პოპულარული გახდა. თუმცა, ამაზე აღარაფერს გეკითხები, უბრალოდ, მაინტერესებს, როგორ რეაგირებს, ახალ პროექტს შენი დროის დიდი ნაწილი რომ მიაქვს და მისთვის აღარ გრჩება.**

– რაც შეეხება სიყვარულის თემას, გადავწყვიტე, ამაზე აღარ ვისაუბრო. დროის დეფიციტი კი ყოველთვის მქონდა და ესეც გამხდარა ურთიერთობის გაფუჭების მიზეზი. თუმცა, ამ შემთხვევაში, არაფერი გაფუჭებულა. გოგოლასთან დაკავშირებითაც არ აქვს პრობლემები. სხვანაირი ურთიერთობა გვაქვს. ამ ურთიერთობაში ვერ დავინახე: ვერც ეჭვიანობა, ვერც ეგოისტობა – კარგი, თავისუფალი ურთიერთობა გვაქვს. სამომავლო პერსპექტივებზეც არ ვსაუბრობთ. ვალდებულებები, პასუხისმგებლობები არის, მაგრამ მძიმე და აუტანელი – არა. ორივე კარგად ვგრძნობთ თავს. არ არის ძალიან აქტიური გოგონა, მატრაკვეცები, რომ არიან. განათლებული, გაწონასწორებული, სერიოზული გოგონაა, რაც ძალიან მომწონს. დროის დეფიციტიც არ არის ჩვენთვის პრობლემა, რადგან ვფიქრობ: თუ გინდა, დროის გამონახვა არასდროს გაგიჭირდება.

**– კონკურსს დავუბრუნდეთ. ამ პროექტს ვიღაც აუცილებლად მოიგებს. ეს ადამიანი რომ არ იყოს შენი მეწყვილე, როგორი რეაქცია გექნება? შენ გამარჯვებებს ხარ მიჩვეული და არ გიყვარს, როდესაც აგებ...**

– ცოტა მამშვიდებს ის ფაქტი, რომ ეს არ არის ჩემი კონკურსი. ჩემი კონკურსი რომ იყოს, წაგებას ვერაფრით გადავიტანდი. ახლა გოგოლაზე ვარ გადართული და ვერ გადავიტან, რომ გამოვარდეს. ამიტომ, ყველაფერს ვიზამ. სამომავლოდ ისეთ რაღაცეებს ვგეგმავ, გოგოლას გულისთვის ისეთი ნოდიკო ვიქნები, როგორიც მაყურებელს არასდროს უნახავს. ასე რომ, ვისაც მოსწონს ჩვენი დუეტი, დაგვირეკეთ ნომერზე: 95 211.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**გოეთე:** უფრო ადვილია მცდარობის გაგება, ვიდრე ჭეშმარიტების აღმოჩენა: პირველი ზედაპირზეა და მას ადვილად დაძლევ, მეორე კი ღრმადაა ჩამალული და მისი გამოკვლევა ყველასთვის არაა მისაწვდომი.

**ნეტარი ავგუსტინე:** ჩვენ იმისთვის კი არ ვლოცულობთ, რომ ღმერთს ვუთხრათ, თუ რა უნდა გაგვიკეთოს, არამედ, იმისთვის, რომ ღმერთმა გვითხრას, თუ რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ.

**სტენდალი:** ეცადო, დარჩე, როგორიც ხარ – წარმატების ერთადერთი საშუალებაა.

**პასკალი:** თუ ჭეშმარიტება დაფარულია, საერთო და საყოველთაო ცთომა სასარგებლოა კაცისთვის, როცა საქმე ეხება რაღაც აუხსნელსა და გონებამიუწვდომელს. კაცის უმთავრესი სნეულება – ესაა მისი დაუოკებელი ცნობისწადილი ყოველივე იმის მიმართ, რისი შეცნობაც მის ძალ-ღონეს აღემატება. ამიტომ ყოველთვის უმჯობესია ცთომა, ვიდრე დაუცხრომელი ცნობისწადილის – ამ ფუჭი და უნაყოფო გრძნობის ტყვეობაში ყოფნა.

**შეველი:** ბევრი ადამიანი საკუთარ წარმატებებს სხვათა სიბრიყვეს უნდა უმადლოდეს.

**შპენგლერი:** მაშინ, როცა ჭეშმარიტების სამყაროში ყველაფერს მტკიცებულებები წყვეტს, ფაქტების სამყაროში გადამწყვეტ როლს წარმატება თამაშობს.

**სვიფტი:** ჭკუა სამართებელს ჰგავს: გალესილი სხვებს აყენებს ჭრილობას, ბლაგვი კი – საკუთარ პატრონს.

**გერცენი:** ჭეშმარიტებისადმი პატივისცემა სიბრძნის დასაწყისია.

**გრიგოლ ღვთისმეტყველი:** ილაპარაკე, თუკი მდუმარებაზე უმჯობესი იცი და სათქმელი გაქვს, მაგრამ გიყვარდეს დუმილი, როცა ის თქმას სჯობს.

**ლაბრიუერი:** ჭეშმარიტად მხოლოდ პირველად გვიყვარს, შემდგომში არცთუ ისე ვკარგავთ თავს.

**ვიტგენშტეინი:** ჩვენი სიტყვები ჩვენი შემდგომი მოქმედებებიდან იძენენ აზრს.

**ფრანკლინი:** ფულის ფლობის ძირითადი უპირატესობა მისი მოხმარების საშუალებაში მდგომარეობს.

**ლოიდი:** ფულისადმი ზიზღი არცთუ იშვიათად გვხვდება, ძირითადად ეს გრძნობა იმათშია, ვისაც ის არ გააჩნია.

**რუსო:** ყალბი ადამიანების მეგობრად ყოლა უფრო საშიშია, ვიდრე მტრად.

**ჰოპერი:** არავის აწყენინებს ის, ვინც თავისი უფლებებით სარგებლობს.

**ვინდელბანდი:** უმრავლესობის უფლება – ეს ძლიერის უფლებაა და არ აქვს ზნეობრივი საფუძველი.

**მონტესკიე:** უსაქმურობა ყველა ნაკლზე მეტად ვაჟკაცობას ასუსტებს.

**შექსპირი:** დიდ უბედურებას ნაკლები უბედურება კურნავს.

**მაკციუსი:** ადვილია ბრძენობა მათთვის, ვინც სხვისი უბედურებით დაჭკვიანდა.

**გიტრი:** ქალის სილამაზე მისი სიმდიდრეა, სიმდიდრე კი – მამაკაცის სილამაზე.

**ლაკლო:** ქალს შეიძლება ის გააკეთებინო, რაც თავად უნდა, ხოლო, რაც შენ გინდა, უმეტესად არ გამოგივა.

# თუ გამოიცნობთ

1. ცნობილია, რომ პლანეტები თავიანთი მასის გასაზრდელად ასტეროიდებს იყენებენ. **რას იღებენ ბოდიბილდერები კუნთოვანი მასის მოსამატებლად?**

2. „ქარწაღებულნის" ეკრანიზაციაში გაკოტრებული ო'ჰარა მდიდარ ნაცნობს შეხვდება, გადაწყვეტს, მასზე დაქორწინდეს და მატერიალური მდგომარეობაც გაიუმჯობესოს. მისი კეთილგანწყობის მოპოვებისა და სიახლოვის ატმოსფეროს შექმნის მიზნით, ო'ჰარა სიცივეს მოიმიზეზებს და სთხოვს ნებართვას, რაც მის სურვილზე პირდაპირი და ირიბი მინიშნებაა... **რას სთხოვს?**

3. **დაასახელეთ**, რომელი სახარებიდან გავიგეთ, რომ „პირველად იყო სიტყვა"?

4. ისრაელის გერბზე გამოსახულია შვიდსანთლა შანდალი. **რა ჰქვია ასეთ შანდალს?**

5. თავდაპირველად კომპანია U.S. RUBBER-ს სურვილი ჰქონდა, თავისი ნაწარმისთვის დაერქმიათ ლათინური სიტყვა, რომელიც ქართულად „ფეხს" ნიშნავს, თუმცა, აღმოჩნდა, რომ უკვე დაკავებული იყო. შემდეგ ისევ ლათინური სიტყვა PEDO შეარჩიეს, რომელიც ამ ნაწარმის მომხმარებელი აუდიტორიის ასაკს მიუთითებდა. ბოლოს გადაწყდა – მას ამ სიტყვის შემცვლელი თანამედროვე ვარიანტი დაარქვეს. **რა?**

6. ჩინეთის იმპერატორ შიხუანდის მმართველობის დროს დამნაშავეებს ოჯახებით სჯიდნენ და გზავნიდნენ... **სად?**

7. როგორც ცნობილია, მართლმორწმუნე ებრაელები არ ჭამენ უწმინდური ცხოველების ხორცს; არც ისეთ ხორცს, რომელსაც სისხლი არ აქვს გამოცლილი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რისი ხორცია ან როგორ კარგად დამუშავებულიც არ უნდა იყოს, არ მიირთმევენ ხორცს სხეულის იმ ნაწილიდან, რომელსაც, როგორც ითვლება, ღმერთი შეეხო, როდესაც იაკობს შეერკინა. **რომელ ნაწილს არ ჭამენ იუდეველები?**

8. ლათინურად „ფემილია" ოჯახს ნიშნავს. **დაასახელეთ**, როგორ გამოითქმის „ოჯახი" იტალიურად.

9. ცნობილმა ათენელმა პოლიტიკოსმა და ორატორმა დემოსთენემ, როგორც ცნობილია, თავისი ენაბრგვილობა ვარჯიშით – პირში კენჭებჩაყრილი ლაპარაკით გამოასწორა. თუმცა, მასზე გაცილებით ადრე მცხოვრებმა, ყველასათვის ცნობილმა წინამძღოლმა, მეტყველების ასეთი დეფექტის მიუხედავად, შესანიშნავად მოახერხა თავისი ხალხის დარწმუნება. **ვინ?**

10. ის იტალიაში მრგვალია, შესაბამისად, მთელ მსოფლიოშიც; მხოლოდ სიცილიაზეა კვადრატული. **რა?**

***პასუხები იხილეთ 66-ე გვერდზე***

# გამოჩენილი ადამიანების სიკვდილისწინა სიტყვები

***პაბლო პიკასო*** სიკვდილის წინ მკურნალ ექიმს შეეკითხა, ჰყავდა თუ არა ცოლი. როდესაც გაიგო, რომ არა, უთხრა: „ტყუილად არ ხარ ცოლიანი, ეს ნამდვილად სასარგებლო საქმეა".

***ანა ახმატოვა*** – დიდი რუსი პოეტი ქალი. იგი სიკვდილის წინ ბიბლიას კითხულობდა. მერე წიგნი დაკეცა და თქვა: „რა სამწუხაროა, რომ ბიბლია არ მაქვს".

***ფრანსუა რაბლე*** – ფრანგი მწერალი. იგი ძალზე ლამაზად გამოემშვიდობა ქვეყნიერებას: „მივდივარ რაღაც უფრო დიდის საძებნელად".

***ფოკიონი*** – ათენელი პოლიტიკოსი. ფოკიონთან ერთად უნდა დაესაჯათ ვინმე ფუდიპიც, უკანასკნელმა თავის მართლება დაიწყო და პატიებას ითხოვდა. ფოკიონმა უთხრა: „როგორ, განა შენთვის ბედნიერება არ არის ფოკიონთან ერთად სიკვდილი".

***სევერუს სეპტიმუსი*** – რომის იმპერატორი. „მე მივაღწიე ყველაფერს და სიხარულს ვერ ვპოულობ ვერაფერში", – ამბობდა იგი. ანდერძში იგი მოუწოდებდა მემკვიდრეებს: „გაამდიდრეთ ჯარისკაცები და სხვა დანარჩენზე ნუ იზრუნებთ".

***ნაპოლეონი*** – საფრანგეთის იმპერატორი. „ვკვდები ნაადრევად, ინგლისის ოლიგარქიის ხელით. დამასაფლავეთ პარიზში სენის პირას, ესოდენ ძვირფას ფრანგ ხალხს შორის".

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლh1-a1!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




– ჩვენთან გადასარევი ახალი მეზობელი გადმოვიდა – ინტერნეტი გაიყვანა, და ვაიფაიზე პაროლი არ უდევს.

***

ზარი ტელეფონზე.

– მამი, ჩვენმა მორაგბეებმა კიდევ მოიგეს?

– კი, შვილო, რა თქმა უნდა...

– დედას მიეცი ყურმილი!

– დე, ხომ მოისმინე, მამა თანახმაა, ღამის ბარში წავიდე...

***

მიხო სოფლის ორღობეში გარბის, ხელებს იქნევს და ბურდღუნებს:

– ამაი როგორ აუხსნი და იმართლებ თავსა, კაცო, დააჯერებ, რო?! მაგი დედა ვატირე, რაღა შამაირიგებს ახლა...




– სად გარბიხარ, მიხო... რა გჭირს, ჯო? – შეეხმიანა ღობესიქიდან მიტუა.

– რაღა რა მჭირს, კაცო... ამ დილასა მარომ მითხრა, სხვა საქმე მაქვს და ძროხა შენ მოწველეო... მეც მივუჯექი, ვწველავ, ჰკრა წიხლი ლამაზომ ვედრასა, წააქცია... მოვიხსენი ფეხსაცმელზე შნუროკი, მივაბი ბაგაზე... განვაგრძე წველა... ახლა მარცხენა ფეხი ჰკრა... მეორე შნუროკითაც მივაბი... თრახ და, სახეში კუდი მამხვდა... მოვიხსენი ქამარი და კუდიც მივუბი, მაგრამა შარვალი ჩამძვრა და...ამ დროს მაროც არ შემოვიდა?!

***

ტიპი სადარბაზოდან გამოვიდა და კედელზე ფურცელი გააკრა: „აქ მანქანას ნუ დააყენებთ, თორემ საბურავებს დაგიხვრეტთ!" მერე მშვიდად ჩაჯდა მანქანაში და წავიდა. საღამოს, სამსახურიდან დაბრუნებული ხედავს – სწორედ თავის მანქანის დასაყენებელ ადგილზე ასფალტის სატკეპნი დგას! კედელზე გაკრულ ფურცელზე კი მიწერილია: „წარმატებებს გისურვებ, ძმაო!"

***

– თუ შენ ფიქრობ, რომ დაგნებდი და ხელები ჩამოვუშვი, ცდები – „მანტიროვკის" ასაღებად დავიხარე!

***

საავადმყოფოში ხანძარი გაჩნდა. მეხანძრეებმა ჩააქრეს და წასვლისას მთავარ ექიმს მოახსენეს:

– ყველა კერა ჩავაქრეთ. მსხვერპლი არის – 8 ადამიანი დაშავდა, მათგან 5 გარდაიცვალა, 3 მდგომარეობიდან გამოვიდა.

მთავარ ექიმს გული წაუვიდა. მოსულიერების შემდეგ კი ძლივს თქვა:

– მდგომარეობიდან როგორ გამოიყვანეთ, ხანძარი ხომ მორგში იყო.

***

ახალი დიეტა – პირველი სამი დღე – მხოლოდ ბოსტნეული, შემდეგი 7 დღე – მხოლოდ ხილი, შემდეგი 10 დღე – მხოლოდ მინერალური წყალი, შემდეგ – 40, მერე – წლისთავი...

***

...ჩემმა შეყვარებულმა თქვა, რომ დაბადების დღეზე მაგარ სიურპრიზს მიმზადებს – ო, რა ეშმაკია... იძულებული ვარ, ხუთი თვე კიდევ შევხვდე...

***

მიხო მიტუას ვალს არ უსტუმრებს... გადაწყვიტა, სახლში მიაკითხოს... იმ დროს მივიდა, მიხოს ცეცხლზე დიდი ქვაბი შემოუდგამს ახალდაკლულ ბურვაკს ხარშავს...

– ვალის გადახდას აღარ აპირებ, ჯო? – ვერ მოითმინა და პირდაპირ აჯახა მიტუამ.

– აბა, როგორა, მიტო... ფეხებით რო დამკიდო კაპიკი არ გადმამვარდება...

– რა ვი, ბურვაკ კი კარგად ხარშამ?!

– ჰოდა, მაგიტომაცა. შიმშილით მაინცა კვდებოდა – ვერაფერ ვაჭმევდი...

***

– მე შენთვის მხოლოდ კონკია ვარ – ვრეცხო, ვალაგო, ვასუფთაო, საჭმელი გიკეთო...

– ხომ გეუბნებოდი, გამომყევი და ისე გაცხოვრებ, როგორც ზღაპარში-მეთქი...

***

მიდის ხელმწიფე სოფელში ამალით. ხედავს, ყანაში ახალგაზრდა გლეხი მუშაობს – თავისი ასლია...




დაუძახა, და ეკითხება:

– შემთხვევით, დედაშენს მეფის კარზე ხომ არ უმუშავიაო...

– არა, თქვენო უდიდებულესობავ, დედა არა, მამაჩემი მუშაობდა...

***

ბიჭი უკან მიჰყვება გოგოს, როგორც იქნა გაბედა და ეუბნება:

– გოგონი, შეიძლება, გაგიცნოთ?

– არა! – შემობრუნდა გოგო.

– ვახ ჩემი! კიდევ კარგი...

## ცნობილ ადამიანთა იუმორისტული გამონათქვამები

მეფე ერეკლეს ძლიერ უყვარდა კარგი იარაღი და შეტყობაც კარგად იცოდა იარაღის. ერთხელ მეფეს აჩვენეს ვიღაცა თუშის ხმალი:

– ეს ხმალი ერთ სოფლად ელირებოდა, ცოტა მოკლე რომ არ იყოსო, – ბრძანა მეფემ.

– ბატონო, ცოტა ფეხს წინ წავდგამ და ისევ ერთ სოფლად ელირებაო, – მოახსენა თავმოწონებით ერთმა თავადმა.

***

ერთხელ აკაკი სადგურიდან სოფელში ეტლით მიდიოდა. მეეტლემ გზად სხვა მგზავრიც აიყვანა და აკაკის გვერდით მოუსვა. ახალ მგზავრს არასოდეს ენახა ჩვენი პოეტი და თავისი თავი პოეტად გააცნო – აკაკი ვარო. გზადაგზა სულ აკაკის ლექსებს ამბობდა ზეპირად. აკაკის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ, არაფერი უთქვამს. ეტლი გაჩერდა. გამოთხოვებისას მგზავრმა უთხრა აკაკის:

– თქვენ ჩემი ვინაობა გაიგეთ. არ შეიძლება, ვიცოდე, თქვენ ვილა ბრძანდებით?

– დღევანდლამდე აკაკი ვიყავი და დღეის შემდეგ არ ვიცი, ვინა ვარო, – უპასუხა აკაკიმ.

***

საზოგადოდ, ლხინში ძალიან მოწყენა იცოდა აკაკიმ. ერთხელ, როდესაც ახალგვარ „მრავალჟამიერს" ამბობდნენ და ყველანი მოლხენილად იყვნენ, ჰკითხეს, მოწყენილი რადა ხარო?

– ვხედავ, რომ ძველებურს ჩვეულებას წესს უგებთ, ზარს ამბობთ, თქვენ ჭირისუფლებადა სხედხართ და ამ აღაპში მე რა მომალხენსო.

***

თბილისის „დინამოს" კრიზისული პერიოდი ჰქონდა. ირაკლი აბაშიძეს მაშინ უხუმრია: ალარ შეუძლია ამ „დინამოს" და, რამდენიც უნდა იძახონ ტრიბუნებმა – „დინამო", „დინამო"! მაინც არაფერი გამოვა. ჩემმა ცოლმა რომ იმეოროს – „ირაკლი, ირაკლი," – შემიძლია ახლა რამეო?!

გავიდა ხანი და მაღალჩინოსანმა, თან, ერთობ მოხდენილმა ქალბატონმა, ამ ხუმრობით აღფრთოვანება გამოთქვა. ბატონმა ირაკლიმ კომპლიმენტი მოისმინა და სერიოზული სახით მიუგო: მაგი, ჩემო ძვირფასო, ჩემს ცოლზე ვთქვი, თორემ, შენ კი დაგირტყამდი ერთ პენალტსო.



# პროვოკაცია კალათბურთის მატჩის დროს და „ხვანჭკარა“ ტკაჩენკოს ცოლისთვის

### სად წამიხვალ, ტკაჩენკო?!

1980-იანი წლებია. თბილისში „მეტოქეთა რისხვა“, კიევის „სტროიტელი“ ჩამოვიდა ჩვენს „დინამოსთან“ სათამაშოდ.

– თავი მოიკალი და როგორც გინდა, ტკაჩენკო „გათიშე“! – მივიღე ლევან მოსეშვილის დავალება.

გათიშე კაია... მთელი „სტროიტელი“ ტკაჩენკოზე დგას. ეს, ფიზიკურად ძალიან ძლიერი და ნიჭიერი კალათბურთელი, მოწინააღმდეგის დაცვას შიშის ზარს სცემდა.

მოკლედ, დაიწყო თამაში. პირველ ტაიმს ვაგებთ მინიმალური ანგარიშით. ტკაჩენკოს ვერაფერს ვუხერხებ, მხოლოდ რამდენიმე პერსონალური „ავკიდე“, მაგრამ ეს „სპილოსთვის პონჩიკია“. რა მოვახერხო?!

დაიწყო მეორე ნახევარი, გაიხსნება ტკაჩენკო, დაიძვრება გრიგალივით და დააკავე, თუ ბიჭი ხარ. არადა, იგებს კიევი. ესე იგი, იგებს ტკაჩენკო. გვიგებს ეს კაცი მთელ გუნდს. მოსეშვილი ავისმომასწავებელი მზერით მიყურებს. რაღაცა თუ არ მოვიმოქმედე – ვიძირებით. ვცდილობ, „სპორტული პროვოკაციული“ ტრიუკის ჩატარებას, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ.

მატჩის არბიტრიც რომ ძალიან მონდომებულია! ვერაფერს გამოაპარებ. ვერცხლისწყალივით დაუდეგარია, პირდაპირ დაფრინავს მოედანზე. წამში რომ აქაა, მეორე წამში უკვე გვერდიდან გვიყურებს ისევ და ისევ. ახლა მთავარია, ისეთი მომენტი უნდა შევარჩიო, მე, ტკაჩენკო და მსაჯი ერთ ხაზზე აღმოვჩნდით. მარტივად რომ ვთქვა, მე ტკაჩენკო უნდა მფარავდეს მსაჯის თვალისგან.

როგორც იქნა, ნანატრი წამიც დადგა. ტკაჩენკო ბურთით მოიწევს ჩვენი კალათისკენ, წავედი შესახვედრად. მეტოქე რაღაც მომენტში შეტრიალდა და ზურგითაა ჩემკენ. დავლანდე, რომ არბიტრი ვერ მხედავს, არც ვაციე, არც ვაცხელე და ტკაჩენკოს ისეთი ძალით ვუჩქმიტე საჯდომზე, რომ თითები მეტკინა.

გამწარებულმა გაიქნია ამხელა იდაყვი. იდაყვი პირდაპირ სახეში მომხვდა და გადავტრიალდი, წავიქეცი. ზოგი ჩემს ადგილზე ამით დაკმაყოფილდებოდა, მაგრამ ორი სალტო დამატებით გავაკეთე, რითაც ხაზი გავუსვი მის უხეშობას.




მსაჯმა ბოლომდე მაინც „არ ჭამა“ და ორივე გაგვაძევა მოედნიდან სპორტული ხულიგნობის „მუხლით“.

მაგას დავეძებდი?! ამოცანა შესრულდა – ტკაჩენკო მოედანზე აღარ იყო. ის მატჩი დამაჯერებლად მოვუგეთ „სტროიტელს“.

### სადაა ჩემი „ბაჩები“?

მართალია, ტკაჩენკო მაშინ მოვიმდურე, მაგრამ სპორტსმენების მტრობა ვის გაუგონია. სპორტი სპორტია და მე და ტკაჩენკო მაგრად ჩავძმაკაცდით. ახლაც ახლო ურთიერთობა გვაქვს და ასეც გაგრძელდება. მაგრამ, რადგან მისით დავიწყე ამბების თხრობა, ბარემ ერთ ინციდენტსაც გავიხსენებ:

„სტროიტელი“ კვლავ გვეწვია თბილისში. კიეველები სასტუმრო „აჭარაში“ დაბანაკდნენ.

მატჩისწინა, ადრიანი დილაა და ტკაჩენკო სახლში მირეკავს.

– კოლია, ხვალ მაგისთვის არ გვეცლება, მატჩია და ერთი რამ უნდა გთხოვო.

– „ვალიაი”... – ვუთხარი ძმაკაცურად (რა უნდა მთხოვოს თბილისში სტუმარმა კოლეგამ, რომ ვერ შევუსრულო).

– ჩემს მეუღლეს ძალიან მოსწონს ქართული შავი ღვინო.

– „ვსო იასნა!” – ვუთხარი. გავვარდი მაშინვე „საჭაშნიკეში“, ერთი ყუთი სპეციალურად გაფორმებულ-შეფუთული „ხვანჭკარა“ გამოვიტანე და ავუტანე ნომერში.

შევედი და... კაცს ფერი არ ადევს.

– მოხდა რამე? – ვეკითხები არანაკლებ ფერწასული.

– ბოტასი, ბოტასი „უკრალი”.

– „კაკ უკრალი”?

– „ა-ტაკ! უკრალი“ (ვაი, შენს კოლიას, მოგვეჭრა თავი).

არადა, მგონი 52 ზომის ბოტასებს იცვამს. მეტი არც აქვს და ფეხშიშველა ხომ არ გამოვა ხვალ სათამაშოდ?

– აბა, მილიცია, აბა, პოლიცია... ძაღლიც მოიყვანეს...

– სად „ეყენა“ თქვენი ბოტასებიო, – ეკითხებიან.

– „პად კრავატ... ვო ზდეს ვალიალის”...

სულ დაშმონეს იქაურობა... ვერც ძაღლმა აიღო გეში, მგონი, მშიერი იყო და რესტორნიდან რომ გემრიელი ჩაშუშულის სუნი ამოდიოდა – იქით იქაჩებოდა.

დავანებოთ ყველაფერს თავი, მაგრამ ხვალ... ხვალ რა ეშველება ამ კაცს? ამის სარგო ბოტასი საქართველოში არაა... თავის მოჭრაა პირდაპირ. უმტკიცე ახლა, რომ მე არ ჩავუტარე ჩქმეტისმაგვარი პროვოკაცია.

ისევ ჩვენმა ორგანოებმა ივაჟკაცეს და როგორღაც, პირდაპირი თუ ტრანზიტული რეისით, კიევიდან ჩამოუტანეს ბოტასები თამაშის დაწყებამდე 15 წუთით ადრე.

დღემდე არაა ცნობილი იმ ბოტასების ადგილსამყოფელი. ალბათ, რომელიღაც „მანიაკ“ გულშემატკივარს უდევს პიანინოს თავზე „სუვენირად“. ისე კი, გულშემატკივრობასაც თავისი წესი და პეწი აქვს... ყველაფერი კი არ უნდა იკადრო!

**ნიკოლოზ დერიუგინის ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

(69-ე გვერდიდან)

**– გამოდის, შენთვის ახლა გაცილებით ადვილია ეს საქმიანობა?**

– ეს საქმე არასოდეს არავისთვის არის ადვილი, მაგრამ ძალიან სერიოზული პრობლემის წინაშეა დღეს ახალგაზრდობა. თუმცა, გეტყვი, ასეთი არატრადიციული ურთიერთობით ჩემხელა კაცებიც არიან დაკავებულები. სულ მიკვირს, ამათ როდის ისწავლეს და მოუნდათ ეს ყველაფერი?! ეს არის თაობა, რომელიც, კანონით, ძალიან ტრადიციული უნდა იყოს და შეიძლება ითქვას, კომუნისტური აზროვნება ჰქონდეს, მით უმეტეს, ასეთ საკითხში. ადრე ჯერ აუცილებლად კარგი რესტორანი იყო წინაპრების სადღეგრძელოებით და მერე კარგი მამა-პაპური სექსი, ცუდ შემთხვევაში კი, უკვე გითხარი, როგორც ხდებოდა. ადრე მე მცემდნენ და მაგინებდნენ კაცები, ახლა მე ვცემ და ვაგინებ. მაგრამ, ამ ორიდან არც ერთი სიამოვნებას არ მანიჭებს, თუმცა ახლა უვნებელი გამოვდივარ.

**– არასოდეს გიფიქრია, რამ გამოიწვია ასეთი რადიკალური ცვლილებები „ქართველ კაცებში“?**

# რა სექსუალური პრობლემების წინაშე დგას ქართველი მამაკაცების ნაწილი და რის გამო დადიან მეძავებთან

– ინტერნეტმა და ცივილიზაციის არასწორმა აღქმამ, ასევე, უსექსობამ. თუმცა, ყველა მაინც იმას აკეთებს, რაც სურს. პრობლემა სწორედ იმაშია, რომ სინანულის, სინდისის ქენჯნის განცდა აქვთ და საკუთარ თავსაც არ უტყდებიან. ეს კატეგორია მიიჩნევს, რომ კუნილინგუსი კი არ უყვართ, უბრალოდ, ამით ქალს ანიჭებენ სიამოვნებას. მაგრამ, მეძავთან რატომ უნდა წახვიდე და მიანიჭო სიამოვნება, თან, ფული გადაუხადო?! ზოგიერთ ახალგაზრდას ერექციაც კი აღარ აქვს, ისე აქვთ ტვინი დასტრესილი ამ ნარკოტიკებითა და კაზინოებით. თანაც, ცოლებს ან შეყვარებულებს ვერ უბედავენ, კუნილინგუსი გამაკეთებინეო. ეშინიათ, ამის აღიარების და ამიტომაც, მოდიან ჩემთან ან სხვა მეძავთან, რომ ნებისმიერი ფანტაზია დაიკმაყოფილონ ყველანაირი ვალდებულებებისა და გაქილიკების გარეშე. სხვათა შორის, ამ ბოლო დროს ტრანსვესტიტებზეა დიდი მოთხოვნა და ესეც კიდევ ერთი გადახრაა ტვინში, როცა ისინი საკუთარ თავს არწმუნებენ, კაცთან კი არა, ქალთან აქვთ სექსი. ამიტომ, დღეს იმაზე საუბარი, რომ ქალი უნდა კავდებოდეს თუ არა ორალური სექსით, ჩემი აზრით, სასაცილოა იმ ფონზე, როცა გაცილებით უარესი სექსუალური პრობლემის წინაშე ვდგავართ. ჯობია, ცოლქმარმა ერთმანეთთან აიხდინოს ფანტაზიები, ვიდრე ამ ფანტაზიის დასაკმაყოფილებლად, ცალ-ცალკე სხვაგან გარბოდნენ. ყოველ შემთხვევაში, რომელიმე მხარისთვის მიუღებელიც რომ იყოს, ამის გამო მეორეს პრობლემა არ უნდა შეუქმნას. ქალების გასაგონად კი, იმას ვიტყვი, რომ თავს ნუ დაიიმედებთ იმით, ვითონ თქვენი მეუღლე იმ უმცირეს გამონაკლისში შედის და ამის გამკეთებელი არ არის.

**ბესო მახარაშვილი**

# თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი“

## კოდი – 124

### უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას:

**ბაკალავრიატი:**

*სოცმეცნიერებათა და ბიზნესის ფაკულტეტი:*
ბიზნესის ადმინისტრირება
ტურიზმი

*იურიდიული ფაკულტეტი:*
სამართალი

ჯანმრთელობის დაცვის ფაკულტეტი:
სტომატოლოგია

*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:*
ფილოლოგია (ინგლისური)

**მაგისტრატურა:**

ბიზნესის ადმინისტრირება (საერთაშორისო პროგრამა)

### უნივერსიტეტის მისია

ხარისხიანი, ხელმისაწვდომი, თანამედროვე განათლების უზრუნველყოფა ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების, გამოცდილი და აგრეთვე, ახალი ფორმაციის სპეციალისტების კვალიფიკაციის მეშვეობით. მათ გააჩნიათ, უშუალოდ მეცნიერებაში, წარმოებასა და სამეწარმეო საქმიანობაში მიღებული ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციის უნარი და ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ, ხელი შეუწყონ პოზიტიურ ცვლილებებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

თანამედროვე სასწავლო კორპუსი ქალაქის ცენტრში, კომპიუტერიზებული ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნადი ფონდით, კომპიუტერული კლასები, იურიდიული კლინიკა, სასამართლო დარბაზი იმიტირებული პროცესებისათვის, სტომატოლოგიური კაბინეტები და საკონფერენციო დარბაზები.

სტუდენტები პრაქტიკას გადიან ტურისტულ ფირმებსა და სასტუმროებში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, საადვოკატო ოფისებში.

წარჩინებული სტუდენტები იღებენ სტიპენდიას.

## მიმდინარე სასწავლო წლიდან უნივერსიტეტი მონაწილეობს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ TEMPUS-ის სამწლიან პროექტში

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია, ბიზნესის ადმინისტრირების, ბიზნესკომუნიკაციის თეორიული ცოდნის, სამეცნიერო კვლევის, პროფესიული საქმიანობის, პრაქტიკული უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. პროგრამა არის 120-კრედიტიანი, რომლის დასრულების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი. პროგრამა შემუშავდა ჰოლანდიის უნივერსიტეტთან – New European University და გაიცემა ორმაგი დიპლომი.



უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მზია ქათამაძე** ევროპის რექტორთა კლუბის წევრია. კლუბის წევრთა შეხვედრები სხვადასხვა ქვეყანაში წელიწადში რამდენჯერმე იმართება, რაც უნივერსიტეტს უცხოელ კოლეგებთან, ევროპის უმაღლეს სასწავლებლებთან უფრო მჭიდრო კავშირების დამყარებაში ეხმარება. ამ ურთიერთობების შედეგია საქმიანი კონტაქტები და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები საფრანგეთის, ჰოლანდიის, ჩეხეთის, აშშ-ის და ლატვიის პრესტიჟულ უნივერსიტეტებთან.

„ერთი მთლიანი უფრო მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ერთობლიობა,” – ძველი ბერძენი ფილოსოფოსის, არისტოტელეს ეს სიტყვები საფუძველია ჩვენი უნივერსიტეტის ყოველდღიური ცხოვრებისა. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი” ესაა სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ერთი მთლიანი, მუდამ განახლებადი სისტემა, რომელიც საერთო საქმეს – სტუდენტებისთვის კვალიფიციური განათლების მიცემას ემსახურება. ჩვენთვის ერთნაირად ძვირფასია თითოეული სტუდენტი, მათი იდეები და შეხედულებები. გიწვევთ ჩვენთან სასწავლებლად და სათანამშრომლოდ. გახსოვდეთ – „ჩვენ ვზრდით პროფესიონალებს”! – თქვენი მომავალი გარანტირებულია“. უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მზია ქათამაძე.











**მისამართი: თბილისი, ვაკე, ილია ჭავჭავაძის გამზ. მეორე ჩიხი №5ა**

**დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**2 91 50 33; 2 10 58 75; 2 91 50 08**

www.gorgasali.edu.ge Facebook: www.facebook.com/UniversityGorgasali



გვ. 47

რა გზა გაუხსნა რუსულმა „ვოისმა" ეთერ ბერიაშვილს და როდის უნდება მას თავის მოკვლა დიდ რუსეთში



გვ. 74

როდის დაბრუნდება სამშობლოში ზურა დოიჯაშვილი და სად „გააჯაზა" მან თავისი 50 წლის იუბილეზე

როგორ მუშაობს საკუთარ თავზე „ვიცე-მის საქართველო" თიკა ჯაბანაშვილი და რაში უნდა თავის გამოცდა მომავალ პროკურორს

გვ. 70



გვ. 68

რატომ მიჰყიდა ჩაშკამ საცოლეს „ბასანოშკები" და რა მოუწყო მან ქსნის კოლონიაში ებრაელ პატიმრებს



ISSN 1987-569X

9 771987 569002

# თ... ისელები®

საქართვ... ლისი – შიგ ჩასმული ბადახში

გამოდის ორშაბათობით • №11 (690) • 17–23 მარტი • ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge